# კვირის პალიტრა

№ 1 (462) ◆ 5 – 11 იანვარი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## „კვირის პალიტრას“ და მის მკითხველს ქრისტეშობას ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

გაზეთ „კვირის პალიტრის“ თანამშრომლებს და მის მკითხველთ გულითადად ვულოცავ შობა-ახალ წელს!

დაე, ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს იგი თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის.

მშვიდობა, სულიერი სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეთ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

იშვა ბეთლემში ის, ვისთანაც ცხორება იყო და ცხორება იგი იყო ნათელ კაცთა და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.

გვ.16 (იოანე, 1,4-5)

**...იესო დაბადებულა, ალილო...**

## 4 იანვრის არჩევნები შედგა! გვ.2

## მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია!





საერთაშორისო თანამეგობრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოვა საქართველოს ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ, თანამშრომლურ ურთიერთობებზე, თუ დაინახავს, რომ მას მოსახლეობის უმეტესობა ემხრობა. რაც 4 იანვარს დაფიქსირდა (მოსახლეობის აქტივობა), ეს ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

...მოსახლეობამ უნდა გაიცნობიეროს, რომ 2-3 თვეში ყველაფერი არ გამოსწორდება, მაგრამ უთუოდ უნდა დაინახოს და შეაფასოს დადებითი ტენდენციები. გვ.3

## გერმანელი, რომელმაც შვიდი ქართველი იშვილა(!) გვ.13

**„თქვენ ვერავინ მოგერევათ, თუ თვითონ არ გაუყრით ყულფში თავს“**



– იყო დრო, როცა გარკვეული ძალები სერიოზულად მუშაობდნენ იმისათვის, რომ ქართველებს მომავლის რწმენა და ინდივიდუალურობა დაჰკარგვოდათ. ის დროც წარსულს ჩაჰბარდა. თქვენ დღეს უფრო მეტად გიცნობთ მსოფლიო, ვიდრე ოდესმე. მსოფლიოს სხვადასხვა ერები სწავლობენ თქვენს უძველეს კულტურას და ხელოვნებას და თავს იწონებენ ამით. გგონიათ, ეს ყველაფერი შემთხვევით ხდება?



გვ.5

## „გვარები რომ დავასახელოთ, აორთქლდებიან“

**„ქართულმა მხარემ საკუთარი თავი თვითონ დაიჯარიმა“(?!)**

*სამხედრო თემაზე:*

## ქართველი, რომელმაც ამერიკელებს თვითმფრინავების აგება ასწავლა გვ.9

**პირველი ამერიკული ტაქტიკური ბირთვული ბომბი ალექსანდრე ქართველის ბომბდამშენმა წაიღო**

ერთ-ერთი ტრანსატლანტიკური გადაფრენის დასრულების შემდეგ ალექსანდრე ქართველმა გაიცნო ამერიკელი მილიონერი ლევინი. ლევინი დაინტერესდა ქართველის გიგანტური თვითმფრინავის პროექტით და ქართველი კონსტრუქტორი, მის ფრანგ კოლეგებთან ერთად, ამერიკაში მიიწვია.

## კარნავალი

ცნობილი ადამიანები კარნავალზე გვ.35



„კვირის პალიტრის“ მკითხველებს ეძლევათ შანსი, თავად გაუნაწილონ ცნობილ ქართველებს საკარნავალო კოსტიუმები.

**წამლის ახალი, სრულიად განსხვავებული ფორმა „ფლემოქსინ სოლუტაბი“**

გვ.24

ვერსია

## საშობაო ზღაპა

– ცამეტი წელია ამ კაცს ვერაფერი მოვუხერხეთ, ამასობაში კი აწიოკებს მთის სოფლებს. მას კარგად ორგანიზებული ბანდა უმაგრებს ზურგს. ეს რომ არა, ხევსურები და მოხევეები თვითონვე გაუსწორდებოდნენ... თათბირის დასასრულს ალექსი ინაურმა შადურს მისცა სიტყვა. გვ.10

# ქრისტეშობის მადლი გფარავდეთ!

## საპრეზიდენტო არჩევნები შედგა

საქართველოს მოსახლეობას შობას და ძველით ახალ წელს ახალი პრეზიდენტი მიულოცავს. 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები შედგა. პროგნოზები, მისი ჩაშლისა და მოსალოდნელი ექსცესების შესახებ, არ გამართლდა. 36 წლის მიხეილ სააკაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რიგით მესამე პრეზიდენტია (ნოე ჟორდანია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახლდათ). წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, მათგან საპრეზიდენტო მარათონში მებრძოლი 6 კანდიდატიდან 90%-მდე ხმა მიხეილ სააკაშვილს მისცა. ცესკოს მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობა განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში დაფიქსირდა.

...ცესკოს თავმჯდომარის, ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად ყველა საარჩევნო უბანი მზად იყო. წინასწარი რეგისტრაციის მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი დააფიქსირა 1.739.000-მა ადამიანმა. ცესკოს თავმჯდომარე ბოლო წუთამდე მოუწოდებდა საქართველოს მოსახლეობას, მონაწილეობა მიეღო კენჭისყრაში. ცესკოს თავმჯდომარემ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცა იმ ამომრჩეველსაც, ვინც დათქმულ ვადებში ვერ გაიარა წინასწარი რეგისტრაცია; საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შს, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროები საგანგებო რეჟიმით მუშაობდნენ და განსაკუთრებულ კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები. უშიშროების სამინისტროს ცნობით, ქვეყნის გარედან დაფინანსებული გარკვეული ძალები გეგმავდნენ დივერსიული აქტებით არჩევნების ჩაშლას.

...2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები მთათუშეთში 3 იანვარს ჩატარდა. მთიან რეგიონებში, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, საარჩევნო ურნები და ბიულეტენები შვეულმფრენებით ჩაიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ მთათუშეთი თითქმის 12 წელია ელექტროენერგიის, კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო საშუალებების გარეშეა დარჩენილი, მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო არჩევნებში — უკეთესი მომავლის იმედით ხალხი უამინდობას არ შეუშინდა და არჩევნებზე მოვიდა. „თოვლი რომ მოდის, მთებში ვიკეტებით და გაზაფხულამდე არავის ვახსენდებით. მაშინაც თვითონვე ვახსენებთ თავს ბარს. იქნებ ახლა მაინც მოვიდნენ ხელისუფლებაში ის ძალები, ვისაც მთათუშეთი მხოლოდ არჩევნების დროს არ გაახსენდება“, — ასეთია მათი პოზიცია. მათთან ერთად არჩევნებში საქართველოს ახალ პრეზიდენტს ხმა მთათუშეთის სოფლებში დისლოცირებულმა მესაზღვრეებმაც მისცეს. საქართველოს რამდენიმე მაღალმთიან რეგიონში საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის პროცედურა 6 იანვრამდე გაგრძელდება. ასეთი გადაწყვეტილება ცესკომ რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო მიიღო.

...4 იანვრის არჩევნებს 400-ზე მეტი უცხოელი დამკვირვებელი ესწრებოდა. დსთ-ის ქვეყნების დამკვირვებელთა მისიაში 90 წარმომადგენელი იყო, მათ შორის რუსეთიდან — 36. დამკვირვებლებს დსთ-ის აღმასრულებელი მდივანი იური უვაროვი ხელმძღვანელობდა.

## მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური

...საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, 4 იანვარს, საპარლამენტო მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურიც გაიმართა. თბილისის მთაწმინდის რაიონის საარჩევნო ოლქში ნაციონალმა გია თორთლაძემ ბურჯანაძე-დემოკრატი გიგი წერეთლის სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრიდან მოხსნა. იგივე გააკეთა ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატმა სამგორის ოლქში პანტიკო თორდიამ, რომელმაც ასპარეზი ბურჯანაძე-დემოკრატ მიხეილ მაჭავარიანს დაუთმო. 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური სულ 11 ოლქში ჩატარდა. საარჩევნო ორთაბრძოლა კი მხოლოდ საბურთალოს, ჩუღურეთის, თიანეთის, ჭიათურის, ლანჩხუთისა და ფოთის საარჩევნო უბნებში გაიმართა. ექვს ოლქში კი ნინო ბურჯანაძეს, გიგი წერეთელს, მიხეილ მაჭავარიანს, კობა დავითაშვილს, ნუგზარ პაპუნაშვილს და აკაკი ბობოხიძეს კონკურენტები არ ჰყავდათ. მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, პანტიკო თორდიამ არჩევნებში მონაწილეობაზე შევარდნაძის გადადგომისთანავე თქვა უარი, ქუთაისის მაჟორიტარულ ოლქში, ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელმა დოდო შელიამ, რომელიც ამჯერად მხარდამჭერი პოლიტიკური ძალების გარეშეა დარჩენილი, ასევე უარი განაცხადა მეორე ტურში მონაწილეობაზე, რადგან თვლის, რომ ხელისუფლებაში მყოფი ნინო ბურჯანაძე მეტის გაკეთებას შეძლებს ქუთაისისთვის, ვიდრე თვითონ. მომავალ პარლამენტში, სადაც მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობას ნაციონალების და ბურჯანაძე-დემოკრატების წარმომადგენლები შეადგენენ, მიხეილ მაჭავარიანი ულირსი დეპუტატების ყოფნაზეც მიუთითებს, თუმცა, ამჯერად არ აკონკრეტებს მათ ვინაობას. ამის განცხადებას იგი ახალი მოწვევის პარლამენტის პირველსავე სესიაზე გეგმავს, რაც აშკარად არ იძლევა მომავალ პარლამენტში სრულ ჰარმონიაზე ფიქრის საშუალებას.

## არჩევნები აჭარაში

...აჭარაში საპრეზიდენტო არჩევნები, კანონის შესაბამისად, 8 სთ-ზე დაიწყო. ბათუმის საოლქო კომისიის თავმჯდომარის, ედნარ შამილიშვილის ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნების სიებში იმდენივე ამომრჩეველი იყო შეყვანილი, რამდენიც საპარლამენტო არჩევნების დროს. დამკვირვებელთა განცხადებებით, აჭარაში არჩევნები ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა. არჩევნებთან დაკავშირებით, რეგიონის მეთაურმა ასლან აბაშიძემ აჭარაში საგანგებო მდგომარეობა გააუქმა, თუმცა, შს მინისტრის ჯემალ გოგიტიძის განცხადებით, საგანგებო მდგომარეობა არჩევნების დამთავრებისთანავე განახლდება. ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ მიიღო იმიტომ, რომ არჩევნების ჩატარებას ხელი არ შეშლოდა და ამომრჩეველს შეძლებოდა საკუთარი ნება და პოზიცია დაეფიქსირებინა, — დასძინა გოგიტიძემ.

მაშინ, როცა საარჩევნო უბნების დახურვამდე 15 წუთი რჩებოდა, ბათუმის პირველ საარჩევნო უბანში მივიდა აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე. მან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, დაგვიანება მოუცლელობით ახსნა, მაგრამ ჟურნალისტებთან თავისი რჩეულის ვინაობა არ დაუფიქსირებია.

## ყოფილმა მომავალი აირჩია

...პოსტიდან გადადგომის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ მოქალაქეობრივი მოვალეობა მოიხადა და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა (ამჯერად მეუღლის გარეშე) მიიღო. კრწანისის საარჩევნო ოლქის №9 საარჩევნო უბანში ედუარდ შევარდნაძე 8.30 სთ-ზე მივიდა და ხმა მისცა ქვეყნის ახალ პრეზიდენტს, რაზეც ხმამაღლა მიანიშნა და მომავალ პრეზიდენტს „ნაკლები ლაპარაკი და მეტი საქმის კეთება“ ურჩია. „მე მგონია, რომ ყველაფერი ნორმალურად განვითარდება, მთავარია, მიშამ მუშაობა ისწავლოს, რადგან პრეზიდენტობა მარტო სიტყვის წარმოთქმა არ არის, მთავარია მუშაობა. ადამიანებთან ურთიერთობის ურთულესი სკოლაც უნდა გაიაროს. მიშას ძალიან კარგი თვისებები აქვს. ახალგაზრდაა, ენერგიული, განათლებულია და თუ მოინდომებს, საქმეს გააკეთებს. აწი პოპულიზმზე ნაკლებად უნდა იფიქროს და ცოცხალ საქმეებს მიხედოს. ვფიქრობ, ეს არ შეეშლება“, — განაცხადა შევარდნაძემ.

4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ყოფილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც მიიღეს და შევარდნაძის მსგავსად, ისინიც მოუწოდებდნენ ხალხს, უფრო მეტი აქტივობა გამოეჩინათ არჩევნებში. საარჩევნო უბანში გამოცხადდა მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც 4 იანვარს საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს ეახლა და დაბადების 71-ე წელი მიულოცა, თან ოქროს ვარდი მიართვა. მოგვიანებით, საქართველოს მომავალ პრეზიდენტს ხმა თვით უწმინდესმაც მისცა და განაცხადა, რომ ამ არჩევნებს ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და საქართველოს პრეზიდენტი აუცილებლად მართლმადიდებელი უნდა იყოს.

## შაშიაშვილი უკმაყოფილოა

...პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, იმერეთის ყოფილმა გუბერნატორმა, თეიმურაზ შაშიაშვილმა არ დაადასტურა არჩევნებამდე ერთი დღით ადრე გავრცელებული ინფორმაცია, მისი კანდიდატურის კენჭისყრიდან მოხსნის შესახებ. მეტიც, მან ქუთაისში, არჩევნებში მონაწილეობა მეუღლესთან ერთად მიიღო. შაშიაშვილი უკმაყოფილოა ტელედებატებზე მისი კონკურენტების უარით. შაშიაშვილის თქმით, მას აქვს ცნობები, რომ ცესკოს მიერ დაფიქსირებული წინასწარ რეგისტრაციაგავლილ პირთა რაოდენობა არარეალური და გაბერილია; წინასწარი რეგისტრაცია მხოლოდ 900.000-მა ადამიანმა გაიარა. ჩვენ გვაქვს ერთპარტიული საარჩევნო კომისიები, რომლებიც გააყალბებენ არჩევნებს, რადგან ეს არჩევნები გაყალბების დიდოსტატების ხელშია. ისინი ერთადერთხელ დარჩნენ ამ შესაძლებლობის გარეშე და რევოლუციაც მოაწყვეს. მინდა ამ ხელისუფლებამ არჩევნები მოიგოს, რომ ხალხმა მათი ნამდვილი სახე დაინახოს. თემურ შაშიაშვილი არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს და გეგმავს ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას ან უკვე არსებულ რომელიმე პოლიტსუბიექტთან თანამშრომლობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შაშიაშვილი მონაწილეობას მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებს.

## კომისიის წევრმა ინფარქტი მიიღო

...ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურის №2 საარჩევნო უბანში ტრაგიკული შემთხვევა დაფიქსირდა. კენჭისყრის დროს გარდაიცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ წარმომადგენელი, 75 წლის ნოდარ მეგრელიშვილი. კენჭისყრა ნახევარი საათით შეწყდა. ექიმები აცხადებენ, რომ მეგრელიშვილის გარდაცვალების მიზეზი ინფარქტი გახდა.

## გალში სეპარატისტების შტაბი აფეთქდა

რამდენიმე დღის წინ, გალში, სტალინის ქუჩაზე, ცნობილი აფხაზი ბოევიკის, ვალმერ ბუთბას შტაბში მომხდარი აფეთქებების შედეგად მთლიანად დაინგრა შენობა. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქდა ტროტილისაგან დამზადებული მოწყობილობა, რომელიც საბრძოლო მასალების საწყობში იყო დამონტაჟებული. აფეთქებების სერია დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა, თუმცა მომხდარს მსხვერპლი არ მოჰყოლია. შტაბში მყოფმა 10-მდე ბოევიკმა აფეთქებებისგან თავის დაღწევა მოახერხა. ამ გარემოებით ისარგებლა ორმა ქართველმა მძევალმაც, რომელთაც გაქცევა და მიმალვა შეძლეს.

აფხაზური მხარე აფეთქებების ორგანიზატორებად ქართველ პარტიზანებს ასახელებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი გია ბარამია აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ არაერთხელ მიმართა გაეროსა და რუსეთის სამშვიდობო ძალებს ქალაქ გალიდან ბუთბას უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის მოთხოვნით. ეს თხოვნა უყურადღებოდ დარჩა და აფეთქებაც სწორედ ამის გამო მოხდა. აფხაზური მხარე აღნიშნულ საკითხს ჭუბურხინჯის ოთხმხრივ ტრადიციულ შეხვედრაზე მომხდარის ობიექტურად გამოძიებას და დამნაშავეების დადგენას მოითხოვს. შეხვედრა ჭუბურხინჯში 8 იანვარს უნდა შედგეს. შესაბამისად, განისაზღვრება ქართველი და აფხაზი სამართალდამცავების შეხვედრის თარიღიც. ამ შეხვედრის აუცილებლობას კი ბოლო ხანს უსაფრთხოების ზონაში გართულებული კრიმინოგენული ვითარებაც განაპირობებს.

## „სხვა სახელმწიფოს არჩევნები ჩვენ არ გვეხება“(!)

აფხაზეთი საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში არ მონაწილეობს, თუმცა იმედი აქვს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება გააგრძელებს მოლაპარაკებებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხზე. „ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს საქართველოში მიმდინარე არჩევნებთან, ვინაიდან იგი სხვა სახელმწიფოში ტარდება და ამდენად, ჩვენ არ გვეხება“, — აღნიშნა თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ. მისი თქმით, სოხუმს არ აინტერესებს, ვინ მოვა არჩევნების შედეგად საქართველოს ხელისუფლებაში — მიხეილ სააკაშვილი თუ ვინმე სხვა, „მთავარია, შენარჩუნდეს მოლაპარაკებები აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით“. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ურთიერთობები საქართველოსა და აფხაზეთს შორის „ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების“ ფორმატში უნდა განვითარდეს(?!).

## ლეიბორისტებმა მუქარა შეასრულეს

საქართველოს ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ შეასრულა წინასაარჩევნო დაპირება და ბოიკოტი გამოუცხადა 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს. „საქართველოში არანაირი ვარდების რევოლუცია არ მომხდარა, საქართველოში მოხდა მემკვიდრეობითი გადატრიალება და იმ მითს, რომელსაც ყოველდღე გვახვევდნენ თავს ვარდების რევოლუციის შესახებ, წერტილი დაუსვა ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც დააფიქსირა მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერა საპრეზიდენტო არჩევნებში. რაც შეეხება არჩევნების მიმდინარეობის პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პარტია არჩევნებში არ მონაწილეობს, ჩვენი აქტივისტები ატარებენ მონიტორინგს საქართველოს ყველა საარჩევნო უბანში და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე ფაქტობრივად სიახლე არ ხდება, არჩევნები ტარდება ძველებური ფორმულით, ქვემო ქართლში არჩევნები მასობრივი ფალსიფიცირების ფონზე მიმდინარეობს“, — განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე ლეიბორისტმა გელა დანელიამ.

აჭარელმა ლეიბორისტებმა არ გაიზიარეს პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის მოწოდება — მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტირების აუცილებლობის თაობაზე და აჭარაში მოქმედ ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდეს, პარტიულზე მაღლა სახელმწიფოებრივი ინტერესები დაეყენებინათ.

## სააკაშვილმა წინასაარჩევნო კამპანია ცხინვალში დაასრულა

მიხეილ სააკაშვილი შაბათ დილით, ყველასთვის მოულოდნელად, საქართველოს შს მინისტრსა და შიდა ქართლის გუბერნატორთან ერთად ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩავიდა და პირველად ცხინვალის ცენტრში გაჩერდა, სადაც ადგილობრივი ოსი ეროვნების მოსახლეობას შეხვდა. ამ ფაქტმა ცხინვალში ადგილობრივი სამართალდამცველების გააქტიურება გამოიწვია. განსაკუთრებით გამკაცრდა დე ფაქტო ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობის კონტროლი. როგორც შემდგომ გაირკვა, მიხეილ სააკაშვილი ცხინვალში მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ წინასწარ არ შეთანხმებულა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ცხინვალის შემდეგ სააკაშვილი დიდი ლიახვის ხეობაში გაემგზავრა და სოფელ თამარაშენის საშუალო სკოლაში ადგილობრივ, ქართულ მოსახლეობასთან გამართა შეხვედრა, სადაც განაცხადა, რომ ეს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებია, რომელიც ცხინვალსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ტარდება.

## საქართველოს ელჩი იმედოვნებს...

საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ურთიერთობები თბილისსა და მოსკოვს შორის გაუმჯობესდება. მისი თქმით, საქართველოს ახალ ხელისუფლებას არაერთხელ განუცხადებია, რომ რუსეთთან ურთიერთობას ახალი თვალთახედვით გააგრძელებს და ეს ღირსეული თანამშრომლობა იქნება. საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტი იძლევა საფუძველს, იმედი ვიქონიოთ, რომ 2004 წელი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში შემობრუნების, სრული ჰარმონიისა და არსებული პრობლემების მოგვარების წლად იქცევა, — აღნიშნა ქართველმა დიპლომატმა. მან ასევე გაიხსენა მიხეილ სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ერთ-ერთი პირველი ვიზიტით იგი სწორედ მოსკოვს ეწვევა.

## აფეთქება მარნეულში

3 იანვარს, შაბათს, მარნეულში, კულტურის სახლთან, დაახლოებით 23.00 საათზე აფეთქება მოხდა. როგორც ქვემო ქართლის საოლქო პროკურორმა მამუკა ცაავამ განაცხადა, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა, სავარაუდოდ, ტროტილი ააფეთქეს. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ კულტურის სახლის მინები ჩაიმსხვრა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იკვლევს მარნეულის საგამოძიებო ნაწილი.

## ახალი წელი ავიაკატასტროფებით დაიწყო



ტეხასის შტატში, დალასის აეროპორტიდან ერთძრავიანი თვითმფრინავი ქალაქ ამარილოს მიმართულებით მიფრინავდა, მაგრამ დაუდგენელი მიზეზების გამო აეროპორტიდან 5 კმ-ის მოშორებით ჩამოვარდა და ორ სახლს ხანძარი გაუჩინა. კატასტროფის შედეგად დაიღუპნენ თვითმფრინავის პილოტი და მგზავრი. თვითმხილველთა თქმით, თვითმფრინავი ვერტიკალურად დაეცა შენობებს. ექსპერტთა ვარაუდით, ავიაკატასტროფა ცუდმა ამინდმა და ნისლმა გამოიწვია.

წითელ ზღვაში, კაიროს მახლობლად, ბოინგ-737-ის ავიაკატასტროფას 148 ადამიანი შეეწირა. კერძო ეგვიპტური ავიაკომპანიის კუთვნილი თვითმფრინავი კაიროდან პარიზში ჩარტერული რეისით მიფრინავდა. ლაინერში 135 მგზავრი და ეკიპაჟის 13 წევრი იმყოფებოდა. მგზავრთა შორის 123 ფრანგი ტურისტი და 3 ეგვიპტელი იყო. საფრანგეთის მთავრობის ცნობით, დაღუპულთა შორის უამრავი ბავშვია. ისინი მშობლებთან ერთად საშობაოდ ეგვიპტეში იმყოფებოდნენ. კატასტროფა აფრენიდან 40 წუთში მოხდა. ეს ტრაგედია იმ დღეს დაემთხვა, როცა მსოფლიოს უამრავი ქვეყნის აეროპორტებში უსაფრთხოების ზომების გამკაცრება დაიწყო, რაც შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურების მიერ 2 იანვარს მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ განაპირობა. მიუხედავად ამისა, ეგვიპტის ოფიციალური პირები ტერორისტულ აქტს გამორიცხავენ. ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს ცნობით, ტრაგედია ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია.

## ამერიკული „პილპილმოყრილი მადლი“ ირანში —

ირანში მიწისძვრით დაზარალებულებს დახმარების ხელი აშშ-მაც გაუწოდა. თუმცა აშშ-ის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ ეს ფაქტი ოფიციალურ ვაშინგტონსა და თეირანს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას არ ნიშნავს. ბუშის განცხადებით, აშშ-თან ურთიერთობის დათბობისა და ვაშინგტონის გულის მოსალბობად ირანს მეტის გაკეთება მოუწევს — ვაშინგტონი თეირანისგან ირანში დაკავებულ ალ-ქაიდას ტერორისტული ორგანიზაციის წევრების ექსტრადიციასა და ბირთვული პროგრამის შეწყვეტას მოითხოვს. ოფიციალური მონაცემებით, სტიქიამ 50 ათასამდე კაცის სიცოცხლე შეიწირა. ირანის ქალაქ ბამაში მომხდარი უბედურების შემდეგ აშშ-მა კატასტროფის ზონაში მაშველებიც გაგზავნა ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად. ეს აშშ-ის პირველი ოფიციალური მისია იყო ირანში მას შემდეგ, რაც 23 წლის წინ ვაშინგტონმა თეირანთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა.

# „ახლადარჩეული პრეზიდენტის მთავარი დასაყრდენი ხალხი იქნება...“

ქრისტეშობას საქართველო ახალი პრეზიდენტით ხვდება. ამბობენ, ჩვენს ახალ პრეზიდენტს სიმბოლოები და რელიგიური დღესასწაულები უყვარსო (არაერთხელ გაგვიგონია მისგან წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის სახელები. სიმბოლოს ის 4 იანვარსაც ვერ ასცდა — პატრიარქის დაბადებისა და ჩემი არჩევის დღე ერთმანეთს დაემთხვაო, — ბრძანა). კიდევ ერთი ნიშანი — ამ კვირაში შობაა! ღმერთმა ქნას, ამ დღიდან საქართველოში უკვე ნაშობი იმედის გამართლება დაწყებულიყოს...

პრეზიდენტს მალე მოუწევს ვარდის გვერდზე გადადება და ხელში ქვეყნის მართვის სადავის აღება. სააკაშვილს ხალხი ენდო, კვლავაც ენდობა და დაუჯერებს, ოღონდ მას მართებს ახლა ნდობის გამართლება. პრეზიდენტმა თავისი ვალი ღირსეულად უნდა შეასრულოს — უფსკრულს აგვარიდოს და ბეწვის ხიდიდან ფართო შარაზე გაგვიყვანოს.

ახალი პრეზიდენტი ძველმა დაგვიმოძღვრა და ჩვენც დაგვაიმედა — ნიჭიც აქვს, უნარიც და განათლებაც, ბევრი იშრომოს და საქმეც გამოუვაო...

იურისტ **დავით უსუფაშვილთან** ინტერვიუ გასული წლის იმ მოვლენის მნიშვნელობის შეფასებით დავიწყეთ, რომლის პირმშოც 4 იანვარი გახდა.

— გასული წლის ყველა მოვლენა დაჩრდილა ნოემბრის ამბებმა, რომელიც შემდგომ ვარდების რევოლუციად მოინათლა. 2003 წელი სწორედ ამ მოვლენით შევა ისტორიაში. ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკურ — სახელისუფლებო ბრძოლასთან დაკავშირებული, ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო მნიშვნელობის მოვლენა, სადაც პოლიტიკამ უკანა პლანზე გადაიწია და ხალხმა, განსხვავებული შეხედულებების ადამიანებმა, საერთო ენა მთავარში გამოძებნეს — ეს ქვეყანა ჩვენ გვეკუთვნის და არა რომელიმე პოლიტიკურ ან ბიზნესკლანსო. ამ დღეებმა დაადასტურა, რომ გავლენიანი ფიგურები ყოველთვის ანგარიშს უნდა უწევდნენ ჩვეულებრივი ადამიანების განწყობას, რომ მათ შეუძლიათ გადამწყვეტ მომენტში სიტყვის თქმა და არ არსებობს ძალა, რომელიც მიზნისთვის მებრძოლ ხალხს შეაჩერებს. პოსტკომუნისტური ეპოქის 12 წელი უსაშველოდ გაჭიანურდა, რამაც ქვეყანა მნიშვნელოვნად დააზარალა. გასული წლის მოვლენები, ვფიქრობ, დაასრულებს ამ ეპოქას საქართველოში.

**— ხშირად გაიგონებთ, ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პრობლემა — ტოტალური უკანონობააო, მეორენი — კორუმპირებულთა უზნეობასა და გაუმაძღრობაზე ლაპარაკობენ, თქვენი აზრით, უპირველესად რა არის მოსაგვარებელი ქვეყანაში?**

— კორუმპირებულობაც, კანონისადმი დაუმორჩილებლობაც და მოქალაქეობრივი თვითშეგნების დაბალი დონეც სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის შედეგია. ცხადია, ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ერთი მხრივ, ჩვენ ვიყავით ქვეყანა, რომელსაც 200 წელი საკუთარი სახელმწიფო არ ჰქონია და, მეორე მხრივ, გვაქვს მდიდარი ისტორიული ტრადიციები. ამ ორი ფაქტორის თანხვედრამ

**საერთაშორისო თანამეგობრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოვა საქართველოს ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ, თანამშრომლურ ურთიერთობებზე, თუ დაინახავს, რომ მას მოსახლეობის უმეტესობა ემხრობა. რაც 4 იანვარს დაფიქსირდა (მოსახლეობის აქტივობა), ეს ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.**

მეტად არასასურველი რეალობა წარმოშვა. არის მსოფლიოში ისეთი ქვეყნები, რომელთაც სახელმწიფოებრიობა პირველად 12-13 წლის წინ მოიპოვეს. მათ ისტორიულ მეხსიერებაში საკუთარი ძლიერების და თვითმყოფადობის პერიოდი არ ყოფილა. ასეთი ერებისთვის უფრო იოლი აღმოჩნდა გარკვეული საფეხურების გავლა. ქართველმა საზოგადოებამ ამ ორი ფაქტორის კომბინაციის გამო უცნაური სინდრომები გამოამჟღავნა. ერთი მხრივ, გაუმართლებელი, უსაფუძვლო ამპარტავნება, ზღვარგადასული თავმოყვარეობა და, ცოტა არ იყოს, აგდებული დამოკიდებულება ისეთი საკითხებისადმი, რაც სახელმწიფოს აშენებისთვის არის მნიშვნელოვანი. ხშირად გაიგონებთ — ევროპამ ჩვენ რა უნდა გვასწავლოს, ამერიკამ, რომელიც 200 წლის წინ შეიქმნა, როგორ უნდა გვირჩიოს რაიმე ხალხს, რომელმაც მე-12 საუკუნეში შექმნა „ვეფხისტყაოსანი“ და ჰქონდა სახელმწიფო. ქართულ საზოგადოებაში არის შიდაურთიერთობების პრობლემები... კერძოდ, კლანური ურთიერთობებისადმი პატივისცემა — მდიდარი და გავლენიანი ადამიანების მიმართ მოწიწება. ეს გახლავთ იმ სახელმწიფოებრივი ჩვევების გადმონაშთი, რომელიც საქართველოს 200 წლის წინ ჰქონდა — არსებობდა არისტოკრატია, რომელიც ერს მართავდა. ეს გადმონაშთი — ელიტარულობა, არისტოკრატიულობისკენ მისწრაფება შეინიშნება ჩვენს ცხოვრებაში, რაც გამოიხატება ხოლმე კერპების გაჩენის მოთხოვნილებაში. ასეთი მიდგომა ხელს უშლის სახელმწიფოს განვითარებას. ასე რომ, ჩვენი დღევანდელი პრობლემების ფესვები საკმაოდ ღრმა არის და იგი არ შეიძლება დავაბრალოთ არც ედუარდ შევარდნაძის ქვეყნის არასწორ მმართველობას, არც გამსახურდიას შეცდომებს, არც სტალინის რეპრესიებს. ჩვენ უნდა გავიაზროთ, როგორ მოვახერხოთ ერის ცხოვრების ცალკეულ ეტაპებს შორის მნიშვნელოვანი ძაფების გაბმა; 21-ე საუკუნის საქართველო არც მსოფლიო მოვლენებს უნდა ჩამორჩეს და არც ისტორია დაივიწყოს. თუ ამაზე სერიოზულად არ ვიფიქრეთ, არსებულ პრობლემებს ვერ მოვერევით. ეს კორუფციაც არ არის ისეთი მოვლენა, რომელსაც მხოლოდ მკაცრი სამართლებრივი ღონისძიებებით მოევლება. ჩვენი აზროვნებაა კორუმპირებული, ამიტომ საჭიროა, უპირველესად, ყველა ჩვენგანმა საკუთარ თავში სძლიოს კორუფცია. შეიძლება არც ვიყოთ მექრთამეები, მაგრამ კორუფციულად ვფიქრობდეთ. საზოგადოს ისე ვუდგებით, როგორც კერძოს, რაც ყველაზე სერიოზული პრობლემაა სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე. ადამიანებმა „დანაწევრებული აზროვნება“ ვისწავლეთ. კერძოსა და საზოგადოზე ფიქრის დროს გვიჭირს პრიორიტეტი საზოგადოს მივანიჭოთ. ჯარისკაცი, რომელიც ბრძოლის ველზე საკუთარი თავის გადარჩენაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე მტრის დამარცხებაზე, ცხადია, ომს წააგებს. მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატი, სამოხელეო ელიტა, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, „ბრძოლის ველზე“ კერძო ინტერესებზე ფიქრობდა. ბუნებრივია, ასეთი პოლიტიკური ელიტით და ბიუროკრატიით ქვეყანა წინ ვერ წავიდოდა.



**— ამბობენ, არჩევნების წელი ყოველთვის მძიმეა ქვეყნისთვისო. საქართველო კი პერმანენტული არჩევნების რეჟიმით ცხოვრობს. გამოდის, რომ „მორიგი დაძაბულობები“ წინაა...**

**ამით ხალხი ხელისუფლებაზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს შეიძენს...**

— საერთოდ, დემოკრატია არჩევნებს, არჩევით ხელისუფლებასა და არჩევნებში ხალხის მონაწილეობას ეფუძნება. ასე რომ, არჩევნებით დაღლა დემოკრატიითა და თავისუფლებით დაღლად უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, საზოგადოებას, რომელსაც არჩევნები მოჰბეზრდება, მომავალი არა აქვს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ — რამ დაღალა ხალხი? რეალურმა არჩევნებმა თუ ფარსმა, რასაც აქამდე არჩევნები ერქვა. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, საქართველოში ფარსი იდგმებოდა. ამან ჩამოაყალიბა საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულება არჩევნებისადმი, რომლისგანაც სასიკეთოს არავინ ელოდა. ამიტომ, კარგია თუ მოსახლეობა დაღალა იმან, რაც აქამდე ხდებოდა. როგორც კი საქართველოში რეალური და თავისუფალი არჩევნების ჩატარების ტენდენცია დაიწყება, ვნახავთ, რომ საზოგადოება ყოველ მორიგ არჩევნებს ზეიმით და ამაღლებული განწყობით შეხვდება. თუ ხალხი დაინახავს, რომ მართლა მონაწილეობს ერის საქმეების მოგვარებაში, არჩევნებზე მისვლა თითოეული ჩვენგანისათვის მოქალაქეობრივი სიამაყის და ღირსების გამოხატულება იქნება.

**— გარკვეულწილად ეს საზეიმო განწყობა, რომელზეც თქვენ ბრძანეთ, უკვე იგრძნობოდა 4 იანვრის არჩევნებზე. ხალხი იმედიანად მიდიოდა საარჩევნო უბნებში ხმის მისაცემად. რას იტყოდით საერთოდ ამ არჩევნების მნიშვნელობაზე?**

— 4 იანვრის არჩევნები განსაკუთრებული მოვლენა იყო. ეს „რიგგარეშე“ არჩევნები გახლდათ და ამ დასახელებიდანაც უკვე ჩანს, რომ მას მნიშვნელოვანი მოვლენა უძღოდა წინ. ამ დღეს ბევრი რამ გადაწყდა და გაირკვა. გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, რა განწყობით შეხვდებოდა მოსახლეობა ამ დღეს. ეს არჩევნები ბევრისთვის აქტიური პოლიტიკური ცხოვრების დასაწყისი აღმოჩნდა. ამჟამინდელ ვითარებას 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებს შევადარებდი, როდესაც „მრგვალმა მაგიდამ“ იზეიმა გამარჯვება. მაშინ ცესკოს წევრი ვიყავი და კარგად მახსოვს ადამიანების განწყობა. წლების მანძილზე დაგროვილი მუხტი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობის სურვილი, ქვეყნის თანამოქალაქედ განცდის გრძნობა ისე ჭარბად იყო გამოხატული, რომ ბევრისთვის ის არჩევნები ზეიმად, ახალი ეპოქის დასაწყისად, წლების მანძილზე ჩაკლული სურვილებისა და ემოციების გამოხატვის საშუალებად იქცა. ასეთივე განცდა შვა 4 იანვრის არჩევნებმაც — მრავალმა ეს დღე 12 წლის მანძილზე დაგროვილი მუხტის რეალიზების შესაძლებლობად აღიქვა. 4 იანვარი ნოემბრის მოვლენების ლოგიკური დაგვირგვინება იყო...

4 იანვარს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დატვირთვა ჰქონდა. ამ არჩევნებით საქართველოს მოსახლეობას და მსოფლიოს უნდა დაენახა, რომ ქართული სახელმწიფო „თავის ადგილზე“ დგას, რომ ნოემბრის მოვლენებს არ დაუზარალებია სახელმწიფო ინსტიტუტები, რომ მათ შეძლეს არჩევნების დროს წესრიგის დაცვა და არჩევნების ნორმალურად ჩატარების უზრუნველყოფა. ამ დღემ ნათელი გახადა, თუ რამდენად ასრულებს სახელმწიფო საკუთარ ფუნქციებს.

ეს არჩევნები რომ არ შემდგარიყო და მოსახლეობის 50%-ზე ნაკლებს მიეღო მასში მონაწილეობა, 2 თვეში ისევ დაინიშნებოდა არჩევნები, ანუ სამართლებრივად თითქოს რჩებოდა გამოსავალი, მაგრამ ყოველივე ეს, ამავდროულად, უაღრესად ფეთქებადსაშიშ ვითარებას შექმნიდა: ამომრჩეველთა ნაკლებაქტიურობის ფაქტს აუცილებლად დაიხვევდა ხელზე დღევანდელი პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც აგრესიულ ბოიკოტს ემხრობოდა. „აგრესიული ოპოზიციონერები“ იტყოდნენ, რაკი არჩევნებზე მოსახლეობის 50%-ზე ნაკლები მივიდა, ახალ ხელისუფლებას მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები ენდობა. ახალმა ხელისუფლებამ მეტისმეტი იკისრა, როდესაც ვარდების რევოლუციას გაუძღვა წინ და ხალხის სახელით მოქმედებდა; ამიტომ საჭიროა პოლიტიკურ არენაზე სხვა ძალების გამოჩენაო... ბუნებრივია, ეს იქნებოდა პრორუსული ძალები და მოსალოდნელი იყო, ისინი იგორ გიორგაძის კი არა, სხვა ლიდერის ფლაგმანობით ამოტივტივებულიყვნენ. ეს ყველაფერი არევდა სიტუაციას და ხალხს იმედსაც ჩაუკლავდა... არც კი მინდა იმის წარმოდგენა, რაც შესაძლოა 4 იანვრის არჩევნების ჩაშლას მოჰყოლოდა.

არჩევნების ჩაშლას მსოფლიო საზოგადოება ნაკლებტრაგიკულად შეხედავდა, მაგრამ, ცხადია, საერთაშორისო თანამეგობრობას ეს ფაქტი იმედს გაუცრუებდა ჩვენდამი; რადგან ეს დაადასტურებდა, რომ რევოლუციის ლიდერებს არ აქვთ სერიოზული მხარდაჭერა საქართველოში. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კი მთავარია, ვის უჭერს მხარს ქვეყნის მოსახლეობა. საერთაშორისო სამართალი არ იცნობს „მთავრობის არცნობის“ პრაქტიკას, ანუ ცნობენ დიქტატორულ რეჟიმებსაც კი, რომლებიც აკონტროლებენ ქვეყნის მოსახლეობას... საერთაშორისო თანამეგობრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოვა საქართველოს ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ, თანამშრომლურ ურთიერთობებზე, თუ დაინახავს, რომ მას მოსახლეობის უმეტესობა ემხრობა. რაც 4 იანვარს დაფიქსირდა (მოსახლეობის აქტივობა), ეს ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

**— ბრძანეთ, 4 იანვრის არჩევნები 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებს მაგონებსო. რა უნდა გააკეთოს ახალმა ხელისუფლებამ, რომ გამსახურდიას შეცდომები არ გაიმეოროს, რა უნდა იქცეს მისთვის გაკვეთილად?**

— ხალხმაც და ხელისუფლებამაც უნდა გააზროს, რომ რეალურ ცხოვრებაში სასწაულები არ ხდება. პრეზიდენტი ჯადოქარი არ არის, ვითარება ორ დღეში კარდინალურად შეცვალოს; არც ის პრობლემები მოგვარდება მარტივად, რაც მოსახლეობას აწუხებს. ასეთ სიტუაციაში უმთავრესი პრობლემა არარეალისტური მოლოდინია, რომლის გაცრუებასაც საპირისპირო რეაქცია და განწყობა მოსდევს. ვფიქრობ, მოსახლეობამ უნდა გაიცნობიეროს, რომ 2-3 თვეში ყველაფერი არ გამოსწორდება, მაგრამ უთუოდ უნდა დაინახოს და შეაფასოს დადებითი ტენდენციები. ეს სასიკეთო ცვლილებები ხელისუფლებამ ძალიან მალე უნდა დაგვანახვოს (არ ვგულისხმობ ერთ თვეში ხელფასის გაორმაგებას და ყველა ქუჩის უცებ მოასფალტებას). მთავრობამ პატიოსნად უნდა გვითხრას, რა რესურსი გააჩნია დღეს ქვეყანას და გვაჩვენოს, რომ ამ რესურსის განაწილება სამართლიანად და კანონიერად ხდება. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ: ქვეყანას ბევრი ვალი და მწირი რესურსი აქვს. საწარმოები არ მუშაობს — ეს ყველაფერი ჩვენ უნდა ვიცოდეთ ხელისუფლებისაგან და არ უნდა მოხდეს ისე, როგორც აქამდე იყო — როდესაც ყოველი გაზაფხული იწყებოდა დაპირებით, შუქის პრობლემა აღარ გვექნებაო და ყოველ სექტემბერში გვესმოდა წუწუნი — დაუძლეველი პრობლემები გვაქვსო. უახლოეს 1-2 თვეში ახალმა მთავრობამ და მინისტრებმა უნდა აწონ-დაწონონ ეს საკითხები, გაგვაცნონ რეალური ვითარება და გვითხრან, რის გაკეთებას შეძლებენ.

გამსახურდიას ხელისუფლების უმთავრესი პრობლემა იყო გამოუცდელი კადრები. მაშინ თანამდებობებზე არაკვალიფიციური ხალხი დაინიშნა და არც ხელისუფლებაში მოსულ მთავრობას ჰქონია ქვეყნის მართვის გამოცდილება. დღეს სხვაგვარი ვითარებაა, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ საპარლამენტო მოღვაწეობის და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობის პრაქტიკა. მეორე საკითხი, რისი გათვალისწინებაც ახალ ხელისუფლებას მართებს, არის რუსეთთან ურთიერთობა. ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოწესრიგება აუცილებელია საიმისოდ, რომ ქვეყნის განვითარების პერსპექტივები შეიქმნას.

**— სწორედ საკადრო პოლიტიკის გამო გაისმის უკმაყოფილება ახალი ხელისუფლებისადმი. თუ გამსახურდია პარტიული ნიშნით უშვებდა ხალხს თანამდებობებზე, ახალი მთავრობაც იმავეს აკეთებსო.**

— ჩვენ არ გვჭირდება ისეთი ლიდერი, რომელსაც არ ეყოლება თანამოაზრეთა გუნდი. ის კარგი პრეზიდენტი ვერ იქნება. ასეთი მარტოკაცი იყო შევარდნაძე. გვერდით თანამოაზრეები კი არა, მისი საშუალებით თანამდებობებზე დაწინაურებული ხალხი ედგა...

როდესაც ხელისუფლება იცვლება, ეს, ცხადია, აისახება ცალკეულ პოლიტიკურ თანამდებობებზე ახალი ხალხის მოსვლაშიც. არ უნდა გაგვიკვირდეს და სწორია, როდესაც ახალი პრეზიდენტი მინისტრებად თავის თანაგუნდელებს დანიშნავს, იმიტომ, რომ მინისტრი — პოლიტიკური ფიგურაა, ქვედა რგოლები, სახელმწიფო სამოხელეო აპარატი კი პროფესიული და არა — პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით უნდა შეირჩეს.

**— მიხეილ სააკაშვილი რეალურ და რადიკალურ რეფორმებზე ლაპარაკობს, რამდენად წარმატებული იქნება ძველი რეფორმატორების ახალი რეფორმები?**

— დღეს ვერ დაასახელებთ ვერც ერთ უწყებას, სამინისტროს, დეპარტამენტს, სადაც საქმე აწყობილია და ის თავის ფუნქციას ასრულებს. ყველგან საჭიროა ისეთი ღონისძიების გატარება, რაც ამ უწყებებს ქმედუნარიანს გახდის. დღეს რეფორმები აუცილებელია. 12 წლის მანძილზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს საძირკველში ბევრი საყრდენი რგოლი არასწორად ჩაშენდა. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და დამნაშავეთა ციხეში ჩასმა არ არის მთავარი. თუ ვიღაც ციხეში ჩავსვით და ის სისტემა უცვლელი დავტოვეთ, რომლის წყალობითაც ეს ხალხი ფულს იპარავდა, ნიშნავს, რომ მათ ადგილას მოსულიც მოიპარავს. სტრუქტურული, ინსტიტუციური რეფორმებია საჭირო და საკადრო პოლიტიკა კი ამის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია.

თუ ხელისუფლებამ ცუდი მინისტრის მაგივრად კარგი დანიშნა და მასზე კონტროლის მექანიზმი არ შექმნა, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს რეფორმა წარუმატებელი იქნება.

**— არაერთხელ თქმულა, რომ შევარდნაძე ფინანსურად ძლიერ ოლიგარქიულ კლანებსა და ბიუროკრატიას ეყრდნობოდა. ვის უნდა დაეყრდნოს ახალი პრეზიდენტი, რომ მან ქვეყანაში აღმშენებლობა დაიწყოს და რეფორმების განხორციელება რეალურად შეძლოს?**

— ახალარჩეული პრეზიდენტის მთავარი დასაყრდენი ხალხი იქნება. უმნიშვნელოვანესია, როდესაც პრეზიდენტსა და ხალხს შორის პირდაპირი კონტაქტი მყარდება. ხალხში თავის დროზე შევარდნაძეც გადიოდა ხოლმე, მაგრამ მისი ხალხში გასვლის დროს ვგრძნობდით (ზოგჯერ ვხედავდით) მედიატორს ხალხსა და პრეზიდენტს შორის (გუბერნატორების, გამგებლების, ჩინოსნების, ზოგჯერ ცნობილი კულტურის მოღვაწეების სახით) ანუ ხალხსა და ხელისუფლებას შორის ყოველთვის იდგა ბიუროკრატიული და კულტურული ელიტა, რაც აჩენდა ბარიერს ხალხსა და პრეზიდენტს შორის. პრეზიდენტი ეყრდნობოდა ამ ბიუროკრატიას და ერჩივნა, მათი საშუალებით „ემართა“ ხალხი.

ახალარჩეულ პრეზიდენტსა და ხალხს შორის დღეს ვირტუალური და რეალური შუა ფენა არ ჩანს. ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილისთვის ერთი უბრალო მოქალაქის ნათქვამს ისეთივე ფასი ექნება, როგორიც მის მიერ დანიშნული გუბერნატორისას. ამით ხალხი ხელისუფლებაზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს შეიძენს...

დღეს ბევრი პროფესიონალი დაუსაქმებელია, იმიტომ, რომ ეს ხალხი თავისი აქტივობის ასპარეზს ვერ ხედავდა ძველ პოლიტიკურ რეალობაში, სადაც მლიქვნელობა და, გარკვეულ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე თამაში იყო აუცილებელი. ეს სიტუაცია ალბათ შეიცვლება.

12 წელია, ახალი წლის დადგომისას ვოცნებობდი, ნეტავ ეს იყოს ქვეყნის ვარდნისა და უკუსვლის უკანასკნელი წელი-მეთქი. დღეს იმედიანად ვარ და ვფიქრობ, როდესაც 2005 წლის მოსვლას ვიზეიმებთ, შემეძლება თქმა, ქვეყანა წინ წავიდა და შენება დაიწყო-მეთქი...

***იზო რიკაძე***

# ვარდების რევოლუციას პლუს ჭადრების რევოლუცია

## „თბილისელები სასიამოვნოდ გაოცდებიან“



ჩვენამდე ისეთი თბილისი არ მოსულა, როგორსაც უმღეროდნენ და ლექსად ასხამდნენ ხოტბას. ბევრმა რამემ იცვალა სახე, ძველი ახლით შეიცვალა, ყოვლად უპატიებლადაც დამახინჯდა ძველი თბილისის უბნები, როცა ფეშენებელური სახლებით დაიფარა მშვენიერი ხედები... ამას განსაკუთრებით უფროსი თაობის თბილისელები განიცდიან... ბუნებრივიცაა. მათ ხომ ახსოვთ, როგორი იყო თბილისი, თბილისელი ბიჭების, თბილისური ჭადრების ქალაქი... ვისაც არ ახსოვს, გადმოცემით მაინც იცის, რომ რუსთაველზე თითოეულ ჭადარს თავისი პატრონი ბიჭი ჰყავდა... იდგა და დღესაც დგას ლადო ასათიანის, ალექსანდრე საჯაიას, მირზა გელოვანის და ვინ იცის, კიდევ რამდენი — თბილისის მიწის სითბოსა და სიყვარულს ნაზიარები ბიჭის ჭადარი. გამორჩეულ ადგილას კი, ცენტრალური ფოსტის წინ, იდგა ილიას ჭადარი. ამ ჭადრის მოჭრისა და ხელახლა დარგვის ამბავი ყველას კარგად მოგეხსენებათ.

რუსთაველზე გავლა რიტუალივით იყო. საცოლე თუ გყავდა, რუსთაველზე უნდა გაგეტარებინა, ჩხუბი თუ მოგივიდოდა ვინმესთან, რუსთაველზე უნდა შერიგებულიყავი. ვაჟკაცი თუ იყავი და უშიშარი, რუსთაველზე უნდა გევაჟკაცა... ამისი უტყვი მოწმეები ჭადრები იყვნენ... ომში წასვლის წინ კიდევ ერთხელ ჩაისეირნებდნენ ბიჭები თავის ჭადრებთან... ლადო ასათიანმა — მისი მეგობრები ჯარში რომ გაიწვიეს, მათ ჭადრებს შავი არშია შემოავლო... ისინი დაბრუნდნენ, ლადო ველარ დახვდათ ცოცხალი... ლადო ასათიანს თავისი ჭადრის ქვეშ იხსენებდნენ... ჭიქაც კი წაუქცევიათ ხის ძირში. თანდათან გაიკრიფნენ ის ბიჭები რუსთაველის პროსპექტიდან... მათი სახელები უკვე წარსულის კუთვნილებაა.

დრომ მსახვრალი ხელი თბილისელ ჭადრებსაც შეახო. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მათი მოვლა-პატრონობისთვის არავის მოუცლია. ნებაზე მიშვებულმა ხეებმა შენობების ფასადები დაფარეს... ქუჩების ორივე მხარეს ჩარიგებულებმა თითქმის თალი შეჰკრეს და ავტომობილის გამონაბოლქვ აირს ცირკულაციის საშუალება მოუსპეს, ქუჩამდე ვეღარც ლამპიონების შუქი აღწევდა, განსაკუთრებით გულგრილი გახდა ნარგავებისადმი დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც თბილისის გამწვანების ტრესტი გაუქმდა და ეს ვალდებულება რაიონულ სამსახურებს დაეკისრათ.

ცოტა ხნის წინ თბილისის ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამსახურში დედაქალაქის გამწვანების კურატორად ზაურ თაბაგარი დაინიშნა. მან, მცირე სახსრების მიუხედავად, დედაქალაქის ცენტრალური ნაწილის გაზონებსა და ხეივნებს უკვე დაატყო ხელი. ვარდების რევოლუციამდე ორი თვით ადრე თავისუფლების მოედნიდან რუსთაველისა და ჭავჭავაძის პროსპექტებზე გასხვლა დაიწყო. ჭადრებს ერთი ტოტიც კი აღარ დაუტოვეს. ამან ბევრი თბილისელი აღაშფოთა. მართლაც, ჭადრების გასხვლამ თითქოს გააშიშვლა რუსთაველის პროსპექტი და დაზიანებული შენობების ფასადებიც არ გამოიყურება მაინცდამაინც თვალსაამოდ. მეორე მხრივ, გამოჩნდა სივრცე, რომელიც ასე საჭიროა არსებობისათვის. როგორც შევიტყვეთ, ამ რამდენიმე ხნის წინ გამწვანების სპეციალისტებმა გარემოს დაცვის სამინისტროში თბილისის გაზონების აღდგენა-მოვლა-პატრონობაზე იმსჯელეს.

**— მართალია, რომ დედაქალაქი მალე სახეს შეიცვლის?** — ვკითხეთ **ზაურ თაბაგარს**.

— საიდან გაიგეთ? რა ხართ ეს ჟურნალისტები! რამდენიმე კაცმა მართლაც ბევრი რამ დავგეგმეთ, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებს ვუცდით (ეს ინტერვიუ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მომზადდა. — რ.ა.).

**— ზოგი ამბობს, ასე ძირისძირობამდე „გაკრეჭილი“ ჭადარი აღარ იხარებს, გახმება.**

— რას ბრძანებთ, ამის თქმა მხოლოდ ამ საქმის უმეცარს შეუძლია. ნახავთ, გაზაფხულზე რა ლამაზად შეიფოთლებიან ეს ჭადრები. დიდი ხნის მანძილზე გაუსხვლელმა ხეებმა უშნო ვარჯი გაიკეთეს, თანაც ასეთი ჭადრები ყვავილობისას ქალაქს თეთრ ბუსუსებს აფრქვევენ, რაც ალერგიულ და ასთმიან ავადმყოფებს ვნებს. ახლა, 5 წლის განმავლობაში, თბილისელებს ეს აღარ შეაწუხებთ. თუმცა კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის სამინისტროს წინ მდგარ ექვს ჭადარს, რომლებიც ჩვენი საამაყო პოეტების სახელებს ატარებენ, არ შევხებივართ. ვერავინ შეჰკადრა მათ ნაჯახის მოქნევა. ამის გამო თბილისელი ბიჭების თბილისელი ჭადრები ხელუხლებლად დავტოვეთ. სხვათა შორის, ჭადრების ასეთი სახით გასხვლა ევროპის ქვეყნებშიც მიღებულია. შემიძლია გაჩვენოთ ფოტო, ლუქსემბურგში როგორც სხლავენ ჭადრებს. მერწმუნეთ, ჩვენზე უფრო მეტადაც კი. ერთი რამ გადმოვიღეთ მათი გამოცდილებიდან: გასხლულ ჭადრებს შემოვახვიეთ გირლანდები და მთელი წელი ეს ნათურები ღამით დაამშვენებენ თბილისს.

**— როგორც საიდუმლოდ გვითხრეს, კიდევ ერთი კარგი საქმე გქონიათ ჩაფიქრებული...**

— კარგი ინფორმატორი გყოლიათ! კარგი, ბატონო, გაგიმხელთ. დამზადებული მაქვს ასობით კერამიკული ლარნაკი. ზოგი გაზონებში დაიდგმება, ზოგიც ლამპიონებზე ჩამოიკიდება. მათში განსაკუთრებული სილამაზის ყვავილები ჩაირგვება. მხოლოდ ერთი ღამეა საჭირო, დილით კი თბილისელები სასიამოვნოდ გაოცდებიან ასე მორთულ რუსთაველის პროსპექტს რომ დაინახავენ. ასე ნელ-ნელა შევცვლით მთელ თბილისს. რევოლუციას, თუ ფინანსებიც მომაშველეს, თბილისის გამწვანების რევოლუციას მოვაყოლებთ.

P.S. მალე გაზაფხულიც მოვა და ზაურ თაბაგარს ამ ინტერვიუს აუცილებლად გავახსენებთ.

***რატი ახალაძე***

# განტვირთვის დღე გამოხდილი წყლით ან ვაშლის წვენით

## დიეტოლოგის რჩევები

მიუხედავად იმისა, რომ ყველას გვიხარია და ვზეიმობთ ახალი წლის დადგომას, წელიწადის ვერც ერთ დღეს ვერ ვხედავთ ერთბაშად იმდენ ნირწამხდარ და უჟმურსახიან ადამიანს, რამდენსაც პირველი იანვრის დილას. ღამენათევი, ნაქეიფარი, თვალებჩაწითლებული, მოლასლასე კაცების დანახვაზე ღიმილს ვერ ვიკავებ და ეს ღიმილი ხშირად სიცილშიც გადამსვლია, რითიც ქეიფით „გატანჯულთა“ სამართლიანი გულისწყრომაც დამიმსახურებია. არადა რა ვქნა, ეს დალოცვილები „თვითმკურნალობის“ ისეთ ხერხებს მიმართავენ, მათ შეხედვაზე გაგეცინება კი არა,



ხარხარით მოკვდები. ამ ბოლო დროს არაერთხელ მინახავს კაცებზე არანაკლებ ნაბახუსევი და ზედმეტი ჭამით შეწუხებული „მოდიეტე“ ქალბატონებიც. რადგან 7 იანვარი — შობა და ძველით ახალი წელი წინ გვაქვს, გადავწყვიტეთ, თხოვნით მიგვემართა დიეტოლოგისთვის. იქნებ მისი რჩევა დაგვეხმაროს, რომ არც მოლხენაზე ვთქვათ უარი და მეორე დღესაც კარგ განწყობაზე დავრჩეთ.

გთავაზობთ სამთავრობო დაცვის სპეციალური სამსახურის კვების ექიმის **ასმათ ჩაკვეტაძის** რჩევებს, რომელსაც, თურმე, მთელი სამთავრობო დაცვა და ბევრი თანამდებობის პირი ითვალისწინებს.

— საერთოდ, ადამიანის ორგანიზმი ამა თუ იმ პროდუქტის შესათვისებლად გამოიმუშავებს სხვადასხვა ფერმენტს. იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილის ყოველდღიური კვების რაციონი გარკვეულწილად ერთფეროვანია — ნაკლებად მიირთმევენ ხორცსა და თევზს, ორგანიზმში, შესაბამისად, ფერხდება ამ საკვებისთვის აუცილებელი ფერმენტების გამომუშავება. სადღესასწაულო სუფრაზე მრავალფეროვანი საკვების მიღებისას ფერხდება საკვების გადამუშავება, რადგან დაქვეითებულია ზემოთ ნახსენები ფერმენტების გამოყოფა. ამის გამო ორგანიზმში გროვდება სხვადასხვა სახის შხამქიმიკატი, რაც იწვევს მოწამვლის სიმპტომებს.

**— რამდენად აფერხებს ფერმენტების გამოყოფას ერთმანეთთან შეუთავსებელი პროდუქტების ერთბაშად მიღება?**

— ო, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა სახის პროდუქტის ერთბაშად მიღება არ შეიძლება. არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რაც უეჭველად უნდა დავიცვათ. მაგალითად, ხორცთან, თევზთან, კვერცხთან დაუშვებელია საკონდიტრო ნაწარმის, მურაბების მიღება. სამწუხაროდ, ჩვენს სადღესასწაულო სუფრაზე ამას თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას და ერთმანეთში ურევს ყველაფერს. არ შეიძლება, მაგალითად, საცივს მაშინვე მიაყოლო ნამცხვარი ან ტორტი, ან პირიქით. ამ დროს პურიც კი მძიმე ასათვისებელია ორგანიზმისთვის და უმჯობესია მჭადი მივირთვათ.

**— ვინც არ გაფრთხილდა, ექიმის დაუხმარებლად რით შეუძლიათ უშველონ თავს?**

— ძალზე სასარგებლოა ჩაატაროთ განტვირთვის დღე გამოხდილი წყლით ან ვაშლის წვენით. თუ ამას ვერ ახერხებთ, ის მაინც გააკეთეთ, რომ იკვებოთ ძალიან მსუბუქად, მოხარშული ბოსტნეულის სალათებით და არა შემწვარ-მოხრაკული და ცხიმიანი საჭმელებით.

**— ნაბახუსევზე რას ურჩევთ მამაკაცებს?**

— ახალს ვერაფერს ვურჩევ, ყველამ კარგად იცის ამ პრობლემებიდან ინდივიდუალური ხსნის ხერხი. ისე კი, სჯობს, ზომიერი სმა, ნუ აურევთ სხვადასხვა სასმელს. ასევე, გირჩევთ, საკვებსაც ნუ მივარდებით ერთბაშად, შეგიძლიათ ყველაფერი მიირთვათ სადღესასწაულო სუფრაზე, ოღონდ ცოტ-ცოტა და ინტერვალებით.

გარდა ამისა, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება სადღესასწაულო სუფრის სამზადისს, ნუ შეიძენთ გაუფრთხილებლად ყველანაირ კვების პროდუქტს. ძალიან ბევრი საკონდიტრო თუ არასაკონდიტრო ნაწარმი მზადდება საეჭვო პირობებში, რის გამოც იზრდება მოწამვლის ალბათობა. თავი შეიკავეთ მათი ყიდვისგან როგორც გარეთ, ასევე სუპერმარკეტებში.

***ეკატერინე ლიჩელი***




# „მსგავსი რამ არასოდეს გამომიცდია...“

**ნანი ბრეგვაძე:** — ჩემთან ყოველთვის ბევრი სტუმარი იყრიდა თავს. ერთხელ, ჩემს უახლოეს მეგობრებს ველოდი. არ ჩანდნენ. დაღამდა. მაშინ ყოფილ პლეხანოვის პროსპექტზე ვცხოვრობდი, მეორე სართულზე. ღამის 2 საათი იქნებოდა. უცებ ფანჯარაზე კაკუნი გავიგონე. ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი. როცა კაკუნი განმეორდა, გულგახეთქილი მივვარდი ჩემი საძინებლის ფანჯარას და რას ვხედავ: ამწის ბაქანზე დგანან გურამ ასათიანი და გოგი ყუფარაძე. ხელში მიხაკები უჭირავთ. ორი ჩვენი მეგობარი — ნოდარ ცერცვაძე და გოგი ოჩიაური კი ქვემოთ დგანან, თან მღერიან — „ნეტავ რომელ სართულზე ხარ, ნანა“. გადმოვიყვანეთ ფანჯრიდან ასე ორიგინალურად მოსული სტუმრები. ლხინი დილამდე გაგრძელდა.

გათხოვებამდე გრიბოედოვის ქუჩაზე, პაწაწკინტელა ოთახში ვცხოვრობდი. ამ ციცქნა ოთახში 60 კაცი ნამდვილად ეტეოდა. მთელი საქართველოს საუკეთესო საზოგადოება იყრიდა ჩემთან თავს. ერთხელ, ჩემი მეგობარი თამაზ ტოგონიძე — ტოგრიკა მოვიდა დაგვიანებით. სამხედროფორმიანი კაცი შემოჰყვა. ვიფიქრეთ, ტოგრიკას სტუმარიაო, საუკეთესო ადგილას დავსვით, რაც შეგვეძლო პატივი ვეცით. რომ დალია სასმელი, ხმა აიმაღლა სამხედრომ და მითითებებს გვაძლევდა: აბა, შენ იმღერე, შენ — გაჩუმდიო... ყელში ამოგვიგვიდა. ტოგრიკას ჩუმად ჰკითხეს: — ბიჭო, ეს ვინ მოიყვანეო? მე რა ვიცი, რომ შემოვედი, შემომყვა, მეგონა, თქვენ იცნობდითო... აბა, არ იცნობო? არაო. ამისი თქმა იყო და, ხელში აიტაცეს და ისე გასვეს გარეთ დაუპატიჟებელი სტუმარი.

წელს ჩემი მეკვლე თავად ვიყავი. ყველანი შინ იყვნენ, მხოლოდ მე მომიხდა რუსთაველზე, საახალწლო ზეიმზე გასვლა და მერე მეკვლედ დავბრუნდი.

**ვაჟა გიგაშვილი:** — ერთხელ, საახალწლოდ, ყიზლარში წავედით სანადიროდ მე და ჩემი მეგობრები — ბადურ ბალარჯიშვილი და ჯემალ დავლიანიძე. საიგაზე (ველის ანტილოპაზე) ვნადირობდით. ჩავაწყვეთ ნანადირევი და აჩქარებული გამოვეშურეთ საქართველოსკენ, რომ ახალი წლისთვის ჩამოგვესწრო. ჯვრის უღელტეხილზე მანქანა გაგვიფუჭდა. გადმოვედით, ბუქსირით ძლივს ჩამოვედით მცხეთამდე. წინამურში აგარაკი მაქვს. ხელით მივათრიეთ მანქანა ეზომდე. შევედით სახლში, მაგრამ რად გინდა, არც პური გვაქვს, არც ღვინო, არც ტყემალი... სიმწრით მოვაგროვეთ ფიჩხი, დავანთეთ ბუხარი, ავაჭერით საიგას სუკები. ბედად, ლიქიორის ნარჩენი ვიპოვეთ და ასე შევხვდით ახალ წელს...

***ლელა ჯიყაშვილი***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **დაჩი გრძელიშვილი, უჩა გოგბერაშვილი** — „ჩვენ სისხლი გამშრალი გვქონდა და ველარ დავღვრიდით, ამიტომ რევოლუცია გავახავერდ-ვარდ-ყვავილეთ...“ — 69 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „იღბლიანი“ მოწმე...“ — 56
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ექსკლუზიური ინტერვიუ არაბული საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაციების პროფესიონალ კურიერთან“ — 30
4. **იზო რიკაძე** — „ეს შანტაჟი არ არის, საფრთხე მართლაც რეალურია“ — 27

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 297-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# „მკვლელებიც და მოწმეებიც ცოცხლები არიან“

## ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია?!

*ახალი წლის ღამეს ნებისმიერი ადამიანი სურვილების ასრულებას ჩაუთქვამს ხოლმე, მაგრამ 31 დეკემბერს რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილი ათასობით ადამიანი ალბათ იმის ნიშანია, რომ დღეს საქართველოში ერთი საერთო ოცნებაც არსებობს. ეს ნორმალურ ცივილიზებულ ქვეყანაში ცხოვრების სურვილია. არადა, ძნელი წარმოსადგენია, რომ სულ რაღაც 12 წლის წინ იმავე რუსთაველზე სრულიად სხვა „მუსიკა“ — ავტომატების კაკანი გაისმოდა. მაშინ ახალ წელსა და ალბათ საქართველოზეც, არავინ ფიქრობდა. შედეგად, ხელში მწარე რეალობა შეგვრჩა — დანგრეული რუსთაველი, ორ მტრულ ბანაკად გახლეჩილი ქვეყანა, პოლიტპატიმრებით სავსე ციხეები, პირველი პრეზიდენტის მკვლელობა...*

დღეს იმის პრეცედენტიც არსებობს, რომ 12 წლის წინ მიყენებული წყენაც ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ... ამ თემაზე უკვე ლაპარაკობენ. მაინც, რა არის საჭირო ნდობის აღსადგენად, ამ საკითხზე „კვირის პალიტრა“ „ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს, **ვალტერ შურღაიას** ესაუბრა:

— სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ამას აქვს რამდენიმე მიზეზი და ამაზე ვისაუბრებთ. მანამდე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ახლანდელ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში არ ვართ და ამის სურვილი არც გვაქვს. პირიქით, გულწრფელად გვინდა, ამ ხელისუფლებას დავეხმაროთ. სხვა გამოსავალი ამ ქვეყანას არა აქვს. მგონი, საწყენი არავისთვის იქნება თუ ვიტყვით, რომ ახალმა ხელისუფლებამ ჩვენც უნდა მოგვცეს საშუალება, მხარში ამოვუდგეთ.

**— რატომ არის სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკი ნაადრევი?**

— სამართლიანობა აღდგენილი თუნდაც იმიტომ არ არის, რომ ახალი ხელისუფლება პირველ ნაბიჯებს დგამს და არასწორი იქნებოდა მათთვის ყველაფერი ერთბაშად მოგვეთხოვა. დრო სჭირდება ყველაფერს. მაგრამ არა ისე, როგორც შევარდნაძის დროს ლაპარაკობდნენ. პირადად მე, როგორც რიგითი ქართველი და პოლიტბიოგრაფიის მქონე კაცი, ეროვნულ მოძრაობაში ძალზე პრეტენზიული ვარ. თუმცა მაინც თანახმა ვარ, გვერდში ამოვუდგე ყველას, თუკი დრო უსაშველოდ არ გაიწელება.

**— დროის რა მონაკვეთს გულისხმობთ?**

— 100 დღე საკმარისია, რომ მთელი ერისთვის ახალი ხელისუფლების საერთო მიმართულება გამოჩნდეს. მე არ ვგულისხმობ ცხოვრების დონის ამაღლებას. ამის მოლოდინი ამ დროში სისულელე იქნებოდა. მე ვგულისხმობ ტენდენციას, რაც უნდა გამოჩნდეს, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაში. მიუხედავად შეცდომებისა, რომ ვუკვირდები, ვრწმუნდები, რომ ამ ხალხს საქმის გაკეთება უნდა.

**— ხელისუფლების რა შეცდომებს გულისხმობთ?**

— საკადრო შეცდომებს... დღევანდელ საკადრო პოლიტიკას არ ვეთანხმები, მაგრამ დღეს მთავარი ის არის, რომ ქართველ ხალხს გაუჩნდა უნიკალური შანსი — ხელისუფლება და ხალხი ერთიანი იყოს, ამოივსოს ის ღრმა უფსკრული, რომელიც არსებობდა წინა ხელისუფლებასა და ხალხს შორის. იმედია, ყოველივე ეს წარსულს ჩაჰბარდება.

**— თქვენი პარტიის ლიდერები არაერთხელ აცხადებდნენ, რომ სამართლიანობის აღდგენისათვის საჭიროა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება და მკვლელების სამაგალითოდ დასჯა.**

— დიახ, ეს უმთავრესი საკითხია. ამ საქმის გამოძიება თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდეს. ამ საქმის გამოძიებით აღდგება კანონიერება და სამართლიანობა, რომლის გარეშე ვერც ერთი სახელმწიფო ვერ აშენდება.

**— თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ იცით მკვლელის ვინაობა.**

— ვინმე ალბათ იტყვის, უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევსო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს შევარდნაძის დაკვეთით მოხდა. მეტსაც გეტყვით, ბოლო შეხვედრისას ზუგდიდში ზვიადმა მითხრა, საქმისთვის აჯობებს, თუ მათ ცოცხალი ჩავბარდებიო. ფიქრობდა, რომ ციხიდან მის ბრძოლას გაცილებით დიდი ეფექტი ექნებოდა, მაგრამ ისიც თქვა, რომ პატიმრობისას მის ღირსებას არ დაიცავდნენ. ამიტომ აღარ გადადგა ეს ნაბიჯი.

**— პატიმრის ღირსების შელახვაში რას გულისხმობდა?**

— ციხეში ზვიადს ვერ მოკლავდნენ, მაგრამ წამებისა და შეურაცხყოფისაგან თავს არ შეიკავებდნენ. ეს იქნებოდა ღირსების შელახვა. თუმცა, მე დანამდვილებით ვიცი, რომ ზვიადის დაპატიმრება არ უნდოდათ. ცოცხალი არავის სჭირდებოდა. გამსახურდია, როგორც ლიდერი, უნდა მოეკლათ. სანამ ზვიადი ცოცხალი იქნებოდა, არავინ დაიჩოქებდა შევარდნაძის წინაშე. საბედნიეროდ, როგორც უახლოესმა მოვლენებმა ცხადყო, ეს მაინც ვერ მოახერხეს.

**— მკვლელობის უშუალოდ შემსრულებლები ვინ არიან?**

— ზვიადი შევარდნაძის დაკვეთით არის მოკლული, რაც შეეხება შემსრულებლებს, მათი გამოვლენა დღეს ადვილია. პროფესიულ გამომძიებელთა ჯგუფი ამ საქმეს ერთ კვირაში გააკეთებს. მით უმეტეს, რომ მკვლელებიც და მოწმეებიც ცოცხლები არიან. მე არ შემიძლია ამ საქმეზე ლაპარაკი ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, მე ოფიციალურ სტრუქტურას არ წარმოვადგენ. ეს საქმე სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. მეორე მიზეზი ის არის, რომ მე ვერაფერს დავამტკიცებ და ჰაერზე ლაპარაკი არ შეიძლება.

**— რომელმა სტრუქტურებმა მიიღეს მონაწილეობა მკვლელობაში?**

— რა სტრუქტურა უნდა დაარქვა ამას. შევარდნაძე მოვიდა, როგორც სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელი და „ოთხეულის“ წევრი. შევარდნაძეს, იოსელიანს, სიგუას და კიტოვანს იურიდიული საფუძველი არ ჰქონდათ სახელმწიფოს სათავეში დგომისა. ეს იყო კლასიკური ხუნტა. არც უშიშროების სამსახურები იყო მაშინ. არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ თავის ხროვას მოაკვლევინა.

**— და მაინც, ამბობენ, რომ ცნობილია მკვლელთა ვინაობა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, გვარებს არავინ ასახელებს.**

— მკვლელობის რამდენიმე მონაწილე შევარდნაძემ მოაკვლევინა მოგვიანებით. მე ვგულისხმობ აქტიურ ორგანიზატორებს, მაგრამ მსროლელი ცოცხალია. გვარების დასახელებას არ ვაპირებ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ის ხალხი, ვინც ბოლომდე იყო ზვიადის გვერდით, აბსოლუტურად სუფთაა.

**— ესე იგი, მკვლელი გარედან შესული კაცი იყო?**

— დიახ, მაგრამ მე არ ვარ გამომძიებელი, ამიტომ არც რაიმეს მტკიცება შემიძლია.

**— პროკურორმა რომ გამოძიებაში დახმარება გთხოვოთ, რით დაეხმარებით?**

— პირველი, რასაც გავაკეთებ, ის არის, რომ ჩემს მოსაზრებებს პროკურორს თავს არ მოვახვევ. მე უბრალოდ მივცემ მიმართულებას და ვაჩვენებ მოწმეებს, რომელთაც შეუძლიათ პასუხი გასცენ და დაეხმარონ ძიებას. ვიმეორებ, ვერ დავასახელებ გვარებს, რომ დავასახელო, მაშინ უნდა დავამტკიცო კიდეც. ამის შესაძლებლობა კი არ მაქვს...

P.S. როგორც ვნახეთ, გამსახურდიას ხელისუფლებაში მყოფი პირები სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთ მთავარ პირობად ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებას მიიჩნევენ. იმედია, პროკურატურის მუშაობაზე ველარავინ მოახდენს ზეწოლას და ფარდა აეხდება ბოლო წლების ყველაზე სამარცხვინო მკვლელობის დეტალებს. ეს თუნდაც იმიტომ არის საჭირო, რომ როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს.

***მოამზადა დავით დევიძემ***

# „გვარები რომ დავასახელოთ, აორთქლდებიან“



*დავით მირცხულავა კიდევ ერთი მაღალჩინოსანია, რომელზეც გენპროკურატურამ სამართლებრივი დევნა გამოაცხადა. სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს მილიონების გაფლანგვას ედავებიან. როგორც ჩანს, ერთ-ერთ ყველაზე კორუფციულ სფეროს, ენერგეტიკას განკითხვის ჟამი უდგება.*

1992-2001 წლებში ქართულმა ენერგეტიკამ სულ 254,8 მილიონი დოლარის კრედიტი და 18,9 მილიონი დოლარის გრანტი მიიღო. ამ თანხას ისეთი პატარა ქვეყნის ენერგეტიკა, როგორიც საქართველოა, წელში უნდა გაემართა, მაგრამ... ჩაბნელებული ქალაქები და შუქის მომლოდინე ხალხი დღემდე ქართული სახელმწიფოს სახედ ითვლება.

გენპროკურატურაში, გამომძიებლის კაბინეტში, სხვადასხვა დოკუმენტით სავსე 13 ცელოფანის ტომარა დამხვდა. გამომძიებელ პაატა ჯაველიძის ინფორმაციით, მათში დავით მირცხულავას საქმეები აწყვია. საბოლოოდ, რამდენ ტომს დაიტევს მირცხულავას საქმე, უცნობია. ჯაველიძის განცხადებით, ტომრების რაოდენობა გაიზრდება.

რას ედავებიან დავით მირცხულავას?

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე **პაატა ჯაველიძე**:

## „ქართულმა მხარემ საკუთარი თავი თვითონ დაიჯარიმა“(?!)

— 1998-99 წლებში სომხეთმა საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე მიაწოდა ელექტროენერგია, რომლის ღირებულება საქართველომ ვერ გადაიხადა. მოწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობაზე სხვადასხვა მონაცემი არსებობს. ასახელებენ სომხეთიდან თითქოს მოწოდებულ 243 და 171 მილიონ კილოვატსაათს. სომხეთში დავკითხეთ კონკრეტული პირები. იცით, რა გაირკვა? სომხური მხარე კატეგორიულად აცხადებს, რომ ვინაიდან 1999 წელს „აიი-ესი“ შევიდა, საქართველოსთვის ელექტროენერგია აღარ მიგვიწოდებიაო. „არმენენერგოდან“ ამოღებულია შესაბამისი ცნობებიც.

**— გამოდის, ქართულ მხარეს ფული მოუწოდებელ ელექტროენერგიაში უნდა გადაეხადა?**

— აქაური საბუთებით დაფიქსირებულია, რომ საქართველოს მხარეს ჰქონდა 4 მილიონი დოლარის დავალიანება, რასაც ვერ იხდიდა. გამონახეს შუამავალი ორგანიზაცია — „ენერგო მაშ-კორპორაცია“, რომლის წარმომადგენელი საქართველოში არის მიშა იმედაშვილი. გააფორმეს ასეთი ხელშეკრულება: საქართველო „ენერგო მაშ-კორპორაციას“ გადაუხდიდა ელექტროენერგიის საფასურს. „ენერგო მაშ-კორპორაცია“ კი საქმეში ჩართავდა საქართველოს რკინიგზას და სარკინიგზო გადაზიდვებით გაიქვითებოდა სომხეთთან დავალიანება.

საბოლოოდ მოხდა ისე, რომ „ენერგო მაშ-კორპორაციას“ გადაერიცხა 6 მილიონ 700 ათასი დოლარი, მაგრამ სომხეთისათვის არავითარი ტვირთი არ გადაუზიდავთ.

მირცხულავას არ ევალებოდა, მაგრამ საჯარიმო სანქციებზე დაუფიქრებლად მოაწერა ხელი. არ ევალებოდა იმიტომ, რომ ეს „საქენერგოსა“ და „არმენენერგოს“ საქმე იყო, თანაც ამ სუბიექტებს შორის ხელშეკრულება ჯარიმას არ ითვალისწინებდა. ახლა კი გამოვიდა, რომ ქართულმა მხარემ თვითონ დაიჯარიმა საკუთარი თავი, რაც საბოლოოდ ამ თანხაში გამოიხატა.

**— თუ ეს ფული მაინც გადაირიცხა, რაღა საჭირო იყო საშუამავლო ორგანიზაცია. პირდაპირ გადაერიცხათ „არმენენერგოსთვის“?**

— სომხეთმა მოგვაწოდა ოფიციალური ცნობა, რომ მიღებული აქვთ 435 ათასი დოლარი, მაგრამ არა — 6 მილიონ 700 ათასი. ყველაზე მთავარი ის არის, რომ სომხური მხარის თქმით, როცა მირცხულავამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და საჯარიმო სანქციები გააფორმა, იქ ერთი პირობა იყო ჩადებული: თუ შუამავალი ორგანიზაცია, ანუ „ენერგო მაშ-კორპორაცია“ არ გადაიხდიდა ფულს, მაშინ საქართველოს მხარეს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა. „ენერგო მაშ-კორპორაცია“ აღარსად ჩანს — ფული აიღო და გაქრა. გამოდის, ქართულმა მხარემ ხელახლა უნდა გადაიხადოს 6 მილიონ 700 ათასი. აი, ამაზე აქვს მირცხულავას ხელი მოწერილი.

**— ამბობენ, რომ მირცხულავას საქმეში სხვა უკანონო ოპერაციებიც ფიგურირებს.**

— დიახ, სხვა საქმეებზეც არის რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღძრული. ამჯერად ყველას ვერ დაგისახელებთ. საქმეში ჩართულია ძალზე დიდი პირთა წრე. ლაპარაკია თანამდებობის პირებზე, გვარები რომ დავასახელოთ, აორთქლდებიან.

**— მირცხულავა დასახელდა, მაგრამ არსად გაქცეულა.**

— მირცხულავას საქმე 5 დეკემბერს აღიძრა. აქ იმდენ სქემასა და უკანონო ოპერაციაზეა საუბარი, რომ მირცხულავას პრიზმაში გატარება მოუწევს.

ვინაიდან საავადმყოფოში იმყოფება, გამოჯანმრთელებისთანავე წარედგინება ბრალი... დავით მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს. როგორ წარიმართება მოვლენები, ეს მირცხულავას გამოჯანმრთელების შემდეგ გახდება ცნობილი.

# თბილისი — „საცობიანი ქუჩების ქალაქი“

## „ერთ ადგილას, ერთ საათში, სამი ათასი სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს“ (?!)



ამ ცოტა ხნის წინ ერთ ჩემს ახლობელს პარიზში მცხოვრებმა აფრიკელმა სტუმარმა ჰკითხა: კარგი ხალხი ხართ ეს ქართველები, ტრადიციებს მისდევთ, საკუთარ ოჯახებზე ზრუნავთ, ბევრი სხვა კარგი თვისებაც გაქვთ, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, შუქნიშანზე როცა წითელი ანთია, რატომ არ აჩერებთო(?!). რა უნდა მეპასუხა, — ამბობდა ჩემი ახლობელი, — ამ კითხვაზე პასუხი ნამდვილად არ მქონდაო.

ერთი სიტყვით, „წითელზე“ გავლა ქართველი მძღოლების სენია. ისე, ეს არ არის ის, ერთადერთ, რაც თბილისის ქუჩებს სხვა ქალაქების ქუჩებისგან გამოარჩევს. ბოლო დროს თბილისი საცობებიანი ქუჩების ქალაქად იქცა. განსაკუთრებით პიკის საათებში თბილისის ქუჩებში გადაადგილება მძღოლებისთვის ნამდვილი წამებაა. ხშირად რამდენიმე ასეული მეტრის გასავლელად საათებია საჭირო. ნერვების გარდა, მძღოლებს საცობებში მოხვედრა საწვავის ზედმეტ ხარჯვადაც უჯდებათ — საცობებში მოხვედრილი, მანქანას ვერ გამორთავ. უკანასკნელი თეთრებით ნაყიდი 2-3 ლიტრი ბენზინი შეიძლება საცობში გაგითავდეს. იძულებული ხდები, უკნიდან მომდგარი მანქანების სიგნალისა და მძღოლების გინების თანხლებით ხელით აგორო საკუთარი მანქანა. ამით მოძრაობა კიდევ უფრო ფერხდება. თუმცა, ნერვების აშლა და ბენზინის დანაკარგი არ არის მთავარი თავსატეხი, რასაც საცობში მოხვედრა იწვევს. ხშირად, საცობები სასწრაფო დახმარებისა თუ სახანძრო მანქანების გადაადგილებასაც აფერხებს, რაც შეიძლება ფატალურად დამთავრდეს.

როგორც ირკვევა, მსგავს მდგომარეობას არაერთი მიზეზი აქვს. საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, აქ ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს: ქუჩების სივიწროვე, შუქნიშნების გამორთვა (უდენობის გამო), საგზაო მოძრაობის წესების არად ჩამგდები მძღოლები და „მარშრუტკების“ მძღოლების თავგასულობა.

„ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ბეწვზე გადავრჩი, — გვითხრა ერთ-ერთი კერძო ავტომობილის მძღოლმა, — კოსტავას ქუჩაზე მივდიოდი. წინ „მარშრუტკა“ მიდიოდა. ქუჩა ძალიან გადატვირთული არ იყო და სწრაფად მოძრავ „მარშრუტკას“ მეც სწრაფად მივყვებოდი. უცებ „მარშრუტკას“ ხელი დაუქნიეს. გვერდზე არ გადასულა, პირდაპირ ღერძულა ხაზთან „დაატორმუზა“, ძლივს მოვასწარი გვერდის აქცევა. კიდევ კარგი, „ვსტრეჩნი“ არ მოდიოდა და ადვილად გავძვერი. მერე რუსთაველის ძეგლთან მივაყენე მანქანა და კარგა ხანს ვკანკალებდი...“

საცობების წარმოქმნის კიდევ ერთ მიზეზად ავტოინსპექტორთა არაპროფესიონალიზმსაც ასახელებენ. საინტერესოა, მაგრამ ჩვენთან საუბრისას ამას ავტოინსპექტორებიც ადასტურებენ. „შუქნიშნები ხშირად ამერიკის ქალაქებშიც კი ითიშება, მაგრამ ინსპექტორები ისე არეგულირებენ მოძრაობას, რომ პრობლემა არ იქმნება, — ამბობს ავტოინსპექტორი მურად ღლურჯიძე, — ჩვენთან კი ალბათ ათიდან ხუთმა ინსპექტორმა არ იცის, ხელებით როგორ უნდა დაარეგულიროს გზაჯვარედინზე მოძრაობა. არც ბოლო თაობის მძღოლთა უმრავლესობამ იცის, თუ რას ნიშნავს ინსპექტორის მაღლა აშვერილი ან განზე გაწეული ხელი. თუმცა, საცობების წარმოქმნის მთავარი მიზეზი ეს მაინც არ არის...“

„მთავარი მიზეზის“ გასარკვევად „კვირის პალიტრა“ ქალაქის №1-ელ ავტოინსპექტორს, თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსს, **გია ბერაძეს** ესტუმრა.

— მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქალაქის ქუჩები გაუმტარი გახდა. ყველამ ვიცით, როდის გაკეთდა ეს გზები. იმის მერე ცენტრალურ რაიონებს ქუჩები არ შემატებია. პირიქით, რაც იყო, ისიც შემცირდა და შევიწროვდა.

სამაგიეროდ, სახეზეა ავტომობილების მატება. 80-იან წლებში ქალაქში 32 ათასი ავტომანქანა იყო. დღეს 140 ათასი მანქანა არის რეგისტრირებული. ამას ემატება ყოველდღიურად შემომავალი და გამავალი 50 ათასი ავტომანქანა. ცხადია, ასეთ პირობებში საცობების წარმოქმნის თავიდან აცილება შეუძლებელია.

***(გაგრძელება იხ. გვ 13)***

# თურქეთიდან გამოქცეულ ქართველ გოგოს კილერი გამოჰყვა...

## „პროფესია“, რომელიც ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელია...



ლამაზმა, ტანწერწეტა ქალიშვილმა თითქმის სირბილით გადაკვეთა ქუჩა და თბილისის ერთ-ერთი რაიონის უშიშროების განყოფილებაში შეიჭრა. მან მორიგეს დაჟინებით სთხოვა ხელმძღვანელობასთან შეხვედრა. მორიგე ტელეფონის ყურმილს დასწვდა. დანარჩენს თვითონ უშიშროების განყოფილების უფროსი გვიამბობს: „თურქეთიდან გამოქცეულ ნათია ბ-ს კვალს სუტენიორმა მიაგნო. ქალს თურქეთიდან კილერთან ერთად გამოჰყვა და მის გასაღებას აპირებდა, რათა დანარჩენებს, თურქეთში მოტყუებით წაყვანილ ქართველ გოგონებს და შემდეგ საროსკიპოებში მოხვედრილებს, ჭკუა ესწავლათ და ნათიასავით გაქცევა აღარ ეცადათ. როგორც ნათია ამბობს, იგი რამდენიმე თვის წინ მიუყვანიათ თურქეთის ერთ-ერთ საროსკიპოში. ყველა დოკუმენტი და ტანსაცმელი წაურთმევიათ და ოთახში ჩაუკეტავთ. რამდენიმე დღის შემდეგ ქართველმა სუტენიორმა მას ულტიმატუმი წაუყენა — ან მეძავობა უნდა დაეწყო, ან სიკვდილი აერჩია. თუ შენი ნებით არ დათანხმდები, წამალს გაგიკეთებ, ნარკოტიკების მონად გაგქცევ და ჩემსას მაინც გავიტანო, დაემუქრა გოგოს. ნათია დიდხანს ეწინააღმდეგებოდა მოძალადეებს, მაგრამ რას იზამდა სტამბოლში უპატრონოდ დარჩენილი გოგო, რომლის ბედი მისდა უკითხავად უსინდისო ადამიანებმა გადაწყვიტეს. ნარკოტიკი ძალად გაუკეთეს და ასეთ მდგომარეობაში მიუგდეს ბორდელის კლიენტებს. რამდენიმე თვე იტანჯებოდა ნათია. ბოლოს თავი ისე მოაჩვენა „სახლის“ მეპატრონეს, რომ ბედს შეურიგდა და კლიენტებს ღიმილით ხვდებოდა. უკვე აღარ იყო საჭირო ნარკოტიკების გაკეთება. რადგან ნარკოტიკებს თავი დააღწია, გოგონამ საღი აზროვნების უნარი დაიბრუნა, ბორდელიდან გაქცევის გეგმა შეიმუშავა და რამდენიმე დღეში განახორციელა კიდეც. როდესაც მასთან მორიგი კლიენტი განმარტოვდა, ნათიამ იგი საძილე აბგარეული შარბათით ისე გამოათრო, რომ გონება დააკარგვინა და ჯიბიდან დოლარებით სავსე საფულეც ამოაცალა. მერე საწოლქვეშ გადამალული ბენზინით გავსებული ბოთლი გამოაძვრინა და იქაურობას ცეცხლი წაუკიდა. თვითონ კი სხვა ოთახში დაიმალა. ხანძარი მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როდესაც ცეცხლი მეორე სართულს მოედო. სახანძრო რაზმი რომ გამოიძახეს და ალიაქოთი ატყდა, ნათიამ ცეცხლწაკიდებული შენობიდან გამოსვლა მოახერხა. სანამ მის გაპარვას შეიტყობდნენ, გოგომ მესაზღვრეებიც მოისყიდა და საქართველოში გადმოვიდა. ახლა კი მას მოსაკლავად დასდევენ, რადგან იქ დამწვარ ადამიანებში მისი კვალი ვერ აღმოაჩინეს და მიხვდნენ, ვისი ნახელავიც იყო ხანძარი. ნათია პოლიციელებს არ ენდობა, ამიტომაც არჩია ჩვენთან, უშიშროებაში მოსვლა“.

ეს ამბავი საიდუმლოდ გაგვიმხილა უშიშროების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მაგრამ გვთხოვა, ეს ინფორმაცია და მისი ვინაობა არ გაგვემჟღავნებინა, რადგან სუტენიორისა და კილერის დაკავებას აპირებდნენ. მას შემდეგ ორი თვე გავიდა და ეს ისტორიაც ამიტომ გავამხილეთ, მით უმეტეს, რომ ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე, შიდა ქართლის ახალმა გუბერნატორმა ირაკლი ოქრუაშვილმა უშიშროების სპეცრაზმის მონაწილეობით გორისა და ხაშურის რაიონებში გამავალი მთავარი ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული რამდენიმე იატაკქვეშა ბორდელის (რომლებიც რესტორან-სასტუმროების სახით ინიღბებიან და სინამდვილეში თურქეთიდან მომავალი ტრაილერების მძღოლებს ემსახურებიან) არსებობას წერტილი დაუსვეს. სწორედ ამან განაპირობა ახალი წლის შემდეგ მკითხველისთვის ამ თემის შეთავაზება. მკითხველს წინასწარ ბოდიშს ვუხდი, შეიძლება საახალწლო განწყობა გაგიფუჭოთ, მაგრამ თემა მეტად აქტუალური და შემზარავია და წაყრუება არ ეგების.

ხაშურის რაიონის სოფელ გომიდან რედაქციაში რამდენიმე ხნის წინ წერილი მოვიდა. გთავაზობთ მას მცირეოდენი შემოკლებით (სტილი დაცულია): „სოფელ გომის მოსახლეობა მოგმართავთ თხოვნით იმ ამაზრზენი, ამორალური სიტუაციის გამო, რაც ჩვენს სოფელში ხდება. თითქმის ყოველ 50 მეტრში ვაიქართველებს სპეციალურად თურქი მამაკაცი მძღოლებისათვის გახსნილი აქვთ ე. წ. ლოკანტები („ლოკანტა“ — თურქული სიტყვაა, ქართულად „სასაუზმეს“ ნიშნავს. — ზ. ჩ.), რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი ბორდელი. აქ მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან მოტყუებით და ზოგჯერ თავისი ნებით ჩამოყვანილი ქალები. ლოკანტების მეპატრონეები აშანტაჟებენ ქალებს, შემოსავლის დიდ ნაწილს თვითონ იდებენ ჯიბეში, მათ კი კაპიკებს უხდიან. ქალებს სასაუზმე-სასტუმროს შენობიდან გარეთ, ქუჩაში გამოსვლის უფლებაც არ ჰქონდათ, მაგრამ ახლა ისე გათამამდნენ ბორდელების მეპატრონეები და მათი პერსონალი, რომ არაფრის არ ეშინიათ და ეს უზნეო ქალები მთელ სოფელს მოედვნენ. ახლა უკვე სოფელზე გამავალ საავტომობილო მაგისტრალზეც დგებიან მეძავები და საზღვარგარეთიდან მომავალ ტრაილერების მძღოლებს მომსახურებას სთავაზობენ. მათ პოლიციელებთანაც გამონახეს საერთო ენა და ყველას თავისი კლიენტი ჰყავს. დაახლოებით ორი წლის წინ კლიენტის გამო მეძავებს შორის ამტყდარ ჩხუბს 15 წლის მეძავი გოგონა შეეწირა. განმკითხავი არავინაა. არც პოლიცია და არც ადგილობრივი ხელისუფლება თავს არ იწუხებს. ჩვენ შვილები გვეზრდება, ოჯახები გვყავს და ისინი ყოველივე ამ სიბინძურეს უყურებენ. იქნებ თქვენ მაინც დაგვეხმაროთ და გააშუქოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე შექმნილი მდგომარეობა. სოფელ გომის მაცხოვრებელთა სახელით ა. გელაშვილი“.

ეს წერილი ორი თვე იდო ჩემს უჯრაში. ამას წინათ მივლინებით ფოთში ვიყავი და როდესაც უკან ვბრუნდებოდი, სოფელ თეკლათთან, იქ, სადაც ზუგდიდისა და ფოთის გზები იყრება, ეს წერილი გამახსენდა. მიკროავტობუსის მძღოლს მანქანა გზასაყართან მდებარე საგზაო პოლიციის ავტოსაგუშაგოსთან გავაჩერებინე. საგზაო საგუშაგოზე ჩემი ერთი ნაცნობი მუშაობს. იგი პოსტზე არ დამხვდა, მაგრამ მასთან ნაცნობობით ვისარგებლე და მორიგე საგზაო პოლიციელს დახმარება ვთხოვე — როგორმე თბილისისკენ მიმავალი თურქული ტრაილერი გაეჩერებინა და მე გავეყოლებინე. ინსპექტორმა მითხრა: „საზღვარგარეთიდან შემოსული ტრაილერების გაჩერება აკრძალული გვაქვს, თუმცა აგერ, სწორედ თურქეთიდან წამოსული ტრაილერი დგას. საბურავი დაეშვა და უცვლიან. თანაც მძღოლი წარმოშობით ქართველია. ქართულადაც ლაპარაკობს. ამ გზაზე შვიდი წელია, დადის და მგონი უარს არ გეტყვის“. მართლაც, ტრაილერის მძღოლს, მირზა ბეილი-ოღლუს უარი არ უთქვამს. პირიქით, ესიამოვნა კიდეც, რომ ვინმე დაემგზავრებოდა.

საბურავი მალე გამოცვალა მირზა ეფენდიმ და გზას გავუდექით. ქუთაისამდე უკვე კარგი ნაცნობები გავხდით მე და ჩემი მძღოლი. ისიც გავიგე, რომ პაპის პაპა ბლიაძე ჰყოლია. ისე გულწრფელად მელაპარაკებოდა მირზა, რომ მეც აღარ დამიმალავს ჩემი ჟურნალისტობა და ისიც გავუმხილე, თუ რატომ ვარჩიე შედარებით კომფორტულ მიკროავტობუსს მისი ვეებერთელა ტრაილერი.

**მირზა ბლიაძე:** — მე ქართველი ვარ, ცოლადაც თურქეთში გაზრდილი ქართველი ქალი მოვიყვანე. ქართული ენა, მამამ რომ მასწავლა, ნელ-ნელა მავიწყდებოდა, მაგრამ ეს შვიდი წელიწადია, თურქეთიდან საქართველოში ტვირთების ჩამოტანა დავიწყე და ქართულიც გავიხსენე. გული მტკივა, ქართველ ქალებს რომ ვუყურებ თურქეთში. სტამბოლში, „რუსბაზრის“ მისადგომებთან დგანან. რუსებიც ბლომად არიან, მაგრამ რუსებს რას დავეძებ, მე ქართველების სიგლახე მწყინს. ქალები სუტენიორებს ჩამოჰყავთ და ბორდელის ეფენდიზე ყიდიან. თუ ახალგაზრდა და ლამაზი ქალია, 1.500 დოლარი ღირს, თუ საშუალოა — 500. ბორდელში ორი-სამ წელს ამუშავებენ და მერე აგდებენ. მე არ მჯეროდა, რომ ქართველი ქალი ამ

რადგან ნარკოტიკებს თავი დააღწია, გოგონამ საღი აზროვნების უნარი დაიბრუნა, გაქცევის გეგმა შეიმუშავა და რამდენიმე დღეში განახორციელა კიდეც. როდესაც მასთან მორიგი კლიენტი განმარტოვდა, ნათიამ იგი საძილე აბგარეული შარბათით ისე გამოათრო, რომ გონება დააკარგვინა და ჯიბიდან დოლარებით სავსე საფულეც ამოაცალა.

გლახა საქმეს იკისრებდა, ან ქართველი კაცი ფულისთვის სუტენიორობას დაიწყებდა. ამას ვუმტკიცებდი ადრე ჩემს თურქ მეგობრებს, ვეუბნებოდი, ეგენი ქართველები არ არიან-მეთქი, მაგრამ როცა ბათუმიდან თბილისამდე მიმავალი გზის ორივე მხარეს ბორდელები გაიხსნა, თურქებმა სასაცილოდ ამიგდეს — გურჯო, რატომ გვატყუებდიო.

— **მართლა არსებობს ე. წ. ლოკანტები საქართველოში, სადაც თქვენს კოლეგებს „ემსახურებიან“?**

— ბათუმიდან რომ დავითვალოთ, ასი ბორდელი მაინც იქნება თბილისამდე. მარტო რიკოთის მთიდან, აი, გვირაბს რომ გამოსცდები, გორამდე ტრასის ორივე მხარეს ოცამდე ბორდელია. მძღოლები გზად ლოკანტებში შედიან. თუ იქაური ოფიციანტები მოეწონათ, ერთი საათით ყიდულობენ.

— **მაინცდამაინც ოფიციანტები რატომ, როგორც ვიცი, იქ ამ საქმისთვის სხვებიც ჰყავთ.**

— სწორედ ეგენი არიან მეძავები. ოფიციანტის მოვალეობასაც ასრულებენ და თან გამომწვევი სიარულით, მიხრა-მოხრით ცდილობენ თავი მოაწონონ სტუმრებს. მათი მომსახურებით მხოლოდ თურქი მძღოლები კი არა, თითქმის ყველა ის მძღოლი სარგებლობს, ვისაც საქართველოს გზებზე ტვირთი დააქვს. მით უმეტეს, რომ აქ ქალები უფრო იაფი ღირს, ვიდრე თურქეთში. რაც უნდა ლამაზი გოგო იყოს, ერთ საათში 50 დოლარზე მეტს არ უხდიან, თურქეთში კი იგივე ამბავი 100 დოლარზე ნაკლებად არ მოდის. მეც ვიცნობ ერთ ახალგაზრდა ქართველ ქალს, რამდენიმე წელი სტამბოლში თავისი ნებით მუშაობდა. ფული მოაგროვა და ახლა ზესტაფონში ცხოვრობს. თუ გინდა, გაგაცნობ და თავის თავგადასავალს მოგიყვება.

ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი. მალე ზესტაფონსაც მივუახლოვდით. მირზამ გამაფრთხილა, დიდხანს არ ელაპარაკო. მეოთხე ჭიქა ჩაის სმას რომ მოვრჩები, უნდა წავიდეთო. მირზამ ტრაილერი ოთხსართულიანი კორპუსის წინ დაამუხრუჭა და სამი მოკლე სიგნალი მისცა. მესამე სართულის ერთ-ერთი ბინიდან ახალგაზრდა ქალმა გადმოყო თავი და მიგვიპატიჟა. მირზა საკმაოდ მოხერხებული კაცი აღმოჩნდა, ჩემი თავი ზესტაფონელ „ლამაზმანს“ მეგობარ მწერლად გააცნო, მერე რამდენიმე წინადადება თურქულად უთხრა. ნელი, ასე გაგვეცნო ჩვენი მასპინძელი, თავიდან თურქულადვე გაწიწმატებით შეეპასუხა, მაგრამ მირზამ მისი დაყოლიება მაინც მოახერხა და როდესაც ნელიმ ჩაი მოგვართვა, ჩვენი სახელდახელო ინტერვიუც დაიწყო:

— 1995 წელს მე და ჩემს ქმარს დიდი ვალი დაგვედო. მევალეები ყოველდღე გვაკითხავდნენ, ბოლოს საქმეში „შავებიც“ ჩაერივნენ. გვემუქრებოდნენ, თუ ვალს არ გავისტუმრებდით, ჩვენი 12 წლის გოგონას გაიტაცებდნენ. ყველაფერი გავყიდეთ, რაც კი გვებადა, მაგრამ გასასტუმრებელი კიდევ 5 ათასი დოლარი დაგვრჩა. ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ ქმარი უგზო-უკვლოდ გადაიკარგა სახლიდან. მერე გავიგე, თბილისში ვიღაც ქალს შეკედლებია. რა უნდა მექნა? მეზობლების რჩევით თურქეთში წავედი ჩემს პატარა გოგონასთან ერთად. ცარიელ-ტარიელი მივადექი სტამბოლს და ერთ იაფფასიან სასტუმროში დავბინავდით. სასტუმროს პატრონს ჩემი თავგადასავალი ვუამბე, შევეცოდე და სასტუმროს დამლაგებლად დამაწყებინა მუშაობა (მირზამ ულვაშებში ჩაიცინა და თვალი ჩამიკრა, მოგვიანებით მითხრა — ნელი იმ სასტუმროს მეპატრონის საყვარელი იყოო. — ზ. ჩ.). იმ სასტუმროში, ძირითადად, საქართველოდან სავაჭროდ წამოსული ქალები ცხოვრობდნენ. ისეთ ამბებს ვისმენდი, გული მისკდებოდა. მაგალითად, ჩვენს სასტუმროში ერთი თბილისიდან წამოსული, გაურკვეველი ეროვნების ქალი თავისი 15 და 16 წლის ქალიშვილებთან ერთად ცხოვრობდა. ჩემმა ეფენდიმ ერთ დღეს მითხრა, მაგ ქალმა ერთ ასაკოვან თურქს თავისი გოგო 3 თვით 2,5 ათას დოლარად მიჰყიდაო. გოგო ჩემთან მოვიდა და დახმარება მთხოვა. ისე გავკაპასდი, რომ ვეცი იმ ქალს და იმდენი ვურტყი, სული თუ შერჩებოდა, არ მეგონა. ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან მოვაჭრეებმა. რამდენიმე დღის შემდეგ ორივე მაინც გაყიდა(?!). ფულს დედა თვითონ იჯიბავდა და ბავშვებს კაპიკსაც არ აძლევდა.

კიდევ იცით, რა იყო ამაზრზენი? ე. წ. „მუქთა ქალები“. ასე ვეძახდით მათ, რომლებიც სამშობლოს, ოჯახს მოწყვეტილები თურქეთში მხოლოდ დროის სატარებლად ჩამოდიოდნენ. მუქთად მუშაობა საზიზღრობაა, აბა, რა არის(?!). ერთხელ ერთი ქართველი გოგო სასტუმროში ნაცემი დაბრუნდა. თურმე კლიენტი ქართველი გამომდგარა. დილით ქალს ფული რომ მოუთხოვია, კაცს ისე უცემია, რომ სასტუმრომდე ძლივს მოლასლასდა. ერთხელ სასტუმროში ქართველი ბიჭები შემოვიდნენ, გოგონას სურათი დაჰქონდათ და ფულს აგროვებდნენ. როგორც გავიგეთ, 25 წლის ქალი თავის 6 წლის ბავშვთან ერთად თურქეთში დოსტთან გამოპარულა („დოსტი“ ქართულად მუდმივ საყვარელს ნიშნავს — გაგვანათლა ნელიმ). ქართველი ქალის ჩამოსვლის ამბავი შეუტყვიათ დოსტის ცოლს და ცოლისძმებს და „იაბაჯანს“ (თურქეთში ჩასული ტურისტი ქალი. — ზ.ჩ.) სიცოცხლე მოუსწრაფეს, ხოლო ბავშვი გაიტაცეს. საქართველოდან ჩამოსული ბიჭები ფულს იმ ბავშვის გამოსახსნელად აგროვებდნენ.

— **თურქეთის პოლიცია რას აკეთებს ამ დროს?**

— სტამბოლში პოლიცია მეძავებს არ ერჩის. არიან მეძავები, რომლებსაც „პოლიციის ქსივა“ ჰქვიათ, ანუ ისინი, რომლებიც პოლიციასთან არიან შეკრულები...

ბევრი შემზარავი ისტორია გვიამბო ჩვენმა მასპინძელმა. ამასობაში მირზამ მეოთხე ჭიქა ჩაიც დალია და ჩვენი წასვლის დროც მოვიდა...

გზაში მირზას გავუთამამდი და ვთხოვე, — იქნებ გორის ან ხაშურის რაიონების ტრასასთან მდებარე ერთ-ერთ ლოკანტაშიც შევიაროთ და სიკვდილამდე შენი მადლიერი ვიქნებიმეთქი... არ გამაწბილა ჩემმა თურქმა ქართველმა. ორიოდე საათის შემდეგ რიკოთის უღელტეხილი უკან მოვიტოვეთ და მალე სოფელ გომში შევედით. მირზამ რამდენიმე სასაუზმე დამანახვა გზაზე. გადავწყვიტეთ, ერთ-ერთ მათგანში გავჩერებულიყავით. შენობის მოაჯირზე გადმომჯდარი ეგზოტიკურად ჩაცმულ-დახატული გოგონები მუშტრის თვალით გვათვალიერებდნენ. ევროპულ ყაიდაზე მოწყობილ შენობაში აღმოსავლური ფერები ჭარბობდა. სტუმრები ლაღად მიდი-მოდიოდნენ. იქვე, მაგიდას ერთი ჩასუქებული, შუახნის ქალი მისჯდომოდა და სტუმრებსა და ოფიციანტებს თვალს არ აშორებდა. მირზამ ჩამჩურჩულა — „ეს ქალია აქაუროობის გამგებელი“. დარბაზში რამდენიმე ქართველის მკაცრად მომზირალ თვალებსაც წავაწყდი. როგორც გაირკვა, ისინი ობიექტის დაცვის წევრები ყოფილან. მაგიდასთან დავსხედით და საუზმე მოვითხოვეთ. ოფიციანტი ნარნარი რხევით მოგვიახლოვდა და შეკვეთა მიიღო. ცოტა რომ დავნაყრდი, იქაურობას თვალი მოვავლე. მირზა ჩაის შეექცეოდა. ამ დროს ერთი თურქი მძღოლი ადგა, ოფიციანტს წელზე ხელი მოხვია და ლოკანტის გამგებელს მიუახლოვდნენ. რაღაც წაიჩურჩულეს და მძღოლი ოფიციანტთან ერთად კარს მიღმა გაუჩინარდა. მირზამ თვალი ჩამიკრა... ბოლოს წასასვლელად მოვემზადეთ. ჩვენი ოფიციანტი აშკარად გამომწვევად იქცეოდა. ჯერ კიდევ სადილობის დროსაც მრავალმნიშვნელოვნად გვეკითხებოდა — კიდევ ხომ არაფერს ინებებთ, ბატონებო, ყველა თქვენი სურვილის უმაღლეს დონეზე დაკმაყოფილება შეგვიძლიაო. თუმცა რაღა თქმა სჭირდებოდა, როდესაც ქალი თავისი საქციელით აშკარად აჭარბებდა ჩვეულებრივი ოფიციანტის მოვალეობას...

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ხაშურის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, **ვალერი გელაშვილს** ვთხოვეთ კომენტარი: — ხაშურის რაიონში უმძიმესი კრიმინალური ვითარებაა. მე რამდენჯერმე მივმართე განცხადებით შს სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელობას, მაგრამ ჩემს ოფიციალურ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია. რაც შეეხება ლოკანტების პრობლემას, ყველამ იცის, რომ იქ მომუშავე ქალები არა მარტო მიმტანები არიან. ადგილობრივ მოსახლეობაში სიტყვა „ლოკანტა“ საროსკიპოსთან ასოცირდება და არცთუ უსაფუძვლოდ. ჯერ კიდევ მაშინ, როცა დეპუტატობის კანდიდატი ვიყავი, მივმართე რაიონის მაშინდელ გამგებელს, რომელმაც პოლიციის უფროსი დაიბარა და ჩემს დასანახავად პასუხი მოსთხოვა. უბრძანა, სასწრაფოდ მიეხედა ლოკანტებისთვის. ცოტა ხანს პოლიციამ ვითომ კონტროლი გაამკაცრა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ლოკანტებში შესული თანხა სხვადასხვა თანამდებობის პირზე — ადგილობრივ, სამხარეო, რესპუბლიკის მაღალჩინოსან პოლიციელებზე ნაწილდება. ლოკანტების მეთვალყურეები კი ადგილობრივი პოლიციელები არიან.

— **გაქვთ რაიმე მამხილებელი ფაქტები?**

— მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობისგან მოწოდებული ინფორმაციები. მიუხედავად იმისა, რომ აქაურებს ლოკანტებში არ ამუშავებენ (იქ მზარეულებადაც კი თურქები ჰყავთ), ინფორმაცია მაინც ჟონავს...

სოფელ გომის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ გელაშვილი**: „ამ ობიექტებს ლოკანტები აღარ ჰქვია. ახლა ზოგი შპს-ად გადაკეთდა, ზოგი ინდმეწარმის სტატუსით სარგებლობს. გომის ტერიტორიაზე სულ 6 დასახელების საზკვების ობიექტია. კემპინგი „ინტერნაციონალი“, „არმაღანი“, „ჭადრები“, „მეგობრობა“, „ლიპლიპა“ და „სატირე“. ეს ობიექტები, ძირითადად, ტრაილერის მძღოლებს ემსახურებიან.

— **არასრულწლოვანები თუ მუშაობენ ამ ობიექტებში?**

— ოფიციალურად სხვადასხვა სამუშაოზე არიან გაფორმებული. მე გახლდით იმ კომისიის თავმჯდომარე, რომლის მიზანი ლოკანტების საქმიანობის შემოწმება იყო. მაგრამ შემოწმებისას ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვნახეთ(?!)...

დასასრულ, გთავაზობთ შიდა ქართლის ახალი გუბერნატორის, **ირაკლი ოქრუაშვილის** კომენტარს: „ბორდელები პოლიციის თანამშრომელთა მფარველობით მუშაობდნენ. წილს იღებდნენ არა მარტო რიგითები, არამედ მხარის პოლიციის ხელმძღვანელობაც. იმ ღამეს 10 ბორდელი შევამოწმეთ. ოპერაციაში მონაწილეობდა უშიშროების სპეცრაზმი. ერთ-ერთ ბორდელში ორი პოლიციელიც ვნახეთ, რომლებიც ტაბელური იარაღით იცავდნენ ამ „სახლს“. ორივე ნასვამი იყო და წინააღმდეგობის გაწევაც სცადეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა აიკრძალოს ასეთი დაწესებულებების მუშაობა, ისინი გარყვნილების ბუდე და დამნაშავეთა თავშეყრის ადგილებია. ბრძოლას მათ წინააღმდეგ კვლავაც გავაგრძელებთ“.

P. S. ყოფილი ხელისუფლების, სამართალდამცველი ჩინოვნიკებისა და ზოგიერთი დემორალიზებული სუბიექტის გულგრილობის, დაუდევრობის და თუ გნებავთ, მატერიალური დაინტერესების გამო, ეს პრობლემა აქილევსის ქუსლად გადაიქცა. „პროფესია“, რომელიც ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელია და არც კანონის ფარგლებში ჯდება, სამწუხაროდ, არითმეტიკული პროგრესიით იზრდება.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# „ჩემი ბიჭი კანფეტებით მეგებება და შუბლზე 5-ლარიანს მაკრავს“

## „ყალბი აბრების გაკვრას უნდა მოვერიდოთ“



*ძველ ხელისუფლებას საყვედურობდნენ — უწესრიგობამ წალეკა ყველაფერი და მთავრობა არაფერს აკეთებსო. ახალი ხელისუფლება უკეთესის იმედს გვაძლევს: წესრიგი წალეკავს ყველაფერსო — დაგვპირდა საახალწლოდ მიხეილ სააკაშვილი. ღმერთმა ქნას, ასეც იყოს... უწესრიგობამ და უკანონობამ მოგვაბეზრა თავი ყველას — მოხუცსაც და ახალგაზრდასაც. მაინც საიდან უნდა დავიწყოთ წესრიგის დამყარება? გამოცდილი მეურნე და პოლიტიკოსი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და თბილისის ყოფილი მერი, მსხვილ გადამხდელთა კავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე* ***ნიკო ლეკიშვილი*** *თავის რეცეპტს საახალწლო ფიქრებსა და სურვილებთან ერთად გვიმხელს:*

— ახალ წელს ადამიანები ერთმანეთის მიმართ ლოიალურები, მოსიყვარულეები ხდებიან და ცუდს ივიწყებენ. ბუნებრივია, მეც ასეთივე განცდა მაქვს ხოლმე. იმ მოვლენების შემდეგ, რაც საქართველოში მოხდა, ახლის და უკეთესის მოლოდინში ვარ. მჯერა, ქვეყანა დაწყნარდება, ადამიანებს ექნებათ სამსახური, ადამიანურად ცხოვრების საშუალება და აღარ იქნება ამდენი გაჭირვებული და ხელგაწვდილი...

არჩევნების წელი ყოველთვის რთულია ქვეყნისთვის, გასული წელი კი განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. ჩვენი, პოლიტიკოსების ვალია ეს სიძნელე ავაცილოთ ხალხს, გავუადვილოთ ყოფაც და არჩევანის გაკეთებაც. თუმცა ამას ყოველთვის ვერ ვახერხებთ. გასული წელი თავისი მნიშვნელობით 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და 90-იანი წლების მოვლენებს უტოლდება. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ფრთხილად უნდა გადავდგათ ყოველი ნაბიჯი. აქამდე სხვისი შემყურე ვიყავით, დღეს უფრო მეტად დამოუკიდებლები ვართ და უნდა ვეცადოთ ჩვენი ქვეყნით მსოფლიოს დაინტერესება ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. სასწრაფოდ უნდა მოხდეს სახელისუფლებო შტოების ლეგიტიმაცია. იმედია, ახალი პრეზიდენტი საპარლამენტო არჩევნებს მალე დანიშნავს და ავირჩევთ ახალ პარლამენტს. ახლანდელი ვადაგაგრძელებული პარლამენტის გადაწყვეტილებები მეტისმეტად სახიფათოდ მიმაჩნია. მისი შემადგენლობის 80% ხომ ის ხალხია, რომელთაც, ფაქტობრივად, დაასრულეს პოლიტიკური კარიერა და არავინ იცის, როგორ გადაწყვეტილებებს მიიღებენ...

ბუნებრივია, საკონსტიტუციო ცვლილებები ამჟამინდელ პარლამენტს არ უნდა ვანდოთ. ახალმა პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ მაქსიმალურად სწრაფად უნდა უზრუნველყოს ამ პრობლემების მოგვარება.

**— სოლიდარობის გადასახადის შემოღებას როგორ შეხვდა გადამხდელთა კავშირი?**

— სიმდიდრის გადასახადი მთელ მსოფლიოშია დაწესებული. ვისაც მეტი აქვს, მეტს იხდის. რა არის ამაში გასაკვირი? კომუნისტების დროსაც ასე არ იყო? ბინის გადასახადს ფართის მიხედვით არ ვიხდიდით? ვფიქრობ, სახელწოდებამ — სიმდიდრის გარეგნული ნიშნების შესაბამისმა გადასახადმა გამოიწვია უარყოფითი დამოკიდებულება, თორემ მის შემოღებას რეპრესიების დასაწყისად ნამდვილად არ მივიჩნევ. ვისაც მოპარული აქვს, ის უნდა დაიჭირო. ამას გადასახადთან კავშირი არ აქვს, მაგრამ ვფიქრობ, თვით ამ გადასახადის რაოდენობის განსაზღვრა იქნება ძნელი. ქონების ვიზუალური მხარე არ განსაზღვრავს მის ნამდვილ ღირებულებას. ამბროლაურში ჩემს მეზობელს 20 წლის წინ აშენებული 14-ოთახიანი სახლი აქვს, ის სახლი და ვაკეში ოთხოთახიანი ბინა ერთი ღირებულების ხომ არ იქნება? ქონების შეფასებისთვის აუცილებელი იქნება აუდიტის ჩატარება და არა ისე, როგორც ითქვა, — სამი კაცი შეხედავს და ღირებულებას შეაფასებსო. არ შეიძლება მიწის გადასახადზე მიჯნის დაწესება, თუ იტყვიან, 5 ათას მეტრზე ნაკლები მიწა არ დაიბეგრებაო, ამ შემთხვევაში 20 ათასი მეტრიც რომ ჰქონდეთ, მიწას ოჯახის წევრები გადაინაწილებენ და ასე ეცდებიან გადასახადს თავი აარიდონ. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი და მახსოვს, თბილისში მასობრივი ფიქტიური განქორწინებები და „ოჯახური კონფლიქტები“ იყო, რომ ცოლქმარს ცალ-ცალკე მიეღო ბინა, ან კიდევ შვილი გარიდებოდა „აბეზარ“ მშობლებს. კანონში არ უნდა ჩაიდოს ისეთი დეტალი, რაც უკანონობას შეუწყობს ხელს.

სხვათა შორის, სხვებისგან განსხვავებით, სააკაშვილი ძალზე თანამიმდევრული აღმოჩნდა — ეს ხელისუფლისთვის აუცილებელი თვისებაა. მომეწონა მისი დამოკიდებულება ზოგიერთი საკადრო ცვლილების მიმართ. მისგან მეტ სიმკაცრესა და წესრიგის დამყარებას ველი. უწესრიგობას ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ ობიექტზე წააწყდები. რესტორნების 90%-ზე მეტში მენიუს არ მოგიტანენ. მალაზიაში ქვითარს არავინ გაძლევს, ფასი პროდუქტების ნაწილს ადევს, ტაქსების უმეტესობას (ხშირად მეც მათი მგზავრი ვარ) მრიცხველი არ აქვს. შუქნიშანს არავინ უყურებს, ღამით კი ქუჩაში გავლა სახიფათოა. მანქანების უმეტესობას ფარი არ უნათებს. ამ ელემენტარული წვრილმანებიდან ჩანს, რომ ქვეყანაში უწესრიგობის აპოთეოზია. ბიუჯეტის ქურდებთან ბრძოლის პარალელურად ეს თითქოს ელემენტარული პრობლემებიც უნდა მოგვარდეს. მიშა ამბობს, დამნაშავეობასთან ბრძოლას ვაპირებო. ეს არ იქნება იოლი ბრძოლა, ბევრი რამისთვის მზად უნდა იყოს. არ მეგონა, თუ ერგნეთის პრობლემის მოგვარებას შეძლებდა ვინმე. იქაური კონტრაბანდა და ერგნეთთან დაკავშირებული ხალხი სერიოზულ პრობლემას გვიქმნიდა. გადამხდელთა კავშირშიც არაერთხელ გვქონდა ამის შესახებ შეკრება და მსჯელობა. ოქრუაშვილმა ბრძოლა დაიწყო და შედეგიც სახეზეა, მაგრამ უკვე ჭორი გავრცელდა, — დაჭერილი ხალხი გაათავისუფლესო, ე. ი. ვიღაცამ აიღოო... ეს ბრძოლა არ უნდა იყოს მხოლოდ ტელევიზორში საჩვენებელი. ამიტომ მართებს ახალ ხელისუფლებას უკანონობასთან ისეთი შეუპოვარი ბრძოლა, რომ ეჭვი აღარავის გაუჩნდეს.

წესრიგი ყველა სფეროშია დასამყარებელი. გეხსომებათ, ერთი ამბავი იყო — ქუჩაში პოლიციას რა უნდაო. მოვაცილეთ პოლიცია ქუჩას და გასულ კვირას, 1 საათი ავტომანქანების საცობში გავიჭედე. იძულებული გავხდი, ფეხით წავსულიყავი საქმეზე. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა არ გვარგია. დასავლეთის ბრმად მიბაძვა ვერ გვიშველის. იქ პოლიცია ქუჩაში არ არის, სამაგიეროდ, ტელეკამერები დგას ნებისმიერ კუთხეში და მათი საშუალებით აკონტროლებენ ყველაფერს. აღარაფერს ვამბობ დიდ პრობლემებზე, რადგან მათთან ბრძოლა ასეთი პატარ-პატარა პრობლემების აღმოფხვრით უნდა დაიწყოს.

**(გაგრძელება იხ. გვ.11)**

# „მაშინ პირველად მოხდა, რომ ახალ წელს წვერი არ გავიპარსე“

## „შევარდნაძე საკუთარი თავისთვის კარგი მეკვლე ვერ გამოდგა“...

*საქართველო მეტისმეტად პოლიტიზებული შეხვდა ახალ წელს. ალბათ საახალწლო სუფრასთან ყველა ოჯახში ითქვა — ღმერთო, ისეთი ხელისუფლება აგვარჩევინე, ქვეყანასაც რომ ფეხზე დააყენებს და ჩვენც ამოგვასუნთქებსო. რამდენსაც ვკითხეთ — ახალ წელს როგორი განწყობით შეხვდით-მეთქი? — იმედიანადო — გვიპასუხეს... ასეა, უკეთესობასა და სიახლეს დიდიც ელის და პატარაც, ხალხიც და პოლიტიკოსებიც... ამ სიახლის შემოქმედი კი ახალი ხელისუფლება უნდა გახდეს. მაგრამ ის მხოლოდ თავისიანებისთვის ყურის დაგდებით ვერ გადადგამს სწორ ნაბიჯებს. ამიტომ მათაც უნდა მოუსმინოს, რომლებიც სხვანაირად ფიქრობენ. იქნებ მათაც უთხრან საჭირო და სასარგებლო რამ... ახალი ხელისუფლების კრიტიკაში, ჯერჯერობით,* ***აკაკი ასათიანს*** *ვერ-*



*ავინ ჯობნის (მან აბაშიძესაც აჯობა და ნათელაშვილსაც). ჟვანიას გუშინდელი მოკავშირე დღეს ოპოზიციონერობს და სიმართლის პირში მთქმელის პოზიციას იჭერს — ვნახოთ, რა გამოვა აქედან.. დრო გამოაჩენს ასათიანი „ნამდვილია“ თუ „ხელოვნური“... მანამდე კი ედპ-ტრადიციონალისტების ლიდერთან პოლიტიკურ-საახალწლო თემებზე ვისაუბროთ...*

— ახალი წლის დღეებში რაც ნაკლებად შევაწუხებდით ხალხს პოლიტიკით, მით უკეთესი იქნებოდა. მაგრამ რას ვიზამთ? 2003 წლის უმთავრესი მიღწევა ის იყო, რომ შევარდნაძე გავისტუმრეთ ხელისუფლებიდან. ცუდი კი ის არის, რომ ასე ფაციფუცით ირჩევა ახალი პრეზიდენტი. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საახალწლო ხუმრობას უნდა მივაწეროთ, რომლისგანაც ალბათ ბევრი სიურპრიზი გველის. სხვა გზა არ იყო, სავალდებულო იყო არჩევნების ჩატარება, თორემ... უფრო საინტერესო პოლიტიკურ მოვლენებს საპარლამენტო არჩევნებისთვის ველი.

**— მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვეს „აღორძინებამ“, „ლეიბორისტულმა“ პარტიამ... ზოგისთვის ეს ჩასაფრებული ადამიანების პოზიციაა, ზოგისთვისაც — უპასუხისმგებლობა...**

— ნებისმიერ პარტიას აქვს უფლება, არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. სხვათა შორის, ესეც არჩევანია და მათ ამის გამო ვერ გავკიცხავთ. ერთადერთი პრობლემა იყო აჭარის ბოიკოტი და ესეც მოიხსნა. მაგრამ ეჭვს ტოვებს საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. შემდგარიყო კომისიები ბეიკერის პრინციპით და აღარ გახდებოდა ეს საკითხი სალაპარაკო... მე, პირადად, არჩევნებზე არ მივსულვარ, თუმცა ჩემი პარტია ბოიკოტს არ უცხადებს არჩევნებს, ვისაც უნდოდა, ის მივიდა...

**— თქვენ რატომ არ მიხვედით?**

— არჩევნებზე რომ მივსულიყავი და ვინმესთვის მხარი დამეჭირა, გულწრფელი არ ვიქნებოდი. არც ერთი კანდიდატის პროგრამას არ ვიცნობდი და რა მოსაზრებით უნდა გამომერჩია ვინმე? რაც შეეხება ყველაზე რეალურ კანდიდატს, მისი ლოზუნგი და მოწოდებები აბსოლუტური დემაგოგიაა. სააკაშვილს პრეზიდენტობა თამაში ჰგონია და დაე, ითამაშოს... ხალხს თუ ასეთი პრეზიდენტი უნდა, ხალხის წინააღმდეგ არ წავალ.

**— მოდით, სხვა თემაზე გადავიდეთ, რომელი ახალი წელი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— ვერ ვიხსენებ იმ ახალ წელს, რომელსაც განსაკუთრებული სიხარულით შევხვდი. განსაკუთრებით მძიმე კი იყო ერთი — ზვიად გამსახურდია ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა. არ ვიცოდი ეს ამბავი, მაგრამ განწყობა მქონდა უცნაური. პირველად მოხდა, რომ ახალ წელს წვერი არ გავიპარსე. მისტიკის არ მჯერა, მაგრამ ფაქტია, მაშინ მძიმე და უცნაური განცდა მქონდა... მეორე დღეს გავარდა ხმა, ზვიად გამსახურდია გარდაიცვალაო... მხიარული და კარგი ახალი წლები ბავშვობაში დარჩა... ახლა ჩემი შვილები და შვილიშვილი რომ მხიარულობენ, ის მიხარია... ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი დღესასწაულები შობა და აღდგომაა.

**— ამბობენ, ახალ წელს როგორც შეხვდები, ისეთი წელიწადი გექნებაო... და კიდევ — ახალ წელს ჩაფიქრებული სურვილები სრულდებაო, — ასეთი რამეების თუ გჯერათ?..**

— (იცინის) რა თქმა უნდა, არა... მამაკაცები თავიანთ ბედს თვითონ სჭედენ და რაღაც ძალებზე დამოკიდებულნი არ არიან. მიღწევა თუ წარუმატებლობა ჩემს „დამსახურებად“ მიმაჩნია და მას არასდროს დავაბრალებ რომელიმე ადამიანს, ბუნების მოვლენებს ან კიდევ ახალ წელს და შავ კატებს.

საახალწლო სუფრას, როგორც წესი, მამაჩემი თამადობდა ხოლმე, ახლა ჩემი უფროსი ვაჟია თამადა. ახალ წელს მთელი ოჯახი — ჩემი ცოლ-შვილი, დედაჩემი, ჩემი და, ცოლისძმა და ჩემი მეგობრები ერთად ვხვდებით... ეს ყველაფერი რამდენიმე საათს გრძელდება, მერე კი ვმუშაობ — ვწერ ან ვკითხულობ.

**— შარშან ზურაბ ჟვანია გამოგვიტყდა, გოზინაყს ყოველთვის მე ვაკეთებო, თქვენ თუ აკეთებთ რაიმე ნუგბარს ან კერძს საახალწლოდ?**

— (გულიანად იცინის)... ყოჩაღ მაგას, ძალიან რთული საქმეა. სამწუხაროდ, ამის ნიჭი არ მაქვს. ჩემს სიცოცხლეში ერთხელ შევწვი კვერცხი (შინ მარტო ვიყავი) და ვერ ვიტყვი, რომ კარგად გამომივიდა.

**— მეკვლეობის ტვირთს თუ იღებთ საკუთარ თავზე. მაგალითად, ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ გაგვიმხილა, თუ ახალ წელს სტუმარი არ მომდის, გავდივარ გარეთ, შემოვდივარ და ასე ვხდები ჩემი ოჯახის მეკვლეო.**

— მეკვლეები ჩემი მეგობრები არიან ხოლმე. არ ვიცი, სხვისთვის როგორი მეკვლე იყო წინა პრეზიდენტი, მაგრამ საკუთარი თავისთვის რომ კარგი მეკვლე ვერ გამოდგა, ფაქტია.

**— ჩინური ჰოროსკოპით 2004 წელი მაიმუნის წელია. ამბობენ, მაიმუნი ჭკვიანი ცხოველია და წელს ჭკვიან ხალხს მიეცემა გასაქანიო...**

— მაიმუნი ჭკვიანი ისევ მაიმუნებს ჰგონიათ. ეტყობა, ასე იმ კატეგორიის ხალხი ფიქრობს, რომელიც დარვინის თეორიას იზიარებს — ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო. ზოგს დარვინის თეორიის მიმდევრობა აწყობს კიდეც — რაკი მაიმუნისგან ხარ წარმოშობილი, ე. ი. შეიძლება მაიმუნივით იქცეოდე, მაგრამ მე მჯერა, რომ ადამიანი ღმერთმა შექმნა და მას მაიმუნობა არ ეკადრება.

ასტროლოგია და აღმოსავლური ჰოროსკოპები ათასწლოვან გამოცდილებას ემყარება. მაინტერესებს ეს სფერო. თუმცა ჩემს გეგმებს ჰოროსკოპებზე არ ვაგებ. ზოგჯერ უთქვამთ, ამ კვირაში საინტერესო ამბები გელისო და მართლაც ასე მომხდარა... მაგრამ ვარსკვლავების განლაგების გათვალისწინებით თუ იმოქმედა კაცმა, ეს მას უთუოდ ჩარჩოებში მოაქცევს, მე კი არ მიყვარს ჩარჩო და კალაპოტი. ამიტომ ვითვალისწინებ იმ წესებს, რომელიც კაცობრიობამ დაადგინა და, რომელსაც ადამიანი უწესებს საკუთარ თავს. გასული წელი რისი იყო?

**— თხის, ზოგიერთი ჰოროსკოპის მიხედვით კი — ვერძის.**

— ვერძი სიმპათიური ცხოველია და წელიც არ ყოფილა ურიგო. მაიმუნის კი რა მოგახსენოთ, ვნახოთ...

**— რას ელით 2004 წლისგან?**

— ვფიქრობ, საინტერესო წელიწადი იქნება. იმედი მაქვს, რომ წელს იქნება ნამდვილი პოლიტიკური, იდეოლოგიური ბრძოლა ჩვენსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის. იქნება დავა-კამათი საგადასახადო კოდექსზე, ქვეყნის რეგიონალურ მოწყობაზე, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციებზე, რუსეთის ბაზებზე, ცხინვალის საკითხის მოწესრიგებაზე. ჩვენ ამ საკითხებზე გვაქვს ჩვენი მოსაზრებები, ხელისუფლების მოსაზრებებს კი ჯერ არ ვიცნობთ. რაც აქამდე გაამჟღავნეს, ის სისულელეა.

**— თქვენ უჩვეულო სიტუაციაში ხართ, ყოფილი თანაბლოკელების ოპოზიციაში ყოფნა არ გეხამუშებათ?**

— ადრე ვიყავით ერთად, ახლა კი ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე სააკაშვილის იდეებს გაჰყვნენ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ზურაბ ჟვანია სიმდიდრის გარეგნული ნიშნების შესაბამის გადასახადს შემოიღებდა. ეს კინოკომედიის სათაურად უფრო ივარგებდა, ვიდრე გადასახადის სახელწოდებად. ალბათ ამ თემაზე ოდესმე გადაიღებს ფილმს ელდარ შენგელაია. არავის მტერი არ ვარ, მით უმეტეს, სააკაშვილის, მაგრამ ამ პატარა ქვეყანაში არ შეიძლება მდიდრებსა და ღარიბებს შორის შუღლის გაღვივება. პირიქით, უნდა გამოვაცხადოთ, — ვინც კანონიერად გამდიდრდა, ღმერთმა გაუმარჯოს, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის 80 პროცენტი, რომელიც სიღარიბეში ცხოვრობს, გაჭირვებიდან უნდა ამოვიყვანოთო. ცუდი სიმპტომია, რომ სიღარიბემ საშუალო ფენა, განათლებული, ინტელექტუალური ხალხი მოიცვა, არ შეიძლება ამ ხალხის ლუმპენებად გადაქცევა.

არ შეიძლება მიწის გადასახადის გაუქმება და მიწის გაუფასურება, თორემ გაყიდის გლეხობა მიწას. მიწა ყველაზე ფასეული რამ არის და თუ მას გლეხი შეელევა, აღებული ფული 2-3 წელი მაინც უნდა ეყოს, სანამ სხვა საქმეს მოჰკიდებს ხელს.

სააკაშვილი ამბობს, — ორმაგი მოქალაქეობა უნდა შემოვიღოო. საქართველოში ამის გაკეთება არ შეიძლება. ვიღაც უცხო მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას, დაივლის სოფლებს და ათასობით ჰექტარს მუქთად ჩაიგდებს ხელში. შეიძლება გლეხობის (2 თვით) გულის მოსაგებად ორი საუკუნის საქმე გააფუჭო?! ამაზე უსათუოდ გვექნება დავა ახალ ხელისუფლებასთან...

აქამდე არაერთხელ მიფიქრია, — კი ვიბრძოლებ, მაგრამ შევარდნაძის მმართველობამ ისეთ აპათიაში ჩააგდო მოსახლეობა, გამომყვებიან-მეთქი? ახლა დავინახე, რომ ჩვენმა ხალხმა აღიდგინა თავისი ბევრი დადებითი თვისება — შეუპოვრობა, სამართლიანობა, ქვეყნის სასიკეთოდ პირადულზე უარის თქმა... როგორ შეიძლება ასეთი ხალხის იმედი არ გქონდეს?!

ჩვენს ხალხს ვუსურვებ ბედნიერებას, რომელიც მან ნამდვილად დაიმსახურა. ყველაფერს გავაკეთებ, რათა მას იმედი არ გაუცრუვდეს. ქართველობას ვუსურვებ, რომ ასეთი ამაყი, წელში გამართული, ღირსეული, ქვეყნის მოყვარული და უფრო მეტად კრიტიკული ყოფილიყოს.

**იზო რკაძე**

# დღეს რაკეტით, ხვალ?

## „რუსთავი-2“ ტანკი ეგონათ?!

29 დეკემბერს, დილაუთენია, სამაუწყებლო ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ოფისზე მომხდარი თავდასხმის საქმეს უშიშროების სამინისტრო იძიებს, თუმცა რაიმე შედეგზე ჯერ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან გამომძიებლებმა მთავარი ნივთმტკიცება — ნაპოვნი ერთჯერადი ყუმბარსატყორცნის ცარიელი კონტეინერი — ერთი კვირის განმავლობაში ვერ გადასცეს კრიმინალისტებს!

ამიტომაც, ამ ეტაპზე მხოლოდ იმაზე შეიძლება მსჯელობა, თუ რა სახისა და ტიპის იარაღი იხმარეს თავდასხმისას. ეს არის ხელის ერთჯერადი ყუმბარსატყორცნი РПГ-26

**ჩვენი დოსიე: ერთჯერადი გამოყენების ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური რეაქტიული ჭურვი, იგივე რაკეტა ПГ-26 მოთავსებულია მინაპლასტიკის ცილინდრულ კონტეინერში, ამიტომ 77 სმ-ის სიგრძისა და 73 მმ დიამეტრის ეს სისტემა, РПГ-26, მთლიანობაში 3 კგსაც კი არ იწონის. რეაქტიული ჭურვის გასროლისას მისი საწყისი სიჩქარე 144 მ/წმ-ს აღწევს, ხოლო პირდაპირი გასროლის დისტანცია კი 170 მ-ს შეადგენს, კუმულაციური მუხტი 22 სმ სისქის მონოლითურ ჯავშანს ხვრეტს.**



Аглень-ი, რომელიც გამოიყენება ტანკების, ჯავშანმანქანების და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების ასაფეთქებლად. თუმცა Аглень-ის ინსტრუქცია გვამცნობს, რომ მას შეუძლია ქალაქის პირობებში სახლების აფეთქება. ალბათ მსროლელმა სწორედ ეს ინსტრუქცია შეისწავლა გულდასმით.

Аглень-ის მსროლელებმა აქტის განსახორციელებლად ისეთი დრო შეარჩიეს, რომელიც, ერთი შეხედვით, თავიდანვე გამორიცხავდა მსხვერპლს „რუსთავი-2“-ის ოფისში. მაგრამ იმ დილაუთენია ოფისში ჟურნალისტები და ტექნიკური პერსონალი მუშაობდა, ამიტომაც მსხვერპლის სრულიად გამორიცხვა არავის შეეძლო.

კუმულაციური ჭურვი სართულებს შორის კედელს მოხვდა, გახვრიტა და კუმულაციური ჭავლის ნაწილი ოთახში შეიჭრა.

ტერორისტული აქტის პირველსავე დღეს ითქვა, რომ ყუმბარსატყორცნის მსროლელი უსათუოდ დიდი პროფესიონალი უნდა იყოსო. თუმცა იმ ერთჯერადი ყუმბარსატყორცნის გასასროლად, რომელიც ჯარისკაცების უშტატო იარაღს წარმოადგენს და მისი ხმარების ტექნოლოგია მინიმუმამდეა გამარტივებული, არ იყო აუცილებელი, დიდი პროფესიონალიზმი.

ამასთან, Аглень-ი ნასროლია მისი მოქმედების დისტანციის თითქმის მაქსიმალური წერტილიდან, თანაც საკმაო კუთხით, რაც გარკვეულ ოსტატობას მოითხოვდა.

აქამდე დამაშინებელი აქტები ძირითადად პისტოლეტებით ან კუსტარული ასაფეთქებელი მოწყობილობებით ხდებოდა თბილისში, ასპარეზზე ისეთი სერიოზული იარაღის, როგორიც ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური რაკეტაა, გამოჩენა ბევრ სერიოზულ კითხვას ბადებს, იქნებ ხვალ ტერორისტული აქტები უკვე ტანკებითა თუ თვითმფრინავებით განახორციელონ?!

P.S. „რუსთავი-2“-ის ოფისზე თავდასხმამდე ხუთი წლით ადრე РПГ-26 თბილისის სხვა უბანში, კერძოდ კი, კრწანისში, პრეზიდენტ შევარდნაძის შეჯავშნულ ლიმუზინს ესროლეს.

P.P.S. სხვათა შორის, სახელმწიფო კანცელარიის იმ სართულზე, სადაც პრეზიდენტ შევარდნაძის სამუშაო ოთახი იყო, ამერიკელმა სპეციალისტებმა ისეთი ტყვიაგაუმტარი მინები დააყენეს, რომელთაც ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის შეკავება შეუძლია.



**„რუსთავი-2“-ის ოფისს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა სართულებს შორის მოხვდა**

# საიდუმლოს ფარდა აეხადა — როგორ მოკლეს დუდაევი!

## 600 ათასი დოლარი — ჯოჰარ დუდაევის თავისთვის

ჩეჩნეთი კრემლს ყელში გაეჩხირა. რუსეთის უზარმაზარმა არმიამ დღემდე ვერ მოახერხა ერთი მუჭა აჯანყებული ჩეჩნების შეიარაღებული გამოსვლების ჩახშობა.

ომი ჩეჩნეთში, საერთო ჯამში, მეშვიდე წელია, მიმდინარეობს და დასასრული არ უჩანს. რუსეთის სპეცსამსახურები დღემდე ამაოდ ეძებენ ჩეჩნების დღევანდელ ლიდერებს — ასლან მასხადოვსა და შამილ ბასაევს. ისიც სათქმელია, რომ როდესაც კრემლს ძალიან დასჭირდა, სპეცსამსახურებმა წარმატებით მოახერხეს ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის, გენერალ ჯოჰარ დუდაევის ფიზიკური განადგურება.

ჯოჰარ დუდაევის დაღუპვა ყოველთვის იდუმალებით იყო მოცული. თავიდან მხოლოდ ის ინფორმაცია გავრცელდა, რომ 1996 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს, ჩეჩნეთის მთებში, თავისი „ნივის“ გვერდით თანამგზავრული ტელეფონით მდგარი ჩეჩნეთის მებრძოლი პრეზიდენტი საიდანღაც მოფრენილმა რაკეტამ ნაფლეთებად აქცია.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ოფიციალური წყაროები დღემდე მალავენ ყველა დეტალს, ცნობილი გახდა, თუ როგორ მოაწყვეს ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდირების ოპერაცია.

სიმართლე რომ ითქვას, ჯოჰარ დუდაევის განადგურება რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყებისთანავე (1994 წლის 11 დეკემბერი) უნდოდა. ეს სურვილი კრემლს მას შემდეგ გაუმძაფრდა, რაც 1995 წლის 1-ელ იანვარს, გროზნოში შეჭრილი რუს სამხედროთა კოლონები ჩეჩნებმა ქალაქის ქუჩებში ჩახოცეს. შურისძიების წყურვილი გაუათკეცა რუსებს 1995 წლის 14 ივნისს შამილ ბასაევისა და მისი ჯგუფის დივერსიულმა ლაშქრობამ სტავროპოლის მხარის ქალაქ ბუდიონოვსკში.

კრემლს, ამდენი სირცხვილის შემდეგ, სასწრაფოდ სჭირდებოდა გამარჯვება, თუნდაც დუდაევის მოკვლის სახით, რათა რუსეთის მრავალმილიონიანი მოსახლეობისთვის ეჩვენებინა თავისი ძალა.

ამ ამბავმა ისეთ დეპრესიაში ჩააგდო რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომ ორი დღე არყის ბოთლი ძლივს გააგდებინეს ხელიდან. ყოველივე ამას 1996 წლის დასაწყისში დაემატა ახალი დიდი სირცხვილი — დუდაევის სიძემ, სალმან რადუევმა, დაღესტნის ქალაქ ყიზლარში ილაშქრა და ჩეჩნეთში უვნებელი დაბრუნდა.

ელცინს მოთმინების ფიალა აევსო და გენერლებს დაემუქრა — თუ დუდაევს არ მოსპობთ (რაც ერთგვარად პროპაგანდისტულ გამარჯვებად უნდა ქცეულიყო ელცინის ხელისუფლებისთვის), თანამდებობებს დაემშვიდობებითო.

სპეცსამსახურები მანამდე ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, ოღონდ კი ჯოჰარ დუდაევის გარემოცვაში თავისი აგენტები შეეგზავნათ, მაგრამ მათი მცდელობა ყოველთვის მარცხით სრულდებოდა. ორი ჩეჩენი ეროვნების აგენტი დუდაევის დაცვამ (რომელიც ძირითადად პრეზიდენტის ახლობლებისგან შედგებოდა) მალევე გამოააშკარავა და სიკვდილით დასაჯა. მესამე აგენტმა მოახერხა დუდაევის პირადი მზარეულის თანაშემწედ მოწყობა, რათა პრეზიდენტის საჭმელში საწამლავი ჩაეყარა, მაგრამ მალე ისიც გამოააშკარავეს.

რუსი კონტრმზვერავების შეფი, გენერალი ბარსუკოვი თავის ხელქვეითებს ყოველდღე ცხრაპირ ტყავს აძრობდა — თუ დუდაევის თავს არ მომიტანთ, ელცინი ყველას დაგვიჭერსო.

ბოლოს და ბოლოს, რუსულმა სპეცსამსახურმა მოახერხა დუდაევის გარემოცვაში თავისი აგენტების შეგზავნა, რომლებსაც სპეცრაზმისთვის უნდა მიეთითებინათ დუდაევის ადგილსამყოფელი. მაგრამ მალე ეს ვარიანტიც გამოირიცხა, რადგან დუდაევი ერთსა და იმავე ადგილას ორჯერ არ ათევდა ღამეს.

შემდეგ კრემლმა ოპერაციაში რუსი მეცნიერები ჩართო, კერძოდ კი კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის სამეცნიერო ტექნიკური განყოფილება.

აგენტებმა კრემლს შეატყობინეს, რომ დუდაევი ინტენსიურად იყენებდა „ინმარსატის“ თანამგზავრულ ტელეფონს. კონტრმზვერავების ტექნიკოსებმა კრემლს შესთავაზეს, შეექმნათ ხელსაწყო, რომელიც დაიჭერდა დუდაევის თანამგზავრული ტელეფონის სიგნალს, გაშიფრავდა და დაადგენდა ზუსტ კოორდინატს, რომელზეც დროის მოკლე პერიოდში განხორციელდებოდა სარაკეტო დარტყმა.



**რუსული ბომბდამშენიდან გაშვებულმა რაკეტამ დუდაევის „ნივისგან“ თითქმის არაფერი დატოვა**

პრეზიდენტმა ელცინმა მოიწონა თავისი „კოლეგის“ განადგურების გეგმა. სასწრაფოდ შეიქმნა მეცნიერთა 30-კაციანი ჯგუფი, რომელმაც უმოკლეს დროში შექმნა სპეციალური აპარატურა. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ეს 1 მილიონ 200 ათასი დოლარი უნდა დამჯდარიყო, მაგრამ მეცნიერებმა 600 ათასი დოლარი იკმარეს. ეს ხელსაწყო ჯერ სამხედრო პოლიგონზე გამოსცადეს და თავად მისი შემქმნელები დარჩნენ გაოცებულნი — შორიდან გაშვებული რაკეტა სკამისხელა სამიზნეს შუაგულში მოხვდა. სპეცოპერაცია 1996 წლის 21 აპრილს დაიგეგმა. ის იმგვარად იყო გასაიდუმლოებული, რომ დუდაევის გვერდით მყოფ საკუთარ აგენტებსაც კი არ აცნობეს.

იმ დღეს ჰაერში აფრინდა რუსული „ავაქსი“ — შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავი А-50 (იგი, სხვათა შორის, ჩვენი თანამემამულის გიორგი ბერიშვილის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა), რომელზეც დამონტაჟდა ის სპეციალური ხელსაწყო. А-50 ჩეჩნეთის ცაში ძალიან მაღლა ტრიალებდა და ელოდებოდა, როდის ჩართავდა თავის თანამგზავრულ ტელეფონს ჯოჰარ დუდაევი.

პარალელურად ჰაერში აფრინდა ორი რუსული საფრონტო ბომბდამშენი Су-24, რომლებზეც „ჰაერი-მიწა“ ტიპის მართვადი რაკეტები იყო ჩამოკიდებული. გავიდა ორი საათი. დუდაევის ტელეფონი დუმდა.

ბომბდამშენებს საწვავი უთავდებოდათ. ცალკე ელცინი ნერვიულობდა, მაგრამ დუდაევი არ რეკავდა. Су-24-ები იძულებულნი გახდნენ, დაშვებულიყვნენ საწვავის მარაგის შესავსებად. ამ დროს დუდაევის „ნივა“ ჩეჩნეთის მთებში, ატალახებულ შარაგზაზე მიიკვლევდა გზას. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტმა დუდაევმა მანქანა მდელოზე გააჩერა, ამოიღო თანამგზავრული ტელეფონი და დარეკა, ოღონდ მანამდე თანხმლებ პირებს (მათ შორის თავის მეუღლესაც) უბრძანა, რამდენიმე ათეული მეტრით დაშორებოდნენ, რათა ყური არ დაეგდოთ საიდუმლო საუბრისთვის.

სხვათა შორის, თავად პრეზიდენტიც რამდენიმე მეტრით დაშორდა მანქანას თანამგზავრული აპარატის ყურმილით ხელში, რადგან უფრთხოდა ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას.

სატელეფონო საუბრის დაწყებისთანავე ცაში მოდარაჯე А-50-ზე დაყენებულმა 600 ათას დოლარიანმა ხელსაწყომ დააფიქსირა დუდაევის თანამგზავრული ტელეფონის ზუსტი კოორდინატები და ეს მონაცემები ასევე ჰაერში მოდარაჯე ბომბდამშენების ეკიპაჟებს გადასცა.

ორიოდე წუთში დუდაევის ტელეფონისკენ ბომბდამშენებმა ორი მართვადი რაკეტა გაუშვეს. პირველად დუდაევი განგებამ დაიფარა — ერთი რაკეტა „ნივასთან“ ჩაერჭო მიწაში და არ აფეთქდა, მეორე კი ზუსტად „ნივას“ მოხვდა...

როგორც დუდაევთან შეგზავნილი აგენტები შემდეგ იხსენებდნენ, რაკეტის აფეთქებამ დუდაევს თავის ქალის ნახევარი წააცალა, მასთან ერთად კიდევ სამი კაცი დაიღუპა, მათ შორის ერთი რუსეთის აგენტი.

რაც ყველაზე საინტერესოა, იმ მომენტში დუდაევი ტელეფონით ელაპარაკებოდა ელცინის მარჯვენა ხელს — ბოროვოის. დუდაევის ლიკვიდაციის შესახებ კონტრმზვერავებმა ელცინს ხაბაროვსკში, რესტორანში ქეიფისას მოახსენეს — ყურში წასჩურჩულეს წარმატების შესახებ. გაბადრული ელცინი წამოდგა და საზეიმოდ განაცხადა — დღეს ჩვენ დღესასწაული გვაქვს!

ასე განხორციელდა ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის, ჯოჰარ დუდაევის ფიზიკური განადგურება თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურით, მართვადი რაკეტით...

უცნაური ბედისწერაა — გენერალი დუდაევი თავად იყო შორეული მოქმედების ბომბდამშენების საავიაციო დივიზიის მეთაური და ცნობილი მფრინავი...

ისე, იმ 30 მეცნიერს, რომლებმაც დუდაევის თანამგზავრული ტელეფონის ტალღების დამჭერი და გამშიფრავი ხელსაწყო შექმნეს, ელცინმა პრემიად 100 ათასი დოლარი უბოძა.



# ქართველი, რომელმაც ამერიკელებს თვითმფრინავების აგება ასწავლა

## პირველი ამერიკული ტაქტიკური ბირთვული ბომბი ალექსანდრე ქართველის ბომბდამშენმა წაიღო



ალექსანდრე ქართველი ნიუ-იორკში, XX საუკუნის 30-იანი წლები

ვიეტნამის სანაპიროსთან გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა. ამერიკულმა გამანადგურებელ-ბომბდამშენმა ვიეტნამელების ამფიბია-თვითმფრინავის ჩამოგდება სცადა. ეს უკანასკნელი ბოლო წამს დაუსხლტა ზებგერითი „ქორის" კლანჭებს და თავი ნავსაყუდელს შეაფარა.

მაშინ, 40-ოდე წლის წინ, შორეული ვიეტნამის ცაში ორი, ამერიკული და საბჭოთა წარმოების თვითმფრინავი „შეეჯახა" ერთმანეთს. სინამდვილეში ვიეტნამელების შეიარაღებაში არსებული საბჭოთა Бе-6 ტიპის ამფიბია-თვითმფრინავი, ისევე როგორც ამერიკელების ზებგერითი F-105 „ტანდერჩეფი", ქართველების ხელით იყო შექმნილი.

Бе-6-ის კონსტრუქტორი გახლდათ გიორგი ბერიაშვილი (ბერიევი), ხოლო F-105-ისა — ალექსანდრე ქართველიშვილი (ქართველი).

ამჯერად მოგითხრობთ შორეულ ამერიკაში მოღვაწე ალექსანდრე ქართველზე, რომლის მიერ შექმნილმა სამხედრო თვითმფრინავებმა დიდი როლი ითამაშეს ამერიკული ავიაციის განვითარებაში.

ალექსანდრე ქართველის შესახებ ცნობები მოგვაწოდა ცნობილმა მხატვარმა დიმიტრი ერისთავმა, ამერიკელი კონსტრუქტორი მისი ბიძა იყო.

ალექსანდრე ქართველიშვილი 1896 წელს დაბადებულა თბილისში, სოლანლუღში, მოსამართლის ოჯახში.

სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დროს, იგი რუსეთის არმიაში არტილერისტად მსახურობდა. ფრონტზე ალექსანდრეს პირველად უნახავს თვითმფრინავები და სამუდამოდ მოუხიბლავს ავიაციას. 1919 წელს იგი პარიზში გაგზავნეს, სადაც დაამთავრა უმაღლესი საავიაციო სკოლა და ინჟინრის დიპლომი მიიღო. იგი აპირებდა დამოუკიდებელ საქართველოში შეექმნა სამხედრო ავიაცია, მაგრამ 1921 წელს ბოლშევიკების შემოჭრამ აიძულა, საფრანგეთში დარჩენილიყო.

თავიდან ალექსანდრე ქართველიშვილს არ უმართლებდა, ვერ შოულობდა მუდმივ სამუშაოს, ხან მათემატიკას ასწავლიდა, ხანაც ტანვარჯიშს. ბოლოს და ბოლოს, ავიაციაში დაიწყო მუშაობა. თვითმფრინავის მართვა ისწავლა და ცნობილი ავიაკონსტრუქტორის, ბლერიოს ფირმაში მფრინავ-გამომცდელად მოეწყო. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ-ერთი ახალი თვითმფრინავის გამოცდისას ალექსანდრე ავარიაში მოყვა, ხერხემალი და კისერი დაიზიანა და დაემშვიდობა მფრინავის პროფესიას.

მაგრამ ალექსანდრე ქართველიშვილს საავიაციო ინჟინრის პროფესია არ მიუტოვებია. ერთ-ერთ საავიაციო ფირმაში კონსტრუქტორად დაიწყო მუშაობა და მონაწილეობა მიიღო იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი თვითმფრინავის შექმნაში.

ახალგაზრდა ქართველ ინჟინერს თავის გამოჩენა სურდა და ორ ფრანგ კოლეგასთან ერთად შექმნა შვიდძრავიანი, 50-ტონიანი სამგზავრო თვითმფრინავის პროექტი, რომელსაც 60 მგზავრი უნდა გადაეყვანა პარიზიდან ნიუ-იორკში. ეს იმ დროისთვის, შეიძლება ითქვას, ფანტასტიკური ჩანაფიქრი გახლდათ და ეტყობა, იმიტომაც ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, ერთ-ერთი ტრანსატლანტიკური გადაფრენის დასრულების შემდეგ ალექსანდრე ქართველმა გაიცნო ამერიკელი მილიონერი ლევინი. ლევინი დაინტერესდა ქართველის გიგანტური თვითმფრინავის პროექტით და ქართველი კონსტრუქტორი, მის ფრანგ კოლეგებთან ერთად, ამერიკაში მიიწვია.

ასე მოხვდა ალექსანდრე ქართველიშვილი, რომელიც უკვე ქართველად იწერებოდა, ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც დაიწყო მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა. ებრაული წარმოშობის ამერიკელ მილიონერ ლევინთან პარტნიორული საქმიანობა ვეღარ გაგრძელდა, რადგან ამ უკანასკნელმა ფული დაზოგა და ქართველს ექსპერიმენტული თვითმფრინავის ასაგებად უყიდა ნახმარი ავიაძრავა, რომელმაც თვითმფრინავი ჰაერში ვეღარ ასწია.



F-84-მა თავი კორეის ომში გამოიჩინა

1931 წელს ალექსანდრე ქართველი ამერიკაში შეხვდა ცნობილ რუს ავიაკონსტრუქტორს სევერსკის, რომელმაც ქართველი კოლეგა თავის ახალჩამოყალიბებულ ფირმაში მიიღო მთავარი ინჟინრის პოსტზე.

1939 წელს ამ საავიაციო ფირმაში დიდი ცვლილებები მოხდა. ალექსანდრე ქართველი დააწინაურეს ფირმის ვიცე-პრეზიდენტად და ამავე დროს საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელად დანიშნეს.

სწორედ ამ დროიდან იწყება კონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველის ინჟინრული ნიჭის სრულფასოვანი გამომჟღავნება — 60-იანი წლების დასაწყისამდე იგი საავიაციო ფირმა „რიპაბლიკის" მიერ გამოშვებული ყველა საბრძოლო თვითმფრინავის მთავარი კონსტრუქტორი გახლდათ.

მათ შორის გამორჩეულად უნდა აღინიშნოს გამანადგურებელი P-47 „ტანდერბოლტი". ეს თვითმფრინავი აღიარებულია მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთ უმძლავრეს ერთძრავიან გამანადგურებლად, რომელიც წარმატებით ებრძოდა როგორც იაპონურ „ზეროებს", ისე გერმანულ „მესერშმიდტებს".

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ავიაცია რეაქტიულ ძრავებზე გადავიდა. ამ მნიშვნელოვან პროცესს არც ქართველის „რიპაბლიკი" ჩამორჩა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა და გამოვიდა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სერიული რეაქტიული გამანადგურებელი თვითმფრინავი F-84 „ტანდერჯეტი". იგი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში 1947 წელს მიიღეს და მალევე კორეის ომში „გაამწესეს". ქართველის „ტანდერჯეტი" კორეის ცაში გაჩაღებულ საჰაერო ბრძოლებში აშკარად ჩაგრავდა კორეელთა მხარეზე მებრძოლ მიქოიანის МиГ-9-ებსა და იაკოვლევის Як-15-ებს. მაგრამ კორეის თავზე ახალი, თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის მიერ გამოშვებული МиГ-15-ების გამოჩენის შემდეგ ქართველის „ტანდერჯეტებს" ძალზე გაუჭირდათ. ალექსანდრე ქართველის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან რეკორდულად მცირე დროში, სულ 6 თვეში, გამოუშვა „ტანდერჯეტის" მოდერნიზებული, ისრისებრფრთიანი მოდიფიკაცია F-84F „ტანდერსტრაიკი", რომლის მაქსიმალური სიჩქარე 1150 კმ/სთ-მდე გაიზარდა. ამის შემდეგ კორეის ცაში უფრო ხშირად გამოჩნდებოდნენ ხოლმე ცეცხლმოდებული МиГ-ები, რამაც ძალიან განარისხა სტალინი. მალე ბერიას მზვერავებმა უმაღლეს მთავარსარდალს მოახსენეს, რომ მისი ნაქები МиГ-ების მრისხანე მტრები ბოლშევიკების მიერ საქართველოდან გაძევებული ქართველი კონსტრუქტორის მიერ შექმნილი თვითმფრინავები იყვნენ.



P-47 მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონურ „ზეროებს" წარმატებით ებრძოდა



F-105 ვიეტნამელი პარტიზანების რისხვად იქცა

სულ გამოშვებული იქნა 4.457 ერთეული F-84 „ტანდერჯეტი" და 3.461 ცალი F-84F „ტანდერსტრაიკი", რამაც „რიპაბლიკის" ფირმას უდიდესი ფინანსური მოგება მოუტანა.

თუმცა ალექსანდრე ქართველის კონსტრუქტორული ნიჭის გვირგვინად იქცა F-105 „ტანდერჩიფი". ეს იყო პირველი ამერიკული ზებგერითი გამანადგურებელ-ბომბდამშენი თვითმფრინავი, რომელსაც ტაქტიკური დანიშნულების ბირთვული ბომბის წაღება შეეძლო, თანაც ეს ბომბი სპეციალურ ბომბსათავსში ინახებოდა და გარედან არ ეტყობოდა, მიჰქონდა თუ არა თვითმფრინავს ბირთვული იარაღი.

ქართველის „ტანდერჩიფები" წლების განმავლობაში გამზადებულნი იდგნენ NATO-ს სამხედრო აეროდრომებზე, რომ მესამე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ბირთვული დარტყმა მიეყენებინათ საბჭოთა არმიის შენაერთებისთვის.

სხვათა შორის, ქართველის „ტანდერჩიფები" თურქეთში, ამერიკულ სამხედრო ბაზაშიც იყო თავმოყრილი. მათი მთავარი სამიზნე გახლდათ თბილისსა და მის ახლოს არსებული საბჭოთა სამხედრო დანაყოფების დისლოკაციის ადგილები და სატანკო შენაერთები.

საბედნიეროდ, „ცივი" ომი ნამდვილში არ გადაიზარდა და ქართველის გამანადგურებელ-ბომბდამშენები მისი შემქმნელის ისტორიულ სამშობლოს სასიკვდილო „ნობათით" არ სწვევიან. „ტანდერჩიფებმა" თავი ვიეტნამის ომში გამოიჩინეს.

ორიგინალური კონსტრუქციის (ქართველის „ტანდერჩიფი" მსოფლიოს ყველა დანარჩენი საბრძოლო თვითმფრინავისგან მკვეთრად განსხვავდება წაწვეტებული ჰაერმიმღებებით) თვითმფრინავები ვიეტნამის ომში უმთავრესად ბომბდამშენებად გამოიყენებოდა. მათ დიდი ზარალი მოუტანეს ვიეტნამელ პარტიზანებს.

სულ გამოშვებული იქნა 800-ზე მეტი F-105.

1962 წელს 66 წლის ალექსანდრე ქართველი პენსიაზე გავიდა, მაგრამ მალე იგი მთავარ კონსულტანტად დააბრუნეს ფირმა „ფერჩაილდ ინდასტრიში". 1965 წლიდან ქართველი მუშაობდა ორ საიდუმლო პროექტზე, რომლებიც დღეს მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი — მოიერიშე A-10A „ტანდერბოლ-2" და ლეგენდარული F-15 „იგლი".

ქართული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი ავიაკონსტრუქტორის მოღვაწეობა ყოველთვის ძალიან აინტერესებდათ საბჭოთა სადაზვერვო ორგანოებს. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერს გახდნენ და დამატებითი ცნობების მოპოვება ქართველის თბილისელი ნათესავებისგან განიზრახეს. ნათესავებმა, ცხადია, მასზე არაფერი იცოდნენ, მხოლოდ ის შეიტყვეს შემთხვევით, რომ „ვაშინგტონ პოსტის" 1974 წლის 24 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ნეკროლოგი, რომელიც იუწყებოდა, რომ 77 წლის ასაკში ლონგ აილენდში გარდაიცვალა ცნობილი P-47-ისა და F-105-ის კონსტრუქტორი მისტერ ალექსანდრე ქართველი...

# ამერიკელი კერძო „კომანდოსები" ქართული არმიის მოსამზადებლად?!

## პენტაგონმა ქართული ჯარის მომზადება კერძო ფირმას გადაულოცა

ამერიკულ პრესაში ბოლო დღეებში გამოჩნდა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს აშშ-ის ხელისუფლება გააგრძელოს „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა ქართულ სამხედრო ძალებში.

„ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, ამერიკის ხელისუფლებამ კონტრაქტი გააფორმა კერძო ფირმასთან, რომელიც კისრულობს ქართველი სამხედროების მომზადებას, ამისთვის საქართველოში სამხედრო ინსტრუქტორების მობილურ ჯგუფებს გამოგზავნიან.

ამერიკული გაზეთი არაფერს იტყობინება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ეს ინსტრუქტორები, მაგრამ, სავარაუდოდ, ისინი თადარიგში გასული „მწვანე ბერეტები" და „კომანდოსები" უნდა იყვნენ.

კერძო ფირმისთვის „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის გაგრძელების მინდობა აჩვენებს, რომ ვაშინგტონი ცდილობს, ნაკლებად გააღიზიანოს მოსკოვი საქართველოში ამერიკელი სამხედროების სიმრავლით, თუმცა მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რამდენად პროფესიონალურად შეძლებს თუნდ თადარიგის პოლკოვნიკებით დაკომპლექტებული, მაგრამ მაინც კერძო ფირმა, ქართული დანაყოფების სრულყოფილად მომზადებას.

**არსენალი**

# „უზები" ჩამოწერეს, „მოსადი" „ტავორებით" იარაღდება



Tavor Tar-21

ახალ წელს ებრაელი სამხედროები საბოლოოდ დაემშვიდობნენ საქვეყნოდ ცნობილ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ „უზებს". ათწლეულების განმავლობაში „უზით" ხელში ბრძოლებში ყალიბდებოდა ისრაელის სპეცსამსახურები და საარმიო დანაყოფები, დღეს იგი საერთაშორისო ტერორისტთა უსაყვარლეს იარაღადაა ქცეული.

სამაგიეროდ, ებრაელი გენერლები აპირებენ ხელქვეითები ახალ საუკუნეში ახალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვონ.

დღეისათვის ისრაელის თავდაცვის ძალები ამერიკული ავტომატური შაშხანებით — M-16-ითა და საკუთარი წარმოების Galil-ებითაა შეიარაღებული, მაგრამ თურმე ებრაელი სამხედროები მაინცდამაინც კმაყოფილნი არ არიან.

ახალი ავტომატური შაშხანა Tavor Tar-21-ის კონსტრუირება 1991 წელს დაიწყო სახელმწიფო საიარაღო ფირმა IMI-ში, ხოლო საზოგადოებამ იგი მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ ნახა. ამ ხნის განმავლობაში ახალი ავტომატური შაშხანა ინტენსიურად იცვლებოდა ებრაულ სამხედრო დანაყოფებსა და სპეცდანიშნულების ნაწილებში.

მიუხედავად დადებითი შედეგებისა, ისრაელის ხელისუფლებას ჯერჯერობით საბოლოოდ არ გადაუწყვეტია Tavor-ის მასობრივად შესყიდვა, თუმცა 2002 წელს ინდოეთმა გამოთქვა 20 მლნ დოლარის Tavor-ისა და სნაიპერული შაშხანა Galil-ის შეძენის სურვილი.

Tavor-ი შექმნილია „ბულპაპის" პრინციპით, ანუ მჭიდე და სასროლი მექანიზმი სასხლეტის უკან, კონდახშია ჩამონტაჟებული. ამით ებრაული Tavor-ი იმეორებს ბრიტანულ L85-ის, ფრანგული FAMAS-ისა და ავსტრიული AUG-ის კონსტრუქციას. ეტყობა, ეს კონსტრუქცია საბოლოოდ იმარჯვებს, რადგან „ბულპაპის" პრინციპით შექმნილი ავტომატური შაშხანა კომპაქტურია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის ქუჩებში ბრძოლებისას.

სიგრძით იგი 72 სმ-ია, მჭიდეში 30 ვაზნა ეტევა და სულ 3,6 კგ-ს იწონის. საგულისხმოა, რომ საერთო სიგრძის ნახევარზე მეტი — 46 სმ — ლულას უკავია, ისვრის 5,56 მმ კალიბრის NATO-ს სტანდარტის ტყვიებს.

უკვე დამზადებულია Tavor-ის რამდენიმე მოდიფიკაცია, მათ შორისაა სტანდარტული TAR-21, დამოკლებული CTAR-2"Comando" (მისი ლულის სიგრძე 36 სმ-მდეა დამოკლებული), კომპაქტური ავტომატი MTAR-21 "Micro-Tavor"-ი (25 სმ სიგრძის ლულით) და სადგამებიანი და გრძელლულიანი სნაიპერული შაშხანა STAR-21 "Sniper Tavor"-ი.

ებრაელი ინჟინრები TAVOR-ს ამჟამად თანამედროვე ელექტრონულ დასამიზნებელ და მიზნის მაჩვენებელ მოწყობილობას უყენებენ, რის შემდეგაც ის ღირსეულ ადგილს დაიკავებს 21-ე საუკუნის იარაღთა ნუსხაში.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# საშობაო ბალადა

## კარში რომ პირველები გასულიყავით, ზურგიდან უნდა ჩაგვეცხრილეთო



ჯერ დამფრთხალი ცხენის ჭიხვინმა გადაუარა ხეობას, ამას რამდენიმე გასროლა მოჰყვა და მწყემსის ვედრებაც გაისმა — იარაღი მომაშველეთო, — ითხოვდა დაჭრილი ხევსური. ოციანი წლების ბოლშევიკური რეპრესიებით დაშინებულ ხევსურებს იარაღი სახლებიდან შორს, ტყე-ღრეში ჰქონდათ გადამალული და, აბა, ასე უცებ ვინ იყო მისი მომტანი, მით უმეტეს, იმ დღეებში მამაკაცები გზის მშენებლობაზე იყვნენ გაკრეფილნი. ეტყობა, ეს იცოდნენ ინგუშებმა და ამიტომაც გაბედეს ხეობაში ასე ღრმად შემოსვლა. ასე იყო თუ ისე, ქალებისა და ბავშვების ამარა დარჩენილი სოფელი უძლური აღმოჩნდა კბილებამდე შეიარაღებული, ცხენებზე ამხედრებული ინგუშების პირისპირ. ერთადერთი მამაკაცი, რომლის იმედადაც დაეგდოთ საქონელი, ახლა დაჭრილი იყო და იქით ითხოვდა მშველელს. რა უნდა ექნათ ქალებს. მხოლოდ ბალიაურების რძალი ლელა წიკლაური არ შეუშინდა მომხდურთ. ინგუშთა წინამძღოლს სადავეზე უტაცა ხელი და ერთხანს ადგილიდან ფეხიც არ მოაცვლევინა. ქალი დედად შეეფერებოდა უცხოტომელს. ინგუშმა არ იკადრა ქალზე მათრახის აღმართვა. არადა ცოტაც და დედაკაცი ალბათ უნაგირიდან გადმოიღებდა მხედარს, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ მისი ბიძაშვილი დაჭრა და მთის კანონების თანახმად, უკვე ამ ქალის სისხლი მართებდა, მაგრამ ისევ ცხენმა იმარჯვა. ერთი დაიჭიხვინა, ტორებზე შედგა და ზედ გადააფრინდა ქალს. ამასობაში კი მომხდურებს მოეგროვებინათ საქონელი და ახლა სროლა-სროლით მიუყვებოდნენ აღმართს. ერთი ქალი ნამდვილად ველარ შეაკავებდა მათ. სამად სამი მოზვერი შემორჩა იმ დღეს სოფელში. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ეკლესიის ეზოში ძოვდნენ და ურჯულოებმა გვერდი აუარეს სალოცავს.

სამი წლის შემდეგ ინგუშებმა კიდევ სცადეს ხევსურების დაწიოკება, მაგრამ იმ ამბის შემდეგ სოფელს ქალების ამარა აღარ ტოვებდნენ. მომხდურებს ტყვიის ისეთი სეტყვა დაუშინეს, რომ ერთი კაცი მოუკლეს, დანარჩენებმა კი გაქცევით უშველეს თავს. იმ დღეს კიდევ ერთხელ გაუყარა თვალი თვალში ბალიაურების რძალმა მასზე ბევრად ახალგაზრდა ინგუშთა წინამძღოლს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ინგუშები და ხევსურები ერთმანეთს შეურიგდნენ (ბოლოს და ბოლოს, სისხლი აღებული იყო), მაგრამ ლელა ბებომ მაინც ვერ დაივიწყა შეურაცხყოფა და გამუდმებით იმას დარდობდა, მეორედ შეხვედრისას მაინც რატომ ვერ მოვკალიო ინგუშების წინამძღოლი. დიდი ომის წლებში, როცა გერმანელთა სამთო დივიზიებმა (რომელთაც რატომღაც ძალზე რომანტიკული სახელი, „ედელვაისი“ ერქვა) კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებს შემოუტიეს და საარტილერიო ცეცხლით დაფეთებულ ნადირ-ფრინველთან ერთად ასობითა და ათასობით ჩვენი ქედსიქითა მეზობელიც აქეთ ეძებდა თავშესაფარს, საქართველოში ავაზაკებმაც შემოაღწიეს და ერთ-ერთმა სწორედ ხევსურეთში დაიდო ბინა. ისიც ინგუში გახლდათ, ყაჩაღი — კაცის მკვლელი, ბოროტი და დაუნდობელი აჰმედ ხუჩბაროვი.

იგი ორმოცდაორში „გადმოსახლდა“ კავკასიის აქეთა მხარეს და მთელი ცამეტი წელი ყაჩაღობდა ხევსა და ხევსურეთში. ბევრი ოჯახი გაამწარა. ექვსი ქართველის მკვლელობა და ასობით ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა ედებოდა ბრალად, მაგრამ განმკითხავი არავინ იყო. ამაოდ, უფრო სწორად, უგულოდ ირჯებოდა დუშეთის მილიცია. დროდადრო თბილისიდანაც თვალის მოსატყუებლად თუ ჩავიდოდა ერთი-ორი ოპერმუშაკი. თითქოს ოპერაციებსაც გეგმავდნენ, მაგრამ ამით არაფერი იცვლებოდა. ამიტომ საქმე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს დაუქვემდებარეს და მისმა შეფმა ალექსი ინაურმაც გადაწყვიტა: — მოუხელთებელი ბოროტმოქმედი არ არსებობს. არსებობენ მხდალი ოპერმუშაკები, რომლებსაც არ სურთ ხუჩბაროვთან პირისპირ შეხვედრა. იციან, ჩუბინი მსროლელია და თავს არ იტკივებენ. ეს უპირველესად მილიციას ეხება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვერც ჩვენი კომიტეტი დაიკვეხნის ლომგულა ვაჟკაცებით, მაგრამ თითო-ოროლა მაინც მოიძებნება. მაგალითად, ახალგაზრდა ოპერმუშაკი ვარლამ შადური. მე თვალს ვადევნებ მის საქმიანობას და კმაყოფილებას ვერ ვმალავ. ვფიქრობ, მას დაევალება ხუჩბაროვის განეიტრალება. ცამეტი წელია ამ კაცს ვერაფერი მოვუხერხეთ, ამასობაში კი აწიოკებს მთის სოფლებს. მას კარგად ორგანიზებული ბანდა უმაგრებს ზურგს. ეს რომ არა, ხევსურები და მოხევეები თვითონვე გაუსწორდებოდნენ... თათბირის დასასრულს ალექსი ინაურმა ვარლამს მისცა სიტყვა.

— როგორ წარმოგიდგენიათ ხუჩბაროვის განეიტრალება?

— მის აყვანას ალბათ დრო დასჭირდება. მთაში გაჭირდება ოპერატიული თანამშრომლების ჩანერგვა, თან ახლა ზამთარია, ხვალზეგ შეიძლება ისე ჩამოთოვოს, რომ გადაადგილებაც ველარ მოვახერხოთ. ასეთ ვითარებაში მე მასთან შეხვედრასა და ჩაბარებაზე შეთანხმებას ვარჩევდი...

— იმოქმედეთ. ვიცი, რომ პარლამენტიორიც შეგულებული გყავთ. თუ არ ვცდები, ისიც ხუჩბაროვი უნდა იყოს.

— დიახ, აჰმედ ხუჩბაროვის ბიძაშვილი, აბუბაქირ ხუჩბაროვია, წარსულში თვითონაც ყაჩაღი. ჯერ კიდევ ყაზახეთში მუშაობის დროს შემოვირიგე. ამ დილით ჩამოსულა, ჯერ არც შევხვედრივარ...

— ახლავე შეხვდით მას. დეტალებზე მოგვიანებით მოვითათბიროთ.

### ნადირის კვალდაკვალ

ვარლამმა უკვე იცოდა, რომ ყაჩაღი ხევსურეთში, სოფელ არხოტის მახლობლად, ერთ ხანდაზმულ ქალთან იმალებოდა, რომელსაც ეზოს გარეთ გასვლას უკრძალავდა. სახლი კი სოფლიდან იმდენად მოშორებით იდგა, რომ იშვიათად თუ ვინმე ააკითხავდა მოხუცს. მართალია, ჯერ თოვლი არ იდო, მაგრამ დეკემბრის ბოლო დღე იდგა. კიდევ ცოტაც და ახალი წელი უნდა შემობრძანებულიყო. თუმცა, მთაში ახალ წელს ძველი სტილით აღნიშნავდნენ.

შებინდებული იყო, ყველგანმავალმა ჟინვალთან რომ გადაუხვია, მაგრამ ნახევარი გზაც არ ექნებოდათ გავლილი, თოვლი რომ წამოვიდა. ჯერ კანტიკუნტად, მერე კი ისე იძალა, რომ მგზავრებს ბარისახოში ასვლა გადააფიქრებინა. ორწყალას ხევში გადაუხვიეს და ძლივს ააღწიეს შუაფხომდე. სამნი იყვნენ: ვარლამი, ვახტანგ შარაშიძე და აბუბაქირ ხუჩბაროვი. ერთ სახლს მიუახლოვდნენ. მგზავრები უკეთეს მასპინძელს ვერც ინატრებდნენ. ბარისახოს სკოლის დამაარსებელმა, შემდეგში შუაფხოს დაწყებითი სკოლის დირექტორმა ალექსი ოჩიაურმა გაუღო კარი სტუმრებს. მთელი ჯალაბი ფეხზე წამოუდგა მოსულებს, მათ შორის მასპინძლის სიდედრი, ასი წლის ლელა წიკლაური, რომელიც ამ დროს წინდას ქსოვდა. ბერდედამ სამივენი სათითაოდ შეათვალიერა და უცებ გაწყრა, ხუჩბაროვისკენ გაიშვირა ხელი...

> **ძლივს ააღწიეს გამოქვაბულამდე. აქ აჰმედი და მისი ამალა აფარებდა თავს. ხელისგულივით მოჩანდა იქიდან მთელი ხეობა. ვიდრე გამოქვაბულს მიუახლოვდებოდნენ, ვიღაც გამოხტა ბუჩქებიდან, შადურს რევოლვერი მიაბჯინა ყელთან და გაუგებარ ენაზე აღავლავდა. აბუბაქირმა დატუქსა დამხვდური, რომელიც აჰმედის თანაგუნდელი ინგუში აღმოჩნდა.**

ვარლამ შადურის მოგონებიდან:

— შადურო! სახლში მტერი რად მომიყვანე. ეს ჩემი მოსისხლეა... დიდი ხანია, მაგის მოკვლა მწადია, მაგრამ ვერ მოვიხელთე. ახლავე დატოვოს ჩემი ფუძე-კერა, ვიდრე ახალი წლის ღამეს სისხლი არ დაღვრილა. ეს აბუბაქირ ხუჩბაროვია, რომელიც ყმაწვილკაცობისას თავს დაესხა ხევსურებს და საქონელი ინგუშეთს წაასხა. შეტაკებისას ჩემი ახლო ნათესავი კი დაჭრა, მაგრამ არც ჩვენ დავრჩით ვალში. ამხანაგი მოვუკალით...

ადვილი წარმოსადგენია, რა უხერხული სიტუაციაც შეიქმნებოდა. ერთი მხრივ, უშიშროების მაღალჩინოსნები, რომელთაც აბუბაქირი სწორედ ამ დღისათვის ჩამოიყვანეს ინგუშეთიდან და მეორე მხრივ, ოჯახის თავკაცი, ალექსი ოჩიაური და მისი გაკერპებული სიდედრი. შემცბარმა აბუბაქირმა აღიარა, რომ მოხუცი არ ტყუოდა, რომ ასეთი რამ მართლაც მოხდა ოცდახუთი წლის წინო. ალექსი ბევრს ეცადა, მაგრამ სიდედრი რომ ვერ დაიყოლია, მეორე, ახალაშენებულ სახლში გაუშალა ლოგინი სტუმარს...

ახალი წელი უხმაუროდ მოვიდა ხევსურეთში. ოჩიაურების გარდა არავის აღუნიშნავს მისი შემობრძანება. იქაურები მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ელოდნენ მის შემობრძანებას. იმ ღამეს ყველას ღრმა ძილით ეძინა. ერთადერთი, ვისაც თვალი არ მოუხუჭავს, ალექსის სიდედრი იყო.

დილით თოვამ კი გადაიღო, მაგრამ იმსიმაღლე დაედო, წელზემოთ უწევდა მგზავრებს. მაინც სცადეს ზემო ხევსურეთში ასვლა. ალექსი ოჩიაურმა მეგზური გააყოლა სტუმრებს და საგზალიც გაატანა. ოთხი ვაჟკაცი ერთმანეთს ენაცვლებოდა მეწინავეობაში. გზა არაგვის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა. სიარული უფრო და უფრო გაჭირდა. მერე ერთი ცხენიანი ხევსურიც დაემგზავრა. მაგრამ ცხენებს კაცზე უფრო უჭირდა თოვლის გაკვალვა, მით უმეტეს, რომ ვეებერთელა ხურჯინი აეკიდა მისთვის პატრონს. ერთ ვიწრო გასასვლელში, ფლატეს პირას, ხურჯინი კლდეს წამოედო, ცხენი შექანდა და მდინარეში გადაეშვა. დაღონებულ ხევსურს თავიანთი საგზალი დაუთმეს ჩვენმა მგზავრებმა, ინგუში გააყოლეს და სთხოვეს: თუ მოახერხებ, ეს კაცი სადმე დააბინავე და გზა რომ გაიხსნება, ამოვაკითხავთო და გაბრუნდნენ. მზე დასავლეთისკენ გადახრილიყო, მათ გზის ერთი მესამედიც არ ჰქონდათ გავლილი.

### გამოქვაბულის ბინადარი

ხუთი იანვრისთვის თოვლი ერთბაშად დადნა ხევსურეთში. ისეთი თბილი ამინდები დაიჭირა, კაცი იფიქრებდა, აგერ-აგერ გაზაფხული გვესტუმრებაო და ვარლამმა კვლავ მთას მიაშურა, ამჯერად გიორგი გუჩმაზაშვილთან ერთად. გამგზავრებამდე ინაურმა დამოძღვრა — ბარისახოდან იქონიე ჩემთან კავშირი. შეხვედრის დღეს ეცადე ექვს საათში დაამთავრო აუდიენცია, თუ დაგაგვიანდა, ჩემი ხალხით ამოგაკითხავ...

შუაფხოში აბუბაქირი დახვდა ვარლამს — შევხვდი და ვესაუბრე აჰმედს. თქვენთან შეხვედრაზეც დავითანხმე. თუმცა მგონია, რომ ამას ჩემი ხათრით აკეთებს და ტყიდან გამოსვლას არ აპირებს.

— ჯერ შემახვედრე და მერე ვნახოთ...

ძლივს ააღწიეს გამოქვაბულამდე. აქ აჰმედი და მისი ამალა აფარებდა თავს. ხელისგულივით მოჩანდა იქიდან მთელი ხეობა. ვიდრე გამოქვაბულს მიუახლოვდებოდნენ, ვიღაც გამოხტა ბუჩქებიდან, შადურს რევოლვერი მიაბჯინა ყელთან და გაუგებარ ენაზე აღავლავდა. აბუბაქირმა დატუქსა დამხვდური, რომელიც აჰმედის თანაგუნდელი ინგუში აღმოჩნდა. ვარლამმა ყაჩაღის ხალხი შეათვალიერა. ექვსნი იყვნენ. ამ დღისათვის მეტისმეტად საზეიმოდ ჩაცმულები ეჩვენა, თუმცა კბილებამდე იარაღი ჰქონდათ ასხმული. აჰმედი უხერხულობის გასაფანტად ჯერ ყმაწვილს გაუწყრა, მერე კი ვარლამს თავაზიანად უთხრა, როგორც მოხევეს, ალბათ, მთაში სიარული არ გაგიჭირდებოდათო.

> **ცამეტი წელია ამ კაცს ვერაფერი მოვუხერხეთ, ამასობაში კი აწიოკებს მთის სოფლებს. მას კარგად ორგანიზებული ბანდა უმაგრებს ზურგს. ეს რომ არა, ხევსურები და მოხევეები თვითონვე გაუსწორდებოდნენ... თათბირის დასასრულს ალექსი ინაურმა ვარლამს მისცა სიტყვა.**

— ოჰო, ჩემი სადაურობაც გცოდნია, ეს როგორ გავიგოთ?

— განა შეიძლება ჩემისთანა კაცმა არ იცოდეს ვის მასპინძლობს? — იყო პასუხი და იქვე უბრძანა ბიჭებს, საუზმის თადარიგი დაიჭირეთო. მანამდე კი პისტოლეტით სროლაში გაჯიბრება შესთავაზა ვარლამს. ეს უკვე გამოწვევა იყო, მაგრამ უკან დახევა არ იქნებოდა და ვიდრე კოცონზე ჯიხვის ხორცის მწვადები შიშხინებდა, ყაჩაღი და მაძებარი სამიზნის წინ დადგნენ. 1955 წლის შვიდი იანვარი იყო იმ დღეს.

ხუჩბაროვმა სამიზნედ პაპიროს „ყაზბეგის“ კოლოფი დადო. ოცდაათი ნაბიჯი გადაზომა და როგორც სტუმარს, პირველობა ვარლამს დაუთმო.

ვარლამ შადურის მოგონებიდან: „შევნიშნე, ხუჩბაროვს ხელები უთრთოდა. საკვირველია, მაგრამ მე მშვიდად ვიყავი. ერთადერთი რამ მსურდა, ეს პირველი შებრძოლება მომეგო ყაჩაღისთვის“.

ვარლამმა ეს ბრძოლა მოიგო და თან ისე, რომ ხუჩბაროვის ნასროლი სათვალავში ჩასაგდები არც იყო. რა თქმა უნდა, ამ გამარჯვებამ აამაღლა ვარლამის ავტორიტეტი ყაჩაღის თვალში და იგი მეტი პატივისცემით ეპყრობოდა სტუმარს, ყურადღებით ისმენდა მის არგუმენტებს იმის შესახებ, რომ ტყე-ტყე წანწალი კარგს არაფერს გადაჰყრიდა. აჰმედს უარი უნდა ეთქვა წარსულზე და თავისი ბანდით სამართალდამცველებს ჩაჰბარებოდა. ასეთ შემთხვევაში სასჯელის შემსუბუქებას ჰპირდებოდნენ.

— თანახმა ვარ, ოღონდ ექვსი თვე დამჭირდება, მერე კი წერილით შეგატყობინებთ ჩვენი შეხვედრის შესახებ. ჩემმა ამხანაგებმა კი თავიანთი ბედი თვითონ გადაწყვიტონ, — თქვა ყაჩაღმა.

— ასე იყოს, ოღონდ ერთ რამეზე შევთანხმდეთ. ავდგეთ ახლა და თბილისში, ინაურთან ჩავიდეთ. პისტოლეტი თან იქონიე, მე გენდობი. იმ კაცთან იგივე გაიმეორე და პირობას გაძლევ, ხვალვე დაბრუნდები მთაში. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა სპეცდანაყოფი გადმოისროლონ აქეთ და მერე ველარაფერს გიშველი, — უთხრა ვარლამმა.

— ყურანზე დაიფიცებ, რომ არ ტყუი? — გამოსცრა ყაჩაღმა. ვარლამი მართლაც არ ცრუობდა, ამიტომ ყურანზე კი არა, ბიბლიაზეც დიდი სიამოვნებით დაიფიცებდა, მაგრამ ყაჩაღს მაინც ანგარიში გაუწია და მუსლიმანთა წმინდა წიგნზე ფიცი დადო, რომ არ ცრუობდა. ახლა მას ერთი სული ჰქონდა, როგორმე ბუნაგიდან გამოეგდო ეს მხეცი. ამასობაში კი დრო გადიოდა. ვარლამმა იცოდა, რომ მის საშველად წამოსული ალექსი ინაური საბრძოლო ჯგუფთან ერთად ამ წუთებში ქვევით, სადღაც ორწყალას რაიონში იქნებოდა დაბანაკებული. ხუჩბაროვმა სტუმრებს გაცილება შესთავაზა და აღუთქვა, რომ ორ თვეში ჩაჰბარდებოდა ხელისუფლებას, მაგრამ, როცა მომავალ ინაურს ჰკიდა თვალი, აწრიალდა.

— აჰმედ, მე ხომ ყურანზე დავიფიცე. აგერ, უიარაღო კაცი თანახმა ვარ, ამ წუთში შენთან ერთად უკან დავბრუნდე და გამოქვაბულში ვიცხოვრო. მე სიტყვა მოგეცი და არ გავტეხ. დღეს გამოგვყევი და ხვალ დაბრუნდები. პირობას გაძლევ, იარაღსაც არ აგყრით, — ეს ისე მტკიცედ უთხრა ვარლამმა, ყაჩაღს უარის თქმის საბაბიც აღარ დაუტოვა და ისიც მანქანაში მოკალათდა. მისი მხლებლებიც მანქანებში ჩასხდნენ. კოლონა თავდაღმართში დაეშვა. პირველმა ალექსი ინაურმა დაარღვია სიჩუმე.

— შეგვიძლია აქვე, მანქანაში მოვილაპარაკოთ, მაგრამ სხვა მანქანებში მსხდომებმა რაღა დააშავეს. აგერ, ჟინვალის სასოფლო საბჭოში შევიდეთ და მოვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ.

იქ კი გენერალმა ინაურმა აჰმედსა და მისი ბანდის წევრებს დაუდასტურა, რომ ვარლამ შადურის პირობა ძალაში დარჩებოდა და თვით ვარლამი იქნებოდა მათი უსაფრთხოების გარანტი, ოღონდ ახლა თბილისში უნდა ჩასულიყვნენ და ყველაფერი ეს დოკუმენტურად გაეფორმებინათ. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო, ბანდა თბილისში წასვლაზე ფეხს ითრევდა. შენობიდან გასვლისას ხუჩბაროვმა დაიჟინა, ჯერ თქვენ გადითო, მაგრამ არც ინაურმა დათმო და პირველები ბანდიტები გავიდნენ გარეთ. მერე კი, როცა თბილისში, სათანადო აქტის გაფორმების შემდეგ ყველას გამოუცხადეს, — როგორც შევთანხმდით, შეგიძლიათ უკან გაბრუნდეთ, ეზოში მანქანები გელოდებათო და შენობის კარი გაუღეს, ხუჩბაროვმა აღიარა, რომ ჟინვალში, კარში რომ პირველები გასულიყავით, ზურგიდან უნდა ჩაგვეცხრილეთო და ამით თითქოს მოინანია კიდეც ავი ჩანაფიქრი. ინაურმა კი იქვე გასცა ბრძანება: ვიდრე ამათ არაფერი ეეჭვებათ, ხევსურეთში ტოპოგრაფიული „ექსპედიცია“ გაუშვითო, რაც მეორე დღესვე შესრულდა. ბარისახოში თორმეტმა „ტოპოგრაფმა“ დაიდო ბინა და „რუკების შედგენა“ დაიწყეს. არ ენდობოდა გენერალი ბანდიტებს და მართალიც იყო. მოლაპარაკებიდან ორი კვირის თავზე ხუჩბაროვის ბანდა ბარისახოსკენ მიმავალ ავტობუსს დაეცა და გაძარცვა. „ტოპოგრაფებმა“, რომელთაც ამ საქმისათვის საჭირო ინვენტართან ერთად ხელბორკილებიც აღმოაჩნდათ და პისტოლეტებიც, ამჯერად უკვე განიარაღებული ჩააბრძანეს თბილისში ხუჩბაროვის ბანდა. თუმცა ალექსი ინაური ძველებურად თავაზიანად აღარ შეხვედრია მათ.

**ვაჟა გავაშელი**

# „ჩემი ბიჭი კანფეტებით მეგებება და შუბლზე 5-ლარიანს მაკრავს“

## „ყალბი აზრების გაკვრას უნდა მოვერიდოთ“

გადაცემის ბოლოს რომ არის სიმღერა, „ფიფქები“, იმასაც მე და ეკა მამალაძის გოგონა ვმღერით. მთელი დღე, დილის 10 საათიდან დაღამებამდე ვიღებდით ჩემი ფოსტალიონობის, წერილების გადაცემის ეპიზოდს. დავიღალე კიბეზე სიარულით, თუმცა სახალისოც იყო. თავიდან მითხრეს, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილიც მონაწილეობენ ამ გადაცემაშიო. როგორც ჩანს, მათი ჩაწერა ვერ მოხერხდა.

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

სერიოზული პრობლემაა პროფესიული კადრების საკითხი. ჩვენთან კაცი სანაოსნოს ეპოტინება და ნავში არ არის ნაჯდომი, მავანი ავიაციაზე აცხადებს პრეტენზიას და თვითმფრინავი არ უნახავს ხეირიანად. ფინანსთა მინისტრს ერთი საბუღალტრო დოკუმენტი მაინც არ უნდა ჰქონდეს გამოწერილი? გამოცდილი, პროფესიონალი ხალხის წინ პარტიული ნომენკლატურა არ უნდა დადგეს.

ახალმა ხელისუფლებამ ბიზნესის განვითარებასაც უნდა შეუწყოს ხელი. გადასახადისგან თუ მხოლოდ ჯიხურის მეპატრონე (პირობითად, მცირე ბიზნესი) გათავისუფლდა, იგი ჯიხურიდან ალარასოდეს გამოვა. ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ჯიხურის მფლობელს, რომ კარგი მაღაზია გახსნას და იმასაც შეუმციროს გადასახადი.

თუ გვინდა ქვეყანა განვავითაროთ, რისკიანი და არაორდინარული ნაბიჯები უნდა გადავდგათ. სოლიდარობის გადასახადი თავის დროზე გერმანიაში შემოიღეს, მაგრამ მალევე თქვეს უარი მასზე. მის ნაცვლად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აღორძინებისთვის გერმანიის მთავრობამ 50%-ით ნაკლებად დაბეგრა ის საწარმოები, რომლებიც ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე იყო. შედეგად იქ საწარმოთა მშენებლობის ბუმი დაიწყო, მოსახლეობა დასაქმდა და ეკონომიკაც განვითარდა.

თავის დროზე, როდესაც პრაღის ცენტრმა — ძველმა შენობებმა ნგრევა დაიწყო, ჩეხეთის ხელისუფლებამ მშენებლობის გადასახადისგან გაათავისუფლა პირები, რომლებიც ისტორიულ შენობებს ძველ იერს შეუნარჩუნებდნენ. პრაღა ამით გადარჩა. ვფიქრობ, მიშას შეუძლია არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღება. ბიუჯეტი ასეთი გააზრებული ნაბიჯებით უნდა შეივსოს, თორემ ისევ გაუბედურებული იქნება ეს ქვეყანა — იქნება უამრავი რესტორანი, ლამაზი სუპერმარკეტები, ქუჩაში უამრავი უცხოური (მაგრამ დანჯღრეული) მანქანა და სინამდვილეში კი ვიქნებით ლატაკები.

დღეს ლაპარაკია სტრატეგიული ობიექტების — რკინიგზისა და ფოთის პორტის აქციონირებაზე — ამას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. რომ გამოვაცხადოთ, ამ საწარმოს აქციების ხალხისთვის მიყიდვა გვინდაო, აქვს კი ხალხს აქციების შესასყიდი ფული?! ამით ფაქტობრივად ზოგიერთი ფინანსური ჯგუფის ხელში აღმოჩნდება ეს ობიექტები. ყალბი აზრების გაკვრას უნდა მოვერიდოთ. ქვეყანაში, სადაც საშუალო ფენა არ არსებობს, ასეთი პროცესები საშიშია.

**— პრეზიდენტ შევარდნაძესთან თქვენ ახლო ურთიერთობა გქონდათ, გადადგომის შემდეგ თუ ნახეთ?**

— როგორ არა, დღესაც ვესაუბრე ტელეფონით. შევარდნაძე არ არის ჩვეულებრივი პოლიტიკოსი. სახელისუფლებო ბლოკში არ შევედი იმიტომ, რომ იქ ბევრ რამეს არ ვეთანხმებოდი. ეს იცოდა პრეზიდენტმა და არც დაუძალებია ჩემთვის. ძველი მთავრობა ბოლო დროს არაეფექტიანი გახდა. გასული წლის გაზაფხულზე ჩვენთან ბიზნესმენები შეიკრიბნენ და საყვედური ვთქვით მთავრობაზე — რასაც დაგვპირდით, რატომ არ გაგვიკეთეთ (საგადასახადო კოდექსში ცვლილებები არ განახორციელეს), ნუ გვკლავენ და ნუ გვიტაცებენ, მუშაობის საშუალება მოგვეცით-თქო. მეორე დღესვე დაიწყეს ბიზნესმენების დაბარება, მერე მრეწველთა ოფისში შეიკრიბა მეწარმეთა ერთი ნაწილი და ისინი დაგვიპირისპირა ხელისუფლებამ. შევარდნაძის მთავრობის წასვლის პროცესი იმ დღიდან დაიწყო, როდესაც მათ კრიტიკა, ადამიანური საყვედური ვერ აიტანეს. როცა აპრილში ვუთხარით, რაც წლის ბოლოს (და ყველაფერი აუხდათ) ელოდათ, არ ესიამოვნათ, ოპოზიციონერობა დაგვწამეს. ხელისუფლება ბიზნესმენების დაპირისპირების პროვოცირებას შეეცადა. მაშინ პრეზიდენტს და სახელმწიფო მინისტრს ველაპარაკე, არ შეიძლება ბიზნესმენების დაპირისპირება, ქვეყანა კატასტროფამდე მივამეთქი. როგორც კი „მრეწველების“ ოფისიდან საყვედურები გაისმა, რამდენიმე ბანკის ხელმძღვანელი მოვიდა და მითხრა, „მეორე ბანაკს“ დაფინანსებას შევუწყვეტთო. ეს რომ მართლაც მომხდარიყო, ქვეყანა საშინლად აირეოდა. მერე პრესაში დაიწერა, „გადამხდელებს“ შეეშინდათო. სინამდვილეში, ჩვენ შეგნებულად არ გავამწვავეთ სიტუაცია.

**— სხვათა შორის, ამ ინციდენტის მიზეზი სხვაგვარად გახმიანდა — ჟორჟანძემ „გადამხდელებს“ სახელისუფლებო ბლოკის დაფინანსება მოსთხოვაო.**

— ასეთი რამ არ ყოფილა. თუმცა მამუკა ხაზარაძემ და სხვებმა განაცხადეს, ვინც მუშაობაში ხელს არ გვიწყობს, მათ არჩევნებზე არ მივეხმარებითო და ასეც მოხდა. საპასუხოდ, გადამხდელთა კავშირის წევრებს საგადასახადო მიუსიეს. ჩვენი წევრი 2000 ორგანიზაციაა, მათში საშუალოდ 100-100 კაცი ხომ მაინც მუშაობს. 200 ათასი კაცი ხმას რომ არ მოგცემს, როგორია? შევარდნაძემ შეცდომა დაუშვა, ბლოკს რომ ჩაუდგა სათავეში. არც უნდოდა, მისგან არაერთხელ მსმენია, მე მხოლოდ არბიტრი ვიქნები, ღირსეულმა გაიმარჯვოსო. ბოლოს რატომღაც შეიცვალა შეხედულება. ის, რომ საარჩევნო სუბიექტად არ გადაქცეულიყო, ყველა პარტიასთან შეძლებდა ლაპარაკს და საპრეზიდენტო ვადასაც ბოლომდე მიიყვანდა. თუმცა არც სავარძელს ებღაუჭებოდა. ეს იმით დაამტკიცა, რომ მშვიდობიანად წავიდა. მით უმეტეს, რომ გვერდით აგრესიული ხალხი ჰყავდა.

**— ნაწყენი ხომ არ არის ვინმეზე პრეზიდენტი შევარდნაძე?**

— არავითარი წყენა არ შემინიშნავს მისთვის. ვატყობ, რომ ნანობს, — ზოგიერთი ნაბიჯი სხვანაირად უნდა გადამედგაო...

ამიტომ ახალ ხელისუფლებას ძველის შეცდომების გამოსწორება და გათვალისწინება მართებს. შეცდომა დაუშვა ზვიად გამსახურდიამაც, როდესაც გამოუცდელი თანაპარტიელებით მოინდომა ქვეყნის მართვა და კომუნისტებს (გამოცდილ მუშაკებს) ხელი აუქნია. საქართველოს პრეზიდენტობაზე ძველი პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენელს რომ პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, ცხადია. ახალ ვითარებას ეს ხალხი ალღოს ვერ აუღებს, ქვეყანას ვერ გაუძღვება, მაგრამ მათი გამოცდილების გაზიარება და გამოყენება ზოგიერთ სფეროში წაადგებოდა ახალ ხელისუფლებას. მჯერა ახალი ხელისუფლების შემდგომი ხელისუფლება კიდევ უკეთესი იქნება. იმიტომ, რომ ამათ კომუნიზმის ეპოქის კუდი მაინც მოხვდათ, მათ შემდგომ ხელისუფლებას კი არც ეხსომება კომუნისტები...

**— ბატონო ნიკო, ახალ წელზეც ვთქვათ რამე...**

— უჰ, ბევრი კარგი ახალი წელი მახსოვს. მამაჩემის ოჯახში, პლეხანოვზე, ახალ წელს 60 კაცი მაინც გვეწვეოდა ხოლმე... 1986 წლიდან ყველა ახალი წელი ვიდეოფირზე მაქვს აღბეჭდილი. სანამ დავოჯახდებოდით, ახალი წლის შეხვედრის შემდეგ მე, ჩემი ძმა და ჩემი და სახლიდან მივდიოდით, მეგობრებთან. ჩემი სამეგობრო ფეხბურთელი არველაძეების დედის ოჯახში იკრიბებოდა (მათი მამა იყო ჩვენი მეგობარი). 2 საათიდან დილამდე ვქეიფობდით. მერე ვაკიდან პლეხანოვისკენ სიმღერით მივდიოდით. მაშინ თბილისიც სხვანაირი იყო — ყოველი ფანჯრიდან ქუჩაში სიმღერა ისმოდა.

ჩვენი სამეგობრო პოპულარული ხალხი ვიყავით, კარგად მოლხენა და სიმღერა ვიცოდით და სულ გვპატიჟებდნენ ხოლმე. ისეთი პერიოდი გვქონდა, ყველა ვიღაცას რომ ეპრანჭებოდა და ერთხელ ქუჩაში სიმღერით მოვდივართ... უცნობმა გაგვიჩერა მანქანა, — გეხვეწებით, ჩემთან წავიდეთო. ჩავუსხედით. გიტარა გაქვთ სახლში? — ვკითხეთ. არაო. გადავწყვიტეთ, გიტარა გვეშოვა. ჩემი მეგობარი ერთი სახლის მეორე სართულზე ავიდა, კარზე გვარი ამოიკითხა, ჩამოვიდა და პირველზე დავაკაკუნეთ — კანფეტები მივეცით და ვუთხარით, თქვენს მეზობელ ტყეშელაშვილებთან ვქეიფობთ, გიტარა გვინდა-თქო. კი, მაგრამ გიტარა ხომ წაიღეთ უკვეო. აი, ასე ჩავიჭერით... ერთხელაც 2 იანვარი იყო, ოთხნი ვართ, ნასვამები და ვხედავთ ვარაზისხევში მაგარი რეიდია. ყველას აჩერებენ და ჭიქაში ასუნთქებენ. ფეხით ვიყავით, მაგრამ გადავწყვიტეთ გვეხუმრა. ვაჟა ბაკურაძე მივიდა ინსპექტორთან და ეუბნება — მაგარი მთვრალი ვარ, 500 მანეთს მოგცემ და გამიშვითო. რას ჰქვია, „რულზე“ ეგეთი მთვრალი როგორ ზიხარ, მოდი, ჭიქაშიც ჩაჰბერეო... დაიწყო ერთი გაქაჩვა, ბოლოს რომ გაიგეს, მანქანით არ ვიყავით, იმათაც ბევრი იცინეს და ჩვენც — აი, ასეთი ახალგაზრდები ვიყავით მაშინ.

**— ახლა რა ხდება თქვენს ოჯახში ახალ წელს?**

— თორმეტ საათამდე ვსხდებით სუფრასთან ძველი წლის გასაცილებლად, 12 საათამდე 3 სადღეგრძელოს თქმას ვასწრებთ. მერე მე გავდივარ გარეთ და მეკვლედ 12 საათზე შემოვდივარ კანფეტით და გოზინაყით ხელდამშვენებული. ჩემი ბიჭი კანფეტებით მეგებება და შუბლზე 5-ლარიანს მაკრავს ხოლმე. მერე ვლოცავთ დამდგარ ახალ წელს, სიმშვიდეს, სიკეთეს, ჯანმრთელობას ვუსურვებთ ერთმანეთს და აუცილებლად ვსვამთ ჩვენი ლამაზი ქვეყნის სადღეგრძელოს. წელსაც იმედიანად შევხვდით ახალ წელს და ღმერთმა ქნას, ეს იმედი არ გაგვცრუებოდეს არც მე და არც ჩემს ქვეყანას...

**— ბატონო ნიკო, საახალწლო გადაცემაში „მზიური ქვეყნის სერენადა“ ფოსტალიონის როლში გიხილეთ. რამდენადაც ვიცი, სიმღერასაც თქვენ ასრულებთ.**

— ტელეკომპანიიდან მოვიდნენ და მითხრეს, — გვინდა ფოსტალიონის როლი შეასრულოთო. ჯერ სიმღერა ჩავწერეთ, ნახევარი საათი დამჭირდა. გადაცემის ბოლოს რომ არის სიმღერა, „ფიფქები“, იმასაც მე და ეკა მამალაძის გოგონა ვმღერით. მთელი დღე, დილის 10 საათიდან დაღამებამდე ვიღებდით ჩემი ფოსტალიონობის, წერილების გადაცემის ეპიზოდს. დავიღალე კიბეზე სიარულით, თუმცა სახალისოც იყო. თავიდან მითხრეს, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილიც მონაწილეობენ ამ გადაცემაშიო. როგორც ჩანს, მათი ჩაწერა ვერ მოხერხდა.

**— ბინის ქურდის — ვახო რჩეულიშვილის გამოსწორების იმედი მართლაც გაქვთ?**

— (იცინის) 2004 წელი კარგი, სიკეთის, სიხარულის წელი უნდა იყოს და გამოსასწორებელი ხალხიც, მჯერა რომ გამოსწორდება.

*იზო რუხაძე*

# მაიმუნმა ბანანი გააძვირა




31-ში ბაზარს მივაშურე. მდიდარი პატარძლის მზითვის უგრძეს სიას ტოლს არ დაუდებდა სახლიდან დანაბარები საახალწლო სუფრისათვის საჭირო პროდუქტების ჩამონათვალი. რამდენიმე საათი დამჭირდა, რომ სიის ბოლოში გავსულიყავი. ის იყო, ტაქსის დაჭერას ვაპირებდი, რომ ყოველი შემთხვევისთვის სიას კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი. აღმოვაჩინე, რომ ბანანის ყიდვა დამვიწყებოდა. რაღას ვიზამდი — „დეზერტირის“ ბაზარში ხელმეორედ მოსვლას, მერჩივნა იმ დღესვე მომეთავებინა ყველაფერი. თუმცა ბაზარში აღარც შევსულვარ, წერეთლის პროსპექტზე, „დინამოს“ სტადიონთან გადავწყვიტე ბანანის ყიდვა. წერეთლის პროსპექტი, ისევე როგორც თბილისის ყველა მოედანი თუ ფართო ქუჩა ახალი წლის დღეებში ბაზრობად იყო გადაქცეული. ბოლო დროს, დღესასწაულებზე, დედაქალაქი დიდ ბაზარს ემსგავსება. თუ ასე გაგრძელდა, მალე ალბათ ყოველდღე ვიდღესასწაულებთ „თბილისობას“. ეს ისე, სასხვათაშორისოდ... მძიმე ჩანთებით დატვირთულმა მივიხედ-მოვიხედე და რამდენიმე მეტრის მოშორებით ეგზოტიკური ხილის გამყიდველის ფარდულის მსგავსი რამ შევნიშნე. როგორც იქნა, მივაღწიე იქამდე. ის იყო, ბანანის ფასი უნდა მეკითხა, რომ ერთმა ქალბატონმა დამასწრო.

— ორ ლარად მოგართმევთ, ქალბატონო(?), — უპასუხა გამყიდველმა. არც მე და არც იმ ქალბატონს ეჭვი არ შეგვპარია იმაში, რომ გამყიდველი ბანანის ასხმას გულისხმობდა (თითოეული ოთხი ბანანისგან შედგებოდა). ქალბატონმა შევაჭრება სცადა, — ცოტა დამიკელიო — მაგრამ პასუხად კატეგორიული უარი მიიღო:

— არა, ქალბატონო, რომ დაგიკლო, მე ვიზარალებ. თუ გინდა აიღე, არა და აგერ, ეს პატიოსანი კაცი გამოუშვი... — მიუთითა ჩემზე.

— რას ვიზამ, აი, ესეც ორლარიანი... ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს, — დაილოცა ქალი და დახლს ზემოთ გაბმული თოკიდან ბანანის ასხმა ჩამოხსნა. ის იყო, ზურგი უნდა ექცია ჩვენთვის, რომ გამყიდველმა შეჰყვირა:

— ქალბატონო, ოთხი ბანანი რომ ჩაიდე „სუმკაში“, რავა, კილოობით ვყიდი თუ რაშია საქმე?! დღისით, მზისით რომ მძარცვავ, ნამუსი აღარ არის?!

— რატომ ყვირით, ვერ გავიგე... აბა, რამდენი უნდა მოგცეთ?

— ერთი ბანანი ღირს, ბატონო, ორი ლარი, ოთხ ცალს კი რვა ლარი უნდა, — უცბად გვასწავლა გამრავლების ტაბულა გამყიდველმა.

— სად გაგონილა 50-თეთრიან ბანანში 2 ლარის გადახდა. არ გრცხვენიათ, ყაჩაღობაა, აბა, რა?!

— რისი დამყაჩაღებელი ვარ, ქალო! ვერ ხედავ, ისე ვარ გამხდარი, ყურებში ლანდი გამდის. ჩემი რა ბრალია, „ოპტავიკებმა“ გააძვირეს ბანანი და ანანასი. მე თითოში მხოლოდ 10 თეთრს ვიგებ. ამოიღე ახლა ეგ ბანანები ჩანთიდან და ერთი ცალი თუ გინდა წაიღე, არა და აგერ შენი ორი ლარი... — დაუბრუნა პასუხი გამყიდველმა. მისი აგდებული ტონის ბრალი იყო თუ „ქალოს“ ძახილისა, ის ქალბატონი ისე გაანჩხლდა, რომ ბანანების გამყიდველს შავი დღე აყარა.

— ვისაა, ქალოს რომ უძახი, შე ვარდების კონტრრევოლუციონერო და მამალაძის დამქაშო. შენ და შენისთანეებმა დაღუპეს ეს ქვეყანა, მაგრამ მალე მოიცლიან თქვენთვისაც და ვირის აბანოში გიკრავენ თავს, შე რევოლუციის და ხალხის მტერო! — გადავიდა პოლიტიკურ ლანძღვაგინებაზე ქალბატონი. თითქმის 10-15 წუთი „ვტკბებოდი“ იმ ქალბატონის „მჭევრმეტყველებით“. საქმე იქამდე მივიდა, გამყიდველი იქით უტენიდა ჩანთაში ბანანის კიდევ ერთ ასხმას. ამაზე სულ გადაირია ქალი — შენი მათხოვარი ვინააო — და დაიწყო მეორე სერია. გამყიდველს სახეზე ეწერა, ნეტავ შენი ქმარი როგორ გიძლებსო, მაგრამ ამას ხმამაღლა, კაი შვილი იყო და, იტყოდა. როგორც იქნა, ქალიც დაიღალა გამყიდველის ლანძღვით, ზურგი მედიდურად შეაქცია, სასეიროდ შეყრილი ხალხის წრე გაარღვია და თვალს მიეფარა ისე, რომ ორ ლარად ნაყიდი ოთხი ბანანი ჩანთიდან არ ამოუღია.

ჯიბეში უკანასკნელი ლარიანები გადავთვალე. ბანანი რომ მეყიდა, შინ დასაბრუნებელი ფული აღარ მრჩებოდა. ამიტომ ახალ წელს ბანანების გარეშე შევხვდი, თუმცა საახალწლო სუფრას ამით დიდი არაფერი დაჰკლებია.

დამავიწყდა მეთქვა, ჩემს უმცროს ვაჟს ძალიან უყვარს ე. წ. ქართული შოთები. რაკი ბანანი ვერ ვიყიდე, ვიფიქრე, ჩემს ბიჭს დედასპურებით მაინც გავახარებ-მეთქი. იქვე, ბაზართან ახლოს პურით მოვაჭრეები დგანან. მათ შორის ყველაზე სანდომიანი ქალბატონი შევარჩიე და პურის ფასი თამამად ვკითხე. 40-თეთრიან პურს ისე როგორ გააძვირებდნენ, ყიდვა ვერ შევძლო-მეთქი, ვინუგეშებდი თავს. ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. 100 გრამზე ნაკლები წონის პურის ფასი გაორმაგებულიყო, ლავაში და შოთები კი ლარი გამხდარიყო. რაღას ვიზამდი, პური მაინც ვიყიდე და შინ ტაქსით კი არა, „მარშრუტკით“ წავედი.

წელს საახალწლოდ თბილისში იმდენი პროდუქტი შემოვიდა, რომ სხვა წლებთან შედარებით ხორცზე, გოჭზე, ინდაურზე, ქათამსა და სხვა პროდუქტებზე ფასები არ გაზრდილა. მეტიც, ზოგიერთზე ფასი სხვა დღეებთან შედარებით შემცირდა კიდეც, თუმცა ეგზოტიკური ხილის იმპორტიორებმა თავიანთი საქონლის ფასი რატომღაც გააოთხმაგეს და ეს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსით ახსნეს, თუმცა დეფიციტი ხილის საწყობებში სრულიად არ იგრძნობოდა. უბრალოდ, ხელოვნურად ასწიეს ფასი. ერთი სიტყვით, „მაიმუნის დახმარებით“ მოიგეს(!).

*რატი ახალაძე*



# ძველი და ახალი სტილის შესახებ

***საეკლესიო კალენდრის, კერძოდ კი ძველი და ახალი სტილის ურთიერთმიმართების შესახებ შესამჩნევია დიდი დაინტერესება და, არაიშვიათად, მძაფრი პოლემიკაც. ჩამოვაყალიბებთ რამდენიმე პუნქტად იმ არსებითს, რაც, ჩვენი აზრით, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს:***

უპირველესად, როდესაც არგუმენტირებულად წარმოვაჩენთ ახალი სტილის ხარვეზებს, არ უნდა მივეცეთ არც ძველი სტილის გადამეტებულ, შეუსაბამო ქება-დიდებას. კალენდარი, როგორც ათვლითი სისტემა, როგორც მათემატიკური მოდელი, ცხადია, თავისთავად არანაირი სარწმუნოებრივი მოძღვრების შემცველი არ არის (მსგავსად, ვთქვათ, გამრავლების ტაბულისა, გრამატიკისა, გეომეტრიისა, მათემატიკისა და სხვა). კალენდრის ერთადერთი დანიშნულებაა პრაქტიკულად შეძლოს მნიშვნელოვანი მოვლენების დროში კანონზომიერი განაწილება, რომ აღნიშნულ მოვლენათა გამოყოფა (დღესასწაულობა, ან ზოგადად აღქმა) გახდეს შესაძლებელი. ეს არსებითი მხარე კალენდრისა მკვეთრადაა გამოხატული ძველ სტილში, რომელსაც, ჩვეულებრივ, „იულიუსის კალენდარი“ ეწოდება. თვით ეს სახელწოდებაც („იულიუსის კალენდარი“) გამორიცხავს იმას, რომ ხსენებულ კალენდარში ჩადებული იყოს „მთლიანად მართლმადიდებლური სწავლება“, „ბიბლიური აღქმა“, „სულიერ-მისტიკური და სარწმუნოებრივი ხედვა“ (სწორედ ასეთი ეპითეტებით ამკობენ იულიუსის კალენდარს, ანუ ძველ სტილს). დავიწყებულია მარტივი ჭეშმარიტება: ხსენებული კალენდარი შეიქმნა არა ეკლესიის წიაღში (როგორც ბევრს ჯერ კიდევ სჯერა ეს), მისი შექმნის ინიციატორი „იულიუსი“ არის არა საეკლესიო მამა (როგორც ბუნებრივია ფიქრობს გულუბრყვილო მორწმუნე), არამედ აღნიშნული კალენდრის სახით საქმე გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ წარმართულ, ქრისტიანობამდელ ძეგლთან, რომლის შექმნის ინიციატორი იყო წარმართი იმპერატორი იულიუსი (ცნობილი იულიუს კეისარი), უშუალოდ ჩამომყალიბებელი კი — მეკერპე სოზიგენე. ამიტომ, ვინც ხსენებულ კალენდარში „მართლმადიდებლურ მოძღვრებას“ ხედავს, იგი უდიდეს მკრეხელობამდე მიდის, რადგან ათანაბრებს, აიგივებს მართლმადიდებლობას და მეკერპეობას. როდესაც ნიკეის მსოფლიო კრებამ დააკანონა აღნიშნული წარმართული ეპოქის კალენდრის უცვლელად გამოყენება საეკლესიო მსახურებაში, დააკანონა არა იმიტომ, რომ „მართლმადიდებლურ მოძღვრებას“ ხედავდა მასში (მეკერპე სოზიგენე როგორ ჩადებდა მართლმადიდებლურ მოძღვრებას თავის კალენდარში?), არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ხსენებული კალენდარი აკმაყოფილებდა იმ ძირითად მოთხოვნებს, რაც საეკლესიო დღესასწაულების მოწესრიგებული წესით განლაგებასა და შესაბამის ხსენებათა თანაშეწყობას გულისხმობს. ამიტომაა, რომ V ს-ში ერთი და იგივე იულიუსის კალენდარი გამოიყენებოდა წარმართების მიერაც (წარმართული დღესასწაულების აღსანიშნავად) და ქრისტიანთა მიერაც (ქრისტიანული დღესასწაულების აღსანიშნავად).

მაშ, რა ღირსებანი აქვს იულიუსის კალენდარს:

1) აღნიშნული კალენდარი ღირსეულია როგორც მეცნიერული აზრის ნაყოფი, ანუ როგორც გამოსადეგი გამოთვლითი სისტემა. ეკლესია ყოველთვის სარგებლობდა კაცობრიობის ყველა ეპოქის მეცნიერული მიღწევებით, რადგან ჭეშმარიტი მეცნიერული აზრი ყოველთვის ობიექტურად იკვლევდა სამყაროს — ერთარსება სამების ქმნილებას, რის გამოც ყოვლადწმინდა სამების ქმნილების შესახებ ჭეშმარიტად მეცნიერული ნაკვლევი კანონზომიერებად მიიჩნეოდა ჭეშმარიტი ღვთის აღმსარებელი მოძღვრების ბუნებრივ ნაწილად. იულიუსის კალენდარს რომ რაიმე სარწმუნოებრივი, რაიმე მის-



**ეკლესიის მამათა განჩინებით, აღდგომა აუცილებლად უნდა ვიდღესასწაულოთ გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ და, ყოველ მიზეზგარეშე, იუდეველთა პასექის შემდგომ, მაშინ, როცა ახალი სტილით ხსენებული დღესასწაული ხშირად დამთხვევია იუდეველთა პასექს ან წინ გაუსწრია მისთვის.**

ტიკურ-სიმბოლური არსი ჰქონოდა, ეს არსი, ცხადია, ოდენ წარმართული, კერპთაყვანისმცემლური იქნებოდა და ეკლესია არანაირად არ შეიწყნარებდა მას. ამიტომაა, რომ ეკლესიამ აღნიშნული კალენდარი შეითვისა არა როგორც რაიმე სარწმუნოებრივი ღირებულებების შემცველი სისტემა (ეს უმალ წარმართების „სარწმუნოებრივ“ ღირებულებათა შეთვისება იქნებოდა), არამედ როგორც მეცნიერული აზრის მონაპოვარი, ისევე როგორც შეითვისა მან ქრისტიანობამდელი ანბანი, სამშენებლო ხელოვნება, სამხატვრო საშუალებები და სხვა. ასე რომ, ეკლესიაში იულიუსის კალენდარი მკვიდრდება როგორც ყველაზე უფრო გამოსადეგი ათვლითი სისტემა.

2) V ს-დან ანუ იმ დროიდან, როდესაც ხსენებული კალენდარი საეკლესიო მსახურების წიაღში ექცევა, ეს კალენდარი გარდაიქმნება საეკლესიო სიწმინდედ, თუმცა (კვლავ აღვნიშნავთ) — სიწმინდედ არა იმ აზრით, თითქოს თავისთავად, არსობრივად ჰქონდეს მას რაღაც განსაკუთრებული სარწმუნოებრივი ღირსება, არამედ მხოლოდ იმ აზრით, რომ უწმინდეს დღესასწაულთა აღმნიშვნელი ხდება იგი. ისევე, როგორც ტაძრის კედელში ჩადებული ყველაზე უფრო გამოსადეგი ქვა შენობის წიაღში მოქცევის შემდეგ, გარდა ვარგისიანობისა, საეკლესიო სიწმინდედაც იქცევა; თუმცა არა იმიტომ, რომ ბუნებითად არის იგი რაღაც განსაკუთრებული სიწმინდის შემცველი და რაიმეთი თვისებრივად განსხვავებული სხვა, მისივე გვარის ქვისგან, არამედ — მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე ტაძრის ანუ სიწმინდის ქვად გვევლინება; მსგავსადვე იულიუსის კალენდარიც დიდი საეკლესიო სიწმინდეა, თუმცა არა თავისთავად, არა თავისი არსით, არამედ მხოლოდ იმით, რომ საეკლესიო მსახურებაში ჩაერთო და უწმინდეს დღესასწაულთა აღმნიშვნელი გახდა. ასევე იქცევა სიწმინდედ ჩვეულებრივი პერგამენტი, როდესაც მასზე სახარების სიტყვები ამოიტვიფრება.

ამრიგად, იულიუსის კალენდარს აქვს ორი ღირსება: ა) გამოსადეგობა, ვარგისიანობა (როგორც ათვლითი სისტემა); ბ) საკრალურობა, სიწმინდე (როგორც ერთი მხრივ, უწმინდეს დღესასწაულთა განრიგის ანუ საეკლესიო დღესასწაულთმეტყველების, იმავე ჰეორტოლოგიის, ხოლო მეორე მხრივ, საპასექო გამოთვლების საფუძველს).

აღნიშნულ ორ ასპექტს აგვირგვინებს მესამეც, ყველაზე მნიშვნელოვანი და უარსებითესი, რაც არის იულიუსის კალენდრის დოგმატური ღირსება. ეს მხარე, თავის მხრივ, უკავშირდება საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ არ შეიძლება იულიუსის კალენდრის შეცვლა გრიგორიანული (ანუ პაპი გრიგოლის ინიციატივით შედგენილი) კალენდრით, იმავე ახალი სტილით. არსებობს ორი მნიშვნელოვანი მიზეზი:

1. ამა თუ იმ სიახლის შემოტანისას დასაბუთებული უნდა იყოს ერთი მხრივ, აღნიშნული სიახლის გარდაუვალი აუცილებლობა, ხოლო მეორე მხრივ, უეჭველად ისიც, რომ ხსენებული სიახლის შემოსვლა არ გამოიწვევს რაიმე სამოძღვრო-სალვთისმსახურო გაუკუღმართებას. ნიშანი იმისა, რომ ამგვარი დასაბუთება უკვე მოცემულია, გახლავთ საყოველთაო თანხმობა. ეს თანხმობა არის სრულიად აუცილებელი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოცემულ სიახლეს ზოგი გაიზიარებს, ზოგი არა და შედეგად მივიღებთ საეკლესიო ერთიანობის რღვევას, რაც დამღუპველია.

ამრიგად, თუ არ არსებობს კალენდარული სიახლის გარდაუვალობის სათანადო დასაბუთება და ამ საკითხზე საყოველთაო შეთანხმება, ამგვარი სიახლე დამღუპველ ზიანს მოუტანს ეკლესიის ერთობას, რაც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი კალენდარული ღირსება-ნაკლოვანებანი.

ამგვარი დასაბუთება ახალი სტილის გარდაუვალი აუცილებლობის შესახებ არ არსებობს და არც საყოველთაო შეთანხმებაა მიღწეული.

2. ეკლესიის მამათა განჩინებით, აღდგომა აუცილებლად უნდა ვიდღესასწაულოთ, უთუოდ, გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ და, ყოველ მიზეზგარეშე, იუდეველთა პასექის შემდგომ, მაშინ როცა ახალი სტილით ხსენებული დღესასწაული ხშირად დამთხვევია იუდეველთა პასექს ან წინ გაუსწრია მისთვის.

ძველი სტილი ამ მხრივ ურყევად იცავს ზემორე დოგმატურ განჩინებას.

ამრიგად, ძველი სტილის ახლით შეცვლა მიუღებელია არა იმიტომ, რომ თითქოს ძველი სტილი (იგივე იულიუსის კალენდარი) რაღაც განსაკუთრებულად ღრმა მართლმადიდებლურ ცნობიერებას ეყრდნობა, არამედ მხოლოდ ორი მიზეზით: ა) არ არსებობს ხსენებული ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთება და არც საერთო შეთანხმება ამ საკითხში, რის გამოც საფრთხე ექმნება ეკლესიურ ერთიანობას; ბ) ირღვევა კანონიკური განჩინება იუდეველთა პასექთან აღდგომის დღესასწაულის დაუმთხვევლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე: ვფიქრობთ, აშკარაა, რომ საქართველოს ეკლესიაში კვლავაც მყარად დაცულობა იულიუსის კალენდრისა არის არა რაღაც გაუაზრებელი, ტრადიციას მექანიკურად მიდევნებული ან კიდევ რომელიმე სხვა ეკლესიის (ამ შემთხვევაში რუსეთის ეკლესია) ნების თითქოსდა იძულებით თავს მოხვეული მოქმედების შედეგი, არამედ სრულიად გაცნობიერებული, არგუმენტირებული პოზიცია. ხაზგასმა იმაზე, რომ თითქოს საქმე გვაქვს (კვლავ ვიმეორებთ) რუსეთის ეკლესიის ძალმომრეობასთან, ჩვეულებრივ კეთდება სწორედ იმ მიზანდასახულობით, რომ მიიჩქმალოს ზემოაღნიშნული არგუმენტები და ძველი სტილის, როგორც არაეროვნულის, დისკრედიტირება მოხდეს. საქართველოსთვის ეროვნულია ის, რაც მართლმადიდებლურია და, შესაბამისად, ვიდრე ზემორე დოგმატური საკითხი არ იქნება უხარვეზოდ მოგვარებული (აღდგომის დღესასწაულმა წინ რომ არ გაუსწროს და არ დაემთხვეს ებრაელთა პასექს), ცხადია, ძველი სტილის ახლით შეცვლის მიზანშეწონილობა სრულიად დაუსაბუთებელი დარჩება.

ვფიქრობთ, ღვთის განგებით, სტილის საკითხი თავისთავად არის მოგვარებული და ხელოვნურად არ უნდა ვცდილობდეთ უწესრიგობის შექმნას. მართლაც, ახალი სტილი, როგორც ყოფითი მოვლენა, კარგად ესადაგება სამოქალაქო ცხოვრებას და ამ მხრივ არავითარი ხელშესახები ხარვეზი მას არ ახლავს. რაც შეეხება ძველ სტილს, როგორც სიწმინდეს, იგი ზედმიწევნით გამოსადეგია საეკლესიო ცხოვრებისათვის და არც მას ახლავს ამ მხრივ რაიმე ხარვეზი, კარგად იტევს რა იგი სადღესასწაულო კალენდრის ფუნქციას.

***პროფესორი***
***ედიშერ ჭელიძე***






## რას გვეტყვი, მამაო?

**— ჩვენი უფლის ბრწყინვალე შობა უპირველესად მწყემსებმა და მოგვებმა შეიტყვეს... რატომ ეუწყა პირველად მაინც და მაინც მათ იესოს დაბადება, იგი ხომ ყველა ადამიანთა გადამრჩენლად დაიბადა,**

— იესო ყველა ჩვენგანის ცოდვების მტვირთველად და გადამრჩენლად დაიბადა, მაგრამ სამწუხაროდ, ყველა ამას ვერ ვგრძნობთ და არც ჩვენს გულებში ვუშვებთ მას. მაშინაც ასე იყო — მრავალმა იცნო და მიიღო იგი, მაგრამ მრავალიც განუდგა... პირველნი, ვინც მისი დაბადების სიხარულმა გააბრწყინა და უფალი გულში შეუშვა, ყველაზე უბრალონი — მწყემსები და ყველაზე ბრძენნი — მოგვნი იყვნენ... ეს სიმბოლურად იმას ნიშნავს, რომ იესოს შესაცნობად და შესაყვარებლად პირველ რიგში, უბრალოება და გონიერებაა საჭირო...

**— ამბობენ, რომ როცა იესო დაიბადა, იმავე წუთს ცაზე ვარსკვლავი გამობრწყინდა და მოგვებს ბეთლემისკენ წარუძღვაო. რას ნიშნავს ეს, ვარსკვლავი ცაზე ასე თვალნათლივ მოძრაობდა?**

— ჩვეულებრივი ასტრონომიული ვარსკვლავების მოძრაობა თვალისთვის შესამჩნევი არ არის. ისინი დროის მონაკვეთში მხოლოდ დედამიწის მოძრაობის თანხვედრილად გადაადგილებიან... იესოს დაბადებისას მოვლენილი ვარსკვლავი კი მოგვებს წინ მიუძღოდა,

როგორც იოანე ოქროპირი ამბობს, ვარსკვლავი, რომელიც ქრისტეს დაბადებისას ცაზე გამობრწყინდა, უფლისაგან მოვლინებული მანათობელი იყო, რომლებსაც კაცობრიობისთვის ქრისტეს დაბადება უნდა ეხარებინა და მოგვებს ბეთლემისაკენ წარუძღვა, სადაც ბაგაში იწვია ყრმა იესო.

**— მინდა საგანგებოდ ვილოცო შვილების დაქორწინებისათვის. არსებობს თუ არა ამ მიზნით დაწერილი საეკლესიო ლოცვა და თუ არსებობს, სად მოვიძიო.**

— საეკლესიო კანონიკაში ასეთი სპეციფიკური ლოცვები არ არსებობს. ამ თემაზე მხოლოდ კერძო პირთა შექმნილი ლოცვებია, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთხევით არ არის გამოცემული. რასაკვირველია, ამ თხოვნით უფალს შეგიძლიათ თვითონაც მიმართოთ, მაგრამ გირჩევთ, ღვთისთვის რაიმე სათხოვარს ნუ დააკონკრეტებთ... უფალმა, როგორც მზრუნველმა მამამ, თვითონვე იცის, რა სჭირდება მის შვილს, სანამ იგი ამის შესახებ იტყოდეს. მთავარია, მას მივენდოთ...

იმისთვის, რაც თქვენ გსურთ, ილოცეთ ჩვეულებრივი საეკლესიო ლოცვებით... ამ ლოცვებში ყველაფერი იგულისხმება და ვინც ითხოვს, მიეცემა კიდეც... მაგრამ უპირველესად უფალს შეევედრეთ თქვენი შვილების გული წარმართოს სათნოებისა და სიმშვიდისაკენ. როდესაც სული სათნოა და მშვიდი, მაშინ ყველაფერი წესრიგდება.

**— შემიძლია თუ არა დაზიანებული ხატი არამართლმადიდებელ ხატმწერს მივუტანო აღსადგენად?**

— მართლმადიდებლური ხატწერა გულისხმობს მართლმადიდებლური კანონიკის ცოდნას. ეს კანონიკა კი მართლმადიდებელმა იცის. გარდა ამისა, უფლის სიყვარულის გამო იგი უფრო ფაქიზად, გულისხმიერად აღიქვამს ხატის ყოველ დეტალს, ვიდრე თუნდაც საუკეთესო, მაგრამ არამართლმადიდებელი ოსტატი. ამიტომაც სასურველია დაზიანებული ხატი მართლმადიდებელთან მიიტანოთ აღსადგენად.

**— ეკლესია გვასწავლის, რომ ბოროტს კაცთმოყვარეობით უნდა მივეპყრათ, ცოდვაში ხომ არ ჩამეთვლება, კანონს მივმართო, როცა მეზობელი შეურაცხმყოფს.**

— ეკლესია არ კრძალავს საერო ხელისუფლების კანონმდებლობისადმი მორჩილებას. თუ ვინმე გაზიანებთ და გვნებთ, მიმართეთ კანონს. მაგრამ სანამ ამ ნაბიჯს გადადგამთ, გირჩევთ, ქრისტიანული კაცთმოყვარეობა გამოიჩინოთ, რათა თქვენი სინდისის წინაშე მართალი იყოთ. გაესაუბრეთ მისი ოჯახის წევრებს, თუ თქვენ მიმართ აშკარა აგრესიას არ იჩენს — მასაც. სცადეთ დაანახვოთ თქვენი სიმართლე და გაუკეთოთ სიკეთე (ოღონდ არა პომპეზურად). ასეთ დროს ადამიანს ხშირად უნათდება გონება და გრძნობს, რაში შეცდა... თუ არ გაჭრა, მაშინ მიმართეთ კანონმდებლობას...

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

იხ. გვ. 36.

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# გერმანელი, რომელმაც შვიდი ქართველი იშვილა(!)

## „თქვენ ვერავინ მოგერევათ, თუ თვითონ არ გაუყრით ყულფში თავს“

მთელი საქართველო ფეხდაფეხ რომ შემოიაროთ, მერწმუნეთ ვერ იპოვით ოჯახს, რომელიც 31 დეკემბერს ახალი წლის შემობრძანებას იმერული, ბროწეულის წვენით გაჟღენთილი, ამოლესილი ქოთნის ლობიოთი, ხაჭაპურივით სიფრიფანა კეცის მჭადითა და კომბოსტოს მწნილით ხვდებოდეს. მე კი ყოველგვარი გარჯის გარეშე აღმოვაჩინე ოჯახი, სადაც უჩვეულო საახალწლო სუფრას ამშვენებდა მასპინძლის მიერ გამოთლილი ჩიჩილაკიც, რომელიც თურმე ლოცულობს კიდეც (ამაზე ცოტა მოგვიანებით). ოტო და მაგდა ბაუერები უკვე 11 წელია, თავს ლამის ქართველებად თვლიან და შუახანს გადაცილებულ გერმანელ ცოლ-ქმარს ისე აქვს შესწავლილი ქართული ენა და ტრადიციები, რომ ბევრ ნამდვილ ქართველს ჩამოიტოვებენ უკან. მათ 13 შვილი ჰყავთ, აქედან ღვიძლი მხოლოდ 3 მათგანია, დანარჩენებიდან ერთი კორეელია, ერთი — ალჟირელი, ერთიც გვატემალელი და შვიდი — ქართველი. მათ შორის, სამი ახლახან იშვილეს ბაუერებმა. თურმე უკვე მეხუთე წელია, რაც გერმანელი ცოლ-ქმარი, შობა-ახალ წელს საქართველოში ხვდება, ქართველი მეგობრის სახლში. სხვათა შორის ქართველი მასპინძელი, თუ უბრალოდ სახლის პატრონი, მისი სტუმრებისაგან განსხვავებით დიდი ხანია საქართველოში არც კი ყოფილა და შობა-ახალ წელსაც ევროპის სხვადასხვა ქალაქში აღნიშნავს. ბაუერები 11 წლის წინ მონათლულან მართლმადიდებლებად და მას მერე შობას 7 იანვარს ზეიმობენ, ახალ წელს მთელი გულით და სულით (როგორც თვითონ ამბობენ) 14 იანვარს ხვდებიან და ჩვენსავით სჯერათ, რომ როგორიც იქნება ბედობის დღე — 15 იანვარი, მთელ წელს ისე გაატარებენ. ამიტომ ამჯერად ჩემი მასპინძლები წუხდნენ, რომ წელს ვერც შობას შეხვდებიან საქართველოში, ვერც ძველით ახალ წელს და ბედობის დღეც შორეულ ევროპაში გაუთენდებათ. „ყოველ წელს, შობის დღესასწაულზე ქართველების მსგავსად, მეც ვკლავ ღორს, რომელსაც ერთი აქაური მეგობარი უვლის ვანის ერთ სოფელში იანვრიდან იანვრამდე. პატარა გოჭს ვყიდულობ, ვტოვებ და რომ ჩამოვდივარ, ისეთ გემრიელ გოლიათს მახვედრებენ, ჭამით ვერ გაძღებით. ამჯერად „გენადის“ (ასე ეძახის ჩემი მასპინძელი საშობაოდ დასაკლავ ღორს) მისი გამზრდელი დაკლავს და ჩვენი სახელით გაუმასპინძლდება სტუმრებს. ჩვენ აუცილებლად უნდა ჩავფრინდეთ გერმანიაში 7 იანვრისთვის, სწორედ ამ დღეს ჩვენი უფროსი ვაჟი ინიშნება. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, წინასწარ ვიცოდით და ამიტომ ტრადიცია დავარღვიეთ — ყოველ ზამთარს 3 იანვარს ჩამოვდივართ ქუთაისში და აქ ერთ თვეს ვრჩებით. ამჯერად 17 დეკემბერს ჩამოვედით. ამბობენ, წმინდა ბარბარეს დღესასწაულიც ბედობის დღეაო, ამიტომ ჩვენს მეორე სამშობლოში, საქართველოში ხშირად ჩამოსვლა კიდევ ერთხელ დავიბედეთ და სამი ბავშვიც ვიშვილეთ“. — გამანდო ახალი ამბავი ჰერ ბაუერმა, რომელიც სიცილით ჰყვება, როგორ არის გატაცებული „უცნაური კოლექციით“ — შვილების შეგროვებით. — „ამაზე დიდი სიმდიდრე არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მშობელი მის შემქმნელ-გამჩენს ჰქვია, თავს ჩემი 13-ივე შვილის ნამდვილ მამად მივიჩნევ და ვაპირებ, მათი რიცხვი კიდევ გავზარდო. ქრისტე მიმართავს მდიდრებს — მიეცით თქვენი ქონება ღარიბებს და სასუფეველში მოხვდებითო. მე ასე ვცდილობ უფლის შეგონების განხორციელებას. ჩემს ქონებას, რა თქმა უნდა, არა მარტო მატერიალურს, არამედ სულიერსაც, გადავცემ და ვუტოვებ ჩემს შვილებს. თუმცა, ამას იმიტომ არ ვაკეთებ, რომ ღმერთმა დამიმადლოს და სასუფეველში მოვხვდე. ამას ჩემი იმქვეყნიურ სამსჯავროზე წარდგენის დროს გადაწყვეტენ „კომპეტენტური პირები“. ამჯერად კი მინდა „დაკარგული“ შვილები ვიპოვო და მათაც ჩავუნერგო მოყვასის სიყვარული. როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, მინდა ჩემი ტრადიცია განაგრძონ და ეცადონ შეამცირონ უდედმამო, უპატრონო ბავშვების რიცხვი. 11 წლის წინ ჩვენმა მეგობარმა გერმანელმა ცოლ-ქმარმა მშვენიერი გოგონა იშვილა გაჭირვებული ქართველი მშობლებისგან, რომლებსაც კიდევ ხუთი შვილი ჰყავდათ გასაზრდელი. იმდენად ლამაზი გოგონა იყო, მე და მაგდა ფერებით ვერ ვძღებოდით. მაშინ მომივიდა იდეა — გვეშვილა გოგონას ერთი და ან ძმა, თუ რა თქმა უნდა, მშობლები დაგვეთანხმებოდნენ. ისინი დაგვთანხმდნენ, ბავშვები უკვე დიდები არიან, მათ ურთიერთობა აქვთ თავიანთ მშობლებთან, და-ძმებთან და ცხოვრებაც კარგად მიდის. მანამდე უკვე სამი ბავშვი გვყავდა ნაშვილები, ოღონდ არაქართველები. ახლა ჩვენს ოჯახში უმეტესობა ქართველები არიან და ვატყობ, რომ მე და ჩემი ცოლიც თანდათან უფრო და უფრო ვემსგავსებით კავკასიელებს“.

**— იყო დრო, როცა გარკვეული ძალები სერიოზულად მუშაობდნენ იმისათვის, რომ ქართველებს მომავლის რწმენა და ინდივიდუალურობა დაჰკარგვოდათ. ის დროც წარსულს ჩაჰბარდა. თქვენ დღეს უფრო მეტად გიცნობთ მსოფლიო, ვიდრე ოდესმე. მსოფლიოს სხვადასხვა ერები სწავლობენ თქვენს უძველეს კულტურას და ხელოვნებას და თავს იწონებენ ამით. გგონიათ, ეს ყველაფერი შემთხვევით ხდება?**



კავკასიელი შემთხვევით არ დასცდენია ჰერ ბაუერს. იგი ეთანხმება ჰიპოთეზას ევრაზიის კონტინენტის წარმოშობის თაობაზე, რომლის თანახმად, ევრაზია წარმოიქმნა სამი კონტინენტის — ევროპის, კავკასიისა და აზიის შეერთების შედეგად. ამგვარი განმარტების შემდეგ კი ბატონი ოტო კატეგორიულად ეწინააღმდეგება ზურაბ ჟვანიას ცნობილ ფრაზას: „ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. „თქვენ, ქართველები, კავკასიელები ხართ, რომელთა გადაგვარებასაც გულმოდგინედ ცდილობდნენ და ცდილობენ აზიელებიც, ევროპელებიც და ამერიკელებიც. ქართველები ერთ-ერთი ძველთაძველი ერი ხართ; ერი არ გადარჩა ქვეყანაზე, რომელიც მსოფლიოს იმ უხსოვარი დროის შესახებ მოუყვებოდა, როცა თქვენი ცივილიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მსოფლიოში. თითქმის ყველა უძველესი ერი გადაშენდა და გაქრა, თქვენ კი გადარჩით და თავსატეხი გაუჩინეთ საკუთარ თავსაც, თქვენთან შედარებით ათასწლეულებით ახალგაზრდა მსოფლიოსაც, ვინა ხართ, საიდან მოდიხართ. მე ბევრი რამ წამიკითხავს მსოფლიოს სხვადასხვა ერების, მათ შორის ქართველების და საერთოდ კავკასიელების შესახებ და იცით, რას ვფიქრობ ხოლმე? თუ მართლა ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია, მაშინ დღევანდელი საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობა, შექმნან ჰარმონიული საზოგადოება, დაიცვან ადამიანის უფლებები და გადაარჩინონ კულტურული ღირებულებები, ქართველების და კავკასიელების მიერ კარგად დავიწყებული ძველია, რომელიც ევროპელებმა ახლა გამოჩხრიკეს. დღეს გერმანელები და სხვა ევროპელები ერთი შეხედვით ბევრად უფრო კულტურულები და მოწესრიგებულები ჩანან, ვიდრე კავკასიელები ან თუნდაც აზიელები, მაგრამ ეს კოსმეტიკური კულტურა და ზედაპირული წესრიგია, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მართვის მექანიზმმა ჩამოაყალიბა ასე. ეს მექანიზმი რომ დაიშალოს, მოჩვენებითი წესრიგიც მაშინვე ქაოსად გარდაიქმნება, რადგან ადამიანები ამ მექანიზმის გარეშე საკუთარ თავს ვეღარ გააკონტროლებენ. მათ ამისთვის გენეტიკური კულტურა და სულიერი სიმდიდრე არ ეყოფათ. დიდი დრო დასჭირდებათ რეაბილიტაციისთვის. ქართველებმა კი მსოფლიოს გასაოცარი რამ უჩვენეს ორიოდე თვის წინ. 23 ნოემბერს მოხდა ის, რითაც ვერც ერთი ერი ვერ დაიკვეხნის. რევოლუციურად განწყობილი, ამბოხებული ხალხი მზად იყო ბრძოლისათვის, ასეთ დროს იტყვიან, ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებსო. ალბათ თქვენთანაც ასეთი სუნი ტრიალებდა, მაგრამ ქართველებმა ეშმაკს, სისხლისმღვრელ დემონს სძლიეს და არათუ სისხლი არ დაღვრილა, მგონი ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნილა იმ დღეებში ხიდან. მე არა მაქვს უფლება 23 ნოემბრის მოვლენას პოლიტიკური შეფასება მივცე, მაგრამ არ შემიძლია იმ ხალხს ვუწოდო მასა, რომელმაც მსოფლიოს აჩვენა, როგორ შეუძლიათ ერთად დგომა და ერთმანეთის გატანა. ეს მხოლოდ უძველესი კულტურის, უმდიდრესი გენეტიკის ხალხს შეუძლია. წამიკითხავს, რომ წინათ ქართველები შვილებს სიყრმიდანვე ასწავლიდნენ საბრძოლო ხელოვნებას, ხმლის ტრიალს და ამავე დროს ცეკვას, სიმღერას, ხატვას, პოეზიას და ა.შ. შესაბამისად ზრდიდნენ არა მარტო მეომარს, არამედ პიროვნებას, რომელმაც ყველაფრის ფასი იცოდა და ღირებულებები გააჩნდა. დღეს ასე ამაყი ევროპელები კი თავიანთ შვილებს ძველ დროში მხოლოდ საბრძოლო ხელოვნებას ასწავლიდნენ, რის გამოც ისინი ხშირად ბარბაროსებად ყალიბდებოდნენ, რადგან მათ მხოლოდ დაპყრობა, განადგურება და ომი იცოდნენ. ამიტომაც დააგვიანდა აღორძინების ეპოქას ევროპაში, საქართველოში კი იგი ლამის 5 თუ არა, სამი საუკუნით ადრე დაიწყო“, — უცხოელისგან ამგვარი ქება-დიდების მოსმენამ დამერწმუნებით, ერთობ გამაოცა, ველარ მოვითმინე, საუბარი შევაწყვეტინე და ვკითხე, თუ ქართველები მართლაც ასეთი უნიკალურები და არაჩვეულებრივები გგონივართ, იქნებ იმის მიზეზიც ამიხსნათ, ამდენი ხანი ერთ ადგილს რატომ ვტკეპნით და წინ რატომ ვერ მივდივართ-მეთქი. ჩემს მასპინძელ ოტო ბაუერს ჩაეცინა, სუფრის შუაგულში დედოფალივით ლამაზ ჩიჩილაკს ხელი ჩამოუსვა და მკითხა, — იცი შენ, ეს ჩიჩილაკი რომ ლოცულობსო? ისე შევხედე, აშკარად მიხვდა, ფანატიკოსად რომ მივიჩნიე და ღიმილით მიპასუხა, — შენ ისევე, როგორ უამრავმა ქართველმა არც შენი ეროვნული კულტურის შესახებ იცი ბევრი რამ და არც რწმენა გაქვს, თუმცა, ჯვარს კი ატარებ და თავს ქრისტიანად თვლი. წინათ, როცა ჩიჩილაკს თლიდნენ, თან ლოცულობდნენ. ხის კულულები იმახსოვრებდნენ ლოცვას და შობის მოლოდინში, როცა ოჯახის წევრთა გონება ღმერთს ფიქრით დროებით შორდებოდა, ჩიჩილაკი იწყებდა ლოცვას და ოჯახიც იმედიანად იყო. ეს ჩიჩილაკი მე გავთალე ლოცვით და იგი ამ წუთშიც ლოცულობს. რაც შეეხება ქართველების მიერ ერთი ადგილის ტკეპნას, შემდეგს გიპასუხებთ, დამთავრდა ეგ ამბავი, თქვენ უკვე დაიძარით ჩიხიდან და დარწმუნებული ვარ, მალე იქ აღმოჩნდებით, სადაც თქვენი ისტორიული ადგილია, რის შემდეგაც საქართველოს განვითარებადი ქვეყნების რიგში ვეღარავინ იხილავს. თუმცა, შეიძლება ჩიხიდან გამოსვლა კიდევ შეყოვნდეს, თუ მხოლოდ წარსულით ცხოვრებას არ დაანებებთ თავს. გასაგებია, რომ მე-12 საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი“ დაწერეთ და პარლამენტის ჩანასახიც კი ნიდერლანდებზე ბევრად ადრე გქონდათ, როდემდე გინდათ ამით იცხოვროთ? ეს თვითმკვლელობას ჰგავს. თქვენ კი ვერავინ მოგერევათ, თუ თვითონ არ გაუყრით ყულფში თავს. იყო დრო, როცა გარკვეული ძალები სერიოზულად მუშაობდნენ იმისათვის, რომ ქართველებს მომავლის რწმენა და ინდივიდუალურობა დაჰკარგვოდათ. ის დროც წარსულს ჩაჰბარდა. თქვენ დღეს უფრო მეტად გიცნობთ მსოფლიო, ვიდრე ოდესმე. მსოფლიოს სხვადასხვა ერები სწავლობენ თქვენს უძველეს კულტურას და ხელოვნებას და თავს იწონებენ ამით. გგონიათ, ეს ყველაფერი შემთხვევით ხდება? არა, ღმერთი გაძლევთ ნიშანს და გეუბნებათ — აი, ნახე, ის, რაც შენგან წამოვიდა, ჩემი წყალობით როგორ ხიბლავს სხვას. სხვას, რომელიც შენსას სწავლობს, რათა მერე იმ ცოდნიდან კიდევ ახალი შვას, მას ამისთვის დიდი დრო, საუკუნეები დასჭირდება, შენ კი მხოლოდ გამოღვიძება და წამიერი დაფიქრება გეყოფა და შენ ისევ შენ იქნები, თვითმყოფადი და ორიგინალური. გაისარჯე! ამას გეუბნებათ ღმერთი ქართველებს, თქვენ კი გძინავთ, გაიღვიძეთ!

ასეთია ოტო ბაუერის საახალწლო მილოცვა ქართველი ერისადმი. თუ „კვირის პალიტრას“ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში თვალს ადევნებდით, დამეთანხმებით, რომ მიმართლებს და უნებლიეთ ისეთი უცხოელების გარემოცვაში ვხვდები, ქართული განწყობით ნებისმიერ ჩვენგანს რომ გააკვირვებენ, თანაც ასე მგონია, ამ ხალხის ყიჟინა-„შემოლაწუნება“ ხშირ-ხშირად გვჭირდება. იქნებ მართლაც რაღაცის ნიშანია ამ ხალხის ნათქვამი. თანაც, ჩვენ ხომ ასე გვიყვარს უცხოელის მოსმენა, რომელსაც განსაკუთრებით მოსწონს ყველაფერი ქართული, რასაც ჩვენ ხშირად თითქმის ვერც კი ვამჩნევთ.

**„ევროპის რომელიმე ქვეყნის მაღალი კლასის რესტორანში როცა ვზივარ და მაგარ ღვინოს მივირთმევ, მახსენდება კახური ღვინო. მართალია, იმერეთი ძალიან მიყვარს, მაგრამ იქაური ღვინო მჟავეა. კახური კი მარტო ტკბილი კი არა, თბილიცაა, ალბათ იმიტომ, რომ კახეთში მზის მთელი ენერგია მტევნებში ჩადის და მერე ღვინო ისეთი გამოდის, სიმღერა რომ არ იცოდე, ძალით აგამღერებს...“**

„ევროპის რომელიმე ქვეყნის მაღალი კლასის რესტორანში როცა ვზივარ და მაგარ ღვინოს მივირთმევ, მახსენდება კახური ღვინო. მართალია, იმერეთი ძალიან მიყვარს, მაგრამ იქაური ღვინო მჟავეა. კახური კი მარტო ტკბილი კი არა, თბილიცაა, ალბათ იმიტომ, რომ კახეთში მზის მთელი ენერგია მტევნებში ჩადის და მერე ღვინო ისეთი გამოდის, სიმღერა რომ არ იცოდე, ძალით აგამღერებს...“ ოტო ბაუერს იმდენი სათქმელი აქვს საქართველოზე, ისეა „ყურებამდე“ ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებული, რომ ერთი გაზეთი არ გვეყოფა ალბათ მისი ემოციების გადმოსაცემად. გერმანელი „ქართველები“ საქართველოში ზაფხულში აპირებენ ჩამოსვლას. ვეცდები, იმ დროისთვისაც შევხვდე და თქვენც შეგახვედროთ (ამჯერად ბოდიშს გიხდით, რომ მათთან სახელდახელოდ შეხვედრის გამო ფოტოებს ვერ გაწვდით). ახლა კი მათთან ერთად გილოცავთ ახალ წელს, გადღეგრძელებთ კახური ღვინით, რომელიც ჩემს გერმანელ მასპინძლებს ერთმა გაქართველებულმა უცხოელმა გამოუგზავნა თურმე გურჯაანიდან და გარწმუნებთ, რომ თუ მარხვას ინახავთ, ახალი წლის სუფრაზე კახურ ღვინოზე, იმერულ ლობიოზე, მჭადზე და კომბოსტოს მწნილზე გემრიელს მართლა ვერაფერს მიირთმევთ, მით უმეტეს, თუ გული სიყვარულითა და მომავლის რწმენით გაქვთ სავსე.

***ეკა ლომიძე***

# თბილისი — „საცობიანი ქუჩების ქალაქი“

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

მანქანების სიმრავლეს ემატება გარე ვაჭრობაც. მოვაჭრეები ხშირად შუა ქუჩაზე არიან გადმოსული. მე არ ვგულისხმობ მხოლოდ დიდუბის რაიონს, ეს ცენტრალურ ქუჩებშიც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

**— ხომ არ შეიძლება ყველაფერი ასე გაგრძელდეს. გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ჩვენ ვმუშაობთ მერიასთან, ქალაქის არქიტექტურისა და სხვადასხვა სამმართველოსთან. თუ ჩვენს გეგმებს განვახორციელებთ, ქუჩები უფრო გამტარუნარიანი გახდება.

**— ქუჩების გაფართოება გაქვთ მხედველობაში?**

— გზის გაფართოებას მე ვერ გადავწყვეტ. ყველაფერი თანხებთან არის დაკავშირებული. მაგრამ თუ გვინდა, რომ მსგავსი საცობები აღარ იყოს, მოძრაობის ორგანიზაცია უნდა შეიცვალოს.

**— კერძოდ?**

— ქუჩებში, ძირითადად, ცალმხრივი მოძრაობა დაწესდება. ეს უპირველესად ეხება ცენტრალურ ქუჩებს: ვარაზისხევს, კოსტავას, მელიქიშვილის, საბურთალოს ქუჩებს.

**— ეს რამდენ ხანში შეიძლება გაკეთდეს?**

— ამას დიდი დრო არ სჭირდება. გასული წლის გაზაფხულზეც უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ბოლოს რატომღაც თანხები აღარ გამოიყო.

**— როგორც თბილისის საგზაო პოლიციის უფროსი, რას იტყოდით თბილისელ მძღოლებზე. დღეს ბევრი ამბობს, რომ მძღოლებიც ბევრს სცოდავენ.**

— მძღოლებიც კი არა, სწორედ ისინი არღვევენ წესებს, ჩვენთან ავტომანქანის მართვის კულტურა ჯერჯერობით არ არსებობს.

**— ყველაფერი მძღოლებს რომ არ დავაბრალოთ, ავტოინსპექტორებზეც ვისაუბროთ. ერთ-ერთმა ინსპექტორმა მითხრა, შუქნიშნის ჩაქრობის შემთხვევაში მოძრაობის ხელით დარეგულირება ბევრს არ შეუძლიაო.**

— გეთანხმებით. სისტემაში საკადრო პოლიტიკა და რეორგანიზაცია არის გასატარებელი და ტარდება კიდევაც. მაგრამ ყველაფერს ინსპექტორებს ნუ დავაბრალებთ. მოქალაქეები ხშირად მეუბნებიან, თურმე გაჩერება არ შეიძლებოდა. იქ იდგა საგზაო პოლიციელი, მაგრამ არ გამაფრთხილა. რომ გავაჩერე, ჯარიმა გადამახდევინაო. საგზაო პოლიციელი არ არის ვალდებული, მძღოლი გააფრთხილოს, სად გააჩეროს და სად — არა ავტომანქანა. ყველგან დგას საგზაო ნიშანი. უკაცრავად, მაგრამ გაახილოს თვალი და შეხედოს, სად აჩერებს მანქანას. იმიტომ არის მძღოლი და იმიტომ აქვს მართვის მოწმობა, რომ საგზაო მოძრაობის წესები უნდა იცოდეს.

**— განსაკუთრებით „მარშრუტკებს“ ემდურიან.**

— ამ მძღოლთა კვალიფიკაციას რომ თავი დავანებოთ, თვითონ სამარშრუტო ხაზებიც ბევრ პრობლემას ქმნის. მაგალითად, „რუსთავი-გორის“ მარშრუტი საკმაოდ საინტერესოა: „მარშრუტკა“ შემოდის ქალაქში, გამოივლის რუსთაველის პროსპექტზე, შემდეგ „მელიქიშვილს“ გაივლის, ჩავა ვარაზისხევით, გმირთა მოედანზე, შემდეგ წერეთელზე... კი, მაგრამ გორში რომ მოხვდეს, მაინცდამაინც ეს გზა უნდა გაიაროს? ამას სხვა მარშრუტებიც დაამატეთ. კოსტავას ქუჩაზე, გამომცემლობის წინ ქრონომეტრაჟი გაკეთდა. აღმოჩნდა, რომ საათში ორივე მიმართულებით 3 ათასი სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს, წარმოგიდგენიათ, ასეთ პირობებში კიდევ გაუკვირდება ვინმეს საცობების არსებობა?..

P.S. ერთი სიტყვით, უახლოეს მომავალში გზებზე მოძრაობის პირობებიც არის მოსაწესრიგებელი. იმედია, ამისთვის შესაბამისი თანხები გამოიძებნება და თბილისის ქუჩები ცივილიზებული ქვეყნების ქუჩებს დაემსგავსება, სადაც „წითელზეც“ არავინ გარბის და არც სასწრაფო დახმარების მანქანები იჩხირება საცობებში.

***დავით დევიძე***

# უკრაინა შესაძლოა საქართველოსთვის ევროპაში გამავალ სარკმლად იქცეს

მიხეილ სააკაშვილის აზრით, ევროპის თანამეგობრობაში ინტეგრირებული უკრაინა შესაძლოა საქართველოსთვის გახდეს „სარკმელი ევროპაში“. „უკრაინა აუცილებლად გახდება რეგიონალური ზესახელმწიფო. მას საამისოდ ყველა მაჩვენებელი აქვს. ქვეყნის ეკონომიკა თანდათან ძლიერდება, ჰყავს სერიოზული შეიარაღებული ძალები, აქვს თავდაცვის მნიშვნელოვანი პოტენციალი“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. კითხვაზე, — რას გულისხმობთ თქვენს ციტატაში: „რუსეთთან ურთიერთობაში საქართველო ყოველთვის გაითვალისწინებს უკრაინის ფაქტორსო“, მან უპასუხა: „უკრაინას, ბუნებრივია, დიდი რეგიონალური ინტერესები აქვს, განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთში. საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპის თანამეგობრობაში ინტეგრირებული უკრაინა ნატოს და ევროკავშირის წევრი გახდება და შესაძლოა საქართველოსთვის ევროპაში სარკმლის როლი ითამაშოს“. სააკაშვილის თქმით, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ჯერჯერობით, საქართველოს არ აქვს რესურსები, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკის აღდგენა შეუძლებელი იქნება საკუთარი საზღვრების გაუკონტროლებლად. ამასთან, სასურველი არ არის საბრძოლო მოქმედებით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. „მთავარია, რუსეთმა კვლავინდებურად არ ითამაშოს ნეგატიური როლი. გარდა ამისა, ეკონომიკა იმდენად უნდა აღორძინდეს, რომ საქართველო აფხაზეთისთვის ამ მხრივ მიმზიდველ მოდელად იქცეს. ჩვენთვის დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთის საკითხი. ერთ დროს უმშვენიერესი, ტურიზმისათვის უდიდესი პოტენციალის მქონე მხარე ახლა ნარკობიზნესის, ბირთვული მასალების უკონტროლო გავრცელებისა და კონტრაბანდის ასპარეზად არის ქცეული. ცხადია, საჭიროა წესრიგის დამყარება, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, — უკრაინა ვითარდება, ისევე როგორც საქართველო. განვითარდება ჩვენი ურთიერთობებიც. ჩვენ ევროპასთან დაახლოება გვსურს, დაახლოება გვსურს უკრაინასთანაც და ასეც იქნება“.

***ექსპერტ-ცენტრი***

# აფხაზეთს შესაძლოა ზღვიდან შეუტიონ...



სოხუმი შეეცადა თბილისიდან მიღებული ინფორმაციის უარყოფას. აუღიარებელი რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა ვლადიმირ არშბამ განაცხადა, — „აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში საქართველოს გემები შეუმჩნევლად შესვლას ვერ შეძლებენ. საზღვრის დარღვევის ფაქტს აუცილებლად გამოავლენდა აფხაზეთის წყლის სივრცეზე კონტროლის სისტემა. ჩანს, ქართველების სამხედრო სანავიგაციო სისტემა მაინცდამაინც მოწესრიგებული არ არის, ან თბილისი სასურველს სინამდვილედ კიდევ ერთხელ ასაღებს“.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის, ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ყოფნისას მოხდა ინციდენტი, რომელმაც ცხადყო, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის გასაკონტროლებლად ძალის გამოყენებას ფიქრობს — აფხაზეთს ზღვიდან შეუტევს. სწორედ ამგვარი სცენარი გაითამაშეს ქართველმა სამხედროებმა აფხაზეთის სანაპიროსთან. ქართული წყაროების ცნობით, უშიშროების მინისტრი ვ. ხაბურძანია და საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალთა სარდალი ზ. ირემაძე სამხედრო კატარღით ზღვაში გავიდნენ სოხუმის მახლობლად. „ეს მთელი საქართველოსთვის სიმბოლური ნაბიჯია და როცა იგი რეალობად იქცევა, თითოეული ჩვენგანი ბედნიერად იგრძნობს თავს, მათ შორის აფხაზებიც, რომლებმაც უნდა შეიგნონ, რომ ჩვენი ერთ სახელმწიფოში ცხოვრება გარდაუვალია“, — თქვა ხაბურძანიამ.

თუმცა სოხუმის სანაპიროს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები მართლაც შეიძლებოდა მიახლოებოდნენ. ნატოსა და უკრაინის დახმარებით თბილისმა ჯერ კიდევ 1998 წელს მოახერხა თავისი სამხედრო საზღვაო ფლოტის შექმნა. ამ საქმისთვის საქართველოს 27 მლნ დოლარი გამოუყვეს. საქართველოს საზღვაო ძალებში თურქეთის, უკრაინისა და საბერძნეთის მიერ გადაცემული სწრაფმავალი კატარღები შედის. აფხაზეთის ფლოტი გაცილებით ღარიბია, მაგრამ შეუძლია საქართველოს ფლოტთან შებმა.

სამხედრო ანალიტიკოსების აზრით, საზღვაო ომი აფხაზეთსა და საქართველოს შორის სავსებით მოსალოდნელია, რადგან აფხაზეთის რელიეფი ნაკლებად იძლევა ტანკებისა და არტილერიის გამოყენების საშუალებას. ეს 1992-1993 წლების ომმაც დაადასტურა.

***გაზეთა სნგ***

# სააკაშვილმა მზერა დასავლეთს მიაპყრო

მიხეილ სააკაშვილი მოსკოვს აფრთხილებს, რომ რუსეთის გავლენის სფერო შესაძლოა შემცირდეს: საქართველო ძლიერი, პროდასავლური ქვეყანა გახდება და რუსეთი უნდა შეეგუოს ამას. ამერიკაში განათლებამიღებული იურისტი მიხეილ სააკაშვილი, ნოემბრის საპროტესტო აქციებს ედგა სათავეში, რასაც პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა, იგი აცხადებს, რომ მართალია, რუსეთი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოა, მაგრამ ვაშინგტონთან ქვეყნის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. „ამერიკამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს, რომ იგი, როგორც სახელმწიფო, არ დაქცეულიყო. ამიტომაცაა, რომ ხალხი ამერიკას თავისი სახელმწიფოებრიობის გარანტად მიიჩნევს“.

როგორც მან აღნიშნა, რუსეთმა საქართველოსთვის პრობლემების შექმნით და კონფლიქტების პროვოცირებით, კავკასიაში ძველებური გავლენა დაკარგა და ეს სიცარიელე ამერიკამ შეავსო. მისი თქმით, საქართველოს სურს თანამშრომლობა ჩრდილოელ მეზობელთან, მაგრამ რუსეთი უნდა შეეგუოს ახალ რეალობას, იგი გაცილებით პრაგმატული უნდა გახდეს. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ამერიკის გავლენის გავრცელება რუსეთში ბევრს აღიზიანებს. მათ ჰგონიათ, რომ ღარიბი მთიანი ქვეყანა კვლავინდებურად მოსკოვის გავლენის ქვეშაა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ამერიკამ საქართველოს დახმარების სახით 1,3 მლრდ დოლარი გამოუყო. ევროსაბჭომ და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებმაც — დაახლოებით იმდენივე და კიდევ სთავაზობენ დახმარებას. გასულ კვირას ამერიკის საელჩომ 21 მლნ დოლარის საქართველოსთვის გადაცემის შესახებ გააკეთა განცხადება. ეს თანხა პენსიების, ხელფასებისა და გათბობის ხარჯებს მოხმარდება.

სხვათა შორის, ვაშინგტონის ინტერესები სცილდება ეკონომიკურ მხარდაჭერას. ამერიკის სპეცდანაყოფის კონტინგენტი დაშლილ ქართულ არმიას აღადგენს, საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ მაილსი კი პოლიტიკური არასტაბილურობის დღეებში, თითქმის ყველა მოლაპარაკებას ესწრებოდა, რასაც შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა. საქართველოს მიმართ გადაჭარბებულ ყურადღებას უპირატესად ნავთობსადენის მშენებლობით ხსნიან. ნავთობსადენი, რომელიც საქართველოში რუსეთის გვერდის ავლით გადის, დიდი ხანია ამერიკელების სანუკვარი ოცნებაა. სადღეისოდ რუსეთი ჯერ კიდევ აკონტროლებს კასპიის ენერგორესურსების ექსპორტის უმთავრეს გზებს. თუმცა ნავთობსადენმა, რომლის მშენებლობა 2005 წელს დასრულდება, უკვე განსაზღვრა საქართველოს ადგილი მსოფლიოში. „ნავთობსადენი ჩვენთვის გადარჩენის საკითხია, — განაცხადა სააკაშვილმა, სამწუხაროდ, ზოგიერთ რუს ანალიტიკოსსა და პოლიტიკოსზე ნავთობსადენი ისე მოქმედებს, როგორც წითელი ქსოვილი ხარზე“.

სააკაშვილისთვის, განსაკუთრებით პრიორიტეტულია კორუფციასთან ბრძოლა, გაპარტახებული ეკონომიკისა და ამბოხებულ რეგიონებში ცენტრალური ხელისუფლების აღდგენა. იგი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან აქტიური მოლაპარაკებების დაწყებას აპირებს. მისი თქმით, ამ დროს განსაკუთრებით კორექტული იქნება, მაგრამ ორივე რეგიონმაც, თავის მხრივ, არ უნდა წამოაყენოს ექსტრემალური პირობები.

სწორედ ამ საშინაო პრობლემების მოგვარებისას დასჭირდება საქართველოს რუსეთის კეთილი ნება. რუსეთი არა მარტო ენერგიის მიმწოდებელი, უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორიცაა და ათიათასობით ქართველ მიგრანტს სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს. რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის შემოღებამ ეკონომიკური მარყუჟი კიდევ უფრო დაავიწროვა. მოსკოვს პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოში ეთნიკურ კონფლიქტებთანაც. რუსეთის საბრძოლო დანაყოფები, რომლებსაც ხშირად ადანაშაულებენ აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხარდაჭერაში, დღეს რეგიონებში „სამშვიდობოებად“ გვევლინებიან და კვლავაც ინარჩუნებენ სტატუს-კვოს.

საქართველოს დასავლეთში გავლენიანი მეგობრები ჰყავს, მაგრამ სააკაშვილი პრაგმატულად უდგება რუსეთთან მეზობლობას: „რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოინახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ვერ განვითარდება“, — განაცხადა მან.

***ტაიმსი***

# 2003 წლის მთავარი ადამიანები

**რფი-ის ტელევიზიით გასული წლის მთავარ ადამიანთა შორის, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელიც დასახელდა:**



ქალბატონი ნინო ბურჯანაძის სამუშაო მაგიდაზე ლარნაკში თავს იწონებს ხავერდოვანი რევოლუციის სიმბოლო — ოქროსფრად შეღებილი ცოცხალი ვარდი — ხელოვნური ყვავილები ქალბატონ ნინოს არ უყვარს. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ხუმრობს: ასეა ქალი-პოლიტიკოსიც — გარედან რვალია, სული კი უნაზესი ფურცელივით აქვსო. საქართველოში მას „რკინის ნინოს“ უწოდებენ. ტრადიციული კავკასიისთვის ასეთი რანგის მეთაური ქალი ჯერ კიდევ სენსაციად ითვლება. ბურჯანაძემდე საქართველოს მანდილოსანი მხოლოდ ერთხელ მართავდა — მეფე თამარი.

ქალი-პოლიტიკოსის ოჯახიც განსაკუთრებულია. როგორც კი თბილისში მიმდინარე მოვლენების ამბავი შეიტყო, ნინო ბურჯანაძის 18 წლის ვაჟი ლონდონიდან ჩამოვიდა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მეუღლე კი ალბათ ერთადერთი კავკასიელი ქმარია, რომელიც ცოლს სამზარეულოში ტრიალს უშლის. მან იცის, რომ ის უამისოდაც დატვირთულია. დაცვაც ჩივის, ვერაფრით მიჩვევია, რომ ქალი ჰყავს დასაცავი: ქალბატონ პრეზიდენტს შეუძლია უეცრად შეცვალოს მარშრუტი და ერთი საათით საპარიკმახეროში შეუხვიოს ან შინიდან გამოსვლა დააგვიანოს — ტელეფონით მეგობართან საუბარმა შეაყოვნოსო. ამბობენ, ნინო ბურჯანაძე ღამღამობით ძველებურად ველარ დასეირნობს თავისი „ნივით“ თბილისის ქუჩებშიო.

***ო-ერ-ტე***

# ჯონათან სტილი: ახალი ცივი ომის არენა რუსეთსა და ამერიკას შორის...

„ახალი“ ომისა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორი ზესახელმწიფოს მეტოქეობა უკვე გლობალურ მასშტაბებში აღარ მიმდინარეობს. ღია შტორმი ცბიერმა და რთულმა მანევრირებამ შეცვალა. ალბათ საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა, თუ მას ფეხზე დადგომაში არასამთავრობო ორგანიზაციები დაეხმარებოდნენ, მაგალითად, გაერო და არა იმპერიული ამბიციების მქონე სახელმწიფო. ვაშინგტონმა შეძლო ძველი ანტირუსული ალიანსის, ნატოს გაფართოება დასავლეთით. ჯერ კიდევ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, ყურადღება თანდათანობით რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე — ცენტრალურ აზიასა და კავკასიაზე გადავიდა და ამოცანად დაისახა იქ მოსკოვის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის მაქსიმალურად შემცირება. საქართველო შესაფერისი პარტნიორი აღმოჩნდა, თან ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ მზადყოფნა გამოთქვა. ქვეყანას დიდი ფინანსური დახმარება გაუწიეს, მაგრამ პროგრესული რეფორმები ვერ განხორციელდა. ბუშის ხალხმა არა მარტო განაგრძო კლინტონის სტრატეგია რუსეთის გავლენის შესამცირებლად, არამედ გააძლიერა კიდეც იგი. ვლ. პუტინს უნდოდა, აშშ-ს ხმა არ ამოეღო ჩეჩნეთის ომის გამო, ამის სანაცვლოდ, ვაშინგტონმა ცენტრალურ აზიაში ამერიკული ბაზების მშენებლობის უფლება მიიღო. ვაშინგტონმა შევარდნაძე ნოემბრის უპატიოსნო არჩევნების გამო კი არ „ჩაუშვა“ — ალიევების დინასტიის არანაკლებ თაღლითურ ქცევას მეზობელ აზერბაიჯანში თითქმის არ გამოუწვევია ამერიკელთა პროტესტი, — ნამდვილი მიზეზი — არასტაბილურობის ან სამოქალაქო ომის შიში იყო. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შესაძლებელია ორი სცენარის განვითარება. ახალი გუნდი ან ანტირუსული ნაციონალიზმისა და კონფრონტაციის გზას დაადგება, ან შესაძლოა მიხვდეს, რომ კავკასიაში ახალი ცივი ომის მხარდაჭერა საქართველოსთვის არანაირად არ არის ხელსაყრელი.

***გარდიანი***


# ჯადოსნური კუპონი



„ბუთქუნას და მეგობრების“ ბოლო 6 წიგნის ყველა ეგზემპლარში დევს ჯადოსნური კუპონი ფირმა „თოლიასაგან“. თუ ამ კუპონს წარადგენთ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, საჩუქრად მიიღებთ უგემრიელესი ნამცხვრის, „ზღაპრულის“ ან „ლიმპოპოს“ ერთ შეკვრას.



კუპონების განაღდება ასევე შეიძლება იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც იყიდება „თოლიას“ ნაწარმი



უფროხებო!
გაახარეთ პატარები!

თან საინტერესო, თან გემრიელი!

წიგნები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**3 წლის თამუნა ძირია** საბავშვო ბაღში ზოგჯერ მოიწყენს, დედა ენატრება. ერთხელ დაგვიანებულ დედას შესჩივლა:

— დედიკო, ძალიან გთხოვ, გვიან მოდი და ადრე წამიყვანე...

***

დილით **პატარა იურამ** ბებო გააბრაზა.

— სად მიდიხარ?

— ჯანდაბაში, — მიუგო ბებომ.

ნაშუადღევს კარზე დააკაკუნა ვიღაცამ. იურამ უპასუხა:

— ბებია თუ გინდათ, შინ არ არის, ჯანდაბაში წავიდა.

***

პატარები ბევრ რამეს უკავშირებენ თოვლს. ბაბუა ეკითხება პატარა **ანა ოსიაშვილს**:

— როდის გახდება შენი ძმა ილია 2 წლის?

— როცა თოვლი მოვა, — უპასუხა ანამ (ილია დაბადებულია 22 თებერვალს).

**უპასუხე გრაგნილებზე მოცემულ კითხვებს და ჩაწერე ნაძვის ხეზე დაკიდებულ მძივში მოცემული ნუმერაციის მიხედვით, ხოლო ქვემოთ მოცემულ კინოკადრებზე იპოვე 10 განსხვავება**




## ანა, გამოიცანი

**1) რომელმა მწერალმა მიმართა თავის ხალხს საახალწლოდ ფრაზით: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!"**

ა) აკაკი წერეთელმა; ბ) ილია ჭავჭავაძემ; გ) ვაჟა-ფშაველამ; დ) იაკობ გოგებაშვილმა.

**2) რას ამბობენ ადამიანზე, რომელიც ფუჭად შრომობს?**

ა) წყალს ღვრის; ბ) წყალს ამღვრევს; გ) წყალში ხტება; დ) წყალს ნაყავს.

**3) როგორ მოიხსენიებენ საქართველოს მეფეს ფარსმან II-ს?**

ა) ბრწყინვალე; ბ) თავდადებული; გ) ქველი; დ) პატარა კახი.

# ქრისტე იშვა ბეთლემსაო

ღმერთმა ანგელოზი გაბრიელი თავის მაცნედ გააგზავნა ქალწულ მარიამთან ნაზარეთში. მარიამი იოსებზე იყო დანიშნული, კაცზე, რომელიც მეფე დავითის გვარიდან იყო. გაბრიელი მივიდა მარიამთან და უთხრა: „გიხაროდეს, მარიამ! უფალი შენთანაა. მან შენ ამოგარჩია". მარიამს შეეშინდა და ფიქრობდა, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები. გაბრიელმა უთხრა: „ნუ გეშინია, შენ ღვთის მადლი ჰპოვე. ღმერთს უყვარხარ. შენ ვაჟი შეგეძინება. მას სახელად იესო უნდა დაარქვა. იგი უზენაესის ძედ იწოდება".

მარიამმა ჰკითხა: „როგორ მოხდება ეგ, მამაკაცი რომ არ ვიცი?" გაბრიელმა უპასუხა: „სულიწმიდა და უზენაესის ძალა გადმოვა შენზე. ღმერთისათვის არაფერია შეუძლებელი". მარიამმა თქვა: „მე ვარ მხევალი უფლისა, რაც ღმერთს სურს, დაე აღსრულდეს".

იოსები სამართლიანი და მორწმუნე კაცი იყო. მან შეამჩნია, რომ მისი დანიშნული მარიამი, ბავშვს ელოდებოდა, რადგანაც იგი უყვარდა და არ სურდა უსამართლოდ მოეპყრო, ფიქრობდა, ფარულად ხომ არ გაშორებოდა. მაგრამ ღამით მას სიზმრად ეჩვენა ღვთის მაცნე, ანგელოზი. მან უთხრა: „იოსებ, დავითის ძეო, ნუ გეშინია მოიყვანო მარიამი. ბავშვი, რომელსაც ის ელოდება, სულიწმიდისაგან არის. იგი შობს ძეს. იგი ხალხს შეარიგებს ღმერთთან".

იმ დროს რომში კეისარი ავგუსტუსი მეფობდა. მან ბრძანა: „ყველა ადამიანმა, რომელიც ჩემს სამეფოში ცხოვრობს, აღწერა უნდა გაიაროს. თითოეული უნდა ჩაიწეროს იმ ადგილის მიხედვით, საიდანაც მისი ოჯახი წარმოსდგება". ამიტომ იოსები მარიამთან ერთად გაემართა ნაზარეთიდან ბეთლემს, დავითის მშობლიური ქალაქისაკენ. იქ მარიამმა შობა თავისი ვაჟი, პირმშო. მან ჩვრებში შეახვია იგი და ბაგაში ჩააწვინა, რადგან სხვაგან მისთვის ადგილი არ იყო.

ბეთლემის მახლობლად მწყემსები ფარას მწყემსავდნენ. მათ უფლის ანგელოზი გამოეცხადა. მისმა კაშკაშა სინათლემ მათ თვალი მოსჭრა. მწყემსებს ანგელოზმა უთხრა: „მე მოგანიჭებთ თქვენ და მთელ ხალხს დიდ სიხარულს: დღეს დავითის ქალაქში დაიბადა მესია; ის არის უფალი. თქვენ მას იცნობთ. იპოვით ყრმას და მწოლიარეს ბაგაში".

უეცრად მინდორზე მრავალი ანგელოზი გამოჩნდა. ისინი ადიდებდნენ ღმერთს „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება". ამის შემდეგ მწყემსები კვლავ მარტონი დარჩნენ და ერთმანეთს უთხრეს: „მოდით, წავიდეთ ბეთლემს და ვნახოთ, რა მოხდა იქ". გზას სწრაფად გაუდგნენ და იხილეს მარიამი, იოსები და ბაგაში მწოლიარე ყრმა. მის დანახვაზე ისინი მოჰყვნენ, თუ რა აუწყა მათ ანგელოზმა ამ ბავშვის შესახებ. ყველას, ვინც ამას ისმენდა, უკვირდა.

ხოლო მარიამმა ყველაფერი, რაც მოხდა, გულში ჩაიმარხა და ჩაფიქრდა.

მწყემსები ადიდებდნენ და მადლობას სწირავდნენ ღმერთს ყველაფრისათვის, რაც იხილეს და ისმინეს, როდესაც ბავშვი რვა დღისა გახდა, მას უწოდეს სახელი, რომელიც გაბრიელმა თქვა: „იესო, რაც ნიშნავს „უფალი მხსნელია".

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა


საუკეთესო ზღაპრები

+4 გასართობი გვერდი

გამოსულია 40-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი



ყურადღება!
პატარა მკითხველების თხოვნით, ზღაპარი „სამი გოჭი" ხელახლა დაისტამბა

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები
1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# ოცდახუთსა დეკემბერსა, ანუ ასე ხვდებოდნენ შობას ჩვენში...

## რაც არ უნდა ცუდი ამინდი იყოს, შობის ვარსკვლავი ცაზე აუცილებლად გამოჩნდება...



**„ოცდახუთსა დეკემბერსა, / ქრისტე იშვა ბეთლემსაო, / ჰაი, ჰაი, ალილო...“ — ბავშვობიდან მოგვყვება იანვრის სუსხიანი ღამის გახსენება. ეს იმათ, ვინც სოფელში იზრდებოდა, თუმცა ქალაქელი პატარების უმეტესობაც საშობაოდ სოფლებში გაიკრიფებოდნენ და თავადვე ხდებოდნენ ამ ბრწყინვალე დღესასწაულის მონაწილენი. ზოგჯერ მშობლების უჩუმრადაც, თბილად ჩაცმულ ქალაქელებს, კომბლით ხელში და ზურგზე საგანგებო აბგით ჭიშკარ-ჭიშკარ უვლიათ თავიანთ სოფლელ თანატოლებთან ერთად და ქრისტეს დაბადება უხარებიათ მეზობლებისთვის, ახლობლებისთვის... საჩუქრებიც მიუღიათ (ვაშლები, ფორთოხ...ები, ჩურჩხელები, ტკბილი კვერები, კოკრები, ხურდა ფული, ჩირი, ჩამიჩი, ხაჭაპურები, ფოჩიანი კანფეტები, კვერცხები და რა აღარა...). მერე დამსხდარან, ძმურად გაუყვიათ და გათენებამდე „უქეიფიათ“.**

ეს თვალის ერთი გადავლებით, თორემ საშობაო რიტუალს უფრო ღრმა დატვირთვა აქვს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეს გახლავთ ძალზე დიდი სულიერი სიხარულის მაუწყებელი დღესასწაული — მაცხოვრის შობის დღე.

ქრისტეშობის დღის აღსანიშნავად ქართველი კაცი მთელი წელი ემზადებოდა. ცალკე ქვევრში ინახავდა საგანგებოდ დაწურულ ღვინოს (უმთავრესად წითელს) ან საუკეთესო არაყს. ამ ღვინოს და არაყს ზედაშე ერქვა და მხოლოდ საშობაოდ, საახალწლოდ, სააღდგომოდ და უფლის სხვა გამორჩეულ დღესასწაულებში თუ გამოიტანდნენ სუფრაზე (ზედაშეს ზიარებისა და ჯვრისწერისასაც ხმარობდნენ)...

საგანგებოდ იზრდებოდა საშობაო ღორი (ტახი) და ამ დღეს დასაკლავი ქათმები...

შობა თორმეტთაგან ერთი საუფლო დღესასწაულია, რომელიც პირველად მეოთხე საუკუნეში უზეიმიათ.

**...ძველი აღთქმიდან კარგად გვახსოვს, თუ როგორ დასაჯა ღმერთმა გაამპარტავნებული მეფე საული, რომელსაც წაართვა სამეფო და მისცა იგი იუდასტომელ დავითს. დავითი ბეთლემში აკურთხეს მეფედ. იმ დროიდან სულიწმიდა საულს განეშორა და დავითზე გადმოვიდა. დავითმა შემოიერთა ქალაქი იერუსალიმი, რომელიც სატახტო ქალაქად აქცია. აქ უნდოდა ღვთის ტაძრის აშენება, მაგრამ ღმერთმა ნათან წინასწარმეტყველის პირით აუწყა, რომ ამ ტაძარს ააშენებს ძე მისი და არა ის. რომ დავითის ტომისგან იშვება მაცხოვარი, რომელიც უკუნისამდე იმეფებს.**

**...და დადგა მაცხოვრის შობის დრო. რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა ბრძანა, მოეხდინათ ხალხის აღწერა. ყოველი კაცი უნდა ჩაწერილიყო თავისი წინაპრის ქალაქში. ნაზარეთში მცხოვრები იოსები და მარიამი, რომელნიც დავითის ტომის შვილები იყვნენ, ჩასაწერად წავიდნენ ბეთლემში, ანუ დავითის ქალაქში. მარიამი იოსებზე „იყო დანიშნული და იყო ორსულად“.**

**უამრავი ხალხი მოაწყდა ბეთლემს. ღამის გასათევი ადგილი აღარსად იყო და მარიამმა ბაგაში შვა ძე...**

**ანგელოზმა მწყემსებს ახარა მაცხოვრის შობა: „იმ ყმას ჰპოვებთ შეხვეულს და ბაგაზე მწოლარეს“. ამას მოჰყვა ანგელოზთა გამოცხადება, რომელთაც იგალობეს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ანგელოზების ზეცაში ასვლის შემდგომ მწყემსები მივიდნენ ბეთლემს, სადაც მართლაც იხილეს ბაგაზე მწოლიარე მარიამი ყრმით ხელში და იოსები. თაყვანი სცეს და უამბეს მათ ყოველივე ანგელოზთა ნაამბობი...**

**მათეს სახარების მიხედვით, მოგვებმა იხილეს იუდეველთა ახალშობილი მეფის ვარსკვლავი...**

...

ეს დიდი საუფლო დღესასწაული მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებში აღინიშნება 25 დეკემბერს (ახალი სტილით 7 იანვარს).

შობის დღესასწაულისთვის გამორჩეული ადგილის მიკუთვნება იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი დიდი სიხარულის მაუწყებელია, ღვთის წყალობაა, ღვთისგან ბოძებული მადლია. ამიტომაც განსაკუთრებული სამზადისია ამ დღის აღსანიშნავად ეკლესიაშიც.

— შობის, როგორც საეკლესიო და ხალხური დღესასწაულის ერთმანეთისგან გამიჯვნა, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია, — გვესაუბრება ეთნოლოგი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **ნინო აბაკელია**. — მათი გამაერთიანებელი თავად ქრისტეს შობის დღესასწაულია, რაც „მზიანი ღამის“ ზეიმთან ასოცირდება პირველ ყოვლისა.

— **ქალბატონო ნინო, ტრადიციულად ქართველი კაცი ქრისტეშობის დღესასწაულს ყოველთვის გამორჩეულად ხვდებოდა...**

— დიახ, შობის დღესასწაული ქართველი კაცის ფანტაზიამ უამრავი წეს-ჩვეულებით დატვირთა. ეს წეს-ჩვეულებანი ძირითადად მიმართული იყო ნაყოფიერებისკენ, კეთილდღეობისკენ, ავი სულების დასათრგუნად. ალბათ, ამიტომაც არის ხალხურ რიტუალებში შობის დღეს კერაზე ცეცხლის დანთება აუცილებელი.

— **საშობაო ღამის რიტუალი მხოლოდ სოფელმა და იქაც უკვე ხანში შესულებმა შემოინახეს... როგორი იყო ეს ღამე?**

— ტრადიციულად, შობის წინა დღე უნდა იმარხულებოდეს (მათთვისაც კი, ვინც წინასაშობაო მარხვას არ ინახავს). ე. წ. შობის ვარსკვლავის გამოჩენამდე დაკანონებული წესჩვეულებები სრულდებოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ ღამეს სხვადასხვა სახელი ერქვა. ასე მაგალითად, მრავალწლობა, კორკოტობა, ჭანტილობა, კორბოულობა, თხილების ღამე და ა.შ. ყველგან იხარშებოდა ხორბლის ფაფა (წანდილი, კორკოტი), ცხვებოდა რიტუალური პურები — განატეხი, ღვეზელი, ქრისტეს პური, ქრისტეს საგზალი და სხვა. რიტუალურ პურს ბარაქის სიმბოლოც ჰქონდა ამავე დროს. მის ერთ ნაწილს გაზაფხულამდე ინახავდნენ, თესვისას კი დაფხვნიდნენ და მარცვლეულში აურევდნენ.

საშობაოდ მთელ საქართველოში იკვლებოდა ნასუქი ღორი, მიცვალებულისთვის კეთდებოდა საკურთხი.

— **ღორი როდის იკვლებოდა, 24-ში, არა?**

— ზოგი ამბობს, რომ 24-ში, ზოგი კიდევ ღორის დაკვლას უშუალოდ შობა დღეს უკავშირებს. მაგრამ 24-ში თუ დაკლავდნენ, არავითარ შემთხვევაში მანამ არ დააკარებდნენ პირს, სანამ შობის ვარსკვლავი არ გამოჩნდებოდა. ეს კი, ჩვეულებისამებრ, შობის დილა იყო... სწორედ ამ დროს გაიხსნილებდნენ. სხვათა შორის, იმასაც ამბობდნენ, რომ რაც არ უნდა ცუდი ამინდი იყოს, შობის ვარსკვლავი ცაზე აუცილებლად გამოჩნდებაო...

— **ახლა კი საშობაო მისალოცი სიმღერის, ალილოს შესახებ გვიამბეთ.**

— ალილო საშობაო წესჩვეულებების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. თავდაპირველად ეს გახლდათ 3-4-კაციანი მგალობელთა ჯგუფი, რომელთაც მეცხვარის ჯუბები ეცვათ და ხელში კომბალი ეჭირათ.

— **რითაც სახარებისეულ მწყემსებს განასახიერებდნენ, არა?**

— დიახ, სახარებისეულ მწყემსებს, რომლებსაც ანგელოზმა ეს-ეს არის ქრისტეშობა ახარა. მაგრამ მოგვიანებით ალილოს რიტუალის დესაკრალიზაცია (გახალხურება) მოხდა. მეალილოე მწყემსებს ბავშვები, ახალგაზრდები, ქალები, შერეული ჯგუფები ჩაენაცვლნენ.

— **მერე კი „მონოპოლია“ ბავშვებმა ჩაიგდეს ხელში.**

— ასეა, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ბოლო წლებში ალილოს თეატრალიზებული დატვირთვაც მიეცა. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, შობის ღამეს თუ მწყემსების ტყაპუჭებში გამოწყობილმა კომბლიანმა ბიჭებმა თქვენს ჭიშკართან ძველებური ალილო დასჭექონ.

— **იცით, რამდენჯერაც ალილო მომისმენია, ტექსტი ყოველთვის სხვადასხვა იყო, ზოგჯერ მოტივიც კი ოდნავ განსხვავებული.**

— ეს არც არის გასაკვირი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად „არანჟირებული“ ალილო ისმოდა (და საბედნიეროდ, ახლაც დადიან ბავშვები და ახალგაზრდები ალილოზე), მაგრამ უმთავრესი ყველგან ერთია, მაცხოვრის დაბადების მილოცვა...

— **იქნებ ერთი რომელიმე ტექსტი გამოგვყოთ...**

*— ოცდახუთსა ამთვესაო,*
*ქრისტე იშვა ბეთლემსაო,*
*ჩვენ მათხოვრები არა ვართ,*
*ქრისტეს მახარობლები ვართ.*
*ალილო და აქ ალილო,*
*ალილო და აქა შობა.*
*ღმერთმა ბევრი გაგითენოთ*
*შობა-ახალწელიწადი...*

— **მაგრამ მე ჩემი ბავშვობის დროინდელი ალილოს მისამღერი უფრო მომწონს — „ჰაი, ჰაი, ალილო!..“ აქედან ალბათ იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ ყველას თავისი ალილო აქვს... საინტერესოა, მეალილოებს რას გამოუტანდნენ, განსაკუთრებული და აუცილებელი რა იყო...**

— ამ მხრივ მასპინძელი შეზღუდული არ გახლდათ. ვისაც რა ჰქონდა, იმით აჯილდოებდა მახარობლებს, ეს იყო ფული, კვერცხი, კვერი, ღომის მარცვალიც კი, სპეციალურად მეალილოებისთვის გამომცხვარი ღვეზელი, ჩურჩხელები... მთავარი იყო, მასპინძელს ჯილდო გულით და სულით გაჰქონდა.

— **რა რიტუალი სდევდა თან შობის დილის გათენებას?**

— შობის დილის უმნიშვნელოვანესი დეტალია კარგი ცეცხლის დანთება და შემდგომ რიტუალური საუზმე. ამ საუზმეს იმერეთსა და სამეგრელოში ხაციცი ეწოდებოდა და საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ. იმერეთში იცით, ქათამს როგორ ხარშავდნენ? კუჭმაჭის მაგივრად ჭყინტ ყველსა და ბრინჯს ურთავდნენ. თანაც ოჯახის თითო წევრზე თითო ქათამი მოდიოდა. რაჭასა და ლეჩხუმში საანგელოზო ყვინჩილას კლავდნენ, რომელსაც წესისამებრ რომელიმე ბავშვის სახელზე შეუთქვამდნენ. ამ ყვინჩილასთან ერთად მეორეც იკვლებოდა (შეიძლება ვარიაც ყოფილიყო) ოჯახისთვის. საანგელოზო ყვინჩილას მხოლოდ კაცები და პატარა ბიჭები მიირთმევდნენ, საოჯახო ქათამი კი ყველასი იყო...

— **ეკლესიაში თუ მიდიოდნენ?**

— რა თქმა უნდა. შობას წირვაზე წასვლა აუცილებელი იყო. საშობაოდ ბევრ ოჯახში სპეციალურად ამ დღისთვის „ჩამოასხამდნენ“ თაფლის სანთელს...

...

**საქართველოში ქრისტეშობის დღესასწაულს დღესაც სიხარულით ხვდებიან და თუ თქვენს პატარებს „ალილოზე წასვლის“ სურვილი გაუჩნდებათ, ნუ დაუშლით, შეგიძლიათ ჯუბებიც გამოუძებნოთ, კომბალიც უყიდოთ (თუ გამოთლა დაგეზარებათ)... ალილოს სიმღერას თავად მოახერხებენ...**

**შობის დღესასწაულს გილოცავთ...**

***ელენე სალარიძე***


სასწავლო ცენტრი

CAC სი ეი სი

ფინანსური აღრიცხვის პროგრამა
(Financial Accounting)

სასწავლო ცენტრი CAC (სი ეი სი) გთავაზობთ ფინანსური აღრიცხვის ოთხთვიან სასწავლო პროგრამას საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.



კურსის მსვლელობისას შეისწავლება სრული ფინანსური პაკეტის შედგენა და ანალიზი:

- მოგება-ზარალის უწყისი;
- გაუნაწილებელი მოგების უწყისი;
- საწარმოს ბალანსი;
- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი;
- აღრიცხვის ფუნდამენტური მოდელი და ორმაგი ჩაწერის პრინციპი;
- ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი
- კაპიტალის აღრიცხვის სპეციფიკა;
- ფინანსური ანალიზისათვის გამოსაყენებელი ძირითადი კოეფიციენტები;
- საქართველოს ბიზნესის კანონმდებლობა

სასწავლო კურსის სრულყოფილად დაუფლების შემდეგ შეგეძლებათ:

- დამოუკიდებლად აწარმოოთ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება;
- სრულფასოვნად წარმართოთ აღრიცხვა გადასახადებისთვის;
- ანალიტიკურად გაანალიზოთ საანგარიშგებო პერიოდში მიმდინარე ფინანსური მოვლენები.

პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ მოგენიჭებათ CAC (სი ეი სი)-ს სერტიფიკატი.

მსმენელები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო ლიტერატურით:

*დაგვიკავშირდით, ნებისმიერ დაინტერესებას დაწვრილებით განვმარტავთ!*

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 41; მე-6 სართულზე.
ტელ. 25-17-30; 29-40-80 ელ. ფოსტა: cac@gol.ge





# საქართველო ყველგან ლამაზია. მერე ჩემია... ვის ჩავაბარებ?!



## — მერაბ ელიოზიშვილი

**სიტყვის აბანო მაქვს. რომ მოვუშვებ წყალს, ჩამოდის, სახეზე ჩამომეწურება, გამბანს და გამაქრისტიანებს ჩემი ქართული სიტყვა. ჩამივლის სიტყვები კალმახის ლიფსიტებივით, ვერ ასწრებ, სხვას ვერ უყვები, რა ნახე... ეს არის, რაც არის... შენი სისხლისა და ხორცისგან მოსჩქეფს ეს სიტყვები.**

**ვისია, ვისია ქალი ლამაზიო! ვისია, ვისია საქართველო ლამაზი... ვისია კი არა და, ჩვენ უნდა ვიყოთ საქართველოსი. პატარა შვილი ცოცვას რომ ისწავლის და კალოს გვერდზე წამოწოლილ, ნამუშევარ მამას შეაცოცდება გულზე, ეს არის შენი სიცოცხლის გაგრძელება. საქართველოზე ასე დავცოცავთ, როგორც პატარა შვილები. ის გვიხუტებს... ჩვენც უნდა ჩავეხუტოთ.**

***

სამოცდაათი წლის ვხდები ექვს თვეში. ვის გავატანო სამოცდაათი წლის სიცოცხლის სიხარული?.. რა გვჭირს, რომ ვერა და ვერ დავატოვებინეთ გველებს ყანა? მიშა სააკაშვილმა რომ დაიძახა, — ქართველებო, ფეხზე ადექითო, ხომ ნახეთ, როგორ დადგა ფეხზე ათასობით ქართველი?! მამლუქებივით დაირაზმნენ. დიახ, ჩვენ მამლუქები ვართ, ცრუპენტელა პოლიტიკანების გაყიდული მამლუქები.

ჩემი ახალი წელი [illegible]ორგ[illegible]ს დაიწყო. იმ სიხარულს რა [illegible]ავიწყებს, მიტინგზე რომ გამოვედი და დავინახე ქართველი ხალხი, [illegible]ქარგული სივრცე, ადამიანთა ერთად ყოფნის სილამაზე. ახლა იმაზე ვლოცულობ, შობას განწმენდილები შევხვდეთ, [illegible] კიბითა და ჩანგლით სირბ[illegible] [illegible] გვმართებს, რომ კიბე მივადგა[illegible] და ის ჩანგალი გამოვდოთ კი[illegible]ში ერ[illegible]მანეთს, ჩამოვაგდოთ, ფრთ[illegible], ხმალ-ფარიანად დავცეთ ძირს ბეჭებზე... ასი ათასი ყური და თვალი გვმართებს! მით უმეტეს, შენ, ვინც საიდუმლო იცი, დადიხარ, დაბუტბუტებ წინ და უკან. თუკი რამე იცი, უნდა მიიტანო სამშობლოს წმინდა ხატთან და დაანთო. მოწყურ[illegible]ულ ქართველს ძირგავარდნილ[illegible] [illegible]ით უნდა მიაწოდო წყალი? განა არ შეიძლება, ალალი [illegible]ით, ძი[illegible]მაგარი [illegible]ჭლით და[illegible] ერ[illegible]? 15 წლის ნასესხ[illegible] მომკლა (15 წელი ნასესხ[illegible] [illegible]ვრობ[illegible] ქართველებმა[illegible], ახლანდელ[illegible] ღალატი მომ[illegible]. რაშია საქმე[illegible] უნდათ ჩვენგან[illegible] წავი[illegible] ნახონ თავიანთი წინაპრების საფლავები... დაიჩოქონ იმ საფლავების [illegible]ინაშე, იქნება იგრძნონ რამე.

დღეს რაც ხდება, ამ დიპლომატიას, რასაც ეგენი თავქვას ახლიან, არაფერი არა ჰქვია. ახალშობილ ხბოს, რომელსაც ჯერ მუხლი არ გაუმართავს, როგორ შეიძლება ზედ დაადგე, როგორც მგელი და ჭამო. ახალი საქართველო დაიბადა, ნახე, როგორ შეწუხდნენ საქართველოს მტრები... რუსები როგორ იყურებიან ჩვენკენ! თვითონ დარჩნენ უდემოკრატებოდ, თავიანთი კა-გე-ბეს პოლოვნიკის ამარა. აღარ იციან, რა ქნან, რას ამოეფარონ.

***

ახლა რა დროს ქილიკია. მითქვამს და ვიტყვი. ახალ ლიდერებს, თითოს სამი მამა რომ ჰყავდეს, სამივე სომეხი და სამი დედა, სამივე თათარი, მაგას არა აქვს მნიშვნელობა. ქართული ბრძოლის უნახავი ვიყავი და მაჩვენეს. აი, ეს არის მნიშვნელოვანი!

***

აზამბურელი თათარი გოჭის თავს მეცილებოდაო. ახლა ყველა ქართველი აზამბურელი თათარია, ვინც საქართველოს თავისუფლებას ხელიდან მტაცებს! დავაცადოთ ერთმანეთს. მე წყალს დავუსხამ, შენ თოხი გამოუსვი, იმან გასხლას... მოვუაროთ, შევწამლოთ თავისუფლების ვენახი. იქნება რა ყურძენი დაისხას! მოდი, უღალატობის ინსტიტუტი შემოვიღოთ. სუფთა სიტყვა ვთქვათ და მოვისმინოთ.

***

პოეტებიც ეგენი არიან და მწერლებიც, საფლავის მიწას რომ ყიდიან... სასტუმროებს რომ ყიდულობენ მანეთად და ასი ათასად ყიდიან... ჩემი შვილიშვილები ხავერდის ნაჭრით უნდა ისხდნენ მაგათი ფეხსაცმლის მაპრიალებლად? ეგ [illegible]დათ. მაგათი მთელი გასწიე-[illegible]ფხრიწე ეგ არის. იმაზე ფიქრობე[illegible] მე რომ აღარ ვიქნები, ჩემს [illegible]ილიშვილს, იმის შვილიშვილსაც ხომ [illegible] ეყოს ქონებაო. დაიცა, შე მამაძაღლო... შე მამავერკეთილო, ამოდენა ქონებას რომ აგროვებ, იქნება შენი შვილიშვილი არ გამოვიდეს უქნარა და თვითონაც იშოვოს რამე? იქნება ისიც კარგი კაცი უნდა დადგეს!

ვინც პოლიტიკაში დიდ ცოდვებსა სჩადიან, იმათ ვეუბნები: დრო ცოტაა. მოსულია უფლის ანგელოზი სიმწიფის ატესტატის ჩამო[illegible]თმევად. ვერ ხვდებიან ეგენი. რ[illegible], შვილო ზურაბ, როდემდე? სურამის ციხეა ყველაფერი, რა[illegible] საქართველოში აშენდა და [illegible]დება.

***

ქართული მე პაპიდაჩემმა დარომ მასწავლა. ის იყო ჩემი უსაყვარლესი პაპიდა... ძალიან მიყვარდა ჩემი მამიდები, პაპიდა... ახლა როგორები იყვნენ! კაცი რომ გავხდი, მაშინაც ბავშვი ვიყავი მაგათ ხელში. ბავშვური სიყვარული მქონდა მაგათი. საქართველოში კარგი სახლი ვილასა ჰქონდა ჩემს ბავშვობაში. თუ ვინმეს ადრე ებადა რამე, წაართვეს. ვისაც ჰქონდა — სხვისი ჰქონდა და ისე ცხოვრობდნენ. პაპიდაჩემი, ჩემი მამიდები თავიანთ სახლში ცხოვრობდნენ, მტკაველნახევრიან ქოხმახებში. თვითონ იყვნენ პიროვნებები! რომ გადაფურცლავ ლამაზსურათებიან ალბომს, ლამაზთა შორის კიდევ უფრო ლამაზს რომ ამოარჩევ... სული რომ უნათებს და ამოსდის სიყვარულისა, სიყვარულის შუქი ამოსდიოდათ ჩემს მამიდებს. ნუთუ ეს პრიმიტივიზმი იყო? ნუთუ ეს „პროვინციალიზმია"? ჯანდაბა, რაღას არ მოიგონებენ, რომ სიყვარულისგან აღარ დარჩეს რა...

***

მთელი ჩემი სიყვარული აღდგომასა და შობა-ახალ წელში მქონდა ჩაქსოვილი. 7 ნოემბერიც ხომ იყო თანშემოზრდილი დღესასწაული ჩემი ბავშვობიდან... ჯარი ყველგან იყო, იმათ ბრახაბრუხს ვეჩვეოდით, ჯარისკაცულ სიმღერებსაც... 7 ნოემბერიც დასახლდა ჩვენში, პირველი მაისიც, მაგრამ აღდგომა და შობა-ახალი წელი სულ სხვა იყო.

გაზაფხულის სილამაზე ჩვენ წინ წითელი კვერცხით გაგორდებოდა, შობა-ახალი წელი კი კარგი თოვლით და საშობაოდ დაკლული ტახით მოდიოდა.

კაცი ლამაზი სიტყვით და ლამაზი სუფრით არის. ლამაზი სიტყვა ლამაზ სუფრას უყვარს და ლამაზი სუფრა — ლამაზ სიტყვას.

დაიწყებდა დედა სპილენძის ტაფაზე გოზინაყის კეთებას, თაფლი რომ ადუღდებოდა და თეთრად გადაქათქათდებოდა, დახალულ ნიგოზს ჩაყრიდა შიგ. ისეთ გოზინაყს აკეთებდა, უკეთესი არსად მინახავს.

ვინ არ იცის, რომ დაიბადა და ერთ მშვენიერ დღეს აღარ იქნება, მაგრამ ეს ყველაფერი: ლამაზი სურათები, ლამაზი სიტყვა, მილოცვა, მისვლა-მოსვლა, ადამიანთა სიყვარული იყო და ერთ სიცოცხლედ ღირდა. მე დაუზოგავად ვიცოდი სიყვარულის გაცემა. ჩამოვივლიდი სასტვენით, როგორც პოლიციელი, მხარზე ყანწი მქონდა გადაგდებული და ხელით ათლიტრიანი მოწნული მიმქონდა, ჩემი დაწურული ღვინით სავსე. დავუსტვენდი, გამოიხედავდა მეზობელი, ნათესავი, ვადღეგრძელებდით ერთმანეთს... მივტოპავდი მუხლამდე თოვლში. შემოვივლიდი ნათესავებს. ასეთი სიყვარული გვქონდა. ზოგთან მეკვლე ვხდებოდი, ზოგან უკვე ნაკვლევი იყო, ისე ვსტუმრობდი.

***

ტასო მაჩაბელი მახსოვს, ღრმად მოხუცებული იყო, დადიოდა ოთახში, პიანინოსაც უკრავდა. ერთხელ ავედით მასთან მე და ჩემი ცოლ-შვილი. ისეთი ოღროჩოღრო, პატარა ქოხმახი ედგა დიდი მაჩაბლის სახლის გვერდზე... ჭინჭარი, ჭინჭარი, ჭინჭარი რო, კიბე უნდა მიგედგა, რომ ჭინჭრის თავზე გადასულიყავი. კიდეც ვუთხარი იქა: შე კაი კაცო, ერთი მოხუცი მაჩაბელი ჩამოდის ზაფხულობით, თუ დიდ რამეს არ დაუთესავ, რომ სიმინდი მოუვიდეს ან საჭმელი ჰქონდეს, გაუთიბე მაინცა-მეთქი. საკვირველია, ღმერთი რა ჰგონიათ ამათა? როგორ წარმოუდგენიათ ნეტა? რევოლვერით ხო არ დაგვადგება, არა? თვითონ უნდა იგრძნო, დაინახო და ადვილად მოერევი შენს ნაკლს და მოუვლი შენსა და სხვის ვარამსა. ტასო მაჩაბელთან იატაკს შორის ადგილი იმდენი იყო, გვეშინოდა ფეხის გადადგმა. იქ ჩავარდნოდა ფეხი და მოტეხოდა. შეხვეული ჰქონდა, შებამბულ თუ შეთაბაშირებული. სიამოვნებით გვიყვებოდა ძველ ამბებს: თამარაშენში ჩემს დროს გაჩნდა ერთადერთი ოსიო და ცხინვალში საერთოდ არ არსებობდაო. ახლა მოსკოვის პასპორტებს იჩრიან ილლიებშია და ჩემი ბალახიან-ვენახიანად უნდათ რუსეთში წავიდნენ! რას აკეთებენ, კაცო? რატო ერთი დიდი წერილი არ დაიწერა ამ პასპორტიზაციაზე? რად უნდა კამათი მაგასა, რომ ქვასაც ქართული სახელი ჰქვია იქა და წისქვილსაც. ხეხილი ზვრად ჩაყრილია. შეხედავ მეხილესა — ქართველი. ოსს შეხედავ — არც მეხილეა, არც გრეხლია, არც არაფერი, ან ყარაულია, ან სასოფლო საბჭოს მუშა.

***

საერთაშორისო ორგანიზაციები განიხილავენ ცხინვალის ამბებს. რა უნდა განიხილონ? ჩემს მიწაზე შემოვიდა, დასახლდა, ახლა რუსეთთან უნდა შეერთება! რა კარგია, კაცო! რა კარგი ბავშვები არიან. რომელი კანფეტიც უნდათ, იმას ჩაიდებენ პირში! საქართველოც კანფეტი ჰგონიათ, შემოეჭამათ ხელში. დიდი მადლობელი უნდა ვიყოთ ახლა პუტინის, რომ ამათ მხარი არ დაუჭიროს, არ მოაკბეჩინოს და გაათრევინოს ჩვენი მიწები. ნიანგი რომ გაათრევს ნაპირიდან მძინარე მობანავეს, ასე უნდათ გაათრიონ ჩვენი მიწები. ძეგლი მაგათი არ არის, ისტორია მაგათი არ არის. ცოტათი დავჯანღაგდით, ველარ გავმრავლდით. იმ ადგილზე, სადაც ჩემი სახლი იყო, შევიდნენ და დასახლდნენ. ეგრე ხომ არ არის, არა? ამ ჩვენმა პრეზიდენტმა (შევარდნაძემ) რომ თქვა: შეხვალთ ცხინვალში. ოსებს თქვენი სახლებიდან ხომ არ გამოასახლებთ, თქვენ ცალკე აგიშენებთო... ახლა იქიდან დაუკრა კვერი პრეზიდენტად ვერცხონებულმა ქოქოითმა: თუ არ მოაკითხეთ თქვენს სახლებსაო, საჯაროდ გაყიდითო... კი, მაგრამ, რამდენი ოსია ცხინვალიდან რუსეთში წასული სამუშაოდ, იმათ სახლებს რატომ არ გაყიდიან?! ჩვენ ჩამოვედით შეშინებულები, შევაფარეთ თავი თბილისს... ჩვენ უნდა გაგვიყიდონ ყველაფერი?!

***

ჩვენ ლიახვის ხეობის დიდებულები ვიყავით, მაგრამ გაძარცულები ვიყავით. ეს ოსები გვესხმოდნენ თავსა და შუბებითა გვჩხვლეტავდნენო, — მითხრა პაპიდაჩემმა, — რა უნდა შეგვენახაო?! გავახვიეთ ყველაფერი ერთ დიდ ხალიჩაში და ჩავამარხვინეთ მოჯამაგირესაო. ის მოჯამაგირეც წავიდა და წავიდა... ჩამარხა, არ ჩამარხა, არ ვიცი, რა ქნა. ისე, კარგი ურთიერთობა გვქონდა მოჯამაგირეებთან. ერთხელ გვესტუმრა 83 წლის სიკა ტურაშვილი. მაგიდაზე დააბრახუნა და თქვა: ეს მაგიდა ჩემი გაკეთებულიაო. დათამ მითხრაო, ისეთი გააკეთე, კაკლის ხისაო, ზედ რო შევდგე, არ გაინძრესო. დათა ყოფილა გოლიათი კაცი. 10-კოკიან რუმბს ერეოდა, დაიჩოქებდა, მხრითა ურემზე ააგდებდა. ჩვენი ციხის კოშკის კარებქვეშ არის დაკრძალული. მარანი გვქონდა, ისეთი ქვევრები იყო, რო ჩასძახებდი, ვიდრე ხმა ამოვიდოდა, კაი დრო გავიდოდა.

***

სამოცდაათი წელი უნდა მოვღუნო მალე და ჩავძახო ჩემს სამშობლოს, — ნება მომეცი ვაპატიო იმათ, ვინც ცილი დამწამა ან არასწორად დაინახა ჩემში ქართველი. არ შეიძლება ქრისტიანმა არ აპატიოს ქრისტიანს... მეც მაპატიონ, თუ რამე შევცოდე...

განსასვენებელ მიწას ვეძებ!

ესე ხო არ არის. უნდა მივაბარო ჩემი ნაწილები მიწას. ამ დროს განგმირული კვნესის ჩემი ცხინვალი, აფხაზეთი, პრობლემა არის თუ არ არის გადასაწყვეტი?

გავედი მიტინგზე, დავინახე 40 000 ქართველის თავი, ისე მიყურებდნენ, როგორც თავთავები... ყანაში რომ გამივლია და ქვიტკირო რო გამიგონია. ჩემი მწყრის და ჩემი ტოროლას წიავ-წიავი რომ ამოსულა, ბუდიანად რო წასულა ცაში და ბუდიანადვე რო მზეს აჰგვრია. მე მგონია, იქაც პატარა ნაკვეთი მაქვს, ცაში... აქ ვერ მივიღე ჩემი ცხინვალის მიწა... იქ მელოდება.

დამაცადეთ, ჩემი წილი რწმენისა ჩემს ახალ მთავრობას — ჩემი შვილის ტოლა ბიჭებს და უფრო პატარებს, შევახმარო!

პატარა ხანს ვიზნეოთ და დავანახოთ ქვეყანას, რომ ჩვენი ხალხი გვიყვარს!

***

ღმერთმა თითო პეშვი მიწა ჩააწყო ამოდენა ოკეანეების წყალში, კონტინენტები გააკეთა. მარსზე, იუპიტერზე, ან კიდევ სხვაგან — სად გინახავთ მიწა, რომ ყვავილი ხარობდეს... ეს — ჩვენი დედამიწაა ყვავილოვანი, მწვანილოვანი, რომელიც გვაძლევს საზრდოს ჩვენი არსებობისა. ამ მიწის 700 000 ჰექტარი ტყე რომ შეუძლია დაწვას 16 წლის ცხვირმოუხოცავმა ღლაპმა, გინდა ცხვირმოხოცილიც იყოს... რა ხანძრებია ამერიკის ტყეებში! ჩვენი ბუნების, ტყის დამცველად უნდა ჩავდგეთ, თორემ მოვა ვიღაც მანიაკი, ნარკომანი, შევა ტყეში, გაიკეთებს წამალს, მოუკიდებს სიგარეტს, უკეთეს შემთხვევაში — შემთხვევით გაუჩნდება ხანძარი, უარეს შემთხვევაში — გააჩენს. უცხო შემოვა გაბოროტებული და ამით მოგვიკლავს მომავალს, რომ ჩვენს ტყესა და ყვავილს მოსპობს...

***

სხვანაირი სიყვარული იყო. გაღმა სოფელში ხმიადაშვილი ჭივჭივა ცხოვრობდა. პაპაჩემთან იყო სტუმრად. ღამით გააცილა პაპამ. რომ მივიდნენ, ჭივჭივამ უთხრა: ეხლა შენ უკან როგორ წახვალ, ისევ მე გაგაცილებო... მოვიდნენ დგვრიშში, პაპაჩემის სახლთან... ახლა პაპამ უთხრა, — ასე ვერ გაგიშვებ, უნდა გაგყვეო... მიცილ-მოცილებაში, სიყვარულში დაათენდათ პაპასა და ჭივჭივას... ჭივჭივა ნალბანდი იყო... კარგი მოხელე.

ახლა რომ გჭირდება მანქანის ხელოსანი და გამოძვრება გამურული სომეხი მანქანის ქვეშიდან... სუ მაგათ იციან ხელობაც, დარგიც და მეცნიერებაცა... ადრე სხვა იყო. ხმიადაშვილი ჭივჭივა ნალბანდი იყო, ასანიძე სოსკა ურმის თვლებს აკეთებდა... ასეთი ხელოსნები იყვნენ...

***

პაპა 56 წლის გარდაიცვალა... 300 ნათლული დატოვა. ძლიერი კაცი იყო... შრომაც იცოდა, ლხინიც...

***

საქართველო ყველგან ლამაზია. მერე ჩემია... ვის ჩავაბარებ?! ყველგან მინდა მივაწვდინო ხმა, სადაც ჩემი მოთხრობა წაკითხული აქვთ, სადაც ჩემი ფილმი უნახავთ, ყველას მინდა მივულოცო... დაწყებული წითელწყაროდან (დღეს დედოფლისწყარო), სადაც „თეთრი ქარავნის" გადაღებისას პირველი ბარი დავკარით, შირაქიდან, ყაზბეგიდან... ჯავახეთში, სამცხეში, ჩემს სისხლსა და ხორცს, გაჭირვებულ ქართველებს ვულოცავ ახალ წელს, წმინდა ნინოს გზაზე რომ ჩამოვიარე, ქართულ სოფლებს, აქა-იქ რომ არიან სიყვარულში შენახულები... საჯავახო რომ მთავრდება და გადმოდგები ფრიალოზე, გადმოხედავ ვარძიას... ზედა სოფლიდან (რა ქარის ქროლვასავით სახელი ჰქონდა — ფრიალა) ჩამოდის ჯორის გზა. იმ გზას მთელი დღე მოვუნდი, საჯავახოდან სამცხეში რომ ჩამოვსულიყავი, კაი საკოტრიალო გზა იყო... როგორ შეიძლება იქ არ მიხვიდე და ერთხელ არ ჩაეხუტო გულში იმ ქართველებს. ისინიც, რა თქმა უნდა, ნახევარი დედაქალაქისკენ გადმორჯულდნენ, იმ ძვირფას ადგილებში სომეხი მივიდა, დაჯდა... სანამ ის მხარე არ გაჯერდება ქართული სიტყვით, ქართველი კაცი ვერც აქ გაიმარჯვებს.

იმასაც ვამბობდი, მწერალი მწერალთა კავშირში არ მივიღოთ, სანამ სამცხე-საჯავახოს არ მოივლის და იქედან მოთხრობების ციკლს არ ჩამოიტანს-მეთქი... ეჰ! აქტივებული თავები ვის უნდოდა მაშინ... მღვდლადაც არ უნდა აკურთხონ, თუ ორი-სამი წელი სამცხე-ჯავახეთში არ მოუვლის ეკლესიას, ხალხს... იქ ვერ იცხოვრებს... ვინც ამ ტკივილიან მიწაზე ცხოვრობს, ყველას მინდა მივულოცო შობა-ახალი წელი.

ჩემს თამარაშენს, ცხინვალს, ნიქოზს... ჩემს დამყნობილ ატმებს, მიტოვებულ ვენახს...

ჩემს კახეთს, გურიას, აჭარას, სამეგრელოს...

ვისია, ვისია ქალი ლამაზიო! ვისია, ვისია საქართველო ლამაზი... ვისია კი არა და, ჩვენ უნდა ვიყოთ საქართველოსი. პატარა შვილი ცოცვას რომ ისწავლის და კალოს გვერდზე წამოწოლილ, ნამუშევარ მამას შეაცოცდება გულზე, ეს არის შენი სიცოცხლის გაგრძელება. საქართველოზე ასე დავცოცავთ, როგორც პატარა შვილები. ის გვიხუტებს...

ჩვენც უნდა ჩავეხუტოთ.

***ესაუბრა ლელა ჯიყაშვილი***

# მამულ-დედული

## ლიმონი... კასრში



ამ უძვირფასესი კულტურის ყველა ნაწილს: ნაყოფს, ფოთოლს, ყვავილს, ნასკვებს, ახალგაზრდა ნაზარდებს, მერქანს ძველთაგანვე იყენებდნენ კვების მრეწველობაში, ტექნიკაში, მედიცინასა და პარფიუმერიაში.

ციტრუსების არც ერთი სახეობის ნაყოფს არ იყენებენ ისე ფართოდ, როგორც ლიმონისას. ნაყოფის ქერქიდან გამოყოფილი ეთერზეთი ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში.

ლიმონის ნაყოფის პექტინი წარმოადგენს წყალში ადვილად ხსნად თითქმის თეთრ ნივთიერებას, რომელსაც იყენებენ ჟელეს და სხვა საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად, ხოლო მედიცინაში კუჭის წყლულის სამკურნალოდ, სისხლდენის შესაჩერებლად და სხვა.

ნაყოფის რბილობიდან იღებენ სიმჟავეს, რომელიც გამოიყენება ტექნიკაში, მედიცინაში. ლიმონის წვენი საუკეთესოა პოდაგრის, სიყვითლისა და პირღებინების წინააღმდეგ, პირის ღრუს ანთების სამკურნალოდ, ნივთიერებათა ცვლის დასარეგულირებლად. გულით ავადმყოფებს ურჩევენ ლიმონის წვენის მიღებას თაფლთან ერთად.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საუკეთესო თვისებებისა, ლიმონის ბუჩქი ერთ-ერთი ულამაზესია და ერთადერთიც, რომელიც კარგად ხარობს და მოსავალს იძლევა ოთახის პირობებში. ამიტომ გირჩევთ მის მოშენებას ხის კასრში, რაც არცთუ ისე ძნელი საქმეა.

ლიმონის კასრში მოშენებას სათანადო ჯიშის შერჩევით იწყებენ. ჩვენში უმთავრესად იყენებენ „ახალქართულს“, „ლისბონისა“ და „ვილაფრანკას“ ჯიშებს, რომლებიც ხასიათდება ნაგალა (მცირე ზომის) ზრდით, კარგი შეფოთვლით, მცირეეკლიანობით და რაც მთავარია, უხვმოსავლიანობით.

გამრავლების ყველაზე ადვილი მეთოდებია კალმების დაფესვიანებით და გადაწვენით, ანუ „საჰაერო ქოთნებით“ გამრავლება.

### კალმების დაფესვიანება

ცნობილია, რომ ლიმონის კალამი ადვილად ფესვიანდება. ამ გზით გამრავლებული კასრის კულტურა მე-2-3 წელს იწყებს ნაყოფის მოცემას. გარდა ამისა, კალამს უცვლელად რჩება დედამცენარის თვისებები. გამრავლების ტექნიკა კი ასეთია: საკალმე მასალას იღებენ უკვე მსხმოიარე ხეებიდან. სასურველია კალმის აღება კასრის კულტურიდან.

დასაფესვიანებლად ვარგისია ზრდადასრულებული 2-3-წლიანი ტოტი.

ქოთნის ფსკერზე, 2-3 სმ სისქის ფენად ყრიან წვრილად დამტვრეულ აგურს, შემდეგ აყრიან მდინარის მსხვილმარცვლოვან ქვიშას და ბაღის მიწას, ხოლო სულ ზედა ფენად მდინარის სილას. კალამს რგავენ ოდნავ დახრილად ისე, რომ ნიადაგში მისი 1/3 ნაწილი მოთავსდეს. დარგვამდე კალმის ქვედა ნაწილს ათავსებენ თბილ წყალში, ან კანს რამდენიმე ადგილას დასერავენ.

დარგვის შემდეგ თითოეულ კალამს ახურავენ მინის ქილას. ქოთნებს ათავსებენ ოთახში ისე, რომ მზის სხივები უშუალოდ არ ხვდებოდეს კალმებს. დაფესვიანება შეიძლება გაზაფხულ-ზაფხულშიც და ზამთარშიც საჭირო სითბოს რეჟიმის დაცვით.

კასრი, რომელშიც გადაგვაქვს დაფესვიანებული კალმები, უნდა შეივსოს თიხნარი მიწით, რათა ფესვები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ნიადაგთან. ნერგი კასრში ისე უნდა დაირგოს, რომ ფესვის ყელი მიწის ზედაპირთან ახლოს იყოს. მორწყეთ საჭიროებისდა მიხედვით.

## ეს მაიმუნი მაიმუნები

რადგან 2004 წელი მაიმუნისა ყოფილა, სხვა გზა არა გვაქვს, ერთი წლით იგი ჩვენს მამულ-დედულშიც უნდა „ჩამოვასახლოთ“.

მაიმუნის 160 სახეობა არსებობს. განასხვავებენ მის ოჯახებსაც: მოთამაშე მაიმუნისებრნი; კაპუცინისებრნი (ორივე გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში); ანთრისებრნი — ბინადრობს აფრიკაში, აზიასა და გიბრალტარზე; ადამიანის მსგავსნი: შიმპანზე, გორილა, ორაგუტანგი და გიბონი — გავრცელებულია ტროპიკულ აზიაში.

ამჯერად კაპუცინისებრნი არიან „რჩეულნი“ — აღმოსავლური კალენდრით სწორედ ამ ოჯახის წარმომადგენელთა წელი დგება თებერვალში. სხვათა შორის, კაპუცინს მშვენიერი შესატყვისი მოეპოვება ძველ ქართულში — ეს სიტყვა ყაპუზუნა გახლავთ.



მაიმუნები მართლა მაიმუნები არიან. ეს რომ ასეა, ამაზე ქვემოთ მოყვანილი „ფაქტებიც“ მეტყველებენ:

* * *

ადვილად ისწავლეს კოვზის, დანა-ჩანგლის, ჭიქის გამოყენება, ჯაგრისით კბილების გაწმენდა, ტანსაცმლით სიარული. ასრულებენ პატრონის ბრძანებას: „მოუშვი ონკანი“, „აანთე ასანთი“, მომაწოდე ქუდი“ და ა.შ. უფრო მეტიც, აჭედებენ ლურსმანს, ნემსის ყუნწში უყრიან ძაფს, დასეირნობენ ორთვლიანი ველოსიპედით.

* * *

თბილისის ზოოპარკში ამ ოციოდე წლის წინ ერთი ცირკში „ნამუშევარი“ შიმპანზე ცხოვრობდა, რომელიც დღეში საშუალოდ ერთ **კოლოფ სიგარეტს ეწეოდა(?!). როგორც კი მნეველი მიუახლოვდებოდა, მაშინვე გამოჰყოფდა ხელს და სიგარეტს სთხოვდა. თუ მოუკიდებელს მიაწვდიდნენ, უკან უბრუნებდა — მოუკიდეო.**

* * *

შიმპანზე ჯოხის დახმარებით თავს ესხმის გველს, ხვლიკს, ზღარბს... ჯოხითვე შეუძლია აიღოს გალიის გარ‚ თ დაგდებული ბანანი. უფრო მეტიც, როცა მოკლე ჯოხი ბანანს ვერ მიაწვდინა, იმ ჯოხითვე უფრო გრძელი ჯოხი მიითრია, ხოლო შემდეგ ბანანსაც მისწვდა...

## მოლაღური



ვისაც ბუნება უყვარს და საქართველოს მთა-ბარი ბილიკ-ბილიკ შემოუვლია, ალბათ ბევრჯერ მოუსმენია მოლაღურის გალობა, მაგრამ ნახვით, შეიძლება ბევრს არც უნახავს. ეს ფრინველი მთელ თავის ცხოვრებას ტყის „ზედა სართულებში“ — ფოთლოვანი ხეების კენწეროზე ატარებს. მიწაზე ძალზე იშვიათად ჩამოდის. მამალი მოლაღური მუქი ყვითელი ფერისაა შავი ფრთებითა და კუდით. დედალი ზემოდან მომწვანო-ყვითელია, ქვემოდან — ღია ყვითელი.

მოლაღურის საყვარელი ადგილია ფოთლოვანი ტყეები, პარკები, ბაღები, ქარსაფრები, განმარტოებული ხეები.

მოლაღურის წყვილი ოსტატურად აგებს ბუდეს მაღალ ხეებზე, ლაფნის, ხმელი ბალახის, მატყლის, ბუმბულისა და სხვა რბილი მასალისგან, რომელშიც მაისის მეორე ნახევარში 4 კვერცხს დებს. კრუხად მეტწილად დედალი ჯდება, ხოლო მამალი მას კვებავს. საინკუბაციო პერიოდი 13-15 დღე გრძელდება. მისი ბუდობის არეალი ევროპის უმეტეს ნაწილს და სამხრეთ-დასავლეთ აზიას მოიცავს. გადამფრენი ფრინველია, ბარტყების დაზრდის შემდეგ მცირე გუნდებით მიეშურება გამოსაზამთრებლად თბილ ქვეყნებში.

მოლაღურები საოცრად მზრუნველი მშობლები არიან. მამრი სულ ერთთავად საკვებს ეზიდება ბარტყებისთვის, ხოლო მდედრი, გარდა საკვებზე ზრუნვისა, ხშირად ასუფთავებს ბუდეს.

მოლაღური იკვებება მწერებით, მათ შორის ისეთებითაც, რომლებსაც არც ერთი ფრინველი არ ეტანება, ეს გახლავთ სხვადასხვა სახის მუხლუხო, მათ შორის ბეწვიანიც. ამიტომ დიდი სარგებლობა მოაქვს ტყეებისთვის. ის, რომ მოლაღურები ბარში ხილ-კენკრას მიირთმევენ, იმდენად უმნიშვნელო ზარალია, მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

სიყვარულით კი ყველაზე უფრო ლეღვი უყვართ, რის გამოც იგი მოლაღურად ანუ მოლეღურად მონათლა ხალხმა. გარდა ამისა, ქართულ ფოლკლორში ცნობილია თქმულება, თუ როგორ იქცა ბიჭი გოგია მოლაღურად... ამიტომაც მოლაღურს ბიჭოგოგიასაც ეძახიან.

მოლაღურისებრთა ოჯახში შემავალი 34 სახეობიდან ჩვენში გავრცელებულია ჩვეულებრივი მოლაღური.

## მკითხველის ფოტო



უკომენტაროდ...

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

## რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ. გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### ქვეყნის სიმბოლოები



**— საქართველოს სიმბოლო ვაზია. მაგრამ მაინტერესებს, რომელი მცენარეებია სხვადასხვა ქვეყნის სიმბოლო. იქნებ თქვენ მიპასუხოთ.**

***ნანა ქავთარაძე***

— მართლაც, მრავალი ქვეყნის სიმბოლოა მცენარე. გერმანიაში ეს გახლავთ მუხა, პოლანდიაში — ტიტა, ჩინეთში — იორდასალამი, კანადაში — ნეკერჩხალი, იაპონიაში — ქრიზანთემა, საბერძნეთში — დაფნა, ინდოეთში — ლოტოსი, ეგვიპტეში — პაპირუსი...

### ვაზის დარგვისა და მყნობის „ვარიანტები“

**— იქნებ მიპასუხოთ, წლის რომელ დროს არის მიზანშეწონილი ვაზის დარგვა? ასევე მაინტერესებს, რომელია ვაზის მყნობის სასურველი ვარიანტი?**

***გიორგი სანაძე, გორი***

— ვაზის დარგვა შეიძლება როგორც ადრე გაზაფხულზე, ისე გვიან შემოდგომით და ზამთარში. შემოდგომა-ზამთარში დარგული ვაზის ფესვები კარგად „ეთვისება“ ნიადაგს, ეგუება მას და უფრო ძლიერ ნაზარდს ივითარებს.

რაც შეეხება ვაზის მყნობის სასურველ ვარიანტს, მინდა გითხრათ, რომ როცა რომელიმე ვაზი არ ამართლებს და მისი ვენახიდან მოშორება გსურთ, ნუ იჩქარებთ მის მოთხრა-გადაგდებას. ადრე გაზაფხულზე ვაზი გადახერხეთ ფესვის ყელიდან 10-12 სმ-ის სიმაღლეზე, შუაზე გააპეთ და წინასწარ გამზადებული 2-კვირტიანი კალმები ისე გათალეთ ბასრი (სამყნობი) დანით, რომ ორთავე მხარე კარგად შეეხოს ნაპობის კედლებს. ქვედა კვირტი გარეთ მოექცევა, ზედა — შიგნით. მაგრად მოუჭირეთ რბილი მავთული და დააყარეთ ზემოდან მიწა ისე, რომ ზედა კვირტს მოუწიოს 3-5 სმ ფხვიერი მიწა. გაზაფხულზე ნამყენი უკვე მზად იქნება.

### სოკო... მკურნალი

**— ამბობენ, სოკო მკურნალიცააო...**

***თამარ შიოშვილი***

— მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სოკოს სამკურნალო თვისებებიც გააჩნია. ქამა კურნავს გულის დაავადებებს, შაკიკს, ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს. მისი წვენი ეფექტურია მოყინული სხეულისთვის. არყა სასარგებლოა თირკმლებისთვის. ქამა, მანჭკვალა და ზეთოვანა ხსნის თავის ტკივილს, მჭადა სოკო შველის რადიკულიტს...

### რაზე მიგვანიშნებს ყვავილები?



**— ხშირად გამიგონია, ყვავილი სხვადასხვა მოვლენისა თუ განწყობის სიმბოლოაო. მართალია ეს თუ არა?**

***ნათია ქევხიშვილი***

— ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული ვარდია. წითელი და ვარდისფერი ვარდი ვნებას გამოხატავს, თეთრი — უმანკოებას, ხოლო ყვითელი ღალატზე მიგვანიშნებს. რაც შეეხება ლოტოსს, იგი ლამაზი ქალის გაჩენის სიმბოლოა, ტიტა — ბავშვური ბედნიერების, ყაყაჩო — უდანაშაულო მსხვერპლის (ბიბლიის მიხედვით ყაყაჩო ამოვიდა იქ, სადაც ჯვარცმის დროს ქრისტეს სისხლი დაიღვარა), შროშანი სიხარულის გამომხატველია, კამელია — გულცივობის...





რემბოც და როკიც
დიუმას მუშკეტერი
... დე მოპასანი
დამრიგებლური ტონი მის სახელს ატარებს
ბლითის გეომეტრიული ფორმა
უმთავრობა (ბერძნულად)
წინასწარ გადახდილი თანხა
ფლობერის რომანი
ბრაზიანი
მდინარე სანქტ-პეტერბურგში
ფრანგი ექიმი
ბილიარდის ინვენტარი
ძვ. საქართველოში მცხოვრები ძველად
პირველი ზანგი ოსკაროსანი ქალი
ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
„შოკოლადის მიმტანი“ (ფერმწერი)
გერმანული ძაღლის ჯიში
ნორვეგიელი ფეხბურთელი
ძველებური ფრანგული ხურდა ფული
მასწავლებლის მიერ მასალის გადმოცემა
დღის პირვ. საქმ. წამოწ.
ბეთჰოვენი „მთვარის...“
ირონია ანუ ფარული ...
ელბის მარცხენა შენაკადი
დეკორატ. ლარნაკი
„სიყვარულის წამალი“
ფრანგი შანსონიე „შანსონების მეფე“
რუსი მომღერალი
გაფრინდაშვილი





ცრუმოძრაობა სპორტში
ხურდა ფულის დასაგროვებელი
სამონასტრო კომპ. კასპის რაიონში
კანადელი ჰოკეისტი (შედეგიანი თავდასხმა)
ქართული სიმებიანი საკრავი
სწრაფი კვების ფრანგული ობიექტი
ძველი რომაელი ექიმი
მხარე საქართველოში
მოგრძო, უხერხემლო არსება
ორი წერტილი კამათელზე
საქირაო ცხენშებმული ეტლი
პრინცესა დაიანას მოფერებითი სახელი
ამერიკელი მსახიობი ... მერფი
„გრაფი მონტე-კრისტო“ (პერსონაჟი)
აზარტული თამაში ბანქოთი
მსახური ბიჭი სასტუმროში
ეროვ. მოძ. ლიდერი
სიმებიანი საკრავი
ფრანგული სუნამოს მაღაზია „... პარი“
პოპულარული ქართველი ტელეწამყვანი
მომავალი მეზღვაური
ფრანგი ფიზიკოსი
ჭეშმარიტების „მაძიებელი“ სხმული
იაპონური თეატრი
კერძი წვრილად დაჭრილი ხორცისგან



დროის მონაკვეთი კრივში
ტროპიკული ხილი
რომაელი იმპერატორი
ბიბლიური პერსონაჟი
ქალაქი დიდ ბრიტანეთში
კარგად მოჯირითე ცხენი



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. უფა; 2. ფელინი; 3. მანე; 4. „ჰერტა“; 5. დირაკი; 6. სოფოკლე; 7. დოდე; 8. ექსცესი; 9. ტენერიფე; 10. დი; 11. ელექტროდი; 12. ცუნი; 13. ხე; 14. სააკაძე; 15. მია; 16. ერი; 17. რქა; 18. გო; 19. სინი; 20. რიყე; 21. ინა; 22. რეი; 23. რაიდერი; 24. ისი; 25. პიკე; 26. მოხევე; 27. ნება; 28. მარგო; 29. მზია; 30. მარსო; 31. ცნება; 32. ლეგო; 33. ლინცი; 34. „რეალი“; 35. „ნოკია“; 36. აგნესა; 37. რაიონი; 38. აია; 39. ბირმა; 40. ფოტონი; 41. ცდა; 42. კანტი; 43. სსრკ; 44. სი; 45. ბესიკი; 46. მეგრე; 47. ებრაელი; 48. გეტო; 49. ლიმა; 50. ლანსიე; 51. დიონი; 52. ლეილი; 53. ნაყინი; 54. მანია; 55. ლორენი; 56. ბერნი; 57. ბედი; 58. „ლიონი“; 59. კატონი; 60. ყალიონი; 61. ნოე; 62. იონი; 63. ალიონი; 64. ინი; 65. სიბრძნე; 66. ბო; 67. იაგო.

1. უტეხი მინის ვიოლინო; 2. დედა, რა პატარაა; 3. ყინვაზე აცრილი; 4. ფსონზე ერბოკვერცხია; 5. ქალების ოცნება.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**
**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანია

# ჩემი ბედის ბორბალი ბრუნავს...



„ამერიკული ოცნების“ განსახიერება რიჩარდ გირი, თავს, უპირველესად, ბუდისტად თვლის, მერე მსახიობად, მეუღლედ, მამად.

მომავალი ვარსკვლავის მამა სადაზღვევო კომპანიაში მუშაობდა, დედა — დიასახლისი იყო. მშობლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვების აღზრდას და არაფერი დაიშურეს, რომ ხუთივე შვილისთვის კარგი განათლება მიეცათ. გირების ოჯახი მეტად მუსიკალური იყო, თითქმის ყველა სახის ინსტრუმენტზე უკრავდნენ და ხშირად მართავდნენ შინაურ კონცერტებს ახლობლებისთვის.

რიჩარდს ძალიან გამოადგა მუსიკალური გამოცდილება. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯერ როკ-ჯგუფში უკრავდა და წარმატებითაც, მერე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა. სწორედ უნივერსიტეტში იჩინა თავი მისმა მსახიობურმა მიდრეკილებამ და ჰოლივუდს მიაშურა.

თამაშობდა პატარ-პატარა როლებს თეატრსა და კინოში, მაგრამ წარმატება იგვიანებდა. ფილმში, „მისტერ გუდბარის ძებნაში“ თამაშის შემდეგ მისი ბედი წალმა შეტრიალდა. წელიწადში ერთ ფილმში, ხანდახან კი ორ-სამშიც იღებდნენ. მათ შორის იყო „ამერიკელი ჟიგოლო“, „ოფიცერი და ჯენტლმენი“, „ლამაზმანი“, „საბოლოო ანალიზი“, „სომერსბი“, „პირველი რაინდი“, „ტურა“, „შემოდგომა ნიუ-იორკში“...

შეუცნობლის შეცნობის ჟინით შეპყრობილი რიჩარდი ბევრს მოგზაურობდა, კითხულობდა, სწავლობდა რელიგიის ისტორიას. ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდამ მოიარა ტიბეტი, გაიცნო იქაური ბერები, მერე კი დალაი-ლამას დაუმეგობრდა და მიხვდა, რომ ცხოვრებაში სულ სხვა ფასეულობები არსებობს.

რიჩარდი წელიწადში ორ-სამჯერ ჩადის დალაი-ლამასთან. „მან ჩემი ცხოვრება შეცვალა. მგონია, რომ შეუძლებელია მასთან გქონდეს კავშირი და არ შეიცვალო. შენი გონება და გული სავსებით არ გადასხვაფერდეს“, — ამბობს მსახიობი.

დღეს გირისათვის ყველაზე მთავარია მის მიერ დაარსებული „ტიბეტური სახლი“ (არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ტიბეტის კულტურის შესანარჩუნებლად ზრუნავს), ცხოველთა დაცვისთვის ბრძოლა და მისი სახელობის საქველმოქმედო ფონდი. წარმოუდგენელია, მაგრამ ქალებიც კი აღარ აინტერესებს ერთ დროს ქალების რისხვას.

როგორც ჩანს, არც ისე ბევრი რომანი ჰქონია რიჩარდს. პირველი გახმაურებული რომანი მხატვარ პენელოპე მილფორდთან ჰქონდა. გირი მაშინ 22 წლის იყო. ექსტრავაგანტურ ბრაზილიელ მხატვართან თითქმის ხუთი წელი იცხოვრა. მათ ახლაც მშვენიერი ურთიერთობა აქვთ.

1991 წელს გირმა სინდი კროუფორდზე დაიწერა ჯვარი. სინდი მაშინ 25 წლის იყო, ქმარზე 17 წლით უმცროსი. მათ ჰოლივუდის უმშვენიერეს ცოლ-ქმარს უწოდებდნენ. მათი რომანი დასრულდა ბუტაფორიული ჯვრისწერით ლას-ვეგასის ერთ-ერთ ტაძარში. საქორწილო ბეჭდები კანფეტის შესაფუთი ქაღალდებით გაიკეთეს. პატარძალს არ ეცვა საქორწინო კაბა. „არა უშავს, — იმშვიდებდა თავს სინდი, — იმდენჯერ მეცვა პოდიუმზე, რომ მის გარეშეც თავისუფლად გავალ იოლას“. მაგრამ ქმრის ნაზი ყურადღების გარეშე ლამაზმანი ვერ გავიდა იოლას. გირი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, არ აპირებდა ცხოვრების ნირის შეცვლას. ქორწილის მეორე დღესვე ტიბეტში გაეშურა. 4 წლის მანძილზე მას არც ერთი საჩუქარი არ მიურთმევია სინდისათვის, არ თვლიდა აუცილებლობად — მისი ცოლი ხომ მდიდარი ქალი იყო და თავადაც შეეძლო ყველაფრის ყიდვა, რაც მოესურვებოდა...

თანაც სინდის უჩიჩინებდა — ბუდიზმი მიიღეო. სუპერმოდელს ამის გაგონებაც არ სურდა. მას შვილები უნდოდა, გირს კი მაინცდამაინც დიდად არ ეპიტნავებოდა მამობა. იმასაც ამბობდნენ, ცოლს ღალატობდაო. სინდიმ ამდენი ველარ მოითმინა და იფეთქა...

მერე რიჩარდმა მსახიობ კელი ლოველთან გააჩაღა რომანი. დაქორწინებას არ ჩქარობდა და მხოლოდ ვაჟის დაბადებამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი.

რაც შეეხება ფილმის პარტნიორებთან რომანებს, რომელსაც გირს აბრალებდნენ, უმეტესობა გადამეტებული იყო. ამ საქმეში ჩახედულმა ხალხმა იცის, რომ ჯულია რობერტსიც კი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა რიჩარდი, ვერაფერს გახდა.

ბუდისტი კი გახდა გირი, მაგრამ არაერთხელ განუცხადებია, ბერობას არ ვაპირებო. ამის დამადასტურებელი იყო თუნდაც ის, რომ ჯერ კიდევ სინდის ხელში ხან უმა თურმანთან წაასწრეს ნაზად მოუბარს, ხან კიდევ სხვასთან, მაგრამ შეიძლება ამას დაერქვას ღალატი? სასმელებთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებით პრობლემა რომ არასოდეს ჰქონია, ეს ფაქტია.

ბუდიზმი, ისევე როგორც სხვა რელიგიები, გულისხმობს დათმენას და კეთილგანწყობას. ქრისტიანობისგან განსხვავებით, ბუდიზმს ხუთი მცნება აქვს: არა კაც კლა, არა იპარო, არა იმრუშო, არა იცრუო, თავი შეიკავე დამათრობელი სასმელებისაგან. პირველი ორი მცნება გირს არ დაურღვევია, ყოველ შემთხვევაში, პოლიციამ ამის შესახებ არაფერი იცის. ერთხელ ჰქონდა მხოლოდ წესრიგის დამცველებთან შეხება და ისიც კურიოზული შემთხვევის გამო. ერთხელ, ღამით, ეტყობა ძალიან გაუჭირდა და პირდაპირ ტროტუარზე მოშარდა. სწორედ ამ დროს თავს წაადგა პოლიციელი და, მიუხედავად იმისა, რომ იცნო ვარსკვლავი, დიდი ბოდიშებით მიაბრძანა განყოფილებაში. საქმე ჯარიმით და ყვითელი პრესის ქილიკით მოთავდა. ეტყობა, რიჩარდ გირს ტყუილი არ უყვარს, ალბათ სწორედ ამიტომ არიდებს თავს ინტერვიუებს. სიცრუეს დუმილს ამჯობინებს.

პოპულარული ადამიანები ხანდახან იძულებულნი არიან, ცხოვრების წესს უღალატონ. რიჩარდი მიჩვეულია ქალების თაყვანისცემას და პირადი მცველების საშუალებით მათ მოგერიებას ახერხებს, მაგრამ ერთხელ ისეთ შავ დღეში ჩააგდო 50 წლის გერმანელმა ქალბატონმა, ურსულა რაიპერტ-ჰაბიშოუმ, რომ მსახიობმა მას უჩივლა. ქალი გასაქანს არ აძლევდა რიჩარდს, სადაც არ უნდა წასულიყო, ყველგან თან სდევდა, ოფისში უვარდებოდა, წერილებს სწერდა და ემუქრებოდა — თუ არ შემიყვარებ, თავს მოვიკლავო.

ამერიკულმა სასამართლომ უიმედოდ გამიჯნურებულ ურსულა რაიპერტ-ჰაბიშოუს მიუსაჯა 12 საათის განმავლობაში დაეტოვებინა აშშ-ის ტერიტორია და თავის მშობლიურ ქალაქ კასელში დაბრუნებულიყო, იქ კი ერთ წელიწადს ციხეში გაატარებდა. სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით ეკრძალებოდა მსახიობთან კონტაქტის დამყარება.

საწყალმა ქალმა განაჩენი მოისმინა და გულამოსკვნილი აქვითინდა. როგორ უნდა გავძლო 4 წელი გირის გარეშეო, — აღვარღვარებდა ცრემლებს...

„ჩემს ცხოვრებას აზრი აქვს. რაღაც სასარგებლოს ვაკეთებ. ოჯახი მაქვს, ვაჟი მეზრდება. ე.ი. ჩემი ბედის ბორბალი ბრუნავს“, — ამბობს მსახიობი.

**კინო**

# იზაბელ აჯანი — სიყვარულის ფეიერვერკი



ფრანგული კინოს ერთ-ერთი ულამაზესი მსახიობი, იზაბელ აჯანი, არასოდეს ყოფილა გათხოვილი. რატომ ვერ იპოვა შეუდარებელმა დედოფალმა მარგომ თავისი მშვენიერი პრინცი? რამას წინათ გავრცელდა ხმა, იზაბელისა და კომპოზიტორ ჟან-მიშელ ჟარის ნიშნობის შესახებ. ჟურნალისტებმა მათი რომანი მაშინვე მონათლეს „მეხის გავარდნად“, ხოლო თავად შეყვარებულები — „სიურპრიზის წყვილად“.

2000 წელს იზაბელ აჯანი გამოვიდა „ციხესიმაგრიდან“, სადაც 5 წელი გაატარა. პარიზი კვლავ მსახიობის ფერხთით იყო — ელისეს მინდვრებზე, თეატრში, მისი მარგარიტა გოტიეს ტრაგედიას ათიათასობით მაყურებელი მასთან ერთად განიცდიდა. ერთხელ, უნებლიეთ შენიშნა — პარტერიდან გარუჯული, შავთმიანი მამაკაცი მონუსხული მისჩერებოდა. კაცი პირველ რიგში იჯდა და არ ჰგავდა ჩვეულებრივ თაყვანისმცემელს...

თეატრიდან იზაბელი ფეხით ბრუნდებოდა შინ... უეცრად გაჩერდა, წაბლის ხეს მიეყრდნო და ფიქრებში ჩაიძირა. როგორ ოცნებობდა ისეთ მამაკაცზე, რომელიც შეიყვარებდა მას და მის ვაჟს...

შარშან იზაბელ აჯანი და ჟან-მიშელ ჟარი საერთო მეგობრებთან, ვახშამზე, შეხვდნენ ერთმანეთს. იზაბელმა უმალ იცნო მისი გოტიეთი მოხიბლული მაყურებელი... ცოტა ხანში არც შეამჩნიეს, როგორ აღმოჩნდნენ ერთ მაგიდასთან. შინ წასვლის დრო იყო, ისინი კი ტკბილად საუბრობდნენ.

ჟარმა მეორე დილითვე დაურეკა. რამდენიმე კვირის შემდეგ პარიზი შეაოგნდა — აჯანმა და ჟარმა თავიანთი ნიშნობის შესახებ განაცხადეს.

...იზაბელს ბევრი მამაკაცი არ ჰყოლია, განსაკუთრებით რეჟისორებსა და პროდიუსერებს ერიდებოდა — არ სურდა და არც სჭირდებოდა მსგავსი კავშირები. გამონაკლისი იყო ბრუნო ნიუიტენი. ის საფრანგეთის საუკეთესო ოპერატორი გახლდათ, ვიდრე არ გამოჩნდა აჯანი... იზაბელს ძალიან უნდოდა, ცნობილი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის საყვარელი ქალის, კამილ კლოდელის როლის თამაში. იშოვა სცენარი, ფული და დაითანხმა ბრუნო, რეჟისურაში ესინჯა ძალა. „თუ გიყვარვარ, ვალდებული ხარ, გარისკო,“ — არწმუნებდა იზაბელი საყვარელს. ისიც დათანხმდა, მათი სიყვარულის სახელით. ამ როლისათვის იზაბელი „ოსკარზე“ წარადგინეს, მაგრამ ის და ბრუნო ჯერ კიდევ გადაღებების დასრულებამდე დაშორდნენ, თუმცა აჯანიმ მისგან ვაჟი გააჩინა.

...შემდეგ, იზაბელი მიიწვიეს ჰოლივუდში. „მთავარ ინსტინქტში“ უნდა ეთამაშა, მაგრამ ამაყმა აჯანიმ უარი თქვა, სცენარი მოეჩვენა სულელური და პრიმიტიული. მაიკლ დუგლასმა ჰკითხა: „იზაბელ, რატომ თქვი უარი?“ რაზეც მან უპასუხა: „შენ რატომ დათანხმდი?“ ითამაშო მთავარი გმირი, რომლის კოზირია უნიფხვობა, სასაცილოა! მაგრამ, როცა იზაბელს უორენ ბიტი შეუყვარდა, ის გაცილებით სულელურ როლზე დათანხმდა.

თუმცა, ნამდვილი მსხვერპლი საყვარელი მამაკაცისა და საკუთარი ვნებისა, იზაბელი გახდა მაშინ, როცა დანიელ დეი ლევისი გაიცნო. გარდა იმისა, რომ ინგლისელი მსახიობი და ფრანგი ქალი ერთმანეთის მშვენიერებით მოიხიბლნენ, მათ ბევრი სხვა რამეც ჰქონდათ საერთო. იზაბელმა დაუფიქრებლად მიატოვა ყველაფერი და ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად. თანაც მიატოვა არა მარტო კინო, არამედ ვაჟი — ბარნაბე, რომელიც ძიძას ჩააბარა.

...ერთ დღეს იზაბელი გააღვიძა ტელეფონის ზარმა — ფსიქიატრიული კლინიკიდან ურეკავდნენ, სადაც დანიელი მიეყვანათ პირდაპირ სპექტაკლიდან. თურმე წარმოდგენის დროს, მსახიობის ნაცვლად, რომელიც ჰამლეტის მამის აჩრდილს თამაშობდა, დანიელს საკუთარი მამა მოლანდებია და...

იზაბელი ცდილობდა, დანიელი კრიზისიდან გამოეყვანა. კაცმა, ეტყობა, ვერ აიტანა, რომ ქალმა ის სისუსტისას ნახა. საკუთარ თავზე გაბრაზებული — წარამარა ღალატობდა იზაბელს...

გულმოკლული იზაბელი პარიზში დაბრუნდა და ითამაშა ფილმში „დედოფალი მარგო“. ერთი წლის შემდეგ დანიელი მოადგა კარს — ირლანდიაში ციხესიმაგრე ვიყიდე და ძალიან მინდა, იქ შენ დიასახლისობდეო.



იზაბელ აჯანი და ჟან-მიშელ ჟარი

აჯანიმ ვერ გაუძლო ცდუნებას და ირლანდიაში გადაბარგდა. მალე დაფეხმძიმდა. დანიელის საქციელმა გააოგნა აჯანი. იმის მაგიერ, რომ გახარებოდა, შინიდან გავარდა, მოაჯდა მოტოციკლს და მას მერე არც გამოჩენილა...

იზაბელი ნიუ-იორკში გაფრინდა და იქ იმშობიარა. მეორე დღეს უთხრეს, დეი ლევისს სურს ბავშვის ნახვაო. მამამ წუთით დახედა შვილს და კვლავ უკანმოუხედავად წავიდა.

აჯანი კინაღამ შეიშალა, როცა შეიტყო, რომ დანიელი ამერიკაში მის გამო არ იყო ჩასული, არამედ ახალ საყვარელს, ჯულია რობერტსს ჩააკითხა.

3 თვის ვაჟთან, გაბრიელ-კეინთან ერთად, აჯანი გაემგზავრა ჰოლივუდის ფილმის „ეშმაკისეულის“ გადაღებაზე. ფილმის დასრულების შემდეგ შვეიცარიას შეაფარა თავი, სადაც ლამაზი სახლი შეიძინა. შინიდან საერთოდ არ გამოდიოდა, უარს ამბობდა ყველა წინადადებაზე, გასუქდა, ტრანკვილიზატორებს მიეძალა. „დიორის“ სახლმა, ვისი სახეც ის იყო მრავალი წლის მანძილზე, გააუქმა მასთან კონტრაქტი...

მაგრამ ერთხელ, შვილთან ერთად სეირნობისას, გონება გაუნათდა: მას არ აქვს უფლება, მოწყვიტოს ბავშვი გარე სამყაროს! მას სჭირდება ურთიერთობა, უნდა იცოდეს, რომ მისი დედა ნორმალური, ჯანმრთელი, ლამაზი ქალია, თანაც მსახიობი, რომელიც უყვართ და პატივს სცემენ. მას კი შვილი „ტყვეობაში“ ჰყავს. ისიც საკმარისია, რომ უფროსმა ვაჟმა ბარნაბემ ჯერ კიდევ არ აპატია რომანი დედას დეი ლევისთან, რომლის გამოც აჯანის დაავიწყდა დედური სიყვარული... იზაბელმა მოიკრიბა ძალ-ღონე და დაუბრუნდა ცხოვრებას, სამუშაოს, ნაცნობ-მეგობრებსა და ჟარს...

...სულ ახლახან ჟან-მიშელ ჟარმა იზაბელს უძღვნა თავისი ახალი ალბომი, „სიყვარულის გეომეტრია“ — აქამდე ვერავინ შეძლო მისთვის დაემტკიცებინა ასეთი მათემატიკური სიზუსტით, რომ სიყვარული, უბრალოდ, ბედნიერებაა...

**პარი მატჩი**


რა არ იცის მეუღლემ მიშა სააკაშვილის შესახებ

რატომ დაურეკა ნინო ბურჯანაძემ ნანა ლეჟავას ოჯახში

მიშა მშვილდაძე: „ვარდების რევოლუციამ უკან დაგვხია...“

წლის რჩეული რეიტინგები




ორშაბათობით!

# რას იტყვით, გოგოებო?..



ერთ მშვიდ დილას რედაქციაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ყურმილი მე ავიღე.

— „კვირის პალიტრაა“, ხომ?

— დიახ.

— ერთი, შენს გახარებას, ბაბუნაშვილს დამალაპარაკე!

— მე გახლავართ, ვინ ბრძანდებით?

— მარინა, ძალიან გთხოვთ, ან თქვენ მოდით, ან მე გესტუმრებით რედაქციაში და ერთი საათი დამითმეთ. ძალიან მიჭირს, თორემ არ შეგაწუხებდით... ავად ვარ, უსაშველოდ ავად!

— რა გჭირთ? — შევწუხდი.

— არ გინახავთ სიყვარულით დაავადებული კაცი?.. თქვენზე მითხრეს, მოგისმენს და მერე დაწერსო... იქნებ, რამე მეშველოს, რას მეტყვით?

— თქვენი ამბის თხრობით თუ შვებას იგრძნობთ, მობრძანდით.

ცოტა ხანში ოთახში მაღალი, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი (ასე 27-28 წლის) შემოვიდა, რომელსაც ხელში იების თაიგული ეჭირა. საუბრის დასაწყისშივე მივხვდი, რომ მისი უცნაურობა მეტად უშუალო და ალალი ხასიათიდან გამომდინარეობდა. მას არ გამოჰპარვია ჩემი გაკვირვებული მზერა, ამიტომაც ცოტა ხნის მერე ღიმილით მკითხა: შერეკილი ხომ არ გგონივარო. არა, როგორ გეკადრებათ, უბრალოდ, აღფრთოვანებული ვარ, მიხარია, როცა ქართველი მამაკაცი ასე გამოხატავს თავის სიყვარულს-მეთქი.

მაშ ასე, მოვუსმინოთ თემოს, რომელმაც მთხოვა, მისი ამბავი „ქალბატონების“ გვერდში მომეთავსებინა, რათა „ადრესატამდე“ უფრო მალე მიეღწია.

— სილამაზეს და მშვენიერებას ვეთაყვანები (თუმცა ვინ არ ეტრფის). საბავშვო ბაღიდან მოყოლებული სულ „შეყვარებული“ ვარ. ჩემი სიყვარულის „ობიექტები“, — ყველა კარგად მახსოვს. პირველად, ხუთი წლის ასაკში ვიგრძენი გულის აჩქროლება. ჩემს სიყვარულს ყველაფერში გამოვხატავდი: ნინიკოს გვერდით ვჯდებოდი, მისთვის ყოველდღე კანფეტები მიმქონდა. ერთხელ, დედაჩემს ნახევრად დაცლილი ფრანგული სუნამო მოვპარე და ნინიკოს წამოვუღე... ბაღში, აღმზრდელებს ფრიად ვახალისებდი და ვართობდი ჩემი ბავშვური სიყვარულით. ერთხელ, ნინიკომ „ბორშჩი“ არ შეჭამა, რის გამოც ძიძამ დატუქსა. აბა, ასე არ უნდა-მეთქი, ისე გავბრაზდი — ცხელი წვნიანით სავსე თეფში ამოვაყირავე, მერე კი ჩემივე ფეხით მივედი კუთხეში და საღამომდე ადგილიდან არ დავძრულვარ. ნინიკოს მერე, სკოლაში მისულს, პირველ კლასშივე შემიყვარდა მაია. ჩემ გვერდით არ იჯდა და იმდენი გავაკეთე, დედაჩემი მივუგზავნე დამრიგებელს და ვათხოვნინე, მაიკოს გვერდით დავესვი. მეხუთე კლასიდან ჩემი „გულის ვარდი“ სხვა სკოლაში გადავიდა. აბა, როგორ შემეძლო უსიყვარულოდ გაჩერება, ამაში თითქოს ბედიც ხელს მიწყობდა. პარალელურ კლასში გამოჩნდა საოცრად მოხდენილი და ლამაზი ნანა, მოცეკვავე იყო. შემიყვარდა და მერე როგორ... სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ ნანას ჩემი მეგობარი, ნიკაც ეტრფოდა. სხვა გზა არ იყო, გვერდზე უნდა გავმდგარიყავი და გავდექი კიდეც. თეატრალურზე რომ ჩავაბარე, იქაც მიყვარდა ერთი ლამაზი გოგო, ლიკა... მოიტაცეს და ეგეც წარსულს ჩაჰბარდა. მესამე კურსზე მივხვდი, რომ თეატრალური სამყაროსათვის დაბადებული არ ვიყავი (თუმცა, მეგობრები სულ იმას მიმტკიცებენ, შენი სახით დიდი მსახიობი დაიკარგაო), ამიტომ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები. რა თქმა უნდა, იქაც მიყვარდა, მაგრამ იოლად გადავიტანე მისი „დაკარგვაც“...

აი, ახლა რაც მჭირს, მსგავსი რამ არასოდეს დამმართნია, მის დაკარგვას ვერ გადავიტან.

— *თემო, შეყვარებულმა ცოლობაზე უარი გითხრა?*

— ჰო, ჯერ უარი მითხრა, აგერ უკვე ხუთი თვეა, საერთოდ არ სურს ჩემთან დალაპარაკება. ვერ გამიგია, რა დავუშავე, რა ვაწყენინე. „თავი გამანებეო“, — მითხრა და მორჩა, ამით გაწყდა ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ ის კი არ იცის, რომ ვერ გავანებებ თავს. სულაც არ ვარ „ძალად მაცხონე“. ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ, მაგრამ რაღაც პრინციპზე დადგა და...

— *იქნებ, სხვა უყვარს?*

— არავინაც არ უყვარს... ჩვენ, ორივე, ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულები...

— *მასაც თუ მოუყევი ადრინდელი „სიყვარულების“ ამბები, ალბათ ფიქრობს, რომ თვითონაც ერთ-ერთი მორიგი გატაცებაა და მეტი არაფერი.*

— აუ, ეს რა მითხარი! მართლაც ასე ფიქრობს, არადა თამრიკო ჩემი სიცოცხლე და სიყვარულია, სუნთქვაა და მისი ხმის გაგონება მეორედ დაბადებას ნიშნავს. ამ ხნის მანძილზე, რაც გამებუტა, ყოველდღე ვურეკავ, მის ხმას გავიგონებ და ვმშვიდდები. მერე მთელი დღე მყოფნის „საგზლად“. მანაც იცის, რომ ის „გადარეული“, ვინც ურეკავს და ხმას არ იღებს, მე ვარ. „ალო, გისმენთ“, მეტყვის და მერე დაკიდებს ყურმილს. ის მაინც რომ მითხრას, — ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარო, — რა თქმა უნდა, ვეტყვი ჩემს სათქმელს, მაგრამ არაფერს მეუბნება და მეც მეშინია, კიდევ უფრო არ გამიბრაზდეს. ასე მგონია, სამუდამოდ ხელს მკრავს და დამკარგავს, შველას თქვენგან ველი.

— *მიამბეთ თამრიკოს შესახებ.*

— თამრიკო ორი წლით უმცროსია ჩემზე, მაგრამ როცა უნივერსიტეტში ჩავაბარე, ის მეორე კურსზე იყო. ჩვეულებრივი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. როცა სამსახურში გამამწესეს, თამრიკო იქ დამიხვდა. ალბათ საქმემ უფრო დაგვაახლოვა. მის გარეშე ვერც ვძლებდი. ისე მიყვარდა, მსგავსი რამ არც განმიცდია ადრე. თანამშრომლებმა ჩუმ-ჩუმად დაცინვაც დამიწყეს, ბოლოს, მიხვდნენ, რომ საქმე სახუმაროდ არ იყო და დაშოშმინდნენ.

რა ვქნა, რომ ათასნაირი „სისულელის“ ჩადენა 28 წლის კაცს სულაც არ მეხამუშება? თამრიკო ოღონდ ცოლობაზე დამთანხმდეს და, მისი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

— *ასე ამბობს ყველა კაცი დაქორწინებამდე, მერე კი ავიწყდებათ დანაპირები.*

— არა, არა... მე, რასაც ვამბობ, იმას არასოდეს გასდის ყავლი, მით უფრო საყვარელ ადამიანთან.

— *ეჭვად მაინც არ გაქვს, რატომ გაგირისხდა თამრიკო?*

— ალბათ გადამეტებული მგრძნობიარობის გამო, მაგრამ მართალი გითხრა, დღემდე მიკვირს, განა შეიძლება ქალი მამაკაცის ყურადღებამ გააღიზიანოს?

— *და მაინც, როგორ გამოიხატებოდა საყვარელი ქალისადმი შენი ყურადღება?*

— დღე არ ჩამიგდია, რომ მას სამუშაო მაგიდაზე ახალ-ახალი თაიგული არ დახვედროდა. მას ჩემი საქციელი არანორმალურობად მოუნათლავს. მაგრამ გადავწყვიტე, უკან არ დამეხია და ძველებურად გამეგრძელებინა, თან „სიურპრიზებით“ დამერწმუნებინა, რომ მიყვარს და მის იქით გზა აღარ მაქვს. აპრილის მშვენიერ საღამოს, სწორედ იმ დღეს, რომელიც ქართველებმა „სიყვარულის დღედ“ გამოვაცხადეთ, ჩემ მომღერალ მეგობრებთან ერთად მექსიკური სერენადები ვუმღერე, გულის ფანცქალით ველოდი, რას მეტყოდა მეორე დღეს შეყვარებული. იცი, რაში „დამადანაშაულა“? „სიყვარულის დღეს“ რად მინდოდა მექსიკური, ჩვენ რა, დაგველია სიმღერებიო? მეგობრებს შევჩივლე, ასე მითხრა-მეთქი. შეფიქრიანდნენ და მიპასუხეს: იქნებ, თამრიკო პირდაპირ არ გეუბნება სათქმელს და მიზეზებს ეძებს, რომ თავიდან მოგიშოროს. ამიტომ ადექი და ადამიანურად დაელაპარაკეო. სამსახურში მისი დამარტოხელება ვერ მოვახერხე. საღამოს შინ დავურეკე და გული დავცალე. მომახალა — თუ ძმა ხარ, თავი დამანებეო. კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ გადავწყვიტე, მედროვებინა. რამდენიმე კვირა ასე გაგრძელდა. სამსახურში აღარ მელაპარაკებოდა, მხოლოდ მისალმება-დამშვიდობებას ჯერდებოდა. ერთხელ, მის დაბადების დღეს ჩემს მეგობრებს თავი მოვუყარე, აალებული სპირტიანი ფიალები ხელში დავაჭერინე და ასე ვუმღერეთ. მარტო თამრიკო კი არა, მთელი კორპუსი გადმოდგა აივნებზე. ვერ გეტყვი, არ ესიამოვნა-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს მაინც მისაყვედურა: კარგი იყო, თუმცა მაინც შემრცხვა, სად დავმალულიყავი, არ ვიცოდიო. არც „ჰოს“ მეუბნებოდა გადაჭრით და არც „არას“, მაგრამ ვატყობდი, ჩვენი ურთიერთობა ჩვეულებრივს კარგა ხანია, გაცილებული იყო. ცოტა ხნით დავმშვიდდი, მერე ისევ ავფორიაქდი...

იპოდრომიდან ცხენი დავიქირავე, თამრიკოს ეზოში იმ დროს შევაჭენე, როცა ის მეზობელ ქალებს ესაუბრებოდა. არ მეგონა, თუ ასე დაფეთდებოდა. ცხენი ძლივს დავიურვე, ქალები წივილ-კივილით გაიფანტნენ. აბა, რას ვიფიქრებდი, ასე თუ შეშინდებოდნენ. მე ხომ თამრიკოს გახარება მინდოდა. მან კი, თითი საფეთქელთან დაიტრიალა, აფრენო, — და სწრაფად გამშორდა. ვიცოდი, გაბრაზებული იყო და დროის გასვლას ვუცდიდი, რათა გამოედარებინა. კარგა ხანს არ მაჩვენებდა პირს, მერე, თანამშრომელმა ქალმა მომიტანა ამბავი: სერიოზულად ეჭვობს შენზე, ფსიქიკურად სამკურნალო ხომ არ არისო.

მეწყინა, ჩემი გულწრფელობა და სიყვარული რომ ასე გაიგო.

ასე არ შემეძლო, რახან ჩემთან ლაპარაკი არ სურდა, კვლავ ორიგინალური მიდგომა ვცადე და მოვიფიქრე: თამრიკოს აივანზე (მესამე სართულზე ცხოვრობს) გადასვლა მოვახერხე და მოულოდნელად გამოვეცხადე... მაგიდასთან ჩამომჯდარ დედა-შვილს თავს რომ წამოვადექი, კინაღამ გული წაუვიდა ორივეს.

თაიგული დავუდე მაგიდაზე და კვლავ სიყვარულად დავიღვარე...

იქნებ, თქვენც და მკითხველმაც თამრიკოს მსგავსად იფიქროს, რომ შერეკილი ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, სიყვარული მოსვენებას არ მაძლევს და ამიტომაც ვაკეთებ ასეთ რამეებს, თანაც „ცოდვა“ გამხელილი სჯობს და უნდა ვაღიარო, ჩემთვის საგნებსაც და გრძნობასაც გაცილებით მეტი „დატვირთვა“ აქვს, ვიდრე სხვისთვის. მე სიყვარულში მაქსიმალისტი ვარ, მაგრამ, როგორც გითხარით, თამრიკოსნაირად არც არასოდეს მყვარებია ვინმე და ვეღარც შევიყვარებ.

თქვენც (არა მარტო პირადად თქვენ, რედაქციის თანამშრომელ მანდილოსნებსაც მივმართავ) და თქვენს მკითხველ გოგონებს და ქალბატონებს, გთხოვთ, რომ მიგულშემატკივროთ. მითხარით, გოგოებო (უთხარით თამრიკოსაც), განა შეიძლება ასეთი სიყვარულის უარყოფა? დრო რომ გაივლის, ხომ დაენანება — ეს რა ვქენი, რატომ ვკარი ასეთ გრძნობას ხელიო.

მიყვარხარ, თამუნია, გემუდარები, ამ საქვეყნო აღიარებას მორიგ სიგიჟედ ნუღარ ჩამითვლი. მე შენ გელოდები და მთელი სიცოცხლე დაგელოდები, ოღონდ ნუ მაწვალებ. აი, ნახავ, რა ბედნიერები ვიქნებით.

P.S. „მითხარით, გოგოებო, განა შეიძლება ასეთი სიყვარულის უარყოფაო“ — ამ შეკითხვით თანადგომაც და თანაგრძნობაც ალალად გვთხოვა შეყვარებულმა მამაკაცმა... გამოგვეხმაურეთ, ურჩიეთ მას რამე.

ისე, ჩემთან მოსული ქალების უმეტესობისგან მიგრძნია დიდი სინანული იმის გამო, რომ მათ თავის დროზე ვერ დააფასეს უსაზღვრო სიყვარული. იმედია, რესპონდენტი ქალების აზრს თამრიკოც გაითვალისწინებს.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# შორს ჩვენგან მაიმუნები და მაიმუნობა!

**მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ზოოპარკში მწვანე მაიმუნს სანთლითაც ვერ მოძებნით, იგი საქართველოშიც წლის მბრძანებლად იქცა და ბევრი ოჯახი სერიოზულად ააფორიაქა. ახალი წლის მეკვლემ, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა საყვარელ ჩურჩხელებთან ერთად უზარმაზარი პლუშის მაიმუნი მომართვა, რაც, რატომღაც არ მოეწონა ჩემს მშვენიერ კატა ხორხეს და თვალები ავად დაუბრიალა. მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია მანამ, ვიდრე დამწვრის სუნმა არ შეგვაწუხა. ეგოისტ ფისოს მაიმუნი ბუხართან მიუთრევია... თავი ბუხარში გიზგიზებდა, ფეხები კი პარკეტზე ეწყო და ასე, კინაღამ გადაგვწვეს ახალი წლის ღამეს ხორხემ და იმ ქვეყნად „მოუნათლავად“ გამგზავრებულმა მაიმუნმა.**

**უჩვეულო ამბებით ამ ახალ წელს სხვებიც გაუნებივრებია წლის მბრძანებელს.**

**თიკა (31 წლის):** — ახალ წელს ჩემი სახლი ზოოპარკს უფრო ჰგავდა. ჩემმა გადარეულმა შვილებმა ჩემს მეუღლეს სთხოვეს — მამიკო, ახალ წელს ნამდვილ მაიმუნებთან ერთად შევხვდეთო. წარმოდგენა არა მაქვს, საიდან მოათრია ამ კაცმა ორი პაწია მაიმუნი, თითქოს საკუთარი მაიმუნები არ მყოფნიდა. აიკლეს ყველაფერი, მერე ნაძვის ხეზე აძვრნენ, სულ ლაწალუწი აუტეხეს სათამაშოებს, გამთენიისას ძლივს დავიჭირეთ ბარბაროსები და აბაზანაში ჩავკეტეთ. მაგრამ დილით იქ ისეთი ამბავი დამხვდა, გახსენებაც არ მინდა. არ ვიცი, ასე დაწყებული წლისგან რას უნდა ველოდო...



**მაია (38 წლის):** — ჩვეულებრივად შევხვდით ახალ წელს. რუსთაველზეც ვისეირნეთ, ვისიამოვნეთ და გვიან წავედით შინ ტაქსით. მძღოლმა კი პატარა ბრელოკი-მაიმუნი გვაჩუქა მე და ჩემს ორი წლის შვილიშვილს. პრობლემაც იქიდან დაიწყო. ის ბრელოკი ანათებდა. ბიჭუნას იმდენ ხანს ჰქონდა ხელი ბრელოკზე დაჭერილი, რომ ელემენტიც დაიცალა და გაგიჟდა — გაანათოსო. რას ვიზამდი, ელემენტის გამოცვლა იმისთვის არ შეიძლება და ესეც რომ ყოფილიყო, ახალს სად ვიყიდდი! ძლივს დავარწმუნეთ ბავშვი, რომ მაიმუნმა დაიძინა და მასაც უნდა დაეძინა. მოკლედ, მაიმუნმა მაინც თავისი გაიტანა და აგვირია.

**ანა (21 წლის):** — 31 დეკემბრის ღამეს ამდენი ხალხი ერთად რომ დავინახე გაჩირაღდნებულ ქუჩებში, თავი ზღაპრულ ქვეყანაში მეგონა და სიხარულით ტირილი დავიწყე. ყველა დღესასწაული რომ ასე მხიარულად აღვნიშნოთ, ალბათ ერთმანეთს უფრო შევიყვარებთ. ჩვენს დროში ხალხი ერთმანეთთან სასიარულოდ ნაკლებად იცლის. ამის საშუალება არ აქვთ, ალბათ ესაა გაღიზიანების სათავე. ეს ზეიმები და ერთად დგომა კი სიკეთის გრძნობას გააძლიერებს ხალხში. მინდა საქართველოს ერთიანობის წელი დადგეს და გვიყვარდეს ერთმანეთი ქრისტიანულად. 2004 წლის მაიმუნის წლად მოხსენიებას კი ალბათ აჯობებს, თავი დავანებოთ. შორს მაიმუნები და მაიმუნობა ჩვენგან.

**ლევანი (36 წლის):** — ეს რა დამემართა ახალი წლის ღამეს. ჩემი ბიჭუნა სასეირნოდ გამოვიყვანე რუსთაველზე. ვიფიქრე, მეც გავერთობი და ბავშვსაც გავართობ-მეთქი, მაგრამ ვინ გაცალა! მაკდონალდსის დანახვაზე ფეხები გაფარჩხა — გინდა თუ არა, მაკდონალდსში მინდაო. ვერ აგიწერთ, რა ნერვიულობის ფასად დამიჯდა მისი იმ ადგილიდან გაყვანა-გატანა. ღრიალებდა — თოვლის ბაბუას გავყვები და შენი შვილი აღარ ვიქნებიო. მეორე დღეს, რომ გაიღვიძა და საკუთარი თავი ისევ შინ აღმოაჩინა, გაგიჟდა — თოვლის ბაბუას წუხელ ალბათ კარი ჩაუკეტეთ და ამიტომ ვერ წამიყვანაო(?!).

მაიმუნია თუ ჯანდაბა, შვილი კი გამიგიჟა ამ წელმა.

**გურამი (42 წლის):** — მე ერთი „მაიმუნი“ უკვე მყავს შინ. 12 წლის წინ ჩემი უმცროსი ბიჭი დაიბადა, წელს კი მეორე „მაიმუნს“ ველოდებით, თანაც ბიჭს. ჩემი უფროსი ვაჟის მეუღლე იანვრის ბოლოს აპირებს მშობიარობას. ასე რომ, მეკვლედ ორსული რძალი გვყავდა. მის მუცელში გაყურსულ პაწიას დიდი მოწიწებით ვექცევით, რომ არ აგვირიოს.

ისე, რაღა დაგიმალოთ და, რაღაც არ მომწონს ეს მაიმუნის, ღორის, ძაღლის და ამგვარსახელებიანი წლები, ალბათ აჯობებს ასე დავარქვათ: წელს ერთიანობის წელი დადგება, გაისად სიმდიდრის, მერე სიყვარულის და ა.შ. კაი სიტყვები დაგველია, კაცო? რა ჯანდაბად გვინდა მაიმუნი, გველი და ურჩხული!

ქეიფს და ღვინის სმას ნუ გადაყვებით და მიეფერეთ ერთმანეთს. ისე, მაიმუნებს ერთმანეთის ფერება ძალიან უყვართ. თუ არ გჯერათ, ზოოპარკში შედით, დააკვირდით და დარწმუნდებით.

***ეკა ლომიძე***

# გამოხმაურება: გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ!

„საყვარელო „პალიტრავ“, გვერდს, „თქვენთვის, ქალბატონებო“, ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობთ, მიუხედავად იმისა, მასში მოთხრობილი სატირალია თუ სასაცილო, რადგან აქ აღწერილი ამბები ჩვენი ყოფიდან არის აღებული.

ხომ ხდება ასე: ხშირად, ჩვენს თავს დატეხილ ამბავს ვერ ვაცნობიერებთ, ვიბნევით, აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ. გავა დრო და უცებ ქალბატონების გვერდში აღმოვაჩენთ ჩვენთვის ასე ნაცნობ და ზოგჯერ მტკივნეულ თემას, რომელსაც მკითხველის ან რედაქციის რჩევა და კომენტარი ახლავს. ეს არის ერთგვარი ფსიქოთერაპია, რაც ასე ესაჭიროებათ დღევანდელ ქალებს (და არა მხოლოდ ქალებს).

კვლავაც ველით საინტერესო ამბებს... გახსოვდეთ, რომ გვიყვარხართ და გვეიმედებით.

***თქვენი მოსიყვარულე და ერთგული მკითხველი ლეილა კაკაბაძე ოჯახით“.***

„...კვირის პალიტრის“ ბოლო ნომრებში გვეკითხებოდით, რა რუბრიკას ვისურვებდით თქვენს გაზეთში.

„კვირის პალიტრა“ გამოირჩევა თემების სიმრავლით, ნაირ-ნაირი რუბრიკით, მაგრამ მე, როგორც ჩვეულებრივ ქართველ ქალს, ძალიან მაინტერესებს, ცნობილი ქართველი ქალების (სულერთია, რა პროფესიისაც არ უნდა იყვნენ) ცხოვრების ლამაზი და საინტერესო ეპიზოდები. იქნებ თქვენს გვერდში ერთი პატარა კუთხე დაუთმოთ ამ თემას.

***პატივისცემით, ნინო, თბილისი“.***

„...იცით, თუ არა თქვენ, რომ ბევრი განაწყენებული და დამდურებული ადამიანი შეგირიგებიათ?

სამწუხაროდ, ასე ხდება, როცა ადამიანს უჭირს, მაშინ გეხმიანებათ, გთხოვთ დახმარებას, მერე კი, გაბედნიერებულს და გახარებულს ავიწყდება მადლობის თქმა.

როცა ჩვენი ამბავი გიამბეთ, გულთან მიიტანეთ ჩემი საწუხარი და გამოამზეურეთ კიდეც... ცოტა ხანში, სასიკეთოდ შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ისე ვიყავი სიხარულით თავბრუდახვეული, ველარც შეგეხმიანეთ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. ახლა, თბილისში ვართ მე და ჩემი ქმარი (ამ ოთხი თვის წინ „საქმრო“ ერქვა, მაგრამ გაბუტულები გახლდით და აღარ ვფიქრობდი შერიგებაზე), მინდა აქ ყოფნით ვისარგებლო და საქვეყნოდ გადაგიხადოთ მადლობა იმ გულისხმიერებისათვის, რომელიც ჩვენ მიმართ გამოიჩინეთ.

***ღმერთი გწყალობდეთ! მარი და კოტე“.***

CMYK

# მადლობა ღმერთს სიცოცხლისათვის

## მეყო სითამამე და ნანი ბრეგვაძესთან ერთად ვიმღერე



*ქალბატონ* ***თამარ სხირტლაძის*** *სპექტაკლების უმრავლესობა მხოლოდ ეკრანზე მაქვს ნანახი. ჩემი თაობის მაყურებელს ასაკის გამო არ მიეცა საშუალება უშუალოდ თეატრის სცენიდან ეგრძნო სამსახიობო ოსტატობის ის არაჩვეულებრივი ხიბლი, რითაც მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი აღაფრთოვანებდა მაყურებელს. კოტე თოლორაიას მეუღლე, თამაზ თოლორაიას დედა და თაკო თოლორაიას ბებია, მარად თავისთავადი და განუმეორებელი თამარ სხირტლაძე 1949 წელს გამოჩენილა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.*

**— ქალბატონო თამარ, კარგა ხანია სცენაზე აღარ ჩანხართ. მაყურებელი კი განატრობთ.**

— სცენაზე მართლაც აღარ ვარ, მაგრამ არც სახლში ვზივარ უსაქმოდ. თუმცა, სცენა, რეპეტიციები, სპექტაკლი სხვა განცდებს ბადებს. იმ დროს შინაგანად სხვა ემოციები მიპყრობდა. თითქოს ზეიმი მქონდა გამუდმებით. აი, ეს მაკლია ძალიან უკვე ხუთი წელია.

**— სამაგიეროდ, ძალიან მოგეჩვიათ კამერა. ბოლო დროს, მგონი, ერთდროულად იღებდით რამდენიმე გადასაღებ მოედანზე.**

— გეცოდინებათ ალბათ, 6 რეჟისორს რომ დაკვეთა მისცეს — გადაეღოთ ფილმები „ოტელოს" თემაზე. მათ შორის ერთ-ერთს გოდერძი ჩოხელი იღებდა. მე და გივი ბერიკაშვილი იქ ვთამაშობთ მთავარ როლებს. ალბათ ნახეთ პრემიერა ეკრანზე. ეს არის ფილმი — „სიყვარულის ცეცხლი". საინტერესო სიუჟეტია...

**— თქვენ, გივი ბერიკაშვილი, გოდერძი ჩოხელი უცნაურ სამკუთხედს ქმნით.**

— იცით რა, მე სიყალბეს ვერც ცხოვრებაში ვიტან, ვერც სცენაზე და ვერც კამერის წინ. ასეთია გივიც და გოდერძიც. უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. როცა ფილმისათვის კოსტიუმების შერჩევა დაიწყო, გოდერძის ჰკითხეს, რა ჩავაცვათ ქალბატონ თამარსო. ჯერ დაფიქრდა და მერე უპასუხა: — თამარამ თვითონ იცის, რა ჩაიცვასო. ის სულ ჩუმად არის. გადაღების პროცესშიც. სხვამ შეიძლება ვერ შეამჩნიოს, მაგრამ მე მის დუმილშიც ვგრძნობ, როდის მოსწონს რაღაც და როდის არა. უცებ ჩავეკითხები ხოლმე, თქვი, რა გინდოდა, გოდერძი, რაღაც არ მოგწონს? ისიც დაიწყებს შორიდან — ჰო, აი... გადამიღეს ახალგაზრდა რეჟისორის ფილმში, სადაც დათო დვალიშვილი, ლეო ანთაძე, ვანო იანტბელიძე და ნანი ბრეგვაძე თამაშობენ. მეყო სითამამე და ნანი ბრეგვაძესთან ერთად ვიმღერე. ვფიქრობ, კარგად გამომივიდა. ვერ ვიხსენებ რეჟისორის გვარს. რა მჭირს, არ ვიცი. მსახიობების გარდა ყველას გვარი მავიწყდება. ზოგჯერ სახლიდან ვერ ვცნობ ადამიანებს. ეს სიბერის გამო კი არ მოხდის, პროფესიული დაავადებაა. მერევა სახელები და გვარები ერთმანეთში.

**— თქვენ, სარეკლამო კლიპში აქტიურ პროპაგანდას უწევდით 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციას. ეს თქვენი სუფთა სარეკლამო როლია თუ ისედაც ეწეოდით საარჩევნო აგიტაციას?**

— სიმართლე გითხრათ, პირადად საკმაოდ გვიან გავიარე რეგისტრაცია. არადა მე, ჩემი მეუღლე და ჩვენი შვილი, მთელი ოჯახი ვართ კლიპში. არჩევნებში მონაწილეობა კი, რა თქმა უნდა, მივიღე, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მართლა ხავერდოვნად ვთვლი ამ რევოლუციას. ეს ცალკე თემაა... ვფიქრობ, მუშტის დაკვრა მაგიდაზე ზოგჯერ ძალიან საჭიროა.

**— თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ თუ როლს არ სჭირდებით, ანუ მასში თქვენს თავს თუ ვერ ხედავთ, უარს იტყვით თამაშზე. თქვენი როლების უმრავლესობა დრამატულია, ნუთუ ასეთივეა თქვენი შინაგანი სამყაროც?**

— უმრავლესობა მართლაც ასეთია. ისე, რეჟისორებმაც იციან ამოჩემება და ერთსა და იმავე ჟანრში გიწვევენ. თუმცა, ჩემთვის ყოველთვის ახლო იყო დრამატული როლი, მაგრამ სიბერეში სახასიათო როლებსაც მირჩევენ.

**— თქვენ გენიალური პიროვნებების, მართლაცვარსკვლავების გვერდით იზრდებოდით როგორც მსახიობი. ვერიკო, სესილია, სერგო ზაქარიაძე და სხვები თქვენ გარშემო ალბათ საოცარ აურას ქმნიდნენ.**

— ამიტომაც ვუწოდე მათ აურას „საკუთარი უნივერსიტეტი". მე მათგან ვისწავლე ის, რასაც ვერც ერთ სასწავლებელში ვერ ისწავლი. ახალგაზრდობაშივე მომიწია მათმა დუბლირებამ, „ჟანა დ`არკში" ვერიკოს დუბლიორი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ისე მოხდა, რომ პრემიერაზე მე ვითამაშე. ახლა მოდიან თეატრალურიდან ახალგაზრდები, რომლებმაც ელემენტარული რაღაც არ იციან, მაგრამ ძალიან თავდაჯერებულები არიან. მე გენიოსების რეპეტიციებს, სპექტაკლებს ვუყურებდი, იქიდან ვსწავლობდი. დღეს ჭკუას არავინ გეკითხება. კლიპის თუ ფილმის გადაღებისას მე ჩემი ტექსტი ზეპირად ვიცი, ბებერმა ქალმა. ახალგაზრდა კი უცოდინარი მოდის... თუ ტექსტი არ იცი, როგორ იქნები მართალი კამერის წინ? ლილი იოსელიანი გვეუბნებოდა — ის კი არ უნდა ითამაშო, რაც ტექსტშია, არამედ ის, რაც მის მიღმაოო. ამას კი ვერ შეძლებ, თუ არ იცი ტექსტი, თუნდაც პაწაწინა იყოს იგი.

**— ხომ არ გაგიჭირდათ გაგეგოთ ერთადერთი შვილისთვის, როცა გადაწყვიტა მშობლების გზას გაჰყოლოდა?**

— ძალიან კარგად გავუგე თამაზს. ის ხომ პატარაობიდანვე იზრდებოდა თეატრში. ტანსაცმელების ყუთზე ვაძინებდი. ერთხელ ტანსაცმელი ზედ დააყარეს მძინარეს. მე კი სცენაზე ისე დავდექი, მამაჩემმა არც იცოდა. ბიძაჩემმა წამოიყვანა ერთ დღეს ჩემს სპექტაკლზე. მაშინ უთქვამს: ეს გოგო ჩემს თამრიკოს როგორ ჰგავსო. ბიძაჩემს ჩასცინებია — შენი თამრიკოა და აბა, ვის ემსგავსებაო.

**— ფილმმა „დღეს ღამე უთენებია", რომელშიც თქვენ ევას როლს თამაშობთ, წარმატება მოიპოვა „კანის ფესტივალზე". თქვენმა როლმა კი მაღალი შეფასებები დაიმსახურა. თვითონ იყავით ფესტივალზე?**

— ფრანგული რეცენზიები მართლაც აღფრთოვანებით არის სავსე. მე სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გავხდი, მაგრამ კანში არ ვყოფილვარ. საკუთარ კანში დავეტიე. ფილმში ორი ევა ვიყავით: ახალგაზრდა დარეჯან ხარშილაძე და ხანში შესული — მე. არავის ეგონა, რომ სხვადასხვა მსახიობი თამაშობდა როლს. ჩემსა და დარეჯანს შორის დიდი მსგავსება აღმოჩნდა. მახსოვს, ფილმის სინჯებზე მე ყველას მოვეწონე, მაგრამ სხვა დაამტკიცეს როლზე. ამის შემდეგ მეუღლემ მითხრა, მთელი ზაფხული თბილისში ხომ არ იქნები, ერთი ათი დღით წადი ზღვაზეო. რას ამბობ, ლანა ღოღობერიძემ რომ დამიძახოს როლზე, მერე რა ვუთხრა-მეთქი? კოტეს გაეცინა, — გადაღებებზე უკვე წავიდნენ, შენ რაღა იმედი გაქვსო? უცნაურად მჯეროდა, რომ ევა მე უნდა მეთამაშა. მოხდა სასწაული. ერთ დღესაც ტელეფონი აწკრიალდა. ლანა რეკავდა. მან მითხრა — თამარ, გადავწყვიტე როლზე მაინც შენ აგიყვანოოო. ვიცოდი-მეთქი. პაუზის შემდეგ გაოცებულმა მკითხა: საიდან იცოდიო.

**— ქალბატონო თამარ, თქვენ უკვე დიდი ბებია ხართ. რომელ ეტაპზე უფრო საინტერესოა ცხოვრება: დედობის, ბებიობის თუ დიდედობის. და კიდევ, საინტერესოა, ნუთუ ბებიებსაც ბაბუებივით შვილიშვილის მსგავსი ჭკუა აქვთ?**

— (ეცინება) აი, ამ ბოლო კითხვაზე რომ გითხრათ, მართალი არ არის-მეთქი, ვიცრუებ. მივუახლოვდით ერთმანეთს შვილთაშვილი და ჩვენ. ახლა ნანა ჯანელიძემ გადაიღო ჩემი შვილთაშვილი — დიმიტრი ლორთქიფანიძე ახალ ფილმში. ყველა ასაკს აქვს თავისი სილამაზე. ნამდვილად არ მივტირი წარსულს, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობა ყველა დროს სჯობს. დედა რომ გავხდი, ძალიან ბედნიერი ვიყავი, ბებიობაც ძალიან სასიამოვნოა და მიხარია, რომ ასეთი სიხარული ჯერ გაუთავებელია. მიცხოვრია გაჭირვებითაც, დაუმსახურებელი ტკივილიც მიმიღია, მაგრამ მადლობა ღმერთს სიცოცხლისათვის.

# მთელი საქართველო შოუა

## ამერიკულ გასტროლებს ოჯახურ გასეირნებად ვთვლი...



*მას ნამდვილად არ სჭირდება წარდგენა. თუმცა, მომღერალი* ***თემურ თათარაშვილი*** *საკმაოდ იშვიათად წყალობს ჟურნალისტებს და არც ჟურნალ-გაზეთების და ტელევიზიის მიმართ ინტერვიუუხვობით გამოირჩევა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ვერც ისე პოპულარულ თბილისურ „ტუსოვკებსა" და „ფართებზე" შეხვდებით, თუ რომელიმე საკონცერტო პროგრამაში არ მონაწილეობს. ფოტო და ვიდეოკამერას მოხერხებულად აქცევს ზურგს. მისი ასეთი დამოკიდებულება კი სულაც არ მოქმედებს მის რეიტინგზე და მომღერალ თემურ თათარაშვილის შემოქმედება დღემდე პოპულარულია თითქმის ყველა თაობის მსმენელში. ვინ არის იგი — მომღერალი თუ მებაჟე? თითქმის არასდროს უჩნდება ეს კითხვა მის მსმენელს, რომელსაც იმიტომლაც მიაჩნია, რომ თემური პროფესიონალი მომღერალია და მებაჟეობა მისი ჰობია.*

**— თემურ, ბოლო ხანს ახალი თითქმის არაფერი შეგისრულებიათ. სხვა ქართველი მომღერლებივით მოდად ქცეული შემოქმედებითი პაუზა გაქვთ?**

— მე ამ მოდას ნამდვილად არ მივდევ. სხვადასხვა გარემოების გამო ვარ გაჩერებული. სამსახური დიდ დროს ითხოვს. ჩემი საკმაოდ დიდი ოჯახიც მხოლოდ მე მაწევს კისერზე და ამიტომაც მაქვს პაუზა. თუმცა ახლახან ჩავწერე ლილიკო ნემსაძის ახალი სიმღერა, რომლის პრემიერაც სულ მალე შედგება. ისე კი, ალბათ დაკვირვებული იქნებით, რომ აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას არასდროს ვეწეოდი. ყოველთვის „ლაითად" ვიყავი.

**— თუმცა, თითქმის ყველა თქვენი სიმღერა ჰიტი ხდებოდა უმალვე.**

— გმადლობთ. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ჯილდო მომღერლისათვის მსმენელის მხრიდან კეთილი განწყობაა. თუ ჩემი სიმღერების უმრავლესობა მართლაც სიამოვნების მომგვრელია, ძალიან დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემს მსმენელს ამ ჯილდოსთვის. საერთოდ, ვფიქრობ, რომ მომღერალს მხოლოდ მისი სიმღერით უნდა ცნობდნენ და არა რაღაცეებით. თუნდაც ამიტომ ვიძლევი ინტერვიუებს ძალიან მცირე დოზით. არ მიზიდავს ე.წ. ვარსკვლავური რაღაც-რაღაცები. არ მიყვარს ჟურნალ-გაზეთების გარეკანზე გამოჩენა.

**— დღეს მთელი საქართველო ზომიერად პოლიტიზებულია. ალბათ ვერც თქვენ იქნებით გულგრილი.**

— სამწუხაროდ, ჩემს ოჯახშიც მხოლოდ პოლიტიკაზეა საუბარი. არადა, მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი და არსად მინახავს, რომ ოჯახებში ამ თემაზე არათუ ლაპარაკით, არამედ ფიქრით ინუხებდნენ თავს. ყველა თავისი საქმით არის იქ დაკავებული და პოლიტიკაზე არავინ ლაპარაკობს. ჩვენთან კი ღლღა წურწუმიას ერთი ციდა გოგონაც კი კმარა-კმარას გაიძახის თურმე. წარმოგიდგენიათ, როგორ ვართ ამ თემით მოწამლულები? ამერიკაში ძალიან ბევრმა არც კი იცის, ბუშის მერე როგორი იერარქიაა მთავრობაში. არ აინტერესებთ, რადგან ეს მათი საქმე არ არის, ისევე როგორც ჩვენი საქმეც არ არის. მაგრამ...

**— აქედან გამომდინარე, თქვენს ცხოვრებაში ალბათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტელევიზორს.**

— ტელევიზორს თუ არ ვუყურებ, ვერ ვიძინებ. ჯერ საინფორმაციოებს ვუყურებ ღამის ორ საათამდე და მერე ვცდილობ, რაღაც ფილმით დავასრულო ჩემი დღე, რათა პოლიტიკურ ნოტაზე არ ჩამეძინოს. ტელევიზორმა დაღუპა ქართველი ახალგაზრდობა. ყველანაირი ინფორმაცია მოდის მისგან და წიგნის კითხვა აღარავის უნდა. საბედნიეროდ, ამ უცნაურმა „ყუთმა" ჩემზე ამ მხრივ გავლენა ვერ მოახდინა. 38 წლის ვარ და ჩემს სიყმაწვილეშიც ტელევიზორს ამხელა გავლენა ნამდვილად არ ჰქონდა.

**— რითი, კლავდით დროს, რა იყო თქვენი გასართობი?**

— ჩემს ახალგაზრდობაში (ეცინება) სულ ვქეიფობდით და კარგ დროს ვატარებდით. მახსენდება, 24 საათის მანძილზე გიტარის თანხლებით, აგარაკიდან აგარაკზე სიმღერ-სიმღერით გადავდიოდით. ბევრჯერ ქეიფის შემდეგ პირდაპირ ფილარმონიაში მივსულვარ და „ივერიის" კონცერტებზე ისე მიმღერია, თითქოს მთელი ღამე მშვიდად მეძინა ან მთელ დღეს კიდევ რეპეტიციებს ვუთმობდი. მაშინ, მოგეხსენებათ, ფონოგრამის არსებობაც კი არ ვიცოდით.

**— თემურ, ბოლო ხანს საუბრობენ კულტურის სამინისტროს ყოფნა-არყოფნის საკითხზე, რაც ბევრი თქვენი კოლეგისთვის გამაოგნებელია.**

— გამაოგნებელი კი არა, იდიოტიზმია. როგორ შეიძლება ქვეყანაში კულტურის სამინისტრო არ გქონდეს და კულტურული განვითარების პროექტების შექმნაზე და განხორციელებაზე არ ზრუნავდნენ? ცუდია თუ კარგი, ის აუცილებლად უნდა არსებობდეს და თუ არ მოსწონთ კულტურის სამინისტროში რამე, მიხედონ საქმეს და გამოასწორონ. არ მინდა, რომ ჩემი ნათქვამით ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ მგონია, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ძალიან ბევრს მიეცა უფლება, ილაპარაკოს კულტურაზეც, სპორტზეც და ა.შ. კულტურა გვაქვს, მეტი არაფერი და მაგასაც არ მივხედოთ? აღარც ეგ უნდა დაგვრჩეს? ქვის ხანაში ვცხოვრობთ თუ რა უბედურებაა. ასე მგონია, დღეს ვიღაცა უსაქმურს აწყობს ეს უაზრო ლაპარაკი და უნდათ რაღაცით გამოიჩინონ თავი ტელევიზიით ან პრესით.

**— ამბობენ, საქართველოში შოუ-ბიზნესი არ არსებობს და იგი ჩამოყალიბების რაღაც ეტაპზე გაიყინაო.**

— შოუა მთელი საქართველო. ბიზნესი კი აქ ნამდვილად არ არის. აი, პოლიტიკური შოუ ნამდვილად ყვავის.

**— თქვენ, საბაჟო დეპარტამენტის ჩინოსანს, არასდროს არაფერი გითქვამთ თქვენი სამსახურის შესახებ, საბაჟოზე არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.**

— არ ვარ მატრაკვეცა და ალბათ იმიტომ. ჩემს ლაპარაკს ყურს არავინ დაუგდებს და რატომ ვილაპარაკო? ისე კი, პირველ რიგში ვთვლი, რომ საბაჟოს გეგმა არ უნდა ჰქონდეს შესასრულებელი. მე და ჩემი კოლეგები არც ვაკავებთ ტვირთს და არც ძალით ვეძახით მათ საზღვარზე. ისინი ან მოვლენ, ან არა. ამიტომ გეგმა არსად, არც ერთ ქვეყანაში არ აქვთ, რადგან ეს ალოგიკური მოვლენაა.

**— წინათ ძალიან პატრიოტულ სიმღერებს მღეროდით, რა განცდა გქონდათ მაშინ და თუ გენატრებათ ის ჟანრი?**

— ადრე ეს ჟანრი ძალიან აქტუალური იყო და ამიტომაც ვმღეროდით მეც და მერაბ სეფაშვილიც ამგვარ სიმღერებს. ახლა, სამწუხაროდ, ასეთ სიმღერებს არავინ ისმენს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სიყვარულს იჩემებენ. დღეს რატომღაც მხოლოდ ისეთი სიმღერა უნდათ, რაც მასაზეა გათვლილი და, რომელიც დიდი ხნით არ ამახსოვრდება ადამიანს. სამწუხაროდ, ასეა ყველგან, მთელ მსოფლიოში აღარ იქმნება სიმღერები, რომლებიც მარად დარჩება. არადა, როგორი პოპულარულია დღესაც თუნდაც სტივ უანდერის ძველი სიმღერები. რა ხდება, არ ვიცი. შეიძლება ამოიწურა მელოდია მთელ მსოფლიოში. ისეთ სიმღერებს მღერიან, რომ მიკვირს, როგორ იმახსოვრებენ. კონცერტიდან გამოსულმა ჩვეულებრივმა მსმენელმა თუ არ წაიმღერა, მაშინ სიმღერა ვერ შემდგარა და ეგაა.

**— ვერ დავარღვევ ახალ ტრადიციას და თქვენც გკითხავთ, იყავით არჩევნებზე?**

— 2 ნოემბრის არჩევნებში ვერ მივიღე მონაწილეობა იმის გამო, რომ ნიუ-იორკში ვიყავი. ახლა კი ნამდვილად გამოვიყენე ჩემი კონსტიტუციური უფლება. მე ოპტიმისტი ვარ და მინდა, ყველაფერი კარგად იყოს. ვფიქრობ, იმაზე უარესი, რაც დღეს ხდება, აღარ მოხდება. მჯერა, რომ რაღაც გამოსწორდება. თუ რწმენა და იმედი არა გაქვს ადამიანს, გულზე ხელი უნდა დაიკრიფო და იქით გაემგზავრო.

**— როგორ შეხვდით ახალ წელს?**

— ყოველთვის ოჯახთან ერთად ვხვდებით შინ და მერე მივდვარ კონცერტებზე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მომღერლებს ახალ წელს სამუშაო დღეები გვაქვს და გიტარით ოჯახიდან ოჯახში ველარ გადავდივართ. ტრადიცია გვქონდა ოჯახში: სანამ ცოცხალი იყო მამაჩემი, ზუსტად 12 საათზე აიღებდა გოზინაყით სავსე თეფშს, ოჯახის ყველა წევრს ჩაუდებდა პირში გოზინაყს და ეტყოდა — ასე ტკბილად დამიბერდიო. 9 წელია მამის გარდაცვალების შემდეგ უკვე ამ ტრადიციას მე ვაგრძელებ.

**— თქვენ ისევ აპირებთ აშშ-ში გამგზავრებას გასტროლებზე, რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— არასოდეს ვსაუბრობ ამერიკულ გასტროლებზე, რადგან მას ოჯახურ გასეირნებად ვთვლი. გასტროლი, კონცერტი კი არის მოსკოვში ან თუნდაც სხვაგან. აშშ-ში ჩვენს მოსასმენად მოდიან მხოლოდ ემიგრანტები. სამშობლოს, ქართულ სიმღერას მონატრებული ქართველები.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ერთი თვის წინ დავიბჟინე კბილი სტომატოლოგთან. მაგრამ დღესაც მახსენებს ხოლმე თავს, განსაკუთრებით — ცივ ამინდში. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

***ია კარიჭაშვილი, თბილისი***

ცივ ამინდში კბილის ტკივილი მიგვანიშნებს კბილის არხებში ან მის მიმდებარე პერიოდონტის ქსოვილებში ანთებით პროცესზე. სიტუაციაში რენტგენის სურათი გაგვარკვევს. თუ არხები უხარისხოდაა ამოვსებული, ან თუ ანთების კერა გვაქვს ძვლოვან ქსოვილში, კბილის ფესვის მწვერვალთან, მაშინ აუცილებელია არხების ხელახალი მკურნალობა.

არსებობს „გაუვალი“ არხების მკურნალობის ხერხებიც, რაც საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ კბილი და თავიდან ავიცილოთ გართულებები. ნებისმიერ შემთხვევაში ნამკურნალები კბილი პაციენტს აღარ უნდა აწუხებდეს.

**ამას წინათ, ერთ-ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ საქართველოში გაცილებით მეტი ადამიანი ყოფილა ჭარბწონიანი, ვიდრე ამერიკაში. საინტერესოა, როგორ ვახერხებთ ამას ამ გაჭირვების ჟამს მაინც? ჩვენ ხომ ამერიკელებივით ყოველდღე ჰამბურგერებით არ ვიკვებებით?**

***ბადრი კაკოიშვილი***

ჩვენ მართლაც არ ვიკვებებით რეგულარულად ჰამბურგერებით და ამის მიუხედავად, ჭარბი წონა ჩვენი მოსახლეობის თითქმის 60%-ს აქვს. ყოველივე ამის მთავარი მიზეზი, დიეტოლოგთა აზრით, ისაა, რომ ეკონომიკური გაჭირვების გამო, მრავალი ჩვენგანის რაციონიდან გაქრა სრულფასოვანი ცილები (ხარისხიანი ხორცი), უჯერი ცხიმოვანი მჟავები (თევზი და ზღვის პროდუქტები) და „ცოცხალი“ ვიტამინები (ხილი, კენკრა). ორგანიზმისთვის საკმარისი რაოდენობით ჩვენში მხოლოდ პურსა და ცომეულს იყენებენ. ამასთან, ხშირად უდროოდ ვიღებთ საკვებს. ბევრი დღეში მხოლოდ ერთხელ, ძილის წინ სადილობს — ეს კი წონის მატების უმოკლესი გზაა. მიზეზები გასაგებია: ზოგს სამჯერადი კვებისთვის ფული არ ჰყოფნის, ზოგსაც — დრო არა აქვს. შედეგად კი, ღამის საათებში მექანიკურად ვივსებთ ცარიელ კუჭს და ჭამით — დღის განმავლობაში მიღებულ სტრესს. ცხოვრების დღევანდელმა რიტმმა თანდათანობით დაგვაკარგვინა ჭამის კულტურაც: კარტოფილის, ან სოსისის მოხარშვა გაცილებით იოლია, ვიდრე ნებიანის ან სალათის მომზადება. მაგრამ კარტოფილი არც ისე დაბალკალორიული პროდუქტი გახლავთ. მასში ბევრია ნახშირწყლები, რომელთა ჭარბად მიღება ცხიმებად გარდაიქმნება. სოფლისთავისათ მოკლე გლუკოზასავით მოკლე არ არის, მაგრამ არც კომპოტებისა და ბადრიჯანში შემავალი ნახშირწყლების ჯაჭვია გრძელი (რაც უფრო მოკლეა ნახშირწყლების ჯაჭვი, მით სწრაფად იშლება ის და სწრაფად აღმოჩნდება თქვენს სხეულზე ცხიმის სახით). დღეს ჩვენში ასე პოპულარული სოსისი და ძეხვეული კი მდიდარია უშუალოდ ცხიმით, მარილით, სალებავებით. ასე რომ, ეს პროდუქტები ნამდვილად არ არის შესაფერისი ჯანსაღი კვებისთვის...

## ჰარაბადინი

**უკვე 20 წელია, მაქვს შაქრიანი დიაბეტი. ბოლოს დროს საგრძნობლად გამიუარესდა მხედველობა, რაც ძალიან მაღელვებს, რადგან მკურნალობის შესაძლებლობა არა მაქვს. ნაცნობმა მირჩია, ყოველდღიურად მეჭამა მოცვის ნაყოფი და მესვა მისი ნახარში. რომლისაც ასე მზადდება: 4 ს/კ ნაყოფს უნდა დაასხათ 2,5 ჩ/ჭ წყალი და ადუღოთ 10 წთ, მიიღოთ 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში. ჩემდა გასაკვირად, ერთი თვის თავზე საგრძნობი ეფექტი მივიღე: მხედველობა გამიუმჯობესდა, ამასთანავე, ვიგრძენი უკეთესობა კუჭისა და ნაწლავების მუშაობაში (პერიოდულად მტკიოდა კუჭი და ხშირად მქონდა ფაღარათი), გამიუმჯობესდა ვენების მდგომარეობა, აღარც ფეხები მიბუჟდება — ერთი სიტყვით, მთელ ორგანიზმზე დადებითად იმოქმედა. ახლა ზამთრისთვისაც მაქვს გამხმარი მოცვი და ვაპირებ, კიდევ ერთი კურსი ჩავიტარო.**

***პატივისცემით დიანა ჯაფოშვილი***

**ექიმის კომენტარი:** მოცვი მრავალფეროვანი სამკურნალო ეფექტით ხასიათდება. მის ექსტრაქტს აქვს ანგიოპროტექტორული თვისებები: ხელს უწყობს კოლაგენის სინთეზს, ზრდის სისხლძარღვთა კედლების რეზისტენტობას, აუმჯობესებს უჯრედთა მემბრანის გამავლობას, ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას. აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები. აუმჯობესებს სისხლის მაკრო და მიკროცირკულაციას თითქმის ყველა ორგანოსა და სისტემაში, განსაკუთრებით კი — თვალის ბადურა გარსის სისხლმომარაგებას. მოცვის ექსტრაქტი აძლიერებს მხედველობის პიგმენტის რეგენერაციას ბადურის ფოტორეცეპტორებში, რაც აუმჯობესებს თვალის ადაპტაციას სიბნელეში, კონტრასტულ მხედველობას და მხედველობის სიმახვილესაც. მოცვის ნაყოფში შემავალი ფლავინოიდები ანთებსაწინააღმდეგოა — ისინი იცავენ კუჭის ლორწოვანას მარილმჟავას მოქმედებისგან მომატებული სიმჟავის შემთხვევაში. მოცვი ეფექტიანია დიარეის (კუჭის აშლის) დროსაც. ამიტომ, მოცვის ნაყოფი გამოიყენება ფიტოთერაპიაში მიოპიის, ბადურა გარსის ანთებითი და დეგენერაციული დაავადების დროს (მათ შორის დიაბეტური რეტინოპათიისას), კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## ნუ გადადებთ ხვალისთვის...



დრო ხომ საშინელი მტერია ქალისა, მაგრამ თუ გონივრულად შევებრძოლებით მას, კიდევაც დავამარცხებთ და მოკავშირედაც ვაქცევთ. ამისთვის საჭიროა შევასრულოთ ზოგიერთი უმარტივესი წესი:

**ექსპრესნიღაბი — 1 წუთი.** შეურიეთ ერთმანეთს არაჟანი და შვრიის ფქვილი და ნიღაბიც მზად არის. ყურძნის წვენსაც შეუძლია ნიღბის მოვალეობა შეასრულოს.

**პილინგი — 10 წუთი.** 100 გ ზღვის მარილს შეურიეთ 1ც ლიმონის წვენი ან ყავის ნახარში — ნალექიანად, წაისვით ტანზე მსუბუქი წრიული მოძრაობით.

**ჩაი — 30 წუთი.** საღამოს, დაღლილობის მოსახსნელად, დალიეთ კარგად დაყენებული ჩაი.

**თვალებისთვის — 5 წუთი.** მთელი დღის განმავლობაში კომპიუტერთან ჯდომა, მზეზე დიდხანს ყოფნა და სხვა სამუშაო, იწვევს თვალების წვას, გაწითლებას. ამ დროს რეკომენდებულია კომპრესები. ბამბის ტამპონები დაასველეთ ცაცხვის, გვირილის, გულყვითელას ან ჩაის ნაყენში და დაიდეთ თვალებზე. ნაყენი ასე მზადდება: 1 ჩ/კ ნებისმიერ მცენარეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 30 წუთი. კომპრესი უნდა გაიკეთოთ დილას და საღამოს 5 წუთით.

**აბაზანა — 20 წუთი.** გახსენით ზღვის მარილი აბაზანაში და ჩაწექით. ეს აბაზანები გამოდევნის ორგანიზმიდან წიდებს, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ახალგაზრდავებს კანს.

**წიგნი — 60 წუთი.** ბოლო დროს წაიკითხეთ კარგი წიგნი? გადადეთ ყველა საქმე, მოეწყვეთ მოხერხებულად და წაიკითხეთ რაიმე გასართობი ან დეტექტივი. ტელევიზორში უაზრო საშინელებათა ყურებას სჯობს იკითხოთ — ავარჯიშოთ მეხსიერება, გაიმდიდროთ ლექსიკური მარაგი, განივითაროთ ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარი.

***ონა***

## სწორი კვების ძირითადი პრინციპები

— დაიცავით ზომიერება — უმჯობესია ჭამოთ ცოტა და სასარგებლო საკვები, ვიდრე ბევრი და უსარგებლო. მაგალითად, უკეთესია



მიირთვათ ახალი თევზის ერთი ნაჭერი ბოსტნეულის გარნირით, ვიდრე დაკონსერვებული მოშუშული ხორცი და კარტოფილი.

— უმჯობესია პროდუქტები მოხარშოთ ორთქლზე, ვიდრე ზეთში შეწვათ, რადგან შეწვისას გამომუშავდება კანცეროგენები და ქრება ვიტამინები და მიკროელემენტები.

— ჭამეთ მხოლოდ დაღერღილი ხორბლის პური.

— საჭმელი უნდა მიიღოთ არანაკლებ 4 საათში ერთხელ (რადგან ამ დროში ასწრებს კუჭი საკვების სრულიად გადამუშავებას).

— მიიღეთ ბევრი სითხე — უშაქრო ჩაი, წყალი, უშაქროდ მოხარშული კომპოტები და არა კონსერვანტებით გაჯერებული ხელოვნური და შეფერადებული გაზიანი წყლები.

— არ ჭამოთ გვიან ღამით (არა უგვიანეს 7 საათისა).

— საკვებად გამოიყენეთ მხოლოდ ახალი პროდუქტი — ბოსტნეული, ხილი, კენკრა, ახალი თევზი, ხორცი, თაფლი, მარცვლეული და არა ქარხნული წესით დამზადებული ძეხვეული, კონსერვები, ფარში, ყველი, საკონდიტრო ნაწარმი, მაიონეზი, კეტჩუპი.

***არგუმენტი ი ფაქტი***

## ექვსი ხერხი კბილების გადასარჩენად

**ყველამ, ვისაც კი ოდესმე დასჭირვებია კბილების მკურნალობა, იცის, რომ ის ტანჯვა-წამება, რაც ამ პროცესს ახლავს, დაუსრულებელია. ვინ არის ამაში დამნაშავე? რა მოვახერხოთ, რომ უკბილოდ არ დავრჩეთ. ამისათვის სულ 6 ხერხის ცოდნა ყოფილა საჭირო.**



1 სტომატოლოგები თვლიან, რომ ყოველდღიურად კბილები 5-7 წუთის განმავლობაში უნდა გამოიხეხოთ რბილი ჯაგრისით.

ჯაგრისი 30-ჯერ უნდა გაატაროთ კბილებზე. უკეთესია, თუ დილა-საღამოს ამ პროცედურას ორი, საგანგებოდ საამისოდ გამოყოფილი ჯაგრისით შეასრულებთ.

2 კბილებს შორის დარჩენილი საჭმლის ნამცეცები ყოველდღიურად გაიწმინდეთ სპეციალური კბილის საწმენდი ძაფით.

3 კბილებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ რბილი, არამედ მაგარი საკვების მიღება. ამისათვის ნასადილევს სასურველია, მიირთვათ ვაშლი, მსხალი, სტაფილო.

4 კბილებისათვის აუცილებელია რძე, ყველი, მწვანე ჩაი, ზღვის პროდუქტები, ისპანახი.

5 ნაკლებად მიეძალეთ ტკბილეულს.

6 ხშირად მიაკითხეთ სტომატოლოგს. თუ კბილზე შავ წერტილს აღმოაჩენთ, მაშინვე მასთან გაჩნდით. სტომატოლოგები მოახერხებენ კბილის გადარჩენას.

***სობესედნიკი***


## წამლის ახალი, სრულიად განსხვავებული ფორმა „ფლემოქსინ სოლუტაბი“

იმ დაავადებებს შორის, რომლებიც გვხვდება ამბულატორიულ პრაქტიკაში, ზემო სასუნთქი გზების ინფექციებს პირველი ადგილი უჭირავს. ზემო სასუნთქი გზების ინფექციების მკურნალობისას მეტად აქტუალური რჩება რაციონალური ანტიბიოტიკოთერაპია, რაც გულისხმობს: გამოყენებული ანტიბიოტიკის მაღალ ეფექტურობას, უსაფრთხოებას და მიღების მარტივ წესს. ხშირად მკურნალობის არასასურველი შედეგი განპირობებულია მკურნალობის სქემის დარღვევით: უმჯობესდება თვითშეგრძნება და პაციენტები თვითნებურად წყვეტენ წამლის მიღებას, მოუხერხებელია მკურნალობის სქემა ან მოუხერხებელია თვით წამლის ფორმა. სტატისტიკურად დადგენილია, რომ პაციენტების 1/3-ს, რომლებიც რეგულარულად იღებენ წამალს, უჭირთ კაფსულის ან ტაბლეტის გადაყლაპვა. 12% პაციენტებისა აქუცმაცებს ტაბლეტს ან ხსნის კაფსულას.

მიკროორგანიზმები, რომლებიც იწვევენ ზემო სასუნთქი გზების ინფექციებს ხშირ შემთხვევაში მგრძნობიარენი არიან ამოქსიცილინის მიმართ. სტატისტიკურად დადგენილია, რომ მსოფლიოში ექიმების 90% ამბულატორიულ პრაქტიკაში ნიშნავს სწორედ ამოქსიცილინს. 1990 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით პერორალური ამპიცილინი (დასალევი ფორმა) შეიცვალა პერორალური ამოქსიცილინით. კომპანია „იამანუჩის“ მიერ შეიქმნა ამოქსიცილინის უნიკალური ფორმა-სოლუტაბი. ფლემოქსინ სოლუტაბი (ამოქსიცილინის ტრიჰიდრატი) გამოდის ტაბლეტების სახით №20 შეფუთვაში დოზით — 125მგ, 250მგ, 500მგ. აღნიშნული ტაბლეტების მიღება ჩვეულებრივი ტაბლეტებისაგან განსხვავებით შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით. ტაბლეტი შეიძლება გადავყლაპოთ, შეიძლება დავღეჭოთ, დავასხათ წყალი და მოვამზადოთ სიროფი ან სუსპენზია, ჩავაგდოთ ბავშვის საკვებში, სადაც ის არ განიცდის ინაქტივაციას. ტაბლეტს აქვს სასიამოვნო სუნი და ტკბილი ფორთოხლის გემო, რაც აადვილებს განსაკუთრებით ბავშვებში მის უპრობლემოდ მიღებას. თითოეულ ტაბლეტს აქვს ნაჭდევი, რითაც ის შეიძლება მაქსიმალური სიზუსტით გაიყოს შუაზე და ზუსტად დავიცვათ მისაღები დოზა. განსხვავებით ამოქსიცილინის მზა სუსპენზიისა, რომელიც უფრო ხშირად ინიშნება ბავშვთა ადრეულ ასაკში, ფლემოქსინ სოლუტაბის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მკურნალობის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ტაბლეტები შესაძლებელია შევინახოთ და გამოვიყენოთ კოლოფზე მითითებული ვარგისიანობის ვადის ამოწურვამდე, განსხვავებით მზა სუსპენზიისა, რომლის გამოყენება არაა რეკომენდებული ქილის გახსნიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მიუხედავად ქილაზე მითითებული ვადის ვარგისიანობისა. ფლემოქსინ სოლუტაბის ყველაზე ღირებული თვისებაა მისი მაღალი ბიოშეღწევადობა, რაც განაპირობებს მის მაღალ ეფექტურობას. ამპიცილინის მიღების შემთხვევაში კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან შეიწოვება მიღებული დოზის მხოლოდ 50%. 50% რჩება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში და ის იკარგება. ამოქსიცილინის კაფსულების შემთხვევაში შეიწოვება 70%, იკარგება შესაბამისად 30%. ფლემოქსინ სოლუტაბის მიღების შემთხვევაში შეიწოვება 93%, დანაკარგი კი მხოლოდ 7%-ია. თუ გავითვალისწინებთ მას, რომ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში დარჩენილი, შეუწოველი ანტიბიოტიკის დოზა განაპირობებს ნაწლავურ დისბაქტერიოზს, ცხადი ხდება რამდენად უსაფრთხოა ფლემოქსინ სოლუტაბის გამოყენება განსაკუთრებით ბავშვთა ადრეულ ასაკში, ასევე აღსანიშნავია მისი უსაფრთხოება ორსულებში. იმის გამო, რომ ფლემოქსინ სოლუტაბს ახასიათებს მაღალი ეფექტურობა, დაბალი ტოქსიკურობა, მინიმალური ზემოქმედება კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, აქვს სასიამოვნო გემო და უნიკალური ფორმა, მას ფართოდ გამოიყენებენ ამბულატორიულ პრაქტიკაში, განსაკუთრებით პედიატრიაში.

R

# ჯარაექიმის რჩევანი

**სტომატიტის სამკურნალოდ, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, გაღიზიანებისა და შეშუპების დროს:**

1. 1ჩ/კ გვირილის ყვავილს დაასხით 1 ჩ/კ მდუღარე რძე, 2 წუთით გააჩერეთ ცეცხლზე, გააგრილეთ და დღეში 2-ჯერ გამოივლეთ პირში (5-8 დღე):



2. 2 ს/კ გამხმარ მოცვს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და მიიყვანეთ ადუღებამდე. 10 წუთის შემდეგ გაწურეთ. გამოივლეთ ნახარში დღეში 2-ჯერ.

3. წუწნეთ ნატურალური წაბლის თაფლი.

**მწვავე ტრაქეიტისა და ხველების დროს:**

1. შავი ბოლოკი გახეხეთ, გამოწურეთ წვენი. 1 ლ წვენს შეურიეთ 400გ თხევადი თაფლი და მიიღეთ 1-2 ს/კ ჭამისა და ძილის წინ.

2. წვრილად დაჭრილ შავ ბოლოკს დააყარეთ შაქარი და 2 საათის განმავლობაში შეწვით ჰაერლუმელში. შემდეგ გაწურეთ და ჭამისა და ძილის წინ მიიღეთ წვენი.

3. 10 თავი ხახვი და ერთი თავი ნიორი დაჭერით წვრილად და მოხარშეთ რძეში მანამ, სანამ მასა არ დარბილდება. გაწურეთ, დაამატეთ ცოტა პიტნის ნაყენი, თაფლი და მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 2-3 დღის განმავლობაში, ყოველი ერთ საათში ერთხელ.

**ლიზა**

# შეიქმნა ხელოვნური სისხლი

სამეცნიერო სამყაროში სენსაციაა — ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ადამიანის სისხლის უნიკალური შემცვლელი. ახალი პროდუქტის ფხვნილი დამზადებულია ადამიანის სისხლის წითელი სხეულაკებისგან. საჭიროების შემთხვევაში, ფხვნილი იხსნება სითხეში და შესაძლებელი ხდება ნებისმიერი ჯგუფის სისხლის დამზადება.

სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს უნიკალური გამოგონება გადაარჩენს ათასობით მძიმე ავადმყოფს, განსაკუთრებით ექსტრემალურ სიტუაციებში, როცა რთულდება საჭირო ჯგუფის სისხლის მოძიება.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ უახლოეს პერიოდში ისინი სისხლის შემცვლელ ფხვნილს დაამზადებენ ძროხისა და ცხვრის სისხლისგანაც.

**ვერსია**

# თითქოსდა წვრილმანია, მაგრამ...

მას შეუძლია ხელი შეგიშალოთ ძვირფას ადამიანთან შეხვედრაში, ჩაგიშალოთ საქმიანი პაემანი, უსიამოვნოდ გიქციოთ თეატრში, კინოსა თუ საღამოზე წასვლა...

ლაპარაკია მეტეორიზმზე, რომლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს „პროვოკატორი" პროდუქტები: რძე, შავი პური, საფუარიანი ნაწარმი, ტკბილეული, პარკოსნები, ვაშლი, მსხალი, ყურძენი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ საკვებს შეუძლია გამოიწვიოს ნაწლავების შებერილობა, მეტეორიზმის ხარისხი დამოკიდებულია მაინც კონკრეტული ადამიანის ორგანიზმზე. ასე რომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა იხელმძღვანელოთ ამა თუ იმ პროდუქტისადმი თქვენი ინდივიდუალური ამტანიანობით (გამოცდილებით).

ხშირად მეტეორიზმი კუჭ-ნაწლავის დაავადების ერთ-ერთი სიმპტომია. მაგალითად, ის ყოველთვის თან სდევს ნაწლავების დისბაქტერიოზს, რომლის დროსაც გამოიყოფა დიდი რაოდენობით სუნიანი გაზი. ზოგჯერ გაზის მომატებული წარმოქმნა მიუთითებს ნაღვლის ბუშტის ფუნქციის დარღვევაზე, ე.ი. არასწორად ხდება საჭმლის მონელება.

ნაწლავებში გაზის დაგროვებით ხშირად იტანჯებიან კუჭის წყლულით დაავადებულნი. ზოგჯერ მეტეორიზმს იწვევს ზედმეტი საკვების მიღება, რადგან კუჭი ვერ ასწრებს მის გადამუშავებას.

**როგორ ვებრძოლოთ მეტეორიზმს?**

...დილით ნუ მიიღებთ გაზის წარმომქმნელ საკვებს. დაამატეთ სადილებს მაიორანი, პიტნა, კვლიავი, ბეგქონდარა, მიხაკი.

...ყოველთვის თან იქონიეთ ფერმენტული პრეპარატები და მიიღეთ ბევრი და ნოყიერი საჭმლის შემდეგ. ასეთებია: მეზიმ ფორტე, ფესტალი, აქტივირებული ნახშირი, პოლიფეპანი ან სხვა ენტეროსორბონტები.

...ჭამეთ ხშირად, მაგრამ ცოტა-ცოტა, პატარ-პატარა ულუფებად.

...ყურადღებით დააკვირდით თქვენს თავს, ხომ არ ხართ აეროფაგი, ე.ი. „ჰაერის" მყლაპავი.

...გახსოვდეთ, მეტეორიზმი ზოგიერთი დაავადების სიმპტომიცაა, ამიტომ ზედმეტი არ იქნება, ეჩვენოთ ექიმს.

**გთავაზობთ ხალხური მედიცინის რეცეპტებს:**

1. 1 ს/კ გვირილას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 20 წუთის შემდეგ გაწურეთ და სვით ჩაივით.

2. შაქარზე დააწვეთეთ 4-7 წვეთი კამის ან ანისულის ზეთი და მიიღეთ 3-4-ჯერ დღეში.

3. შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის კრაზანა და ასისთავა. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 5-7 წუთი გააჩერეთ ნელ ცეცხლზე, გააგრილეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1 ჩ/ჭ ნაყენი ჭამის წინ.

4. მოცვის და შოთხვის ნაყოფის (2:3) 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი წყლის ორთქლზე, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 2-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**ლიზა**


ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით ,,ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

N19

ოჯახის მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი ფასი 70 თ.

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის


**დამისვეს საშვილოსნოს დანამატების ანთების დიაგნოზი. რა არის ეს და როგორ მოვიქცე, რა მელის? რით ვიმკურნალო?**

**კ. გაბრიჩიძე**

საშვილოსნოს დანამატების ანთება ერთდროულად საკვერცხეებისა და კვერცხსავალი მილების ანთებაა. მისი გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაა. ყველაზე ხშირად კი ეს ინფექციური ფაქტორია, რომელიც უმეტესად სქესობრივი გზით გადაეცემა. ანთებით პროცესს ძირითადად განაპირობებს მონოკოკები, ტრიქომონადები და ქლამიდია, უფრო იშვიათად — მიკოპლაზმა და ურეპლაზმა. თუ დაავადება განპირობებულია რომელიმე მიკროორგანიზმით, მაშინ ქალს, ტკივილის გარდა, აწუხებს გამონადენი.

ამ დროს, რაღა თქმა უნდა, საკმარისი არ არის მხოლოდ ადგილობრივი მკურნალობა, როგორიცაა მალამოები, ტამპონები — ანტიბიოტიკების შემცველობით; აუცილებელია ანტიბაქტერიული პრეპარატების მიღება აბების სახით. გართულებისას კეთდება ანტიბიოტიკების ინიექციები.

საშვილოსნოს დანამატების ანთების სამკურნალოდ გამოიყენება სხვადასხვა ჯგუფის ანტიბიოტიკები. მაგალითად, აზიტრომიცინი, კლარიტრომიცინი, დოქსაციკლინი. ტრიქომონიაზის დროს ინიშნება მეტრონიზადოლი. თუმცა, ქალისთვის იმის განსაზღვრა თუ რომელი ანტიბიოტიკი არის საჭირო მკურნალობისთვის, ძალზე რთულია. ექიმი-გინეკოლოგი მკურნალობას ნიშნავს ქალის გასინჯვის, ულტრაბგერითი გამოკვლევისა და ნაცხის ინფექციური ფაქტორის გამოკვლევის შემდეგ.

კონკრეტულ შემთხვევაში ანტიბიოტიკის შესარჩევად საჭიროა ანტიბიოტიკების მიმართ მგრძნობიარობაზე დათესვა.

საშვილოსნოს დანამატების ანთება შეიძლება დაკავშირებული იყოს არაინფექციურ ფაქტორებთანაც — კერძოდ, გინეკოლოგიურ პრობლემებთან — ენდომეტროზი, საშვილოსნოს მიომა, საკვერცხეების კისტა. ის შეიძლება გამოვლინდეს მუცლის ქვედა ნაწილში ყრუ და ხანგრძლივი ტკივილით. ამ დროს ანტიბიოტიკების მიღება მიზანშეწონილი არ არის, პირიქით, ამან შესაძლოა გაართულოს მდგომარეობა. სწორედ ამიტომ არ არის რეკომენდებული თვითმკურნალობა.

საშვილოსნოს დანამატების ანთების შედეგად ხშირად ვითარდება შეხორცებები. ეს არის შემაერთებელქსოვილოვანი „წარმონაქმნები". ზოგჯერ შეხორცებითი პროცესი სცილდება მცირე მენჯის ღრუს ორგანოებს და პათოლოგიურ პროცესში ერთვება მუცლის ღრუს ისეთი ორგანოები, როგორიცაა ნაწლავების მარყუჟები და სხვა.

თუ ანთებითი პროცესის მკურნალობა დაწყებულია დროულად, ამით შეიძლება თავიდან ავიცილოთ შეხორცებები (მცირდება მისი რაოდენობა) ან სულაც არ ხდება მისი განვითარება. ახალი შეხორცებების „გალღობა" შესაძლებელია ფერმენტების საშუალებით. როდესაც „ძველი შეხორცებები" ელექტროფორეზის სა-

# ქალის პრობლემები



შუალებითაც კი არ იკურნება, ამ დროს კეთდება ლაპარასკოპიული (უსისხლო) ოპერაცია.

თუკი ანთებითმა პროცესმა ქრონიკული ხასიათი მიიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ მოხდება პერიოდული გამწვავებები განსაკუთრებით ზამთარსა და გაზაფხულზე. სავარაუდოა, რომ მწვავე პროცესის დროს ან არ ჩატარდა მკურნალობა, ან შესაბამისად არ ჩატარდა. ამ დროს გირჩევთ, კვალიფიციური ექიმის კონსულტაციას, ძველი, ნაცადი სქემით მკურნალობა რეკომენდებული არ არის. საკუთრივ, შეგიძლიათ მხოლოდ პირველადი დახმარება გაუწიოთ თავს ანუ მოიხსნათ შემაწუხებელი სიმპტომები. სპაზმოლიტიკები, მაგალითად, ნო-შპა, მწვავე სტადიაში ამცირებს ტკივილს. სიცხის დამწევი, მაგალითად, ასპირინი, ამცირებს მაღალ ტემპერატურას. ანალგინი, სედალგინი, ტემპალგინი — ერთდროულად ხსნის ტემპერატურასა და ტკივილს.

ამ დროს არ ღირს ადგილობრივად სითბოს გამოყენება (სათბურები და ა.შ.) ტკივილი შესაძლოა სხვა მიზეზითაც იყოს განპირობებული — კეთილთვისებიანი სიმსივნით, საკვერცხის კისტით ან საშვილოსნოს მიომით. სიმსივნურ წარმონაქმნებს ზრდის სითბოც. ანტიბიოტიკებმაც, თუ საჭიროების შემთხვევაში არ გამოიყენებ, შესაძლოა გამოიწვიოს ღვიძლის გადატვირთვა, დისბაქტერიოზი ან სულაც იმუნიტეტის დაქვეითება. თუკი ანალიზებითა და გამოკვლევებით დადგინდა, რომ ანთების გამომწვევი ფაქტორი ინფექციურია, ანტიბიოტიკოთერაპია აუცილებელია. ამ დროს მხოლოდ ფიზიოთერაპიითა და ვიტამინებით ფონს ვერ გახვალთ. ვიტამინები და იმუნიტეტის ასამაღლებელი მედიკამენტები შეგიძლიათ ანტიბიოტიკების პარალელურად მიიღოთ. უმჯობესია მიიღოთ არა მხოლოდ ვიტამინები, არამედ ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსი. ასევე მცენარეული მატონიზირებელი საშუალებები — ტეუტეროკოკი, ჟენშენის ნაყენები. სინთეზირებული იმუნომოდულატორებია — T-აქტივინი, პლაფერონი.

როგორც კი მწვავე ანთებითი პროცესი ჩაცხრება, შეგიძლიათ ჩართოთ ფიზიოთერაპია ან ლაზეროთერაპია. ის აუცილებელია საკვერცხეებისა და კვერცხსავალი მილების ფუნქციის ალსადგენად. გამოიყენება გინეკოლოგიური მასაჟი. საშვილოსნოზე ზეწოლით უმჯობესდება საშვილოსნოს სისხლითა და ჟანგბადით მომარაგება.

ხანგრძლივმა ქრონიკულმა პროცესმა შესაძლოა გაართულოს დაფეხმძიმება, უფრო მეტიც, განვითარდეს უნაყოფობა. ანთება არღვევს საკვერცხეების ფუნქციონირებას, ჰორმონულ ბალანსს. გარდა ამისა, კვეცხსავალი მილების ანთებისას შესაძლოა განვითარდეს საშვილოს გარე ორსულობა.

ქრონიკული პროცესის დროს გამწვავება შეიძლება გამოიწვიოს ელემენტარულმა გადაციებამ, შეციებამ ან სტრესულმა სიტუაციამ, ნერვულმა დაძაბულობამ. ეს მხოლოდ რისკ-ფაქტორებია და არა დაავადების გამომწვევი ფაქტორი. ამ დროს მიზეზი არის იმუნიტეტის დაქვეითება ან ინფექციის არსებობა.

კლიმატური პირობების ცვლილება, შესვენების, დასვენების გარეშე დაძაბული მუშაობა, ეკოლოგიური პირობების დამძიმება, არასაკმარისი და არასრულფასოვანი კვება. ყველაფერი ეს შესაძლოა გახდეს ფარული ინფექციის „გაღვიძება"-გამწვავების მიზეზი.

**მაია მუხიგული**

# სად ვიპოვოთ ზამთარში „მზის ვიტამინები?"

ცნობილია, რომ ზამთარში ჩვენი ორგანიზმი განიცდის ვიტამინების უკმარისობას. ექიმი-დიეტოლოგები გვასწავლიან, თუ როგორ ვლინდება ეს უკმარისობა და გვთავაზობენ ზოგიერთ რეკომენდაციას, როგორ შევივსოთ ვიტამინები.

A ვიტამინის უკმარისობის ნიშანია მშრალი კანი, მტვრევადი თმა, გამონაყარი და ფურუნკულები. უტყუარი სიგნალია „ქათმის სიბრმავე", რომელიც ემართებათ კარგი მხედველობის მქონე ადამიანებსაც. A ვიტამინს შეიცავს რძე, კარაქი, კვერცხი, სტაფილო და ნარინჯისფერი ხილი.

მოზრდილთათვის დღეღამური დოზაა 1-8 მგ (60გ სტაფილო ან 10გ ღვიძლი), ბავშვებისათვის — 1მგ.

როგორც ცნობილია, D ვიტამინი ეხმარება ორგანიზმს კალციუმის ათვისებაში. მისი უკმარისობა ვნებს გულს, ძვლებსა და სისხლს. ბავშვებში იწვევს რაქიტს. D ვიტამინით მდიდარია თევზის ქონი, ცხიმიანი თევზი, კარაქი. ის არ იშლება თერმული დამუშავების დროსაც კი, პირიქით, შეუძლია „თვითწარმოქმნა", მზის სხივების მეშვეობით. ამიტომ, ზამთრის მზიან დღეებში დაეშურეთ მზის სხივებს, რაც შეიძლება მეტი ისეირნეთ.

უფროსი ასაკის ადამიანებმა ყოველდღიურად უნდა მიიღონ არანაკლებ 12,5 მგ D ვიტამინი, ბავშვებმა — ორჯერ ნაკლები. დღეღამური ნორმისთვის სრულიად საკმარისია 300 მლ რძე ან თევზის დიდი ნაჭერი.

C ვიტამინი აძლიერებს იმუნურ სისტემას ბაქტერიებისა და ვირუსების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მისი უკმარისობის დროს იწყება ღრძილებიდან სისხლდენა, ფრჩხილები იმტვრევა, ადამიანი თავს სუსტად გრძნობს, იპყრობს აპათია და დეპრესია, გაღიზიანებულია.

C ვიტამინს შეიცავს ისპანახი, ქაცვი, ფორთოხალი, ლიმონი, კივი, ვაშლი, მწვანე მუხუდო.

უფროსი ასაკის ადამიანებისათვის დღეღამური დოზაა — 300 მგ, რომელსაც შეიცავს ორი ფორთოხალი, 1 კგ ანტონოვკის ჯიშის ვაშლი. სასურველია, C ვიტამინი მივიღოთ ნატურალური სახით.

B ჯგუფის ვიტამინების უკმარისობის ნიშანია თვალების წვა, ალერგია, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, წვრილი კაპილარების სკდომა.



B ვიტამინს შეიცავს საფუარი, გაღივებული ხორბალი, წიწიბურა, სოკო, ბურღულეული, ძროხის ღვიძლი, რძის მჟავე პროდუქტები.

$B_1$-ის დღეღამური დოზაა 1-1,7მგ, რომელსაც შეიცავს 80გ საფუარი, 165გ ყვავილოვანი კომბოსტო, 5 ს/კ გაღივებული ხორბალი; $B_2$-ისა — 3მგ დღეში. ამისთვის უნდა მივიღოთ 100გ ძროხის ღვიძლი, 0,5კგ ქამა სოკო, ერთი კვერცხი; $B_{12}$-ისა — 3მგ-ია, რომელსაც შეიცავს 70გ ქაშაყი, 3 კვერცხი, 350გ ხაჭო.

E ვიტამინი ხელს უშლის კაპილარების სკდომას, დაბერებას. მისი უკმარისობა იწვევს გადაღლილობას, სისხლძარღვებში ჩნდება სკლეროზული ბალთები. მას შეიცავს მცენარეული ზეთები, კვერცხი, მარცვლეული, სალათა, ისპანახი, მზესუმზირა, ნუში, არაქისი, ქარხალი.

E ვიტამინის დღეღამური დოზაა 10-30 მგ, რისთვისაც უნდა მივიღოთ 1 ჭიქა მზესუმზირა ან ნუში, 3 ს/კ კარაქი, 400 გ ჭარხალი.

K ვიტამინის უკმარისობის ნიშანია სისხლის ცუდად შედედება. მას შეიცავს კომბოსტო, კვერცხი, ხორცი, გოგრა, მჟავე კომბოსტო.

K ვიტამინის დღეღამური დოზაა — 70 მკგ, რომელსაც შეიცავს 14 გ მზესუმზირის ზეთი, 40 გ სალათა, 140გ ხაჭო.

რკინის უკმარისობა იწვევს ანემიას, რაც ვლინდება საერთო სისუსტეში, ქვეითდება შრომის უნარიანობა. მას შეიცავს ღორისა და ძროხის ღვიძლი, შავი ჩაი, კვერცხის გული, ქათმის ხორცი, მზესუმზირის ზეთი, შვრია, ისპანახი.

უფროსებისთვის მისი დღეღამური დოზაა 20 გ, ბავშვებისთვის — 8 მგ. საშუალო დოზას შეიცავს 9 ს/კ მზესუმზირის ზეთი, 50გ ღვიძლი, 500გ ძროხის ხორცი.

**კომსომოლსკაია პრავდა**



ახალი წლის პირველ დღეს, ორწლიანი შესვენების შემდეგ, პაკისტანის ავიახაზების თვითმფრინავი 42 მგზავრით ლახორიდან დელიში გაფრინდა. რამდენიმე საათის შემდეგ პაკისტანში 118 კაცი გამოემგზავრა. ორ ქვეყანას შორის საჰაერო კავშირი მაშინ შეწყდა, როცა ინდოეთმა პაკისტანი 2001 წლის დეკემბერში პარლამენტის შენობაზე თავდასხმაში დაადანაშაულა. ახლა ამ ქვეყნებს შორის დაძაბულობა შენელდა, თუმცა სავიზო რეჟიმი კვლავაც მკაცრია.



სანტა-კლაუსმა სამხრეთამერიკელ აბორიგენებსაც მიულოცა ახალი წელი — იგი მდინარე ამაზონზე უბრალო კანოეთი გაეშურა. რა თქმა უნდა, საჩუქრებით სავსე ტომარაც წაიღო მრავალრიცხოვანი ადგილობრივ ტომთა ბავშვებისათვის. აბორიგენები ახალ წელს არ ზეიმობენ, მაგრამ სანტა-კლაუსის საჩუქრები სიამოვნებით მიიღეს.

**ჰაიტი**

## შავი რესპუბლიკის „დაბადების დღე“

ჰაიტი მსოფლიოში პირველი შავი რესპუბლიკა იყო, რომელმაც 200 წლის წინ საფრანგეთისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ახალი წლის წინა დღეებში ჰაიტის დამოუკიდებლობის აღსანიშნავი ზეიმი გააფერმკრთალა ქვეყნის პრეზიდენტის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების შეტაკებებმა. ოპოზიციამ არც სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტს, ტაბო მბეკის მოუწონა ჰაიტის ზეიმზე ჩასვლის გადაწყვეტილება. საიუბილეო სიტყვაში ჰაიტის პრეზიდენტმა ჟან ბერტრან არისტიდმა განაცხადა, რომ ქვეყნის ულარიბესი



მოსახლეობა მალე იგრძნობს დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრების უპირატესობას, ჰაიტი ძლიერი იქნება, თუ მისი ხალხი გაერთიანდებაო. სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ტაბო მბეკიმ თქვა, — ჰაიტის დამოუკიდებლობა აუცილებლად უნდა ვიზეიმოთ, იმიტომ, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მონებით ვაჭრობასო. დიქტატურამ კუნძული მსოფლიოს ერთ-ერთ ულარიბეს ქვეყნად აქცია. შეერთებულმა შტატებმა არისტიდის ხელისუფლებაში მოსვლას 10 წლის წინ შეუწყო ხელი, მაგრამ დღეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჰაიტის ლიდერი შესაძლოა ვერ აკონტროლებდეს ზოგიერთ ქალაქსა და პროვინციას, სადაც არეულობები მოხდა. დამოუკიდებლობის 200 წლის განმავლობაში ქვეყანაში 53 ლიდერი შეიცვალა, აქედან — 21 ძალისმიერი გზით. დღევანდელი მდგომარეობა იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანა კრიზისს განიცდის.

***იზვესტია №1***

# პლანეტამ ძველი წელი გააცილა

ქუჩის ილუმინაციები, საახალწლო ნაძვის ხეების მოციმციმე გირლანდები, ათასფრად გაჩახჩახებული ქალაქები...



განსაკუთრებით მშვენიერია მოზეიმე ევროპა, რომელიც ნოემბრის ბოლოდან ემზადება შობა-ახალი წლისთვის. მთავარი მშვენება საშობაო ბაზრობებია. რას არ ნახავთ აქ — ნაირ-ნაირ სათამაშოებსა და სუვენირებს, საჩუქრებით დატვირთულ სანტა-კლაუსს, თამაშდება ბიბლიური სიუჟეტების ამსახველი სცენები, მოსეირნე ხალხს ცხელი გლინტვეინით და საშობაო ნამცხვრებით უმასპინძლდებიან.

ევროპაში შობა-ახალი წლის დიდებულად აღსანიშნავად სახსრებს არ იშურებენ. პარიზის მუნიციპალიტეტი მარტო ელისეს მინდვრების ილუმინაციისთვის ყოველწლიურად 1 მლნ ევროს გამოჰყოფს. წელს პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის განათება მერიას 460 ათასი ევრო დაუჯდა. პარიზი საახალწლო ნაძვის ხეების გაფორმებაში ტონის მიმცემია. მათ მორთვა-მოკაზმვაში მონაწილეობენ ცნობილი დიზაინერები და კუტიურიეები — ჯორჯო არმანი, პაკო რაბანი, ჟან-პოლ გოტიე და სხვები. საფრანგეთის დედაქალაქს არც ჟენევა ჩამორჩება. ჟენევის ტბის გარშემო ცნობილი მხატვრებისა და დიზაინერების მიერ გაფორმებული ასობით ნაძვის ხე დგას.

კაზინო „მონტე კარლოს“ წინ, მოედანზე დადგმული ნაძვის ხე მონაკოს სამთავროს 200 ათასი ევრო დაუჯდა.

ამერიკის მთავარი ნაძვის ხე ტრადიციულად, ნიუ-იორკში, როკფელერის ცენტრის წინ აღიმართა. პირველი ნაძვის ხე როკფელერ-ცენტრთან 1931 წელს დაიდგა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა საცხოვრებელი სახლების ფანჯრების გაფორმებას. უძველესი დროიდან ხალხს სწამს, რომ თუ ფანჯრის რაფებსა და მინებს პაწაწინა ლამპიონებით, ზანზალაკებით, ვარსკვლავებითა და ფანტელებით შეამკობენ, კეთილი ანგელოზი აუცილებლად მოინახულებს მათ კერიას და მთელი წელი ბედნიერება განაღდებული ექნებათ.

***7 დღე***

# პუტინი რთული და გრძელი გზით მიდის

გასულმა წელმა რუს ხალხს ბევრი კარგიც მოუტანა და ცუდიც. პუტინისთვის კი ნამდვილად კარგი წელი იყო — მან იგი ბრწყინვალედ დაამთავრა და გამოაცხადა, გაისად ისევ მივიღებ მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებშიო. რუსეთმა მოიწონა მისი მკაცრი პოზიცია მულტიმილიარდერ მიხაილ ხოდორკოვსკის მიმართ. მას შემდეგ, რაც კომუნისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, დუმაც მოთოკა. წლის მანძილზე პუტინმა საკმაო ქულები დააგროვა ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკურ ფრონტებზეც. აშშ-თან ურთიერთობა გულთბილი და სტაბილურია, პუტინმა შეძლო თავიდან აეცილებინა განხეთქილება ან პირდაპირი კონფრონტაცია ერაყის, ირანის, საქართველოსა და სხვა საკითხებში. რუსეთზე უარყოფითად იმოქმედა ძველი მოკავშირის, სადამ ჰუსეინის დაკარგვამ, ვერც აშშ-ისგან მიიღო იმის გარანტია, თუ ვინ დაუბრუნებს 8 მლრდ დოლარს, რომელიც სადამს ემართა. შარშან პუტინმა განიმტკიცა ურთიერთობა ჩინეთთან. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, გადადგომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა რუსეთის გავლენა შფოთიან კავკასიაზე. პუტინი, ისევე როგორც მისი ვაშინგტონელი კოლეგა, განაგრძობს ბრძოლას რადიკალური ისლამიზმის წინააღმდეგ ძვირად ღირებული და სისხლიანი ოკუპაციის გზით, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ბუშის მოქმედების ადგილი ერაყია, პუტინისა — ჩეჩნეთი.

პუტინის მკაცრი ხელი ურევია ოლიგარქ ხოდორკოვსკის დაპატიმრებაში. მისი გაზრდილი ამბიციები მიანიშნებდა, რომ ოლიგარქს რუსეთის პრეზიდენტის დამხობა და მისი მემკვიდრეობა ედო გულში. პუტინისთვის ნერვიც არ შეუთრთოლებია ევროპასა და აშშ-ში მისი სასტიკი მოქმედების წინააღმდეგ აზვირთებულ პროტესტის ქარიშხალს.

ულტრანაციონალისტების გამარჯვება დუმაში, ჟირინოვსკის მეთაურობით, იმის დასტურია, რომ კომუნისტები უფრო ძლიერმა და რადიკალურმა ძალამ შეცვალა, მაგრამ პუტინი შემდგომი საპრეზიდენტო არჩევნების ჯერჯერობით ერთადერთ რეალურ მოთამაშედ რჩება.

***ვაშინგტონ პოსტი***

# ევროკავშირის თავმჯდომარე ირლანდია გახდა



1-ელი იანვრიდან ევროკავშირის თავმჯდომარე ირლანდია გახდა. უახლოეს ნახევარ წელიწადში სწორედ დუბლინს მოუწევს ორგანიზაციის შიგნით ურთიერთობის მოწესრიგება, რადგან იტალიის თავმჯდომარეობის დროს ბევრი რამ აირ-დაირია. ირლანდიას ევროკავშირის სათავეში მაშინ უწევს დგომა, როცა ამ ორგანიზაციის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გაფართოება ხდება; ირლანდიის წინაშე დიდი ამოცანა დგას — უნდა მიაღწიოს ევროკავშირის კონსტიტუციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების განახლებას, რასაც ამდენი კამათი მოჰყვა. ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბერტ ახერნმა განაცხადა: — ამას დიდი დრო დასჭირდება. ჩვენი ტაქტიკა მარტივია — გავაგრძელებთ იტალიელების დაწყებულ საქმეს და შევეცდებით, კომპრომისის გზით მიღწეული ზოგიერთი შეთანხმება გავამაგროთ. დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ კონსტიტუციის მიღებას. ანალიტიკოსების აზრით, ევროკავშირის ძირითადი კანონი ვერც 2004 წლის ბოლოსთვის იქნება მიღებული. სავარაუდოდ, წელს მთავარი ყურადღება კონსტიტუციიდან ევროპარლამენტში ივნისის არჩევნებზე გადაინაცვლებს.

რომმა ირლანდიის პრემიერ-მინისტრს საქმეები ოფიციალურად დუბლინის კოშკში გადასცა, სადაც ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის დროშა იყო აღმართული. ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ბერტ ახერნი ისარგებლებს აშშ-თან მჭიდრო კავშირით და შეეცდება ერაყის ომთან დაკავშირებით გართულებული ურთიერთობის გაუმჯობესებას. იტალიის თავმჯდომარეობისას ევროკავშირს სკანდალური გამონათქვამები არ მოჰკლებია. ბევრი ბერლუსკონის ადანაშაულებს ერთობლივი კონსულტაციების ჩატარების უუნარობაში, კონსტიტუციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ჩავარდნაში.

***ბი-ბი-სი***

# სადამ ჰუსეინმა აღიარა, სად ინახავდა ფულს

— ერაყის ყოფილმა ლიდერმა სადამ ჰუსეინმა ამერიკელებს გაუმხილა, თუ სად აქვს შენახული იარაღი და დაახლოებით 10 მლრდ დოლარი. დაასახელა ის ადამიანები, რომლებსაც ფული მიაბარა და ვინც იცის, სად არის განთავსებული იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის საწყობები, — განუცხადა ლონდონის გაზეთ „აშარკ ალ-ავსტატას“ კორესპონდენტს ერაყის სამთავრობო საბჭოს წევრმა ლიად ალიავიმ. მისი თქმით, ამჟამად გამომძიებლები ცდილობენ, გაარკვიონ, ჰქონდა თუ არა სადამ ჰუსეინს კავშირი ერაყის ტერიტორიაზე და მის საზღვრებგარეთ მოქმედ საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებებთან. ამერიკელებს აინტერესებთ, აფინანსებდა თუ არა მათ დიქტატორი, ჰქონდა თუ არა ურთიერთობა ერაყის პარტიზანულ რაზმებთან. ამბოხებულები ყოფილი ლიდერის დაპატიმრების შემდეგაც არ წყვეტენ თავდასხმებს საოკუპაციო ძალებზე. 2003 წლის 1-ელი მაისის შემდეგ, როცა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერაყში ომის დამთავრება გამოაცხადა, პარტიზანების ხელით 211 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ამერიკელებმა არ იციან, ვინ მეთაურობს კოალიციის პარტიზანებს. ჯერჯერობით არ დაუპატიმრებიათ კიდევ 12 ძებნილი. მათ შორისაა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი იზად იბრაჰიმ ალ დური. აშშ სწორედ მას მიიჩნევს პარტიზანთა იდეურ ხელმძღვანელად. ერაყის სამთავრობო საბჭოს აზრით, ჰუსეინის მიერ მითვისებული 40 მლრდ დოლარი შვეიცარიის, იაპონიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების ფიქციური კომპანიების ანგარიშებზე უნდა იყოს.

***როიტერი***

## მოკლედ

**იტალიის** ცნობილი კომპანიის, „პარმალატის“ დამაარსებელმა კალისტო ტანციმ მილანის პროკურატურაში აღიარა, რომ კომპანიის ფონდებიდან დიდი თანხა მიითვისა, რამაც იტალიის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გაკოტრება გამოიწვია — ტანციმ 8 წლის განმავლობაში 500 მლნ ევროთი აზარალა „პარმალატი“.

**რუსეთის** ოპოზიციის ლიდერი ირინა ხაკამადა აპირებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. „პრეზიდენტობის კანდიდატად თვითონ წამოვაყენე თავი და თუ შევძლებ საბუთების გაფორმებას, დავიწყებ ხელმოწერების შეგროვებას“, — განაცხადა ირინა ხაკამადამ.

**ინდონეზიაში** ახალი წლის წინადღეს, რიხტერის სკალით, 6,1-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. ბიძგების ეპიცენტრი კუნძულ ბალის მახლობლად იყო. დაზარალდა 29 მოქალაქე, 100-ზე მეტი შენობა დაინგრა.

**პალესტინელებისა** და **ისრაელელების** ერთობლივი უნიკალური ექსპედიცია ანტარქტიდაში გაემგზავრა. მისი მიზანია ყველას დაუმტკიცოს, რომ პოლიტიკური და რელიგიური წინააღმდეგობებით გათიშული ორი ხალხის წარმომადგენლებს თანამშრომლობა შეუძლიათ.

**ჩიკაგო**, მოსახლეობის რაოდენობით აშშ-ის მესამე ქალაქი, პირველ ადგილზე გავიდა შარშან მომხდარი მკვლელობების რაოდენობით. ამერიკის ყოფილ კრიმინალურ დედაქალაქში 533 ადამიანი გახდა ძალადობის მსხვერპლი. მეორე ადგილზეა ნიუ-იორკი, მესამეზე — ლოს-ანჯელესი.

**რუსეთის** ნავთობკომპანია „ლუკოილი“ იმედოვნებს, რომ აამოქმედებს ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინის დროს დადებულ 3,7 მლრდ დოლარიან კონტრაქტს, რომელიც დასავლეთ კურნას ნავთობსაბადოსთანაა დაკავშირებული. აქაური ნავთობის მარაგი 20 მლრდ დოლარადაა შეფასებული. „ლუკოილის“ წილი ამ პროექტში 68,5%-ს შეადგენდა.

**იტალიელმა** ინჟინრებმა დაასრულეს კლდეში იმ ნიშების გამაგრება, რომლებშიც 1500 წელი მაინც იდგა ბუდის ორი გიგანტური ქანდაკება. 2001 წლის აპრილში ეს უნიკალური ძეგლები ბარბაროსულად ააფეთქეს თალიბებმა.

**მოსკოვში** ახალი წლის ღამეს ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. ერთმა მოქალაქემ სანადირო თოფი ესროლა შექეიფიანებულ კამპანიას, რომელიც, მისი თქმით, თურმე ძილს უფრთხობდა. საბედნიეროდ, არავინ მომკვდარა. ორი დაჭრილი ახალგაზრდა საავადმყოფოში წაიყვანეს.

**ომსკელმა** ოსტატმა ანატოლი კონენკომ მსოფლიოში ყველაზე პატარა ნაძვის ხე დაამზადა. მისი სიმაღლე 5 მმ-ია და ლამაზადაა მორთული მალაქიტის წვრილი ქვებით, ოქროს, ვერცხლისა და მინისგან დამზადებული სათამაშოებით. კონენკო ამბობს, — რომ მცოდნოდა, გინესის რეკორდების წიგნში შემიყვანდნენ, უფრო პატარას — მილიმეტრნახევრიან ნაძვის ხეს დავამზადებდიო.

**ეკვადორში**, ქალაქი-პორტის, გუაკილის სანაპიროზე დადგეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ნაძვის ხე — 92-მეტრიან ნაძვს 30 მ-იანი დიამეტრი აქვს და 100 ტონაზე მეტს იწონის.

**ჰოლანდია** აქამდე თამბაქოს მწეველებისთვის ოაზისად რჩებოდა, მაგრამ ახლა აიკრძალა მოწევა მატარებელში, ტაქსიში, საზოგადოებრივ ტუალეტებში. დაწესებულებების ხელმძღვანელებს დიდ ჯარიმას გადაახდევინებენ, თუ მათ თანამშრომლებს სამსახურში სიგარეტით ხელში ნახავენ. 16-მილიონიან ჰოლანდიაში ყოველი მესამე ეწევა.

**ჰიმალაის** მთებიდან წამოსულ არნახულ სიცივეს, რომელიც ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონებს მოედო, 216 ადამიანი ემსხვერპლა. სიკვდილის მიზეზი ის გახდა, რომ მათი საცხოვრებელი სახლები ზაფხულის პირობებზეა გაანგარიშებული.

**ევროპაში** უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) თავმჯდომარე 1-ელი იანვრიდან ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სოლომონ პასი გახდა. ამ პოსტზე მან შეცვალა ჰოლანდიელი იაზეპ დე ჰოოპ სქეფერა. ეუთოში სადღეისოდ ევროპის, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის 55 სახელმწიფოა გაერთიანებული. 2005 წელს ეუთოს სლოვენია უხელმძღვანელებს.

**ირანის** ქალაქ ბამში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად 16 ქვეყნიდან გაიგზავნა ჰუმანიტარული დახმარება. მათ შორისაა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც თავის დროზე თეირანი „ბოროტების ღერძს“ მიაკუთვნა. ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებიც ათეული წელია, არ დამსხდარან ირანის ტერიტორიაზე, იქ ჰუმანიტარული ტვირთი ჩაიტანეს.

**დიდი ბრიტანეთისა** და **პალესტინის** ავტონომიის ხელმძღვანელთა შორის დიპლომატიური სკანდალი ატყდა. მიზეზი მისალოცი ბარათი გახდა, რომელიც თითქოსდა ტონი ბლერმა იასირ არაფატს გაუგზავნა. პალესტინის სააგენტოების ინფორმაციით, ბარათში ბლერი არაფატს უსურვებდა მისი დიდი ოცნების — პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრის პრესმდივანმა განაცხადა — ბლერს არაფერი გაუგზავნია არაფატისთვისო. არაფატი ძალიან განაწყენდა — არ გამოუგზავნია და ნუ გამოუგზავნია, არ შეიძლებოდა ამხელა ამბავი არ აეტეხათ, ბოლოს და ბოლოს, მილოცვა იყო, პოლიტიკური განცხადება ხომ არაო. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ტონი ბლერმა ამის შემდეგ მართლა გაუგზავნა იასირ არაფატს მისალოცი ბარათი.



# ფანი არდანის პირველი და უკანასკნელი სიყვარული...

20 წლის წინ პრესა დიდი რეჟისორის ფრანსუა ტრიუფოს ორ ულამაზეს საყვარელ ქალზე — ფანი არდანსა და კატრინ დენევზე ლაპარაკობდა. ყველაფერი, რაც ფანისა და ტრიუფოს შორის ხდებოდა, ქალისთვის დღემდე წმინდა და ხელშეუხებელია. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

## ბრწყინვალე შავგვრემანი ქალბატონი

— ალო, ფანი არდანთან თუ შეიძლება ლაპარაკი? — გაისმა ყურმილში მამაკაცის ხავერდოვანი ბარიტონი.

— მე ვარ, — დაღლილი ხმით უპასუხა ფანიმ. უკვე ღამის თორმეტი საათია, ქალი გადაღებიდან დაბრუნდა, თანაც პატარა ლიუმირსაც სიცხე აქვს...

— მე ფრანსუა ტრიუფო ვარ, როლი მინდა შემოგთავაზოთ...

თურმე ტრიუფოს 30 წლის ფანი უნახავს ტელესერიალში „ქალები სანაპიროდან“ და მოხიბლულა.

— მე თქვენ ტელევიზორში განახეთ და შემიყვარდით, სატელევიზიო სიყვარული ერთი ნახვით!

— ეს რა ხუმრობაა, — შეუტია ფანიმ.

— არავითარი ხუმრობა, ხვალ სამ საათზე... — იყო პასუხი.

ფანიმ იმ წუთში თავის მეგობარს, ჟერარ დეპარდიეს დაურეკა. მან კი სიცილით დაუდასტურა, — არავინ გაგხუმრებია, მეც შემომთავაზა ტრიუფომ როლი ფილმში „მეზობელი ქალიო“.

პირველსავე შეხვედრაზე ფრანსუამ შესძახა:

— ცხოვრებაში უფრო მომხიბლავი ყოფილხართ! მე თქვენგან ნამდვილ ვარსკვლავს შევქმნი!..

და შეასრულა კიდეც დანაპირები.

მალე მთელი ფრანგული პრესა აჭრელდა სათაურებით: „ტრიუფომ ბრწყინვალე ქერათმიანი დამწყები შავგვრემანით შეცვალა“.

პარიზი ფრანსუა ტრიუფოსა და კატრინ დენევის ბობოქარ რომანზე ჭორაობდა, რომელიც რამდენიმე წელი გრძელდებოდა.

ფილმის, „მეზობელი ქალის“, პრემიერის შემდეგ ფანიმ ტრიუფოს გაუმხილა, — ფეხმძიმედ ვარო. კაცის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ყველას ატყობინებდა ამ ამბავს, კატრინ დენევი ბობოქრობდა — მე როცა მინდოდა მისგან შვილის გაჩენა, უარი მითხრა, ჩემი ორი ქალიშვილიც მეყოფა, მეტი არ მინდაო...

## უკანასკნელი არდადეგები

შეყვარებულები ერთმანეთს თავისუფლებას არ უზღუდავდნენ და ცალ-ცალკე, მაგრამ მეზობლად ცხოვრობდნენ პარიზის პრესტიჟულ უბანში. ბავშვის დაბადებას ელოდნენ. ზაფხულის დასაწყისში ტრიუფომ განუცხადა, — ნორმანდიაში მივდივართ, არდადეგებზე. შვილი რომ გაჩნდება, მერე ჩვენი თავისთვის აღარ გვეცლებაო...

ფრანსუამ მშვენიერი ვილა იქირავა ზღვის ნაპირას. დღისით სეირნობდნენ, საღამოობით, როცა ტრიუფო ახალი ფილმის სცენარზე მუშაობდა, ფანი თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა.

...16 წლის იყო, სცენის ჯადოსნური ძალა რომ იგრძნო. პირველი როლი სკოლის თეატრში ითამაშა. მაშინ მისი ოჯახი მონაკოში ცხოვრობდა, მამამისი პრინც რენიეს მრჩეველი და ოჯახის მეგობარი იყო. დარბაზში პირველ რიგში იჯდა საპატიო სტუმარი — მონაკოს პრინცესა, ჰოლივუდის ყოფილი ვარსკვლავი გრეის კელი. გრეისის და რენიეს ქალიშვილი, კაროლინა, ფანისთან ერთად სწავლობდა.

გრეისმა იცოდა, რომ ფანის მსახიობობა უნდოდა და უწონებდა ამ აზრს. ერთხელ ნაღვლიანმა უთხრა: — არა მგონია, რომ აუცილებლად ყველა ქალი უნდა გათხოვდეს, ფემინისტი არა ვარ, მაგრამ მცდელობა, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, გათხოვდნენ — არასწორად მიმაჩნიაო. მაშინ ფანი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა კელი, მაგრამ მერე ხშირად ახსენდებოდა მისი ნათქვამი.

ფანი კლასიკური ბურჟუაზიული ოჯახიდან იყო, ეტყობა, ამიტომ ესწრაფოდა დამოუკიდებლობას. ყველაფერს აკეთებდა ტრადიციებისა და პირობითობის საწინააღმდეგოდ. ფანი უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. სამი წლის შემდეგ ყველაფერი მიატოვა და თეატრალურ კურსებზე შევიდა.

მთელი 10 წელი გასტროლებზე დადიოდა. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობიდან დაბრუნებული მიხვდა, ორსულად იყო. ფანის გათხოვება სისულელედ მიაჩნდა. დედასაც კი არ გაუმხილა ბავშვის მამის ვინაობა...

...ტელეფონის ზარმა გამოიყვანა ფიქრებიდან. ჟერარ დეპარდიე რეკავდა — მე და ჩემი ქალიშვილი თქვენთან სტუმრობას ვაპირებთო. ფანის ძალიან გაუხარდა მეგობრის სტუმრობა და რადგან ფრანსუას სასეირნოდ არ ეცალა, ფანიმ იკისრა გიდობა, ჟერარს და მის ქალიშვილს სანაპირო დაათვალიერებინა. საღამოს, შინ დაბრუნებულს, წერილი დახვდა: „ძვირფასო, შეუძლოდ ვიგრძენი თავი და საავადმყოფოში წაველი“...



ფანი არდანი და ფრანსუა ტრიუფო

## უბედურებასა და სიხარულში

საავადმყოფოში ფანის უთხრეს, — ფრანსუა სასწრაფოდ გადააფრინეს პარიზის ჰოსპიტალშიო. მეორე დღეს ფანი ფრანსუას პალატაში არ შეუშვეს — იქ მისი ყოფილი ცოლი მადლენ მორგენშტერნი მორიგეობდა. მადლენი და ფრანსუა დიდი ხნის გაშორებულები იყვნენ, მაგრამ ქალი მისი დაბრუნების იმედს არ კარგავდა, ყველა მის რომანს არასერიოზულად უყურებდა. ამჯერად მადლენს შეეშინდა — ფანი ხომ ბავშვს ელოდა მისი ყოფილი ქმრისგან. ფრანსუა ერთი თვის შემდეგ გამოვიდა საავადმყოფოდან — ყველაფერი კარგადააო, — დააწყნარა ფანი. ქალმა არ დაუჯერა და მადლენს დაურეკა: „ჩვენ ერთი კაცი გვიყვარს. მაგრამ ახლა ანგარიშსწორების დრო არ არის. მითხარით, რა სჭირს ვს. შეიძლება თქვენს ბავშვსაც ვერ მოესწროს. მაპატიეთ, მაგრამ მე ძალიან მიმძიმს ამ ტვირთის მარტო ტარება...“

ფანის სასო წაერთვა. მას, რომელსაც სიყვარულისა არ სჯეროდა, ცხოვრებაში პირველად შეუყვარდა და ისიც უნდა მომკვდარიყო... არა, ეს შეუძლებელია. რასაკვირველია, მან არ უნდა შეიმჩნიოს. ახლა მართებს ყველაზე დიდი მსახიობობა. ფანიმ იცოდა, რომ სხვას ვეღარავის შეიყვარებდა. ტრიუფოც აჰყვა ამ თამაშს — ვითომ არაფერი იცოდა თავისი ავადმყოფობის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, ფანიმ და მადლენმა მაინც დაარწმუნეს ექიმები, რომ ტრიუფოსთვის ოპერაცია გაეკეთებინათ. ფანი ღმერთს შესთხოვდა, სწორედ იმ დღეს არ დასწყებოდა მშობიარობა...

ფანი და მადლენი საოპერაციოსთან იდგნენ და ელოდნენ.

„ახლა ყველაფერი მის ორგანიზმზეა დამოკიდებული და... სასწაულზე“, — თქვა ექიმმა.

ზუსტად ერთ საათში დაიბადა ფანისა და ფრანსუას ქალიშვილი ჟოზეფინა. საავადმყოფოდან ტრიუფო ადრე გამოეწერა, რათა ფანისა და გოგონას შინ დახვედროდა. არდანმა ფრანსუას სთხოვა, მასთან გადასულიყო, რათა ერთად მოევლოთ პატარასთვის. ბავშვი მხოლოდ საბაბი იყო, თორემ მოსავლელი ფრანსუა უფრო იყო. ორივემ იცოდა, რომ ერთად ყოფნის ცოტა დრო დარჩენოდათ.

მერე ფანი ამბობდა, ეს ჩვენი ცხოვრების საუკეთესო დრო იყოო. ტრიუფოს ძალიან უნდოდა ფანი ცოლად შეერთო, მაგრამ ქორწინება სწორედ ახლა ფანის არ მიაჩნდა მიზანშეწონილად. „სიყვარული ნამდვილი უნდა იყოს, საქორწინო ბეჭდის გარეშე... მღვდლის კურთხევა კონტრაქტზე ხელმოწერას ჰგავს, ხოლო ყოველი კონტრაქტი — გარიგებაა. სიყვარულს ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მე ეს ზუსტად ვიცი“, — ეუბნებოდა ის ტრიუფოს.

ჟოზეფინას დაბადების ერთი წლის თავზე ტრიუფო კვლავ საავადმყოფოში მოხვდა. სამი კვირა არ გამოსულა ფანი პალატიდან, მაგრამ ფრანსუას შველა აღარავის შეეძლო. ფრანსუა ტრიუფო ფანის, მადლენის და მათი ორი უფროსი ქალიშვილის ხელში გარდაიცვალა. იმ წელს ფანის 35 წელი შეუსრულდა.

## მარტოობა დიდ ქალაქში

20 წელი გავიდა მას შემდეგ. დასაფლავების დღეს არდანმა საკუთარ თავს აღუთქვა — აღარასოდეს აღარავის შევიყვარებო. „არც შენთან, არც უშენოდ“, — გაუთავებლად იმეორებდა ფანი თავისი გმირის სიტყვებს „მეზობელი ქალიდან“. მის სახლში ტრიუფოს არც ერთი ფოტოსურათი არ არის. „ის მაშინ მოკვდება, როცა მასზე აღარ ვიფიქრებ. ამაში დარწმუნებული ვარ!“ — უთხრა ერთხელ ფანიმ ძველ მეგობარს, ჟერარ დეპარდიეს. ახლა ფანის ცხოვრება არის სცენა, ეკრანი და ქალიშვილები. „მგონია, რომ ფრანსუას მოეწონებოდა ეს სცენარი“, — ხშირად ესმით რეჟისორებს მადმუაზელ არდანის ნათქვამი.

მსახიობის კარიერა შედგა, მაგრამ ქალური ბედნიერება? მართალია, იყვნენ მამაკაცები მის ცხოვრებაში, მაგრამ ცოტა ხნით... თუმცა 1990 წელს მან კიდევ ერთი ქალიშვილი, ბალადინა, გააჩინა და კვლავ არავინ იცის ბავშვის მამის სახელი.

ფანი ყოველთვის ოცნებობდა დიდი მომღერლის, მარია კალასის როლზე და არ გაჰკვირვებია, როცა ფრანკო ძეფირელიმ უთხრა, — მხოლოდ შენ გხედავ მარიას როლშიო. კალასი იმიტომ მოკვდა, რომ სიცოცხლე არ უნდოდა მას შემდეგ, რაც საყვარელი მამაკაცი და ხმა დაკარგაო. არდანმა იცის, რა გადაიტანა კალასმა... მაგრამ მისგან განსხვავებით, ოპტიმისტია, მარტოობაც თავად აირჩია. თუმცა, რა მარტოობაზეა ლაპარაკი, როცა ქალიშვილები ჰყავს? უფროსი, ლიუმირი ხელოვნებათმცოდნეა, ჟოზეფინა კრიმინალისტი (ფრანსუას რომ სცოდნოდა!) გახდა, ხოლო უმცროსი პიანისტობას აპირებს.

## გატაცება და შიში

ფანის გატაცებაა — კინო, თეატრი, მამაკაცები და შვილები. მას უყვარს თქმა — „მე შემიძლია მამაკაცი მივატოვო კინოს გამო, მაგრამ მამაკაცის გულისთვის კინოზე უარს არასოდეს ვიტყვი“.

ფანი არდანი მგზნებარე ბუნების ქალია. სწორედ ამის დასტურია მისი თავაწყვეტილი ქროლვა მოტოციკლით. სუნთქვაშეკრული მიჰქრის კინოსტუდიაში, თეატრში და ამით ახერხებს იმ შიშის დათრგუნვას, რომელიც სცენაზე ან კინოს გადასაღებ მოედანზე გასვლის წინ ეუფლება. დიდი ედიტ პიაფი დასამშვიდებლად და სცენის შიშის გასაფანტავად ქსოვდაო, — ამბობს...

ფანის ძალიან უყვარს სიმღერა, თუმცა არც ხმა მოსდევს და არც სმენა. ფანი ახლობლებსა და მეზობლებს ინდობს — აბაზანაში წყალს მოუშვებს და მღერის!.. სტვენაზეც გიჟდება — აღმერთებს ედიტ პიაფს და მის მელოდიებს უსტვენს.

ფანი არდანი მოდის მიმდევარია. უფრო ცნობილ კუტიურიეებს ენდობა. „ლამაზი სამოსი ჩემთვის ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია. გინდ ლამაზი კოსტიუმი მქონია და გინდ ძვირფასი ავეჯი, ჭურჭელი თუ სურათი შემიძენია“, — ამბობს მსახიობი. მისთვის მთავარია სისადავე, ელეგანტურობა, არ უყვარს ზიზილ-პიპილები...

P.S. ასეთია ბრწყინვალე ფანი არდანი. 52 წლის მსახიობი საქმეშია ჩაფლული, მოხდენილი, დიდებული, დახვეწილი და შეუვალი კვლავ მწვერვალების დაპყრობას აპირებს.

ტრიუფო კმაყოფილი იქნებოდა თავისი მოწაფით...

***რუსული პრესის მიხედვით***

შპს „ზეოქონი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №1 (საირმის სასახლის უკან), ოთ. 110
ტ: 33-26-75; 38-24-02

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“
სხეულის ფორმის კორექცია ულტრაბგერითი ლიპოსაქციით
ნაოჭების გასწორება
ტერების კორექცია
ლიპოსაქცია
მკერდის კორექცია
კონტურული მაკიაჟი
ეპილაცია
ყურების კორექცია
თვალის ფორმის კორექცია
სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
სხეულზე განაკვეთების გარეშე


უმტკივნეულოდ
საუკეთესო შედეგებით

ექიმი ქირურგი: გია გვარამია
კოსტავას 63, ტელ: 212-312, 364-464

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
შ.პ.ს. კომპანია „იბკო“ IBCo. Company LTD
ალმაშენებლის №99/1 ☎ 96-32-89

„ტრანსცენტრისის“ ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1100 |
| ევრო | 2,5920 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,6819 |
| რუსული რუბლი | 0,0704 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4559 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ვინ როგორ მაიმუნობს!..



2 იანვარს სამარშრუტო ტაქსით წამოვედი ვაზისუბნიდან სპორტის სასახლემდე. ჩემ გვერდით 8-9 წლის მშვენივრად გამოწყობილი ბიჭუნა იჯდა. კალთაზე შოკოლადის ფილები ეწყო. ისეთი საყვარელი გამომეტყველება ჰქონდა, მოფერება მომინდა, მაგრამ ვერ გავუბედე. ჩვენ წინ ახალგაზრდა ქალებს მისი ტოლი ბავშვები კალთაში ჩაესვათ. მძღოლმა ყველა გააფრთხილა: — ვინც ბავშვებისას არ იხდით, უფროსებს ადგილი გაუთავისუფლეთო. ზოგმა პატარამ დედის კალთაში გადაინაცვლა, ჩემი თანამგზავრი ბიჭუნა კი ადგილიდან არ დაძრულა...

თითქმის ყველა მგზავრი სპორტის სასახლესთან ჩამოვიდა. მეც ჩასასვლელად მოვემზადე. მძღოლმა მგზავრები დიდიან-პატარიანად გადათვალა და გაჯავრებულმა მომმართა:

— ამ ბავშვისას რატომ არ იხდით?

— ჩემი არ არის! — ვთქვი, ლარიანი მივაწოდე და ხურდა მოვითხოვე.

— მაშ ვისი ვარ, დედა! — დამეკიდა პალტოს კალთაზე ბიჭი.

გაოცებულმა და გაოგნებულმა ხმა ვეღარ ამოვიღე. უცებ გამიელვა თავში, რომ ბავშვს მგზავრობის ფული არ ჰქონდა და ხურდაზე ხელი ჩავიქნიე. მერე ბიჭს მივუბრუნდი, მინდოდა, რაღაც მეკითხა. ის კი ხელიდან გამისხლტა და სიცილ-სიცილით მომაძახა:

— ვიმაიმუნე, დეიდა, ვიმაიმუნე!.. — და სპორტის სასახლეში ნაძვის ხის ზეიმზე შევარდა.

***თუთი რატიანი, თბილისი***

## ერთგული დამცველი

უნივერსიტეტში ვართ, მეოთხეკურსელები. ნიშნიანი ჩათვლა გვაქვს და ველოდებით ლექტორს. თითქმის მთელი საათი გავიდა. ვიღაცამ ამბავი მოიტანა — დღეს არ მოვაო. გავედით ბარში და ცოტა გადავკარით.

— იქნებ დაბრუნდაო, — ვიფიქრეთ და ისევ აუდიტორიაში მოვიყარეთ თავი. მართლაც მოვიდა პროფესორი. აღელვებული ჩანდა (თანამდებობის პირია და ლექციებს ჩვენთანაც კითხულობს). შეგვატყო, ნასვამები რომ ვართ, უარესად გაბრაზდა — ისედაც ანთებული ვარ, სანამ ავფეთქდები, ვინც ნასვამია, დატოვოს აუდიტორია, ვინც მზად არ არის, იმანაც! — გასცა განკარგულება.



ადგილიდან არავინ დაძრულა ერთი ჩემი ჭკუამხიარული ჯგუფელის, ზაზა გ.-ს გარდა. გავიდა, უხმოდ გაიხურა კარი. ცოტა ხანში დააკაკუნეს. პროფესორმა თავად გაუღო კარი. შემოვიდა ჩემი ძმაკაცი ცეცხლმაქრით ხელში.

— რა არის ეს?! — იქუხა პროფესორმა.

— რა ვიცი, პატივცემულო, ანთებული ვარო, ავფეთქდებიო და ამ ცოდნის ტაძარს ხომ არ დაგანგრევინებთ...

***ლევანი, თბილისი***

## პირველკლასელებთან



ეს ამბავი მართლა მოხდა ახალციხის სკოლაში. ახალბედა ია მასწავლებელმა მორიგ გაკვეთილზე ასეთი შეკითხვა დაუსვა პირველკლასელებს:

— ბავშვებო, რას ვსვამთ წინადადების ბოლოს?

ყველას პატარა აჩიკომ დაასწრო:

— ღვინოს, მასწ.!

მასწავლებელმა გაწყრომა დააპირა, დაცინვა გამიბედაო, მაგრამ იქვე გადაიფიქრა, — რას ვერჩი, ბავშვი მართალია — სადღეგრძელოც ხომ იგივე წინადადებააო და... აპატია...

***ვაჟა სამსონიძე, ახალციხე***

## მე ვზივარ!..

ძმაკაცი მყავს ერთი, ვახო, გვარიანად შებერტყილი. თანაც თუ ოდნავ ნასვამია, მის გვერდით ნამდვილად არ მოიწყენ. „ზემელზე“ ვდგავართ ერთხელ, რესტორნიდან გამოსულები, მშვენიერ ხასიათზე ვართ. ვახომ გააჩერა სამარშრუტო ტაქსი. გააღო კაბინის კარი და მძღოლს ეკითხება:

— აქ ზის ვინმე?

— არავინ. თუ მოდიხარ, დაჯექი!

ჩემმა ძმაკაცმა დაუგდო სკამზე 50-თეთრიანი და ეუბნება:

— აჰა, შენ გზის ფული და თავისუფლების მოედნამდე არავინ დასვა. მე ვზივარ!..

***ზაზა ჩაფიძე, თბილისი***





# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ორი სვანი შევიდა მაღაზიაში კონიაკის საყიდლად.

— რა კონიაკები გაქვთ? — კითხულობს ერთი.

— ძველი და ძალიან ძველი! — იყო პასუხი.

— ვა! წამო, სხვა მაღაზიაში, იქნებ ახალი კონიაკი ვიშოვოთ, ძველმა არ მოგვწამლოს!

***თამაზ წიკლაური, თიანეთი***



ქუთაისის გარეუბანში, რესტორანში შედის სამი ძმაკაცი. მიირთმევენ ხოშიან სადილს, დააყოლებენ თითო ბოთლ ცოლიკაურს. ანგარიში — 3 ლარი და 40 თეთრი. იგივე განმეორდა მეორე დღეს: 5-კაციან ქეიფში 6 ლარი და 45 თეთრი გადაიხადეს. კლიენტები ხმას არ იღებენ და გაოცებულები, მადლობა-მადლობის ძახილით ტოვებენ რესტორანს. ასე გრძელდებოდა მთელი 20 დღის განმავლობაში. აქ „მუქთობა“ ყოფილაო, იფიქრეს და გადაწყვიტეს 50-კაციანი დღეობის გადახდა. ანგარიში ისევ საზღაპრო იყო: 18 ლარი და 70 თეთრი. ახლა მთლად გამოშტერდნენ კლიენტები და იკითხეს: — ბოლოს და ბოლოს, აგვიხსენით, რატომ არის ასეთი სიიაფეო?!

— სიიაფე კი არ არის, ბიჭებო, საქმე შემდეგშია, — აუხსნა კლიენტებს ახალგაზრდა მზარეულმა, — ჩემი დირექტორი წავიდა ბათუმში ზღვაზე დასასვენებლად და დედაჩემი წაიყვანა. ჰოდა, თუ როგორ უნდა დედის მ......, აი, ახლა უნდა ვანახო!..

***ვაჟა ჭყონია, ქუთაისი***

## ხაშის მოყვარულები



მოგეხსენებათ, კომუნისტურ საქართველოში როგორ შიშის ზარს სცემდა ყველას „კაგებე“, მით უმეტეს, მისი უცვლელი შეფი, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური. მისი შიში თვით მისი აპარატის თანამშრომლებსაც ჰქონდათ. ჰოდა, ერთ დღესაც დილაადრიან რამდენიმე თანამშრომელმა მიირთვა ხაში და თავპირისმტვრევით შეცვივდნენ სამსახურის ლიფტში, მაგრამ ბედი არ გინდა? — ლიფტში თავად გენერალი ინაური დახვდათ...

გენერალმა იყნოსა ნივრის სუნი და... წყნარად, ძლივს გასაგონად უთხრა ქვეშევრდომებს: — ხაში ჭამეთ ამ დილით, ბიჭებო?

მათაც რაღა ექნათ, ერთხმად დაეთანხმნენ: — დიახ, ამხანაგო გენერალო!..

— თქვენ არაყსაც დააყოლებდით ზედ! — მშვიდად ჩაილაპარაკა გენერალმა.

— არა, რას ბრძანებთ, ამხანაგო გენერალო, სამუშაო საათებში არაყს როგორ დავლევთო...

ინაურმა გაიღიმა და წყნარად უთხრა დამფრთხალ ხაშის მოყვარულებს: — თქვენ მაშინ, ხაში კი არა, დედითქვენისა მიგირთმევიათ, ხაში უარყოდ ვის გაუგონიაო?!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



ციხის საავადმყოფოში პატიმარი მოიყვანეს...

— რა ჭირს? — იკითხა მთავარმა ექიმმა.

— იძახის, მთელი ტანი მექავება, ავად ვარო!..

მოიწვიეს კონსილიუმი, გასინჯეს, ვერაფერი დაუდგინეს.

— რა ვქნა, ექიმო, მაინც მეფხანება!.. — დაიჟინა პატიმარმა.

— ერთი ეს მითხარი, — მიუბრუნდა ექიმი, — რამდენი გაქვს მისჯილი?

— შვიდი წელი!

— ჰოდა, მეტი რა გაქვს საქმე, იფხანე და იყავი!..

***მარიამ გელაშვილი, სურამი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## მილოცვა



**დიმიტრი საბულუას!**

*შენ დიდი ვალი გაქვს ყველასი, ჩვენი*
*შენ უნდა განაგრძო გვარი და გენი,*
*მჯერა, წინ მრავალი მწვერვალი გელის*
*სულ მაღლა იარე, ზევით და ზევით.*

შობას და იუბილეს სიყვარულით გილოცავენ
*შენი და ნატო და მერაბ საბულუები*

**მარგო ვარამიშვილს!**



გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მშვიდ სიბერეს.

დარდით სავსე ცხოვრება გარგუნა ბედმა. უსაშველოა შენი ტკივილი, მაგრამ სულით ძლიერსა და გაუტეხელს ვერაფერი დაგაკლო.

კიდევ დიდხანს გვაღირსოს ღმერთმა შენთან ყოფნის ბედნიერება და სიხარული.

*შენი შვილები და შვილიშვილები*

## ბინები

იყიდება 2-ოთახიანი ბინა სრული კომპლექსით, პირველ სართულზე, სამმეტრიანი კაპილური სარდაფით სოლოლაკში ლ. ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. №48. გამოდგება საოფისედ ან კომერციული საქმიანობისთვის. ტელ: 37-68-69

იყიდება ვერაზე (ქიაჩელზე) 3-ოთახიანი ბინა ლოჯიით, მიშენებით, ბუხრით, ბ/აირით, მუდმივი დენით. ფასი $40.000. ტელ: 29-31-28

## გთავაზობთ სამუშაოს

GIJ – პირველი ქართული AU-PAIR სააგენტო გთავაზობთ გერმანიაში გამგზავრებას. ასაკი – 18-25 წლამდე. კონსულტაციები და ცნობარები უფასოა. სამუამავლო თანხა – 78-90 ევრო ლარებში (წინასწარ – ნახევარი). ტელ: 34-66-02; 91-19-61

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 38-31-59; 893 33-18-86

## მომსახურება

სადისტრიბიუტორო ფირმა გაკეთებს რეალიზაციას ნებისმიერ საქონელს, აწყობილი ქსელით მთელ საქართველოში, საკუთარი „ფორდ-ტანზიტებით“. ტელ: 899 73-77-75

კომპიუტერული „სასწრაფო დახმარება“ – ფირმა „ელიტა-სკ“. თუ თქვენს კომპიუტერს პრობლემები შეექმნა, სჭირდება პროფილაქტიკა ან გსურთ დაგეხმაროთ ახალი აპარატურის ან პროგრამის ინსტალაციაში, დაგვირეკეთ და გამოგვიძახეთ: 30-39-20. ფასი: ერთ საათამდე – 10 ლარი.

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

გნებავთ დაიკლოთ ზედმეტი წონა, აღიდგინოთ ორგანიზმის თვითდამცავი ფუნქციები, გაიწმინდოთ მავნე ნივთიერებებისგან? გთავაზობთ ეკოლოგიურად სუფთა უმაღლესი ხარისხის პროდუქციას, რომელიც 1 თვეში დაგაკლებინებთ 7-20 კგ-ს დიეტის გარეშე, მოგიწესრიგებთ ნივთიერებათა ცვლას, მიღებულ წონას შეგინარჩუნებთ. ტელ: 93-38-46. ალექსანდრე

## მკურნალობა

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ყურებში შუილს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ჰეპატოქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, აშორებს მეჭეჭებს; სექსუალური დარღვევა; ელექტროკარდიოგრამა; ექოსკოპია; სქესის დადგენა. მის: აღმაშენებლის გამზ. №93 (მ. „მარჯანიშვილთან“). ტელ: 96-38-27

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37{,}2^{0}C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03

გთავაზობთ რადიკულიტის, იშიაზის, სხვა ნერვის ანთების მკურნალობას მალამო „რადიშით“. რეცეპტი – მცენარეულ-ფარმაკოლოგიური შემადგენლობის, პროვიზორ კუკური ჭანტურიასი (პატენტი 585). დამზადებულია ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. გაყიდვაშია PSP აფთიაქებში, უზნაძის ქ. №76-ში. ტელ: 96-06-93; 893 93-53-21; 96-60-45

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნაზეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

დაჩქარებული მეთოდით, ინდივიდუალურად შეგასწავლით საოფისე პროგრამებს (ვინდოუსი, ვორდი, ექსელი). ფასი 60 ლარი. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81; 893 96-00-42

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

უცხო ენებისა და კომპიუტერის სწრაფი კურსები „ელიტა-სკ“ იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში, აკადემიური წლის პროგრამით. მის: ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20; 32-72-95

## იყიდება

სასწრაფოდ, ძალიან იაფად, 10000 (ათი ათასი) კვმ ფართის მიწის ნაკვეთი, კრწანისის რ-ნში, ნადიკვრის ქ. №1 (ბოლოში). ტელ: 899 55-16-21. გოჩა (11-19 სთ)

მიწის ნაკვეთი, ნაძალადევის რ-ნში, ფართით 2500 (ორი ათას ხუთასი) კვმ. ფართის დაშლა შესაძლებელია სურვილისდა მიხედვით. 1 კვმ-ის საწყისი ფასი – 20 აშშ დოლარი. მის: ჭყონდიდელის ქ. №21. ტელ: 899 55-16-21. გოჩა (11-19 სთ)

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

სასწრაფოდ ა/მ „ლანჩია-დედრა“ (ძრავის მოცულობა 1,8), 1992 წლის, სრული ელპაკეტით. გარბენი – 182300 კმ. ფასი $2.400. ტელ: 899 91-94-84. კაკო

## სხვადასხვა

არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის უფლებათა ასოციაცია „კლარიტასი XXI“ აცხადებს ტენდერს. საერთაშორისო ორგანიზაცია WORLD VISION-ის პროექტის ფარგლებში 1-წუთიანი ვიდეორგოლის შესაქმნელად უნარშეზღუდულ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის და დეინსტიტუციონალიზაციის საკითხებზე. შერჩევის საწყის ეტაპზე „კლარიტასი XXI“ სთხოვს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, წარმოადგინონ კონკურსში მონაწილეობის წერილობითი მოთხოვნა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს: მონაცემები ორგანიზაციის შესახებ (მისამართი, ელ. ფოსტა, საკონტაქტო პირი, გამოცდილება, შესრულებული სამუშაო, პარტნიორები); ვიდეოკლიპის პირველადი სარეჟისორო სცენარი; სამუშაოს შესრულების ვადები; მომსახურების ღირებულების ხარჯთაღრიცხვა (განფასება). გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები ა.წ. 16 იანვრის 17.00-მდე, დაბეჭდილ კონვერტში, ორგანიზაცია „კლარიტასი XXI“-ის ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, თემქის დასახლება XI მკ/რ. მ. „გურამიშვილის“ სახელობის პედიატრიული კლინიკა, I სართული. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაუკავშირდეთ ორგანიზაციას: 94-34-48; 92-77(11). ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, დაუკავშირდეს მხოლოდ გამარჯვებულ კანდიდატს.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად:

1. ფილოლოგიის კათედრის გამგე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1 ადგილი;
2. ფილოსოფიის კათედრის გამგე – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1 ადგილი;
3. მსახიობის ოსტატობის კათედრის გამგე – პროფესორი. 1 ადგილი;
4. სასცენო მეტყველების კათედრის გამგე – პროფესორი. 1 ადგილი;
5. მუსიკალური დისციპლინების კათედრის გამგე – პროფესორი. 1 ადგილი;
6. სახვითი ხელოვნების კათედრის გამგე – პროფესორი. 1 ადგილი;
7. მხატვრული კითხვის ოსტატობის კათედრის გამგე – პროფესორი. 1 ადგილი;
8. საავტორო ტელევიზიის კათედრის გამგე – პროფესორი. 1 ადგილი.

კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან. კანდიდატებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სამხატვრო საბჭოში, მისამართზე: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, №19





**შ.პ.ს „ელვასერვისი“ ქ. თბილისის მაცხოვრებლებს და ორგანიზაციებს გთავაზობთ საახალწლო საჩუქარს**



მკითხველი, რომელიც 31 დეკემბრამდე გამოიწერს ჩვენ მიერ შემოთავაზებული გამოცემებიდან ნებისმიერ გაზეთს ან ჟურნალს მინიმუმ 6 თვით, საკუთარი სურვილისამებრ საჩუქრად მიიღებს ვაჟა გავაშელის კრიმინალურ მოთხრობათა წიგნს — „ვერსია“ ან ქართული და უცხოური ზღაპრების აუდიოკასეტას.

ნებისმიერი ორი გამოცემის მინიმუმ 6 თვით გამოწერის შემთხვევაში, თქვენ დასაჩუქრდებით როგორც წიგნით, ასევე კასეტით, ხოლო სამ და მეტ ჟურნალზე ან გაზეთზე ხელმოწერის გაფორმებისას კი აღნიშნულ წიგნსა და კასეტასთან ერთად. თქვენ მიიღებთ 2004 წლის კედლის მოსახევ კალენდარს, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ შეარჩიოთ „კვირის პალიტრის“ მიერ გამოცემულ 4 სახის („კვირის პალიტრის“, ქალთა, სამედიცინო და ბავშვთა) კალენდართაგან.

**გამოცემები, რომლებიც მონაწილეობენ „ელვასერვისის“ აქციაში:**

| | | |
|---|---|---|
| 1. „კვირის პალიტრა“ – 13.0 | 4. „ოჯახის მკურნალი“ – 9.1 | 7. „კარუსელი“ – 26.0 |
| 2. „სიტყვა და საქმე“ – 39.0 | 5. „ბომონდი“ – 26.0 | 8. „ეტალონი“ – 9.1 |
| 3. „გზა“ – 15.6 | 6. „რეიტინგი“ – 15.6 | 9. „მსოფლიო სპორტი“ – 36.4 |

(ჩამონათვალში მითითებულია 6-თვიანი გამოწერის ფასები ლარებში)

*დაგვირეკეთ ან შეავსეთ ქვითარი და გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით და ჩვენი წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ თქვენთვის სასურველ ნებისმიერ მისამართზე.*

*მოხარული ვიქნებით თქვენთან თანამშრომლობით.*
*ჩვენი ტელეფონებია: 332673; 331003.* www.elvaservice.com

**გამოწერის ბარათი**

მსურს გამოვიწერო ____________ ____________

მსურს მივიღო საჩუქრად ____________

მისამართი ____________

ტელეფონი ____________

### ლამარა სორდია-პატარაიას გახსენება



ორმოცი დღე გავიდა, რაც შეწყდა გულის ძგერა, ოთხი შვილის ალერსიანი დედა, გამორჩეული მასწავლებელი. [illegible]

### კარლო ილიას ძე ლობჟანიძეს!



მოულოდნელად შეწყდა დიდებული ქართველი ვაჟკაცის კარლო ლობჟანიძის სიცოცხლე. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის [illegible] ფაკულტეტი. [illegible]

### გივი თურქიაშვილის მონატრება



მამა, 40 წელიწადს და ცრემლით სავსე დღე გავიდა ... 26 ნოემბრიდან [illegible]

გვერდით რომ არ ვიყავით უკანასკნელ წუთს. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილი. ისეთი ჯანმრთელი, ძლიერი იყავი, გვეგონა ვერაფერი მოგერეოდა, არადა, როგორი უბრალო შემთხვევის მსხვერპლი გახდი, გული გვიკვდება.

ნუგეშად მხოლოდ იმას ვიტოვებთ, რომ ჩვენი მხურვალე ლოცვით დაგეხმარეთ, გზა გაიკვლიო მარადისობისაკენ. გვჯერა, შენი სული უფლის წინაშე ისეთივე ნათელი წარდგება, როგორი ნათელი კაციც ამქვეყნიურ ცხოვრებაში იყავი.

გჯეროდეს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ჩვენთვის კაცობის, ვაჟკაცობის და ადამიანობის სიმბოლო იქნები. მუდამ ვიამაყებთ შენი სახელით.

უსაშველოდ გვენატრები, ჩვენო ლამაზო მამიკო.

*შენი ნანა და მაიკო*

### გელა სიდამონიძის გახსენება



უკვე ერთი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. ერთი წელი ამ ავბედითი დღიდან, როცა 44 წლის ასაკში გაჩერდა შენი ნაიარევი გული, გული – რომელიც უსაზღვროდ დიდ სითბოსა და სიყვარულს იტევდა.

მიუხედავად ბევრი სულიერი და ფიზიკური ტკივილისა, ფიქრებსა და განცდებს სამოსელში ახვევდი და გულის სიღრმეში მიმალავდი, რომ არავის გაეგო და იმავწუთს დიდს თუ პატარას, ღიმილითა და იუმორით ხვდებოდი. ვერც კი წარმოიდგენდნენ, იმ ღიმილის მიღმა რამდენი ტკივილი, სევდა და ნაღველი იფარებოდა.

დიდსულოვანი, ვაჟკაცური და შეუპოვარი ადამიანი იყავი. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები.

მსუბუქი იყოს ის მიწა, რომელიც შენს ტკივილებისგან დაღლილ სხეულს აყრია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. შენ მუდამ იცოცხლებ ჩვენს გულებში.

*„ჩუმად, მდუმარედ იწვიან კელაპტრები,*
*და რაც დრო გადის, უფრო გვენატრები,*
*რაც არ უნდა ბევრი გავიდეს წლები,*
*იცოდე, რომ მარად, მარად გვეყვარები“.*

*მეგობრები*

### გულადი მიქავას მონატრება



6 იანვარს შენი მეორე დაბადების დღეა უშენოდ. შენ მაგივრად შენს სურათს ვეფერები, ვერაფერი მივსებს უშენობის სიცარიელეს, ძალიან მენატრები, ჩემო საყვარელო ძმაო. უცაბედმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. ნაადრევად ჩაქრა შენი მზე. უშენოდ ნაღვლიანად გავა წლები, ჩვენო უსაყვარლესო გულადი. წახვედი და დაგვიტოვე გაუთავებელი ტკივილი. ვერ გაუძლო ბედის უკუღმართობას შენმა გულმა. გვწამს, რომ უფლის გზაზე კელაპტრად წაგიძღვება შენი სიკეთე, სითბო და სიყვარული, რასაც უანგაროდ გასცემდი.

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა, შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ძმა ლევანი; ძმისშვილები: ნაზი, ნინო, გია*

### ლევან პაპუაშვილის ხსოვნას!



უშენოდ მოვიდა უმძიმესი პირველი ახალი წელი.

მაგრამ უშენოდ ჩემთვის დაცარიელდა სამყარო...

დაიშრიტა სიხარულის წყარო, რადგან შენ იყავ ჩემი სიხარულიც, ჩემი ხვალინდელი დღეც, ჩემი მიზანიც, ჩემი ხალისიც და იმედიც... ეს ყველაფერი შენ წაიღე და მე რისთვის ვიცოცხლო? განა სიცოცხლე ჰქვია უსიხარულო, უმომავლო, უმიზნო და უიმედო ყოფას? თვითონ მითხარი, ჩემო 22 წლის ვაჟკაცო, უსპეტაკესო, ამაყო შვილო – როგორ გავძლო?

ვერ გამიგია, ვერ მიმხვდარვარ, შენ მაგიერ მე რატომ არ ვწევარ ამ ცივ მიწაში და რატომ შენ არ ხარ ჩემი ჭირისუფალი და თუ შენი წასვლა ღვთის განგება იყო, რატომ ხუთი წუთის წინ არ წამიძღვარა უფალმა თავის სამყოფელში. თორემ ისე მძიმე და აუტანელია შვილმკვდარი დედის სიცოცხლე, რომ ამ ტანჯვასთან შედარებით, იმქვეყნიური ჯოჯოხეთი იქნებ სამოთხედაც კი მომეჩვენოს.

შენი ხანმოკლე სიცოცხლითა და უეცარი სიკვდილით სამყაროს კიდევ ერთხელ შეაგნებინე, რომ წუთისოფელში გაწეული უანგარო სიკეთე ყოველ ჩვენგანს გზას უნათებს მარადიული სასუფევლისკენ.

*დედიკო*

### ნოდარ გონაშვილის გახსენება



მესამე გაუსაძლისი თვე იწურება, ნოდარ, მას მერე, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. სამი თვე ნატვრად ქცეულ მოგონებებში გავატარეთ. ყოველი დღე შენს მონატრებებზე ფიქრით თენდება და ღამდება. დღეები გადის და უფრო მძიმე ხდება უშენობა ამ ქვეყანაზე. შენმა სიკვდილმა მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. უზომოდ გვენატრები. უძლურნი აღმოვჩნდით განგების წინაშე. 2 ოქტომბერს გაჩერდა დრო. ისე უეცრად გამოგვეცალე ხელიდან, რომ გააზრებაც ვერ მოვასწარით. ჩემო პატიოსანო, სიკეთით სავსე ბიჭო, დაგვრჩა მხოლოდ ტკივილი, მოგონებები, შენი სურათები, საიდანაც თბილი, ღიმილიანი მოსიყვარულე სახით იყურები. დაგვიტოვე სახელი, რომლითაც იამაყებენ შენი შვილები, რომლებიც ასე სასტიკად დაისაჯნენ. მათ ხომ უზომოდ უყვარხარ, იტანჯებიან, დედას ცრემლებს უმალავენ, უშენოდ უფრთხილდებით ერთმანეთს.

საშინელებაა იმის გააზრება, რომ პირველად უშენოდ უნდა შევხვდეთ ახალ წელს. კიდევ უფრო მწარეა იმაზე ფიქრი, რომ 8 იანვარი – შენი დაბადების დღე საფლავში, ცივ სამარეში უნდა მოგილოცოთ ყვავილებით და სანთლებით. ჩემო მუდამ 43 წლის ძვირფასო ბიჭო. ცრემლი, ლოცვა და წმინდა სანთელი არასოდეს მოაკლდება შენს საფლავს. ვლოცულობთ შენზე და უფალს ვთხოვთ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისკენ.

*შენი საყვარელი ოჯახი*

### ანზორ ჩიქობავას ხსოვნას!



მოვიდა 6 იანვარი, შენი დაბადების დღე, ჩვენო ანზორიკო. როგორი სიხარულის მოლოდინი გვქონდა ყოველთვის საახალწლოდ, ახლა კი როგორ გაფერმკრთალდა – აწი საკუთრივ ჩვენთვის ყოველი ახალი წელი ჩემი ოხვრის ცრემლებისა იქნება. რა სასტიკია განაჩენი, რაც გვერგო. არ ვიცით, რატომ.

ძალიან, ძალიან გიყვარდა ცხოვრება: მაგრამ შენმა ბედისწერამ ასე ინება – შენ 16 წლისამ დაგვტოვე და დაგვიტოვე ტკივილი მოურჩენელი, დაგვიტოვე მოგონებები და სურათები, საიდანაც თბილი ბავშვური ღიმილიანი სახით იცქირები. ჰოი, რა უბედურები ვართ! გულის მოსაოხებლად ვაკითხავთ შენს საფლავს, გინთებთ სანთლებს და ა.შ.

ჩვენ არ გვინდა შვება, რამეთუ ეს ტკივილი ჩვენი ბედისწერაა. სანამ სული გვიდგას, სანთელ-საკმეველი არ მოგაკლდება, ჩვენო საყვარელო ანზორიკო. იძინე მარადიული ძილით, შენ მარად ჩვენთან ხარ და იქნები მუდამ.

*შენი დედიკო, მამიკო და დაიკოები*

### ანზორიკოს მონატრება

ჩვენო თვალხატულა ზაზო, შეუძლებელია, რომ შენ აღარა ხარ. გვიჭირს უშენობა და შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ ვაი, რომ ეს სიმართლეა. 6 იანვარს 17 წლის გახდებოდი. ეს პირველი დაბადების დღეა უშენოდ.

რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნები, ზაზო. მოვალთ შენს საფლავთან, მოგილოცავთ დაბადების დღეს, მოგიტანთ ჩვენს საჩუქარს – ცრემლიან ყვავილებს. მოგეფერებით და დაგინთებთ წმინდა სანთლებს.

შენ სამოთხეში ხარ, სპეტაკი სულის გამო. ღვთისმშობელმა მარიამობას წაგიყვანა თავისთან და უზენაესმა ანგელოზად დაგტოვა ზეცაში.

ნათელი ეფინოს შენს ბავშვურ, კეთილ და უმანკო სულს, ჩვენი ანზორიკო.

*ლიკა, ლევანი*

### ნუგზარ კასაბურს!

*(დედის მონატრება)*



სევდით და ტკივილით, საოცარი მონატრების განცდით 10 იანვარს სრულდება ერთი წელი. გადის დრო და უფრო ძლიერად აღვიძებს მონატრებას. მიჭირს წარმოდგენა, რომ შენს ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძნელია უშენობასთან შეგუება, ჩემო საყვარელო შვილო ნუგზარ. ცხოვრება უშენოდ გრძელდება... ჩვენთვის ნუგეშად მხოლოდ მოგონებაღა რჩება. ისევ ისე გვიყვარხარ და გვენატრები.

შენს სახელს ჩვენგან დავიწყება არ უწერია, ჩვენს ხსოვნაში მარად ახალგაზრდა, მოსიყვარულე შვილად რჩები.

ძალიან, ძალიან მენატრები და მოუთმენლად მოველი იმ დღეს, როცა ჩემი სულიც, შენს სულთან მოვა და ერთად ვიქნებით მარადისობაში.

*შენით უბედური დედა*

### ალე (ალიკა) ვალიშვილის მონატრება



მამა, ორი წელი სრულდება, რაც ჩვენს თვალებს დააკლდი. მხოლოდ მოგონებები და სიზმრები დაგვიტოვე. გვიჭირს უშენობა და ძალიან გვენატრები. 5 იანვარს შენი დაბადების დღეა. რას წარმოვიდგენდი, თუ 44 წელი მიწაში შეგისრულდებოდა. მამა, ძალიან მოგვენატრე, ისევ გვინდა შენი ნაღვლიანი თვალების დანახვა, გვენატრება შენი სიცილი, მაგრამ ასეთი ყოფილა ბედისწერა, რასაც ვერსად გავექცეოდით. მარტო დატოვე დედა, რომელიც უშენობას ძალიან განიცდის და შენი ნუგეში აკლია.

ღმერთს ვთხოვთ, სამოთხეში დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი. ჩვენი დანთებული წმინდა სანთელი გინათებდეს და გიმშვიდებდეს სულს.

*ცოლ-შვილი*

### ალიკო ბოლქვაძის გახსენება



მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო ყველასათვის შენი უცაბედი სიკვდილი, რომელმაც სამუდამო ტკივილი და ცრემლი მოუტანა შენს ოჯახს და საახლობლოს. ჩვენგან წახვედი ჩვენი გვარის ძლიერო ვაჟკაცო და დაგვიტოვე მოგონებები, რომელიც ყოველთვის გაგვახსენებს შენს თავს.

თითქოს ჩქარობდი, ცხოვრებას ეშურებოდი, რათა მოგესწრო შენი ხანმოკლე სიცოცხლის გზაზე უფრო მეტი სიკეთე დაგეთესა. არ არსებობდა შენთვის დაბრკოლება, ჩანაფიქრი ყოველთვის ბოლომდე მიგყავდა და ასე მიზანდასახულად გალიე შენი წუთისოფელი.

10 წელი გვაშორებს შენგან. 28 დეკემბერს 44 წელი შეგისრულდებოდა. კვლავ გაგიხსენებთ, ჩვენო ალიკო, გაგიხსენებენ შენი მეუღლე და შვილები – სოფო და თამუნა.

არასოდეს ამოიშლები ჩვენი გულებიდან. დასანანია, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ.

*არჩილ ბოლქვაძის ოჯახი*



2003 წლის 2 დეკემბერს სოფელ უბისასთან ავტოავარიაში ტრაგიკულად დაიღუპნენ შვილი ზურაბ (ზუკა) მაჭავარიანი, დედა – დარეჯან არჯევანიძე, მამა – გრიგოლ (გია) მაჭავარიანი და ბებია – ნუნუ ავალიშვილი.

10 იანვარს ორმოცი დღე გასრულდება.

გია მაჭავარიანის ეპიტაფია

*მზის სხივებით ცოლი პერანგს მიქარგავდა,*
*გამულისთვის საქარიგე ვაჟკაცს ვზრდიდი,*
*რა მებადა?! სიყვარული დიდზე, დიდი...*
*ოცნებებში გადებული ზღვაზე ხიდი.*

*იმქვეყნიურ საუფლოში თქვენი სულების სიმშვიდისათვის მლოცველი ზურაბ მაჭავარიანი*

### მაია გეგუჩაძის და ჯილდა ქოქოშვილის მონატრება



მაიკო, შვილო, არ ექნება დასასრული იმ დიდ გლოვას, რაც თქვენმა გარდაცვალებამ მოგვაყენა. რაც დრო გადის, ტკივილი და განცდა უფრო იზრდება. მოვიდა თქვენი დაბადების დღეებიც: 13 დეკემბერს (ჯილდა), 11 იანვარს (მაია). 40 სანთელი დაიწვება იმ ტორტზე, რომელსაც თქვენ ვერ ჩააქრობთ. წამებაა ის სიცოცხლე, რასაც უთქვენობა ჰქვია. რა ბედნიერები არიან ის მშობლები, ვისაც შვილის მაგიერ შვილიშვილები დარჩათ. თქვენი გენი არ უნდა გადაშენებულიყო. მამაშენის უკანასკნელი სიტყვებიც ეს იყო – „რა იქნებოდა ამ ეზოში გარბენილი შვილიშვილები მენახა“. შენ კი ჩემო მაიკო, როგორი განუმეორებელიც იყავი ყველაფერში, ასეთივე იქნებოდი მეუღლეც, რძალიც, მამიდაც, ბიცოლაც, დედაც, მაგრამ არ გველირსა ეს დიდი ბედნიერება.

ვეცდები, აღვნიშნო მამაშენის წლისთავი 14 ოქტომბერი და დაველოდო თქვენთან შეხვედრის დროს.

*დედა*

### გია გელაშვილის გახსენება



გია, ჩემო საყვარელო და მოუშუშებელო, უშენობა უსაშველო ტკივილია. ერთი მტანჯველი და უბედური წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან. 1 იანვარს, შინ მომავალს მანქანა დაგაჯახეს და მიგატოვეს. მკვლელი დღემდე დაუსჯელია. ნუთუ არ ვიყავი იმ ბედნიერების ღირსი, რასაც შენი სიცოცხლე და ულევი სითბო ერქვა. გვასწავლე, შვილო, როგორ ვიცოცხლოთ უშენოდ. ისევ მოვიდა ახალი წელი, მძიმე, უფერული, უშენო ახალი წელი. გილოცავთ, შვილო, გულმოკლული მშობლები.

ჩვენო თბილო, ტკბილო, ლამაზო, გაუბედავო, მშვენიერო ვაჟკაცო, სანატრელო, საფიცარო, გვენატრები, შვილო, უსაშველოდ გვენატრები, გეფერებით. მადლობა იმ სახელისთვის, რაც დაგვიტოვე 20 წლის ასაკში.

მუხლმოდრეკილნი ვევედრებით უფალს, ნათელი მოჰფინოს შენს ლამაზ, კეთილ სულს.

*შენი ოჯახი*

### რომა ბუჯიაშვილს!



ერთი წელი გადის, რომა 9 იანვარს, რაც შენ ჩვენგან წახვედი. მთელი ეს დრო, წუთი და წამი არ გვიცხოვრია შენზე ფიქრის გარეშე. იმდენი რამ გვინდოდა გვეთქვა შენთვის, მოგფერებოდით, გვეთქვა როგორ გვიყვარხარ და გვენატრები. მაგრამ ვეღარაფერს ვახერხებთ.

შენ თითქოს იმისთვის იყავი ამ ქვეყანაზე, რომ შენი იმედიანი სიტყვით და კეთილი გულით ყველასათვის სიცოცხლე გაგემარტივებინა და გაგელამაზებინა.

ძნელია უშენოდ ყოფნა, უდიდეს ტკივილად დარჩა შენი ლამაზი ღიმილი და თვალებში ჩამდგარი სევდა.

ნათელში იყავ, შენი სპეტაკი სულით.

*შენი შვილები, შვილიშვილები, დები, ძმები, დისშვილები და ძმისშვილები*



გარდაიცვალა ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, **ვალერიან სანგულია (ვალიკო მეგრელი)**. სამშობლოს ნოსტალგიით გამოწვეულ სევდა-ნაღველს დიდხანს ატარებდა მისი სიკეთით და სიყვარულით სავსე გული. ბატონი ვალიკო 1947 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი თავიდან ნიუ-იორკში თანამშრომლობდა გაზეთ „ქართულ აზრში“. შემდეგ იყო რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის თანამშრომელი, რომლის მეშვეობით ეთერში ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდა თავის სამშობლოსთან, თანამემამულეებთან. ის იყო წყნარი, მორიდებული, უაღრესად კეთილშობილი ადამიანი. მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო ყველა ქართველისათვის. არაერთი ქართველი ახალგაზრდისთვის გაუწოვდია დახმარების ხელი ცოდნის მიღებაში.

მისი ანდერძის – რომ მისი ნეშტი მშობლიური აფხაზეთის მიწისთვის მიგვებარებინა – ასრულება, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს იყო მისი ყოველდღიური ლოცვის საგანი, რომ ეს დღეც მალე დადგება. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების გულებში.

მსუბუქი იყოს, ბატონო ვალიკო, თქვენთვის უცხოეთის მიწა.

*საქართველოში მცხოვრები ახლობლები*

შვილი ტარიელ ახვლედიანი; რძალი ფატი ასათიანი. შვილიშვილები: ნატო, ნათია, დათო ახვლედიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სილოვან ასლანის ძე ახვლედიანი**

*პანაშვიდი:* 4, 5 იანვარს, 16 საათზე;
*მისამართი:* ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ. №19
*გამოსვენება:* 6 იანვარს 14 საათზე, მეტალურგთა კულტურის სახლიდან



მეუღლე თამარ გასიტაშვილი, შვილი ქეთევან მელქაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რობერტ ილიას ძე მელქაძე**

*პანაშვიდი:* 6, 7 იანვარს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* 8 იანვარს, 14 საათზე;
*მისამართი:* ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, №10.



გულჩორა, ლია, ზაირა, ლეილა, ნონა ნოდიები, ლალა, ოთარ სოლომონიები, შოთა ჯოჯუა ოჯახებით იუწყებიან სოხუმიდან დევნილი

**მიტუშა ბოჯგუას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### ჟურნალისტ ნაზი შამანაურის გახსენება

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ეროვნულ მოძრაობას ბევრმა რჩეულმა ჩაუყარა ბალავარი. მათ შორის იყო ჟურნალისტი ნაზი შამანაური. საბჭოთა მთავრობამ მას სამშობლოს სიყვარული არ აპატია და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაასრულებინა სიცოცხლე.

ნაზი შამანაური დაიბადა 1940 წელს დუშეთში. 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჟურნალისტიკის სპეციალობით. თანამშრომლობდა გაზეთებში „სამშობლო“, „კომუნისტი“, „სახალხო განათლება“...

დუშეთში დაბრუნების შემდეგ მის უპირველეს მოვალეობად იქცა რაიონში არსებულ ნაკლოვანებათა მხილება, რაც ასე თვალსაჩინო იყო იმ დროისათვის.

„მე ყოველთვის მაოცებდა იესოს სახე, როგორც ჭეშმარიტი ადამიანის მაღალი რეალობა. რაოდენ დიდსულოვანი უნდა იყო, რომ ღიმილით შეჰყურებდე შენს თანამოძმეთ, როგორი სასოებით ხვრეპენ შენს სისხლს“. – წერდა მთავრობისგან თავადაც სასიკვდილოდ განწირული ნაზი შამანაური თავის დღიურში. ეს განცდა, შეიძლება ითქვას, მთავარ ხაზად გასდევდა ამაყი არაგველი ქალის მთელ ცხოვრებას. ნაზი ცხოვრების წესით მორწმუნე ქრისტიანი გახლდათ. ხშირად დადიოდა ეკლესიაში, დაჩაგრულს ექომაგებოდა და გაჭირვებულს თანაუგრძნობდა.

„ნაზის ებრალებოდა მოხუცები, გაჭირვებულები და უმწეონი. შეეძლო, ტანისამოსიც კი დაეთმო მათთვის... ჭეშმარიტების საძიებლად „რკინის ჩექმებს“ ჩაიცვამდა, გულუბრყვილოდ სწამდა, რომ თავისი სიმართლით ყველგან გაიმარჯვებდა“... – გაიხსენებს მოგვიანებით მწერალი მაკა ჯოხაძე.

## „არასოდეს მოგიტანია ყვავილები ჩემთვის...“

ნაზი შამანაურის პუბლიკაციები ხშირად იბეჭდებოდა რესპუბლიკურ პრესაში. ეს „დამტკბარული საკითხებისა“ და გაცვეთილ სიყალბეთა გაშუქება როდი იყო, პირიქით, მისი ინტერესების სფერო თავისუფალი და საშური თემებით (კულტურა, ემიგრაცია, ეკონომიკა) შემოიფარგლებოდა. ამავდროულად, თარგმნიდა ფრანგულიდან ქართულად, ქმნიდა ჩანახატებს, რომლებიც პროფესიული ხედვითა და მიგნებებით ხასიათდება. აქვეყნებდა შინაარსიან ინტერვიუებს (კონსტანტინე გამსახურდიასთან, რევაზ ლაღიძესთან, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორესთან, მერაბ ბერძენიშვილთან და სხვა). მაგრამ ცხოვრება სასტიკია და მხოლოდ კულტურის თემით როდი დააკავებს ჟურნალისტს... მალე გამბედავი ჟურნალისტისთვის ცხადი ხდება, რომ დუშეთის რაიონი უფსკრულისკენ მიექანება, უამრავი ხარვეზის გამო, რომელსაც მისი ხელმძღვანელობა უშვებდა, მთა იცლება... წლების მანძილზე სათქმელი ზღვად იქცა. ნაზი შამანაურმა შეადგინა 122-გვერდიანი ფოტომამხილებელი მასალა, სადაც თავმოყრილი იყო დუშეთის რაიონში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტები. ჟურნალისტმა დაიწყო რედაქციიდან რედაქციაში სიარული ამ ვრცელი პრობლემური ნარკვევის გამოსაქვეყნებლად, მაგრამ მისთვის ყველა კარი დახურული აღმოჩნდა. მეტიც, მას უარს ეუბნებოდნენ ყოველგვარ თანამშრომლობაზე. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, ჭირი თავს აღარ დამალავდა. ნაზი შამანაურს სჭირდებოდა აუდიტორია, სადაც მიეცემოდა საშუალება, ფარდა აეხადა მიჩუმათებული რეალობისათვის...



1982 წლის 19 აგვისტოს ჩარგალში ვაჟაობის დღესასწაულზე შეკრებილ საზოგადოებას ნაზი შამანაურმა სიტყვით მიმართა და შეეცადა, ემხილებინა რაიონის ხელმძღვანელობა... მაგრამ იგი ადგილზევე დააკავეს და იმავე დღეს მოათავსეს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში...

ნაზის დღითიდღე უცრუვდებოდა გული უსამართლო ყოფაზე, და თუკი 1970 წელს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ რაკილა ცოცხლობ, შრომობ, ე. ი. „გწამს სიცოცხლისა, გჯერა შენი ცხოვრებისა, შენი გულისცემის ძალისა“... თორმეტიოდე წლის შემდეგ ფსიქიატრიული საავადმყოფოს პირქუშ კედლებში სასიკვდილოდ განწირული, დღიურში ჩაწერს: „რწმენა არა მაქვს არავითარი... რწმენის გარეშე სიცოცხლე კი უკვე სიკვდილია...“

დაწვრილებით აღარ მოგითხრობთ იმ წლებზე, რომელიც ნაზი შამანაურმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარა. ამის შესახებ საკმაოდ ვრცლად დაიწერა შოთა ჭინჭარაულის წიგნში „ჩემი სიცოცხლე ჩემი მტერია“.

დღესაც აქტუალურია ადრე წასული ახალგაზრდა ჟურნალისტის სიტყვები: „საჭიროა ერთიანი ძალა საქართველოს და ქართველი ხალხის გადასარჩენად. ამას მოითხოვს საქართველოს მღვიძარე სული“.

ნაზის ერთ ჩანახატში ვკითხულობთ:

„...არასოდეს მოგიტანია ყვავილები ჩემთვის... თუმცა... ყველას შურდა ჩემს ლარნაკში ჩაწყობილი მეწამული ვარდების სურნელება. მე ვყიდულობდი: არ მინდოდა ვინმეს ეფიქრა, შენ რომ არ მყავდი...“

...და, აგერ, ოცი წელია, საარაგვოზე ერთი საფლავი საქართველოს აყვავილებას ელოდება, მანამდე კი ჩვენც სიმბოლურად თუ ვამკობთ ვარდებით, რადგან... არ გვინდა ვინმემ იფიქროს, რომ არ ვყავდით...

*მიხეილ ჭონქაძე*

## ანგელოზი მისტიკა კი არა, უჩინარი რეალობაა!



1985 წელს საბჭოთა კოსმოსურ სადგურ „სალუტ-6“-ზე გამაოგნებელი რამ მოხდა. ფრენის 155-ე დღეს ეკიპაჟის ექვსი წევრი დაგეგმილ ცდებს ატარებდა... მოულოდნელად სადგურს უცნობი წარმომავლობის დიდი, ნარინჯისფერი ღრუბელი გადაეღობა. სანამ კოსმონავტები მსჯელობდნენ, რა უნდა ყოფილიყო ეს, „სალუტ-6“ ღრუბელში შევიდა. უცებ კოსმონავტებმა იგრძნეს, რომ იდუმალმა სუბსტანციამ ორბიტულ კომპლექსში შეაღწია. ნარინჯისფერ ნათებაში გაეხვია თითოეული კოსმონავტი, ისინი წამიერად დაბრმავდნენ. საბედნიეროდ, მხედველობა მალევე დაუბრუნდათ. ილუმინატორებს მისცვივდნენ და გაშეშდნენ — ხომალდის გარეთ, გაზის ნარინჯისფერ ღრუბელში, ნათლად მოჩანდა შვიდი გიგანტური ფიგურა — ციური ანგელოზები! ისინი ადამიანებს ჰგავდნენ, მაგრამ მაინც განსხვავდებოდნენ მათგან სახის გამომეტყველებით. ანგელოზებმაც შეხედეს ადამიანებს. „ისინი იღიმებოდნენ, — ჰყვებოდნენ შემდეგ კოსმონავტები, — ეს იყო აღტაცებისა და უკიდეგანო სიხარულის გამომხატველი ღიმილი. ჩვენ ასე არ ვიღიმებით“. ათი წუთის შემდეგ ანგელოზები გაქრნენ. გაქრა ნარინჯისფერი ღრუბელიც. კოსმოსური ფრენის ხელმძღვანელობამ კოსმონავტების ანგარიშს დაადო გრიფი — „საიდუმლოდ“, კოსმონავტები კი გააფრთხილა, ენისათვის კბილი დაეჭირათ.

ახლა კი, როცა თითქმის ყველაფერზე შეიძლება ხმამაღლა ლაპარაკი, გაირკვა, რომ ამერიკელი კოსმონავტებიც მრავალჯერ შეხვედრიან ღია კოსმოსში ანგელოზებს. ორბიტული ტელესკოპის „ჰაბლის“ მეშვეობით მათი ფოტოგრაფირებაც კი შეძლეს. ამას წინათ კი ტელესკოპმა დედამიწის ორბიტაზე დააფიქსირა შვიდი კაშკაშა ობიექტი. მიღებულ ფოტოთაგან ზოგიერთზე ბუნდოვნად ჩანდა მანათობელი ფრთოსანი, 20-მეტრიანი არსებები, რომლებიც ბიბლიურ ანგელოზებს მოგაგონებდათ.

***ნლო №21***

## დამარხვით მკურნალობა

ამერიკელმა მკვლევარმა ფრედ რაიზერმა რამდენიმე თვე გაატარა კენიაში მასაების ტომის სოფელში. ადგილობრივი მოსახლეობა ტყეებში ცხოვრობს და თანამედროვე ცივილიზაციასთან შეხება არა აქვს. რაიზერის კვლევის ერთ-ერთი მიმართულება ხალხური მედიცინა გახლდათ. ეს იყო ჯადოსნობასა და ჰიპნოზურ ზემოქმედებასთან შეზავებული მცენარეულით მკურნალობა.

მკვლევარის ყურადღება მიიპყრო მაღალმა მამაკაცმა. ეს კაცი იყო მპაიო — სოფლის მთავარი ჯადოსანი და მკურნალი. რაიზერი მოწმე გახდა უნივერსალური თერაპიისა, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულს ჩაუტარა მპაიომ.

ამოთხარეს მეტრნახევრიანი ორმო, ჩასვეს შიგ ხელფეხშეკრული ავადმყოფი და გაკოჭილი თხა. საფლავი სწრაფად ამოავსეს მიწით, დატკეპნეს და ზედ კოცონი გააჩაღეს. მპაიო კოცონს გარს უვლიდა, იქნევდა ხელჯოხს და ხმამაღლა მღეროდა. როცა კოცონი მიინავლა, საფლავი გათხარა. ავადმყოფი სავსებით უვნებელი და ჯანმრთელი ამოიყვანეს, თხა — კი,



გაგუდულიყო.

რაიზერს მპაიომ აუხსნა, რომ ცოცხლად დამარხული საფლავში განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, რაც მის სხეულში შეყვანილი მაგიური სასმლით და გამოსაჯანმრთელებელი რიტუალური ცეკვით მიიღწევა.

— სანამ ავადმყოფის სხეული საფლავშია, მისი სული ცაში დაფრინავს, რიტუალის დროს დაავადება თხაზე გადადის. თხა იღუპება, ადამიანი კი განიკურნება, — ამბობს ჯადოსანი.

***ტაინაია ვლასტ***

**ჩვენ გვწერენ**

## — რაც თბილისში დავკარგე, ესპანეთში ვიპოვე...

ამქვეყნად ბევრი გამორჩეული ადამიანია, ზოგს იშვიათი ნიჭი აქვს, ზოგს უჩვეულო უნარი. მე კი, გაგეცინებათ, და, ყოველთვის იმით გამოვირჩეოდი, რომ ყველაფერს ვკარგავდი. დაბნეულის სახელით მიცნობს ყველა. არც გაემტყუნებათ. იმ წუთიდან, როცა საკუთარი ნივთები გამიჩნდა, სხვა არაფერი მიკეთებია, მხოლოდ ვკარგავდი... ორ-სამ თვეზე მეტხანს აღარც ბინის გასაღები მიჩერდებოდა, და, რაც მთავარია, ვერასოდეს ვიგებდი, სად შეიძლებოდა ამომვარდნოდა ჯიბიდან ესა თუ ის ნივთი, წამძრობოდა თითიდან ბეჭედი, რომელიც საგანგებოდ ზედმეტად მჭიდრო გავაკეთებინე ოქრომჭედელს. მაინც მჯეროდა, რომ ამ ჩემს მიკარგ-მოკარგვაში ზებუნებრივი არაფერი იყო, რომ არა ერთი სასწაული.

ოთხი წლის წინ ესპანეთში მომიხდა სამუშაოდ წასვლა. ერთ-ერთ პროვინციაში მოვხვდი და სოფლის მეურნეობაში დავიწყე მუშაობა. იცოცხლე, მომიწია ოფლის ღვრა, მაგრამ არაფერს დავეძებდი, ოღონდ კი ცოტა თანხის თავმოყრა მომეხერხებინა და ვალები გამესტუმრებინა. ერთხელ, ორ კაცთან ერთად მინდორში საქონელს ვმწყემსავდი. უცებ რაღაცამ გაიბრწყინა. მივედი და ფეხით ბალახი მივწი-მოვწიე. ოქროს ბეჭედი იყო. ავიღე და თითქოს თავში კეტი დამკრესო. ჩემი ნიშნობის ბეჭედი ვიცანი, რომელიც 5-6 წლის წინ დავკარგე სიღნაღში. შიდა მხარეს ჩემი ინიციალები და ქორწინების თარიღები იყო ამოტვიფრული. რა უნდოდა შუა ევროპაში ქართული ასოებით დამშვენებულ ოქროს რგოლს?! იმ მწყემსთაგან ერთი აზერბაიჯანელი იყო, მეორე — ქართველი. იმ ქართველს დავუძახე და აკანკალებული ხმით ვუთხარი, ნახე, რა საოცრებაა-მეთქი. გაეცინა: — ბიჭო, ნახევარი საქართველო ევროპაშია გამოქცეული საშოვარზე. ალბათ მათ შორის შენი ბეჭდის ქურდიც იყო, აქ მოხვდა და შემთხვევით დაკარგაო.



რა უნდა მეთქვა, მაინც ვერაფერს დავაჯერებდი. არ იფიქროთ, რომ ამით დამთავრდა ყველაფერი.

სამი დღის შემდეგ ჩემი საათი ვიპოვე — მამაჩემის ნაჩუქარი „სვემა“. ამ საათით ერთ ჩხუბში მოვხვდი თელავში და მინაზე კარგა შესამჩნევი ნაკაწრები დარჩა. სწორედ ის საათი იყო, იმავე ნაკაწრებით. ხმას როგორ ამოვიღებდი, ხომ შეიძლება გიჟად გამოვეცხადებინე ამხანაგებს და სამუშაო დამეკარგა. არადა იმ მინდორს შევეჩვიე. ხშირად მაშინაც გავივლიდი ხოლმე, როცა საქმე არაფერი მქონდა. ერთი-ორი თვის მანძილზე იქ ვიპოვე გასაღებების ასხმა, უბის წიგნაკი, კრიალოსანი, ძეწკვი მედალიონით და ბევრი, შედარებით უმნიშვნელო რამ: ბავშვობის დროინდელი სათამაშოთი დაწყებული — გაჭუჭყიანებული, ძლივს საცნობი კაშნეთი დამთავრებული.

როცა საქართველოში დავბრუნდი, თავი მაინც შევამოწმე, დედაჩემს ვუჩვენე ყველაფერი — ესენი ხომ გახსოვს-მეთქი. როგორ არ მახსოვს, ჩვენი ძველი სახლის გასაღებია, ეს კიდევ შენი ჯვარნაწერი ბეჭედია. სად იპოვე, შვილო, ვინმემ მოგპარა და ახლა დააბრუნებინეო? — დაინტერესდა დედაჩემი.

ნეტავ ეგრე ყოფილიყო, ან საერთოდ არ მეპოვა. ძილი და მოსვენება დავკარგე. ახლობლებს ჰგონიათ, უცხოეთიდან გადაღლილი დავბრუნდი და ამ ნიადაგზე ნერვიული აშლილობა დამეწყო. არ დაიჯეროთ. უბრალოდ, გაოგნებული ვარ. მე, რომელიც თბილისშიც კი იშვიათად ჩავდიოდი, ხოლო მოსკოვი და პეტერბურგი თვალითაც არ მქონდა ნანახი, თელავსა და კახეთის სხვა ქალაქ-სოფლებში დაკარგული ნივთები ესპანეთში ვიპოვე. მოდი და ნუ გაგიჟდები. ის კი მსმენია, ოქროს თაგვი იპარავს და ერთ დღეს შეიძლება შენი დაკარგული ნივთები სადმე სოროში იპოვოო, მაგრამ ვინ მოაქუჩა ჩემი საკუთრება ესპანეთში? მე ვერაფრით ავხსენი, თქვენ?

***მამუკა ფ., სიღნაღი***

### „საზალლო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ბ); 2) — დ); 3) — გ).



## ვის შეხვდა მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული საჩუქარი?



სუპერმოდელმა ჟასმინ ლე ბონმა ჩვენებაზე წარმოადგინა მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი სამკაული — თეთრი ალმასების ბუდეში ჩასმული 14-კარატიანი ცისფერი ბრილიანტის გულქანდა. სამკაული 10 მილიონ დოლარად მალევე გაიყიდა „ჰეროდსის“ უნივერმაღში.

ცისფერი ბრილიანტი დიდი იშვიათობაა. ის მოიპოვება მხოლოდ სამხრეთ აფრიკის ერთ მაღაროში.

სამკაულის მყიდველის ვინაობა გასაიდუმლოებულია. ამ უძვირფასესი ქვის შესაძლო მფლობელთა შორის ასახელებენ ლონდონის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს, რომან აბრამოვიჩს, რომელიც თავს უარს არაფერზე ეუბნება.

მაგნატებს სპეციალისტები ურჩევენ, ცოლებისთვის, საყვარლებისთვის შეიძინონ 1,5-მილიონგირვანქიანი თავსაბურავი, რომელიც დამშვენებულია დიდი ბრილიანტით და რამდენიმე ლალით. იგი არაფრით ჩამოუვარდება ინგლისის დედოფალ ელისაბედის სამეფო გვირგვინის სამშვენისს.

***ჯენტე***

## სტრიპტიზ-დიეტა



„ქალი მაშინ კარგავს წონას, როცა... იხდის“, — გვარწმუნებს „მალიბუს მაშველთა“ ყოფილი გმირი კარმენ ელექტრა. თავისი შეხედულების დასამტკიცებლად, იგი ქალებს საკუთარ გამოცდილებას სთავაზობს.

ახლახან მან გამოუშვა ვარჯიშების კომპლექსი „კარმენ ელექტრა: სტრიპტიზ-აერობიკა“. თავდაპირველად, ლამაზმანი ჩვეულებრივ ვარჯიშებს გვთავაზობს, შემდეგ კი გვიჩვენებს, როგორ უნდა გაიხადოს(!) და იცეკვოს ქალმა სტრიპტიზ-ძელის გარშემო.

კარმენის აზრით, ასეთი გაკვეთილები ორმაგად სასარგებლოა: გარდა კუნთების გამაგრებისა, ქალებს საკუთარი თავის რწმენა ემატებათ.

ვარჯიშების კომპლექსი ფართო აუდიტორიისთვისაა გამიზნული, უპირველესად იმ ქალებისთვის, რომლებსაც გარეგნობის გაუმჯობესება სურთ. თუმცა მამაკაცებიც სიამოვნებით უყურებენ ნახევრად შიშველ ვარჯიშების ავტორს.

***ოკნა***

## ყველაფერს თავისი დრო და... ადგილი აქვს

ყველაფერს თავისი დრო აქვს და... ადგილიც. ამ დაუწერელ „კანონს“ შესაძლოა სხვაგან ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ ამერიკა ამაზე თვალს ვერ დახუჭავს — მთავარია, წესრიგი ყველგან და ყველაფერში. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოგიყვანთ:

კეტრინ დონკერსს სამთვიანი შინაპატიმრობა მიესაჯა ჩვილის ძუძუთი გამოკვებისათვის... საჭესთან.

პოლიციამ მაშინ შენიშნა კეტრინი, როცა მისი ავტომობილი საათში 100 მილის სიჩქარით მიქროდა. მძღოლი ცალი ხელით ავტომობილს მართავდა, მეორეთი კი შვილს ძუძუს აწოვებდა. ყველაფერ ამასთან ერთად ტელეფონზეც ქაქანებდა და ქაღალდზე რაღაცის ჩაწერასაც ახერხებდა (ქაღალდი საჭეზე ჰქონდა მიმაგრებული).

როცა პოლიციამ გააჩერა, აღმოჩნდა, რომ მართვის უფლებაც არ ჰქონია. თავისი საქციელი „ნიჭიერმა“ მძღოლმა ასე ახსნა: ქმარმა ტელეფონით ბავშვის სასწრაფოდ გამოკვება მიბრძანა, მე კი ქმარს არასოდეს ვეურჩებიო.

***მირ ნოვოსტეი***

## ნაყოფიერების ღმერთი დაბრუნდა



ძველეგვიპტურ პანთეონში ყველაზე დიდ პატივს სცემდნენ ნაყოფიერების ღმერთს მინის. უშვილო ეგვიპტელები მინის ქანდაკებასთან მიდიოდნენ, ძღვენს სწირავდნენ და მუცელზე კოცნიდნენ. გადმოცემების თანახმად, იშვიათი იყო შემთხვევა, რომ ღმერთს ეგვიპტელთა თხოვნა არ შეესრულებინა. ხოლო როცა თხოვნას მინი ყურად არ იღებდა, ამას ღვთის რისხვად მიიჩნევდნენ.

ყველაზე ცნობილი და ძლიერი იყო ქალაქ აქჰმიმის მინის ქანდაკება, რომელიც ჩვ.წ.აღმდე 1300 წელს დაადგმევინა რამზეს II-მ. წყალდიდობამ შლამქვეშ მოაქცია ქალაქის უმეტესი ნაწილი, მათ შორის ღმერთ მინის ქანდაკებაც. ეგვიპტური გადმოცემით, ამის შემდეგ ქვეყანაში სხვადასხვა ადგილას აღმართულმა ნაყოფიერების ღმერთის ქანდაკებებმა სასწაულებრივი ძალა დაკარგეს, რასაც მოსახლეობის შემცირება მოჰყვა... გავიდა საუკუნეები და რამდენიმე კვირის წინ, ქალაქ აქჰმიმში, ფოსტის შენობის საძირკვლის გათხრისას, მიწის სქელი ფენის ქვეშ, მინის ქანდაკების თავი გამოჩნდა. მალე მთელი ბრწყინვალებით აღიმართა მინის ფიგურა. მისკენ უმალ დაიძრა ძღვენით ხელდამშვენებული უამრავი მლოცველი — ლეგენდების დიდად მოტრფიალე ეგვიპტელებს იმედი აქვთ, რომ ქანდაკებას სასწაულებრივი ძალა არ დაუკარგავს და ის მომავალში ბევრ უშვილოს გააბედნიერებს.

***ნიუ ზუიქ***

## ქაბაბი ომის ქარცეცხლში

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში პოპულარული ხორცის კერძი ბიურან-ქაბაბი ორ მეზობელ პროვინციას, სიირთსა და ბითლისს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. ორივე პროვინციის მცხოვრებლები დარწმუნებული არიან, რომ სწორედ მათ გამოიგონეს ეს კერძი და რეცეპტის მესაკუთრეებიც თვითონვე არიან.

სანამ მასმედიაში ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან(!) საკითხზე დებატები მიმდინარეობდა, სიირთელებმა მალულად აიღეს პატენტი კერძზე. ბითლისელებმა უმალ გააპროტესტეს. ამ „სახელმწიფოებრივ საქმეში დაუფასებელი ღვაწლი გასწია“ მმართველი პარტიის დეპუტატმა, რომელმაც თვალები ამოილამა სხვადასხვა ლიტერატურის კითხვით. მიზანი ერთი იყო — იმის დამტკიცება, რომ ბიურან-ქაბაბი ბითლისელების საკუთრებაა. დეპუტატს შრომა დაუფასდა — მან მე-17 საუკუნის ხელნაწერიც კი ამოქექა, რომელშიც მოთხრობილია, როგორ შესთავაზეს მურატ VI-ს სწორედ ბითლისში ეს კერძი. მზარეული ბითლისელი მწყემსი იყო.

სახალხო ინტერესების მხურვალე დამცველმა თავისი სამეცნიერო კვლევის დასკვნა თურქეთის პატენტების ინსტიტუტს წერილობით წარუდგინა, თან საპარლამენტო განხილვითაც დაემუქრა.

ერთი სიტყვით, „ქაბაბის ომი“ არ ცხრება. თურქი გურმანები კი გემრიელად შეექცევიან ბიურან-ქაბაბს და სრულიადაც არ აინტერესებთ, ვის ეკუთვნის მისი დამზადების პირველობა.

***ეხო პლანეტი***

## ცოლები სხვა ჭაობიდან არ მოჰყავთ



„თითოეული ბაყაყი საკუთარი ჭაობის აქცენტით (იქნებ დიალექტზე!) ყიყინებს“, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები.

ბიოლოგები ბაყაყებს საქორწინო პერიოდში აკვირდებოდნენ და დაადგინეს, რომ თურმე ბაყაყების ენის თავისებურებები მათი დაბადების ადგილზეა დამოკიდებული(!). ბაყაყების აქცენტი იმდენად განსხვავებულია, რომ ხშირად ერთმანეთისა არც ესმით. შედეგად, ბევრი საპატარძლო პარტნიორს ვერც პოულობს. ერთი სიტყვით, ამ ჭაობის ბაყაყს იმ ჭაობის ბაყაყისა არაფერი ესმის.

ახალ აღმოჩენას ამერიკელი ბიოლოგები ბაყაყების ზოგიერთი გადაშენების პირას მისული სახეობის გადასარჩენად გამოიყენებენ.

***ჰპიროდა***

## დარვინის მეგობარი ცოცხალია და ჯანმრთელი



ავსტრალიის უდიდეს ზოოპარკში, რომელიც სიდნეის ცენტრში მდებარეობს, ცოტა ხნის წინ აღნიშნეს უცნაური ბინადრის, კუ ჰარიეტის დაბადების დღე — მას 173 წელი შეუსრულდა. ზოოპარკის თანამშრომლებმა ნუგბარით — წვნიანი მცენარეების ტოტებით სავსე კალათი მიართვეს ჰარიეტს.

ექიმების დასკვნით, კუ სავსებით ჯანმრთელია და იმდენად ახალგაზრდა, რომ შეუძლია კიდევ ნახევარი საუკუნე იცოცხლოს.

ოდესღაც ჰარიეტი ჩარლზ დარვინს ეკუთვნოდა. ცნობილმა მეცნიერმა, ევოლუციის თეორიის ავტორმა, კუ გალაპაგოსის კუნძულზე მოგზაურობის დროს იპოვა XIX ს-ის 30-იან წლებში. ჰარიეტი დიდხანს ცხოვრობდა დარვინების სახლში და მსოფლიოში ხანგრძლივი მოგზაურობისას თან ახლდა პატრონს. კუმ ჩარლზ დარვინზე 107 წლით მეტი იცხოვრა და ძალიან კმაყოფილია თავისი ახალი პატრონითაც.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

## მაიმუნებს ადამიანური პირობები შეუქმნეს



ამიერიდან, იმ მაიმუნებს, ვისაც გაუმართლა და ტაილანდში დაიბადნენ, აღარ შეეშინდებათ ავადმყოფობისა და სიკვდილის. ლოპბურის ზოოპარკში, ბანგკოკიდან 100 კმ-ის მოშორებით, მათთვის გაიხსნა სპეციალიზებული საავადმყოფო, რომელიც მზად არის მიიღოს ნებისმიერი მაიმუნი, რომელიც თავს შეუძლოდ იგრძნობს.

ქვეყანაში მილიონობით მაიმუნია, რომლებიც თავისუფლად სეირნობენ ქალაქის ქუჩებში. კლინიკაში, რომლის მშენებლობაზე დაიხარჯა 45.000 დოლარი, განლაგებულია უსუფთავესი პალატები, ლაბორატორიები, საოპერაციოები და მიმღებები.

ტაილანდელები ირწმუნებიან, რომ მაიმუნებს მოაქვთ ბედნიერება და დიდი სიყვარულითა და ყურადღებით ეპყრობიან ამ ჩვენს უმცროს ძმებს...

***ოჯი***

## ევოლუცია

მალე მოქალაქეებს, რომლებიც ვერ იტანენ ხელოვნურ ნაძვის ხეს, პრობლემები შეექმნებათ ნამდვილი ნაძვის ხის მოპოვებაში. განსაკუთრებით ისინი გაწბილდებიან, ვისაც მაღალი ნაძვის ხეები უყვართ. ამგვარი პროგნოზი გააკეთეს ბრიტანელმა სწავლულებმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ახლო მომავალში მსოფლიოს ყველა კუთხეში ნაძვები დადაბლდება. დამნაშავეა არა გვალვა და გლობალური დათბობა, არამედ აზოტი, რომელიც ნიადაგში ხვდება ჩიტების სკორესა და ღორების ნეხვთან ერთად, აგრეთვე ყოველგვარი ტექნოგენური დაბინძურების შედეგად. თუ სასწრაფოდ არ იქნება მიღებული გადამწყვეტი ზომები, ნაძვის ხეები წლითიწლობით დადაბლდებიან.

***ოგონიოკი***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**დ.** რა ერქვა დავით ულუს შვილს, რომელიც მის შემდეგ ტახტზე ავიდა; **ა.** გემის ნაწილი, რომელზეც მეკობრეებს ახრჩობდნენ; **ი.** ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან; **ს.** მილის სახით მჭიდროდ დახვეული თამბაქოს ფოთლები; **ვ.** მემამულე, ფეოდალი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, რომელიც დამოკიდებული იყო სხვა უფრო მსხვილ ფეოდალზე; **ე.** განსწავლული ადამიანი; **ნ.** თორნიკეს როლის შემსრულებელი ფილმში „მონანიება“; **ე.** რა ჰქვია რეჟისორ რიაზანოვს; **თ.** ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ჩ.** მუსლიმანი ქალის გრძელი, მსუბუქი მოსასხამი, რომელიც სახესაც ფარავს; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** საგანი ან საგნის გამოსახულება გამოყენებული რაიმე იდეის სიმბოლოდ; **ნ.** ქართული ხალხური ანტიბიოტიკი; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ნ.** ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **რ.** უღელტეხილი ქართლისა და იმერეთის საზღვარზე; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა.** ცელქი, მოუსვენარი; **დ.** წელზე შემოწყობილი ხელები, ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დოჯი; **ა.** არარატი; **ი.** იური; **ს.** სესია; **ვ.** ვედრება; **ე.** ელადა; **ნ.** ნოელი; **ე.** ეგრისი; **თ.** თასმა; **პ.** პადრე; **ა.** ამანათი; **ლ.** ლიცეუმი; **ი.** იფი; **ტ.** ტანძია; **რ.** რევერსი; **ი.** იტალია; **ს.** სვანეთი; **ფ.** ფორდი; **ე.** ერუდიტი; **რ.** რიყე; **ე.** ემვი; **ბ.** ბრასი; **შ.** შურდული; **ი.** იოსები.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ჯარს და ერს დაცინვა არ უყვარს.**

# ნესტორი და მისი ჩრდილი

**ნესტორ ლაკობა — აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი მდივანი, სტალინის ახლო მეგობარი, მოკლული მისივე ბრძანებით 1936 წელს, გარდასული ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ფიგურა. მისი მცველი და მძღოლი — დავლეტ კანდალია იმ წლების ერთადერთი ცოცხალი მოწმეა, რომელიც თავადაც ლეგენდად იქცა. მის შესახებ წერდა შალამოვი თავის „კალიმურ მოთხრობებში“, როგორც ერთადერთ ლეგენდარულ ტუსაღ-აბრაგზე, რომელმაც მოახერხა ურანის საბადოებიდან გაქცევა. გთავაზობთ დიმიტრი მინჩენოკის ინტერვიუს დავლეტ კანდალიასთან.**

**— როგორ გაიცანით ნესტორ ლაკობა?**

— ფლოტში ვმუშაობდი, მოტორისტად. იქ შევხვდი ლაკობას. მაშინ მთელი საბჭოთა კავშირი მასზე ლაპარაკობდა, აფხაზეთის ავტონო-



ნესტორ ლაკობა მეუღლესთან ერთად

მიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასკომის პირველი მდივნის თანამდებობა ეკავა. ძლიერი ადამიანი იყო. დღეს მას ვლადიმერ არძინბას ვამსგავსებ. რა ნიშნით ამირჩია ნესტორმა, არ ვიცი. მაშინ სტალინის ან ლაკობას მძღოლი რომ გამხდარიყავი, მთავარი მოთხოვნა იყო — მანქანის სწრაფად ტარება და საქესთან იარაღის ხმარების უნარი. მე კი მიზანში სროლის ოსტატი გახლდით. აი, ასე დავიწყე 1933 წლის 25 აგვისტოს ლაკობას მძღოლად მუშაობა.

**— ეი. ყველა ნანახი გყავთ? ბერიაც, სტალინიც...**

— არა მხოლოდ ნანახი, ყველა მათგანს მოვმსახურებივარ როგორც მძღოლი, გარდა სტალინისა და დიმიტროვისა. ბერია, ხრუშჩოვი, კაგანოვიჩი — რამდენჯერ ჩამსხდომიან მანქანაში, როგორც ლაკობას სტუმრები.

**— რატომ გეღიმებათ?**

— გამახსენდა რაღაც. მე ხომ ლაკობასთვის ვიყავი ძმასავით, შვილივით, „პატარა ლაკობას“ მეძახდნენ. ჩვენ ერთნაირი ხმა გვქონდა, თითქმის ერთნაირი სიმაღლე. ისეთსავე ტანსაცმელს ვიცვამდი, როგორსაც ის. ნესტორს უყვარდა, მასავით რომ მეცვა. თუ სამოქალაქო სამოსი ეცვა, მეც ასევე მეცვა, თუ სამხედრო, მეც — მასავით. როცა მანქანით მარტო გავივლიდი, შემდეგ ნესტორს აუცილებლად ჰკითხავდნენ: შოფერი დაითხოვე?

...მთავრობის ნებისმიერ წევრთან დაუკაკუნებლად შევდიოდი. იყო შემთხვევები, როცა ნესტორ აპოლონოვიჩი ძალზე დაკავებული იყო. ერთხელ, მოსკოვში, სადაც ყოველთვის სასტუმრო „ნაციონალში“ ვჩერდებოდით, მის ნაცვლად ხალხი მივიღე. მოვისმინე მათი საჩივრები, მივიღე წერილები, ვცდილობდი მეთქვა რამე, გამამხნევებელი. ერთხელ დამინახა ლაკობამ და მიყვირა: „შენ რა, ჩემს ნაცვლად მუშაობ? ვინ არის ჩვენს შორის აფხაზეთის აღმასკომის მდივანი?“

**— ანუ შეიძლებოდა ხალხს ეფიქრა, რომ საბუთებს თავად ნესტორ ლაკობას აძლევდნენ?**

— არ ვიცი, რას ფიქრობდა ხალხი, მე უბრალოდ მათი დახმარება მინდოდა, რადგან ნესტორი ძალზე დაკავებული იყო.

**— როგორ მიმართავდით შეფს, თქვენობით თუ შენობით?**

— როცა მარტონი ვიყავით, შენობით ვლაპარაკობდით. როცა დამაპატიმრეს, გამომძიებლები სულ მეკითხებოდნენ: „ვის ხვდებოდა ლაკობა, დაასახელე მისამართები“. მე კი ვპასუხობდი: „ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი დამავიწყდა“. სინამდვილეში დღემდე მახსოვს ყველა ბინა, ყველა სახლი, სადაც კი ჩვენ ვყოფილვართ.

**— მნიშვნელოვანი შეხვედრებისას სად იყავით, კარებთან იდექით?**

— არა, ბევრ შეხვედრაზე ლაკობას გვერდით ვიჯექი. ერთხელ ასე მითხრა: „ყოველთვის ასე... მოისმინე, დაიმახსოვრე, არაფერი თქვა...“ მეც ვდუმდი... 60 წელი ვდუმდი.

**— რატომ ფიქრობთ, რომ სტალინს ყველაზე მეტად უყვარდა ნესტორ ლაკობა?**

— რატომ? იმიტომ, რომ ჩემი თვალით მინახავს ეს. კუნცევოში ვიყავით, სტალინის აგარაკზე. იქ, შესასვლელში გრძელი ოთახი იყო, კედელზე — კარადებით. ყველა, ვინც სტალინთან მოვიდოდა, იარაღს კარადაში ტოვებდა. კართან ადიუტანტი იდგა, თვალს ადევნებდა, რომ წესი დაეცვათ. მხოლოდ ნესტორი არღვევდა ამ წესს. გასწევდა ადიუტანტს ხელით და სტალინთან შედიოდა. სტალინი კი ამას პატიობდა. განსაკუთრებული დამოკიდებულება რომ ჰქონდა, ესეც ჩემი თვალით მინახავს... ესეც კუნცევოში იყო... მივედით. სუფრა ეზოში იყო გაშლილი. სტალინი მაგიდასთან მივიდა, ჩამჩა აიღო, მათლაფაზე სუფი დაასხა და თავისი ხელით დაუდგა ლაკობას.

**— სხვებს?**

— სხვებმა თავისით დაისხეს. მეორედაც მოვხვდი სტალინთან, გაშლილ სუფრასთან. მაგიდის თავში არ ჯდებოდა ბელადი. კუთხიდან მეორე ან მესამე სკამზე იჯდა. მიუბრუნდა ლაკობას და უთხრა: „ნესტორ, წინ გადაჯექი, მინდა გხედავდე“... დანარჩენები — ბუდიონი, ვოროშილოვი, — გასწვრივ ისხდნენ, სადაც მოხვდნენ... სტალინის გვერდით ყოველთვის საცოდავად გამოიყურებოდნენ. ერთხელ ნესტორი და სტალინი ბილიარდს თამაშობდნენ. ისე მოხდა, რომ სტალინმა წააგო და ნესტორს უთხრა: „დღეს რაღაც არ მიმართლებს“. ნესტორმა კი უთხრა: „არ გიმართლებს კი არა, უბრალოდ თამაში არ იცი“. და სტალინმა გადაყლაპა ეს.

**— როცა მოსკოვში იყავით, მხიარულად ატარებდით დროს?**

— იყო ასეთი არაერთი წუთი. დავდიოდით „დინამოს“ სტადიონზე, კრივში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მე უფრო ღონიერი ვიყავი. ერთხელ ნოკაუტში ჩამაგდო, გავიშხლართე, მოვიდა და კიდევ ერთი მუშტი მითავაზა. ავყვირდი: „ნესტორ, ეს არ არის მიღებული კრივში“. ის კი იცინის და მეუბნება: „მოწინააღმდეგე ბოლომდე უნდა გაანადგურო“.

**— მართალია, თითქოს სტალინმა ლაკობა იმიტომ მოწამლა, რომ მისი ცოლი შეუყვარდა?**

— სისულელეა. სტალინს არც კი დაუყნოსავს სარია (აფხაზური გამოთქმაა). ეს ბერიას ნახელავია. გიამბობთ, როგორ იყო. ჩვენ თბილისში ჩამოვედით. პირველი დღე ლაკობამ ცკ-ში გაატარა, მეორე — მინისტრთა საბჭოში. 27 რიცხვში სტუმრად მიიწვიეს ოჯახში, სადაც უშიშრად შეეძლო მისვლა. მე მივიყვანე იქ. მითხრა: „წადი სასტუმროში. ელოდე ჩემს ზარს“. სასტუმროში დავბრუნდი, დიდხანს არ იყო არავითარი ზარი. გვიანი ღამე ჩამოდგა. უცებ ხელში აყვანილი მოიყვანეს, სულ ამოსვრილი იყო. გესმით? ის სპეციალურად ატარეს ქალაქში დიდხანს, რომ საწამლავს ემოქმედა.

**— ჯერ კიდევ ცოცხალი იყო?**

— დიახ. ძალაგამოლეული იყო. სასწრაფოდ დავრეკე საქართველოს შინსახკომის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარესთან. ადგილზე არ დამხვდა. ყურმილი აიღო ვიღაც ექიმმა, სახელად სიტრაკმა. მაშინვე მოვიდა, ახალგაზრდა იყო, დამეხმარა. ლაკობა ზეწრებით გავასუფთავე, ტანსაცმელი გამოვუცვალე. ამ დროს თვალი გაახილა, ხელით რაღაც მანიშნა. მასთან მივედი. ყურში მკვლელის სახელი ჩამჩურჩულა. უკანასკნელი დავალებაც მომცა — მომეკლა მკვლელი. ღმერთმა იცის, მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი... თუმცა სხვა დავალებაც მომცა, რომელიც შევასრულე... შემდეგ ოთახში ხალხი შემოვიდა. თეთრხალათიანები. მოდიოდნენ, პულსს უსინჯავდნენ, ერთი ნემსიც კი არ გაუკეთებიათ. მივხვდი, რომ ბრძანება არ იყო გაცემული მის გადასარჩენად. მე გამაგდეს, სიტრაკი იქ დარჩა. მეტად აღარ მინახავს. გაქრა ადამიანი.

**— იმ სხვა დავალების არსი რაში მდგომარეობდა?**

— ნესტორის მანქანაში იდო პორტფელი. იმათ, ვინც მოწამლული მოიყვანა, როგორღაც პორტფელისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. იქ კი იდო წერილი, რომელშიც ნესტორი სტალინს ბერიას შესახებ წერდა, აგრეთვე პორტფელში იდო ლაკობას თანხმობა, გამხდარიყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი განუსაზღვრელი უფლებებით და თხოვნა, შეერთებოდა აფხაზეთი კრასნოდარის მხარეს. ეს ქაღალდები უნდა გადამეცა პოსკრებიშევისთვის. პორტფელი მანქანაში ვიპოვეთ, მივიტანე საქართველოს ცკ-ში, იქ იყო ერთგული კაცი, ვისაც ლაკობა ენდობოდა. მას ვთხოვე, წაეღო საბუთები მოსკოვში. ამ ადამიანმა პორტფელი აიღო, მატარებელში კი გულის შეტევით გარდაიცვალა, საბუთები დაიკარგა. მეორე დღეს



დამაპატიმრეს. პირველად გოგლიძემ დამკითხა. რამდენჯერ მთვრალი მიმიყვანია სახლში... პირში იარაღის ლულა ჩამიდო, კბილები ჩამიმტვრია და მიყვირა: „თქვი, ვის ხვდებოდა ხალხის მტერი ლაკობა?“ ვუთხარი: „როგორ შეგიძლია ასეთი რამ თქვა ლაკობას შესახებ, თქვენ ხომ ერთი თეფშიდან ჭამდით. თავადაც იცი, ვის ხვდებოდა“... მის გარდა იქ იყვნენ ქობულოვი და მერკულოვი, უბრალო გამომძიებლები კი არა, მხოლოდ გენერლები აწარმოებდნენ ჩემს დაკითხვას. გოგლიძე გამწვანდა, როცა თეფში ვახსენე... მე მხოლოდ 7 კლასის განათლება მქონდა. ვაცნობიერებდი, რომ შეცდომით დასმულ ერთ მძიმესაც შეეძლო ჩემი დახვრეტამდე მიყვანა. ჰოდა, გადავწყვიტე, ჩემი გაუნათლებლობა გამომეყენებინა. ამის მომიზეზებით ხელი არაფერზე მომიწერია. საკმარისი იყო დამესახელებინა ვინმეს გვარი, მაშინვე გააქრობდნენ. გადავწყვიტე, მოვმკვდარიყავი და ეს არ ჩამედინა. მაგრამ ბედისწერა... თავიდან კალიმის კატორღები მომისაჯეს, შემდეგ ურანის საბადოებზე გადამიყვანეს, ჩუკოტკაში. ხალხი იქ წელიწადზე მეტს ვერ ძლებდა. 168 მეტრ სიღრმის მაღაროში გვიშვებდნენ. არავითარი დამცავი კოსტიუმი. წარმოიდგინეთ კედელი და შიგ ფიჭასავით რაღაც ბლანტი მასა. ეს არის ურანის საბადო. ყველა ჩვენგანს გვაძლევდნენ გრძელ ჯოხზე წამოცმულ ჩამჩას, რომლითაც მადანს ვხაპავდით და სპეციალურ ვედროში ვათავსებდით. ერთხელ იქვე, მაღაროში კოცონი დავანთეთ და ვთბებოდით. ბრიგადირმა მადნის პატარა ნარჩენი ცეცხლში შეაგდო. მაშინვე არაფერი მომხდარა, მერე უცებ სინათლის სვეტი ავარდა — ყველანი აქეთ-იქით მოგვისროლა, ის კი, რაც ახლოს იდო, უბრალოდ გაქრა, აორთქლდა.

ხუთი დღე ვიმუშავე მადანზე. მოულოდნელად შოფრად გადამიყვანეს. პატიმრები უნდა გადამეყვანა ბანაკიდან ბანაკში. ერთხელ ინჟინერი მეუბნება: „ჩანტოვიჩ, აქედან უნდა გავიქცეთ“. ჩვენი ბანაკებიდან ეს ერთეულებს მოუხერხებიათ. ინჟინერმა შემომთავაზა, ალასკაზე გავქცეულიყავით. რა უნდა მეკეთებინა მე, აფხაზს, იქ? გადავწყვიტე, სოხუმში წავსულიყავი. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ვინც გაქცეულ პატიმარს დააბრუნებს — პრემიას მიიღებს, საკვების სახით. გაქცეულს პატარა გოგონაც რომ შეგხვდეს, უნდა იცოდე: ან შენ მოკვდები, ან ის. მადლობა ღმერთს, არავინ შემხვედრია.

მივქრივარ საბარგო მანქანით, მაჩერებს პირველი პატრული, მხოლოდ ერთი ლეიტენანტია. გადმოვდივარ, ღონე ჯერ კიდევ მქონდა, გავთიშე, გავხადე ტანსაცმელი, დოკუმენტები ამოვაცალე და გავიქეცი. მოხდა საოცრება და ჩავაღწიე სოხუმამდე. ღამის გასათევად ჩემს დასთან მივედი. გამაღვიძა იმან, რომ ხელებს ზურგს უკან მიგრეხდნენ — უკან დამაბრუნეს კალიმაზე. იმავე ბანაკში მიმიყვანეს. ბარაკში რომ შევედი, აპლოდისმენტებით შემხვდნენ, რადგან გაქცევას თითქმის ვერავინ ახერხებდა. უცებ ერთი კაცი მომვარდა, მუხლებში ჩამივარდა, მეხვეწება: „მიცანი? ის ლეიტენანტი ვარ, თავში რომ ჩამარტყი. უთხარი მათ, რომ ტანსაცმელი მე არ მომიცია, თქვი, რომ ხალხის მტერი არ ვარ“. ვთქვი. მე კი გაქცევისთვის 10 წელი დამიმატეს. ჩანს, ჯოჯოხეთის ყველა წრე ჯერ კიდევ არ მქონდა გავლილი. ერთ დღეს ჩამსვეს მანქანაში და წამიყვანეს. გამოვფხიზლდი, როცა ფანჯარა გამოაღეს და მზემ შემომანათა. ვხედავ — თბილისში ვარ. უკიდურესი სიცივიდან სიცხეში აღმოვჩნდი. არ ვიცი, სად უფრო საშიშია ყოფნა. ისევ იმ გოგლიძის კაბინეტში მიმიყვანეს. მეუბნება: „ალბათ გქონდა დაფიქრების დრო“ — უკვე ათი წელი იყო გასული, რაც კალიმაში გამისტუმრა. — „მოგვცემ ჩვენებას?“. „არა“ — ვპასუხობ. მაშინ მეუბნება: „დღეს შენი დაბადების დღეა, საჩუქარი მოგიმზადეთ — სპეციალური ბრიგადა აღიარების მისაღებად. წამოდი“. წავყევი და ვიცოდი — მივდივარ სასიკვდილოდ.

ექიმმა ქალმა, რომელიც ჩემს მოსასულიერებლად ჰყავდათ დაკითხვაზე, თავად დაჰკარგა გრძნობა და გაიშხლართა. ღმერთს სიკვდილს ვევედრებოდი, მაგრამ ამის ნაცვლად კიდევ 60 წელი დამიმატა.

ამის შემდეგ ჩემმა ჯალათებმა იფიქრეს, რომ შევიშალე, რადგან ვირწმუნებოდი, ხალხის მტერი ლაკობა — სტალინის საუკეთესო მეგობარია-მეთქი. შედეგად, გადაწყვიტეს, ყაზანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოეხადათ სული (ხველება აუტყდა)..

ასთმა მაქვს... ავნერვიულდები თუ არა, ვიხრჩობი... მალე გამივლის. ყაზანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, 36 კილოგრამს ვიწონიდი, ვერ დავდიოდი. ყველა ძვალი გადამსხვრეული მქონდა. 53-ში კი, როცა ჩვენი საყვარელი სტალინი გარდაიცვალა, გამათავისუფლეს.

დავლეტ ჩანტოვიჩმა უჯრიდან გაზეთის ამონაჭერი ამოიღო და გამომიწოდა — 1953 წლის გაზეთი „პრავდა“. ვკითხულობ: „მიესაჯოთ ბერიას, მერკულოვს, ქობულოვს, გოგლიძეს... სასჯელის უმაღლესი ზომა. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი...“

— როცა ძალიან ცუდად ვარ, ამას ვკითხულობ. მაშინვე მომეშვება-ხოლმე. იცით, რატომ არავის ვუყვები იმას, რაც ახლა თქვენ გიამბეთ? იმიტომ, რომ მგონია, მოყოლისას ბრაზით გავსკდები... არ მინდა ამის გახსენება. არ შემიძლია. მეგონა დავივიწყებდი... მინდა დავიწყება... არ შემიძლია. თითქოს ყველაფერი ფირზეა ჩაწერილი და თავში მიდევს...

უცებ მაგიდაზე ფოტოსურათი შევნიშნე — დავლეტ ჩანტოვიჩი ახალგაზრდა ქალთან ერთადაა გადაღებული.

**— რა ახალგაზრდა ხართ ამ ფოტოზე, ვაჟკაცური...**

— ეს მე არა ვარ.

**— როგორ ჰგავხართ, ზუსტად თქვენი თვალებია.**

— ეს ნესტორია, თავის სარიასთან ერთად. ერთმანეთიდან ვერ გვარჩევდნენ, ხომ გითხარით.

მმართველთა ძველი ეშმაკობა — ორეულები. დავლეტ ჩანტოვიჩი ორეული იყო, თუმცა, როგორც ჩანს, თავად ამას ვერ ხვდებოდა. ორეული უნდა მომკვდარიყო ორიგინალის გადასარჩენად. ამ შემთხვევაში პირიქით მოხდა. მცველი გადარჩა პატრონის ხსოვნის შესანახად. ვუცქეროდი 90 წლის დავლეტ კანდალიას და ვფიქრობდი, ალბათ ასეთი იქნებოდა მოხუცებული ლაკობა...



დავლეტ კანდალია

**დავლეტ ჩანტოვიჩმა უჯრიდან გაზეთის ამონაჭერი ამოიღო და გამომიწოდა – 1953 წლის გაზეთი „პრავდა“. ვკითხულობ: „მიესაჯოთ ბერიას, მერკულოვს, ქობულოვს, გოგლიძეს... სასჯელის უმაღლესი ზომა. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი...“**

**– როცა ძალიან ცუდად ვარ, ამას ვკითხულობ. მაშინვე მომეშვება-ხოლმე. იცით, რატომ არავის ვუყვები იმას, რაც ახლა თქვენ გიამბეთ? იმიტომ, რომ მგონია, მოყოლისას ბრაზით გავსკდები...**

**ოგონიოკი № 42**

**თარგმნა მანანა ჯიქიამ**



# ჯენტლმენური შეთანხმება მიღწეულია

## ანრი მიშელი თბილისში ჩამოვიდა

ბოლო ხანს გავრცელებული ვერსია, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი მერაბ ჟორდანიას დაპატიმრების გამო დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა, შეიცვალა. ამჯერად ცალსახადაა ნათქვამი, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა ნაკრებს უცხოელი სპეციალისტი ჩაუდგეს სათავეში.

თუკი ადრე ვარაუდის დონეზე იყო ნათქვამი, რომ ეს სპეციალისტი ფრანგი მწვრთნელი ანრი მიშელი იქნებოდა, ახლა ოფიციალურად დადასტურდა, რომ ქართული ფეხბურთის თავკაცებს სწორედ მასთან აქვთ მოლაპარაკება დაწყებული.

მიშელს წლიურ ანაზღაურებად 700 ათას დოლარს სთავაზობენ. ისიც საგულისხმოა, რომ უკვე მიღწეულია ჯენტლმენური შეთანხმება, ეს კი ევროპაში ბარე ათი ნოტარიუსის მიერ დამტკიცებცული ოფიციალური საბუთის ტოლფასია.

მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო შესარჩევ ციკლში ცნობილი ფრანგი სპეციალისტი ანრი მიშელი უხელმძღვანელებს. აღნიშნული გადაწყვეტილება თავად ბატონმა მიშელმა დაადასტურა მას შემდეგ, რაც თბილისში სამდღიანი ვიზიტის დასრულებისას, სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

**ანრი მიშელი:** — „საქართველოს დედაქალაქში მე გავეცანი სამუშაო პირობებს და მომეწონა აქ არსებული გარემო. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს აქვს შესაძლებლობა, რომ მიაღწიოს სასურველ შედეგებს, თუ ჩვენ ამ პირობებს კარგად გამოვიყენებთ. მე შინ ვბრუნდები, თუმცა ვფიქრობ, რომ თბილისში მალე ჩამოვალ, უკვე კონტრაქტის დეტალების შესათანხმებლად. არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს ნაკრებს პირდაპირ კვიპროსის ტურნირისას შევუერთდე, რომელიც 15 თებერვალს იწყება.

თქვენ იცით, რომ მე ვმუშაობ მაროკოს ერთ-ერთ კლუბში. ამ კლუბის ხელმძღვანელობას უნდა დაველაპარაკო და გათავისუფლება ვთხოვო.

ვფიქრობ, რომ იანვრის ბოლოს ყველაფერი გადაწყდება. რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას დავუთმობთ კვიპროსის ტურნირს, თუმცა, ამ ტურნირზე უფრო მნიშვნელოვანი შესარჩევი მატჩებია, სადაც საქართველოს ნაკრები წარმატებით უნდა გამოვიდეს; ჩვენ საკმარისი დრო გვაქვს იმისთვის, რომ ამ საპასუხისმგებლო მატჩებისთვის სერიოზულად მოვემზადოთ.

საქართველოს ნაკრებს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ არ ჰყოფნის გამოცდილება იმისთვის, რომ საბოლოო ლოგიკურ შედეგამდე მივიდეს. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს შეუძლია იმ კონდიციამდე ასვლა, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნაკრებისთვის ანგარიშისგასაწევი ძალა გახდეს.

იანვარი არ არის კონტრაქტების დადებისთვის კარგი თვე. კონტრაქტების უმრავლესობას ივნის-ივლისში აწერენ ხელს. მიუხედავად ამისა, დავადასტურებ, რომ სიტყვიერი შეთანხმება ჩემსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის მიღწეულია. იანვარში ჩვენ უკვე ვსაუბრობთ კონტრაქტზე. ეს კარგის ნიშანია...

არ დავმალავ იმასაც, რომ მაღელვებს მერაბ ჟორდანიას ბედი. ჩემთვის ძალიან უხერხული მომენტია, როცა კონტრაქტზე საუბრისათვის ჩამოვდივარ და ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ციხეშია. ეს ცუდია ქართული ფეხბურთისთვისაც. გუნდისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ის, რომ პრეზიდენტი და მწვრთნელი ერთად იყვნენ.

თბილისში თან მახლავს მეუღლე. მას ძალიან მოეწონა აქაურობა და თვლის, რომ თავის სახლშია, ერთი სიტყვით, გემშვიდობებით მხოლოდ დროებით, მომავალ შეხვედრამდე...“

**ლერი სულაბერიძე** (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი): — „იმ კანდიდატურებს შორის, რომელთაც მოვიაზრებდით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში, ანრი მიშელი მიგვაჩნია საუკეთესო ვარიანტად. ვისაც ახსოვს საფრანგეთის 1986 წლის ნაკრები, არ შეიძლება ეჭვი შეეპაროს მის პროფესიონალიზმსა და შესაძლებლობებში. ხშირად იბადება ხოლმე კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება ანრი მიშელის მენტალიტეტი ჩვენს რეალობას. მინდა დავადასტურო, რომ მთელ რიგ საკითხებზე ჩვენ ერთნაირი მოსაზრება გვაქვს, რაც უდავოდ გაგვიადვილებს თანამშრომლობას.

ბუნებრივია, ფინანსური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ჩვენი გენერალური სპონსორის, „ყაზბეგის“ თანადგომა, არც სხვა სპონსორების ჩართვას გამოვრიცხავთ. ასე რომ, წინასწარი ვარაუდით, ფინანსური პრობლემა კონტრაქტის გაფორმებისას არ იქნება.

კმაყოფილი ვარ ანრი მიშელის თბილისში ჩამოსვლით. მიხარია, რომ მიშელს მოეწონა ის ატმოსფერო, სადაც მას მუშაობა მოუწევს. მოეწონა საქართველოს ნაკრების ბაზა, ფედერაციის ოფისი. ჩვენ მივედით ჯენტლმენურ შეთანხმებამდე, რომ ანრი მიშელი თბილისში დაბრუნდება.

სპეციალურად არ გავახმაურეთ ანრი მიშელის სტუმრობა საქართველოში. ჯერ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, დაგვეზუსტებინა პოზიციები და თუკი მივიდოდით საერთო შეთანხმებამდე, ბუნებრივია, შემდეგ ეტაპზე ოფიციალურად წარვადგენდით მას. დარწმუნებული ვარ, რომ ანრი მიშელი ყველასთვის მისაღები სპეციალისტი იქნება. კონტრაქტზე ხელის მოწერის ოფიციალურ ცერემონიაზე აუცილებლად იქნებიან მოწვეულნი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები“.



# დემეტრაძე და ჯამარაული ნომინანტთა შორის

უკრაინის ჩემპიონატში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობს. საახალწლოდ ტრადიციულად ქვეყნდება საუკეთესო ფეხბურთელთა სია, რომელიც დგება უკრაინის გუნდების მწვრთნელთა გამოკითხვის შედეგად.

2003 წლის სეზონის ნომინანტებს შორის დონეცკის „მეტალურგის“ ქართველი ლეგიონერები გოჩა ჯამარაული და გიორგი დემეტრაძეც დაასახელეს.

გოჩა ჯამარაული საუკეთესოდ მიიჩნია ოთხმა მწვრთნელმა, ორმა მას მეორე ადგილი მიაკუთვნა, ორმაც — მესამე, რის შედეგადაც ჯამარაული მეცამეტე პოზიციაზე აღმოჩნდა.

მეთექვსმეტეა გიორგი დემეტრაძე, რომელიც ორმა მწვრნთნელმა პირველ ნომრად დაასახელა, ერთმა — მეორედ, ორმაც — მესამე ადგილი მიაკუთნა.

# ლეგენდა მიდის



„მთელს იტალიას სიცარიელის გრძნობა ეუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა და ელოდა, რომ ადრე თუ გვიან ეს მომენტი დადგებოდა, მაინც ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ ფეხბურთელი, რომლის სანახავადაც ათასობით გულშემატკივარი დადიოდა სტადიონზე, აღარ გამოვა მოედანზე“. — ასე გამოეხმაურა იტალიური პრესა ლეგენდარული რობერტო ბაჯოს განცხადებას დიდი ფეხბურთიდან წასვლის შესახებ. „ჩემს საფეხბურთო კარიერას თან სდევდა ტრავმები, რაც ხელს მიშლიდა ჩემი შესაძლებლობები გამომემჟღავნებინა. ამ რეალობამ მძიმე დისბალანსი შემიქმნა, რაც ჩემს ასაკში რთული დასაძლევია. ახლა მე თანდათან მიყალიბდება აზრი, რომ უნდა დავამთავრო საფეხბურთო კარიერა. ეს მოხდება, როდესაც მიმდინარე სეზონი დასრულდება. მხოლოდ სასწაულ ცვლილებებს თუ შეუძლია გამოიწვიოს ჩემი გადაწყვეტილების შეცვლა, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ახლა რთულია იმის თქმა, თუ რას გავაკეთებ ფეხბურთის გარეშე. მგონია, რომ ვიპოვი საქმეს, რომელიც ფასეული იქნება ჩემთვის,“ — განაცხადა რობერტო ბაჯომ, ფეხბურთელმა, რომელიც იტალიაში 90-იანი წლების ფეხბურთის სიმბოლოდ იქცა.

# რუს ოლიგარქს „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეძენა სურს

„დეილი ტელეგრაფმა“ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ნავთობპროდუქტების კომპანია „ლუკოილის“ დამფუძნებელ რალფ საფინს განზრახული აქვს შეიძინოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ აქციების საკონტროლო პაკეტი.

საფინი, რომელიც რუსეთის წინა მოწვევის პარლამენტის წევრი გახლდათ, დაუკავშირდა ლონდონის საინვენსტიციო ბანკის წარმომადგენლებს, იმის გასარკვევად, რამდენადაა რეალური „მანჩესტერ იუნაიტედის“ აქციების შეძენა.

ბრიტანულ საზოგადოებაში ხმები იმის შესახებ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვა რუს ბიზნესმენს უნდოდა, გავრცელდა რამდენიმე თვის წინ. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეს თემა მას შემდეგ, რაც საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“ რუსმა ბიზნესმენმა რომან აბრამოვიჩმა იყიდა.

უნდა ითქვას, რომ ეს ხმები არცთუ მოკლებულია რეალობას, რადგანაც ჯერ კიდევ ივლისში გამართა საფინმა პირველი კონსულტაციები ლონდონის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლებთან. თუმცა, შემდეგ გადაწყვიტა, რომ მოცდა სჯობს, თუნდაც იმ დრომდე, როცა რუსეთში ახალ პარლამენტს აირჩევენ.

თავად „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრესსამსახური უარს აცხადებს კომენტარი გააკეთოს კლუბში ახალი მეპატრონის შესაძლო გამოჩენასთან დაკავშირებით. ანალიტიკოსების ვარაუდით, შანსი იმისა, რომ საფინი გახდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკონტოლო პაკეტის მფლობელი, მინიმალურია, რადგანაც ამ დროისთვის, ფაქტობრივად, კარდინალურად განსხვავებული სიტუაციაა იმასთან შედარებით, რაც აბრამოვიჩის მიერ „ჩელსის“ შეძენისას იყო დაფიქსირებული.

როცა აბრამოვიჩმა „ჩელსი“ იყიდა, „არისტოკრატთა“ გუნდი უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში იყო, რაც კლუბს გარდაუვალ კატასტროფას უქადდა. „მანჩესტერის“ ფინანსური მდგომარეობა კი საკმაოდ სტაბილურია.

ამჯერად „მანჩესტერ იუნაიტედის“ აქციების ყველაზე დიდ პაკეტს ორი ირლანდიელი ბიზნესმენი ფლობს, რომელთა წილი თანაბარია და შეადგენს 48 პროცენტს — თითოეული ფლობს 24 პროცენტს. აქციათა პაკეტის მფლობელთა შორის მესამე ადგილზეა ამერიკელი ბიზნესმენი გლეიზერი, რომელიც 14,31 პროცენტს ფლობს. აღსანიშნავია, რომ როგორც ირლანდიელებმა, ისე ამერიკელმა ბიზნესმენმა წელს საგრძნობლად გაზარდეს თავიანთი წარმოება და შესაბამისად კლუბში საკუთარი წილიც განავრცეს. ამიტომ ნაკლებსავარაუდოა, რომ წარმატებული ბიზნესმენები დათანხმდნენ საფინის წინადადებას, დათმონ საკუთარი წილი იმ გუნდიდან, რომლის საერთო ღირებულებაც მხოლოდ გასულ წელს სამი პროცენტით გაიზარდა. ამჯერად ლონდონური აუდიტორული ფირმის მონაცემებით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირებულებამ მილიარდ ევროს გადააჭარბა.

# ფიგუს მეუღლე „ევრო-2004“-ის ოფიციალური სახე



ესპანეთის სამეფო გუნდის „რეალის“ პორტუგალიელი ლეგიონერის ლუიშ ფიგუს მეუღლე შვედი მოდელი ჰელენ სვედინი ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის სახედ აღიარეს. ამის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა „ევრო-2004“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ჟილბერტ მადაილამ: „სვედინი გახლავთ „ვისტა ალეგრე ატლანტიკის“ სახე, ეს კომპანია ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ოფიციალური პარტნიორია. სწორედ ის ფლობს ექსკლუზიურ უფლებას, განათავსოს ჩვენი ლოგოები საკუთარ პროდუქციაზე, რომელიც დამზადებულია მინის, ფაიფურის, ბროლისა და კერამიკისგან. პროდუქცია გაიყიდება არა მარტო პორტუგალიაში, არამედ ევროპის ბაზარზეც.

# 18 მილიონი აიალასთვის

ესპანურმა „ვალენსიამ“ საყურადღებო განცხადება გააკეთა არგენტინელი მცველის აიალას შეძენის მსურველთათვის. ვისაც ამ ფეხბურთელის შეძენა სურს, 18 მილიონი ევროს გაღება მოუწევს.

საყურადღებოა, რომ აიალას გუნდიდან წასვლა ყველაზე მეტად „ვალენსიას“ მწვრთნელს ბენიტესს გაახარებს, რადგანაც მის გუნდში დაცვის რგოლი ყველაზე ძლიერია. თანაც დიდი კონკურენციის გამო ბევრი მცველი თამაშგარე მდგომარეობაშია და სათამაშო პრაქტიკის უქონლობას განიცდის, მაშინ როცა თავდასხმასა და ნახევარდაცვაში „ვალენსიას“ აშკარად სჭირდება გაძლიერება. ამისთვის საჭირო თანხა კი აიალას ტრანსფერიდან გამოინახება.

„ვალენსიას“ მთელი რიგი პრობლემების მოგვარება მოუწევს ინჩასთა უსაყვარლესი მოთამაშის, გუნდის კაპიტნის დავიდ ალბელდას გამოც, რომელიც ხელფასის გაზრდას ითხოვს. კლუბის ხელმძღვანელობამ განუცხადა გულშემატკივრებს, რომ კაპიტნის გაშვებას არ აპირებენ, ამდენად მის სურვილსაც აასრულებენ.

ვალენსიელები შინაგანად შეემზადნენ იმისთვის, რომ დარჩნენ თავიანთი წამყვანი მცველის გარეშე, თუმცა ისიც ცხადია, რომ ერთადერთი გუნდი, ვინც ამ თანხას გადაიხდის, რომან აბრამოვიჩის „ჩელსია“.

„არისტოკრატთა“ კლუბს აიალას შეძენა კი სურს, მაგრამ 13 მილიონ ევროზე მეტის გადახდას არ აპირებს. კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. ინგლისური მასმედიის აზრით, კლუბები შეთანხმებას მიაღწევენ და სეზონის განახლების შემდეგ, არგენტინელი ჩელსის ღირსებას დაიცავს.

***გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა***

CMYK

## №52 (378) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

**წლის ქალი** — ასეთი იყო საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემა. კითხვას — **„ვის მიაკუთვნებდით ტიტულს — 2003 წლის ქალი საქართველოში?“** — 369 მკითხველი გამოეხმაურა. მხოლოდ 2 ბარათი იყო არასწორად შევსებული. კონკურსში 165 ქალისა და 202 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა. როგორც ხედავთ, საახალწლო სამზადისმა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე საგრძნობლად იმოქმედა.

მკითხველთა 71-მა „წლის ქალის“ ტიტული ნინო ბურჯანაძეს მიანიჭა, მათ მაქსიმალური 8 ქულა მიაკუთვნეს ქალბატონ ნინოს. არა მარტო ნოემბერ-დეკემბრის მოვლენების გამო, უნდა ითქვას, რომ მთელი წლის მანძილზე ნინო ბურჯანაძე და მიხეილ სააკაშვილი თვის ადამიანის ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდნენ. თუმცა, უდავოა, რომ მისი „წლის ქალბატონობა“ მაინც „ვარდების რევოლუციის“ მონაპოვარია.

შემდეგ ადგილზეა სანდრა რულოვსი, ქართველების ჰოლანდიელი რძალი, საქართველოს სიყვარულში ქართველებს რომ არ ჩამოუვარდება. მომავალი პირველი ლედი წლის ქალბატონთა რეიტინგში მეორე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6.35. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ორმა მკითხველმა მიაკუთვნა მას მინიმალური — 1 ქულა.

ირინა ონაშვილი მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6.03.

დაგვეთანხმებით, რეიტინგში მონაწილე ყველა ქალბატონი მართლაც ღირსეულია, წლის წარმატებულ ადამიანებად ითვლებიან და რთულია უპირატესობის მინიჭება.

დღევანდელმა (როგორც საპრიზო, ისე მკითხველის რეიტინგის) შედეგებმა კიდევ უფრო გაამყარა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში ადამიანები პოლიტიზებულნი არიან ისე, როგორც არსად.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 70 წლის **ვახტანგ თოდრია** და 74 წლის **გელა გაგნიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

შობა-ახალ წელს და რეიტინგში გამარჯვებას ვულოცავთ ბატონებს და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 7 იანვარს, 17 საათზე.

## №1 (379) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღეთ *მკითხველის შეიცინეს* და **მკითხველის პრემიას.**

**№1 (379) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 7 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 8 იანვარს 13 საათამდე.**

© თბილისი

### თემა №1(379) — წლის სიმღერა

**თქვენი აზრით, რომელია გასული წლის ყველაზე პოპულარული სიმღერა** ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№1(379) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | სიმღერა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნიკოლშოუ — „შებერილი“ | |
| 2 | მარიკა თხელიძე, სოსო თოლორაია — „ქვეყანა აირია“ | |
| 3 | „ფორტე“, დათო გომართელი — „აგენტი 0013“ | |
| 4 | თიკა ჯამბურია, უცნობი — „გავუსწროთ დროს“ | |
| 5 | დათო ხუჯაძე — „მეგობრებთან ერთად“ | |
| 6 | აჩიკო მეფარიძე — „მშვიდობით“ | |
| 7 | თამუნა ამონაშვილი, ლალი ბოტიკაშვილი — „ეს ერთი ღამე“ | |
| 8 | ლელა წურწუმია — „ღამეა“ | |

### *მკითხველის შეიცინეს*

**თქვენი აზრით, რა არის მიხეილ სააკაშვილის ყველაზე დიდი ღირსება?**

✓ ____________________

**ნაკლი?**

✓ ____________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ____________________ ტელეფონი

### *მკითხველის შეიცინეს შედეგები*

*ყველაზე სასურველი მეკვლეები*

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხეილ სააკაშვილი | 23.7% |
| 2. | სანდრა რულოვსი | 12.1% |
| 3. | ნინო ბურჯანაძე | 8.5% |
| 4. | ბადრი პატარკაციშვილი | 5.4% |
| 5. | გივი ბერიკაშვილი | 4.5% |
| 6. | ოტია იოსელიანი | 3.6% |
| 7. | ირინა ონაშვილი | 2.7% |
| 8. | ბიძინა ივანიშვილი | 2.2% |
| 9-10. | ლელა წურწუმია | 1.8% |
| 9-10. | დუტა სხირტლაძე | 1.8% |

მეტად საინტერესო ათეული გამოვიდა. საქართველოში დღეს რომ ყველაზე პოპულარული სააკაშვილი-რულოვსის წყვილია, ამაზე აღარაფერს ვამბობთ, მაგრამ როგორც ვხედავთ, ხალხისათვის ასევე სასურველია მდიდარი, მხიარული, წარმატებული მეკვლეები.

დასახელდნენ, ასევე ედუარდ შევარდნაძე, დათო გოგიჩაიშვილი, პატარა ედუარდ სააკაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ჯუმბერ პატიაშვილი, მაკა ასათიანი... არც ყველაზე ფეხბედნიერი და ცნობილი მეკვლე — ბროლია დავიწყებიათ მკითხველებს (მიუხედავად იმისა, რომ იგი ადამიანი არ არის, თავისი პოპულარობის წყალობით მაინც მოხვდა ადამიანთა შორის).

***მკითხველის რეიტინგში 302 რესპონდენტი მონაწილეობდა***

## ფოტოანტიკვარი © -ფოტოპალიტრა- კარნავალი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

— დიდი ხანია, რაც თბილისს და ვარდებს ვეტრფი...



ზურაბ ჟვანია, ვალერი ჩხეიძე, ვანო ზოდელავა

**ვ.ზ.** — ბ-ნო ედუარდ! ორი მოღალატე მყავს შეპყრობილი და რა ვუყო?
**ე.შ.** — წამოიყვანე ბადენ-ბადენში!
**ვ.ზ.** — არ მიშვებენ და რა ვქნა?

***გ. მარშანია, თბილისი***

ჟვანია ატარებს სასწავლო მეცადინეობას თემაზე: „როგორ უნდა შეუშვას ჩინოვნიკმა ნათქვამი ერთ ყურში და არ გამოუშვას მეორეში“. ჩვენებას აკეთებს ვანო ზოდელავა.

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

**ზ.ჟ.** — ვალერი, ნახე, ვანო გაგიჟებულა, შევარდნაძეს ურეკავს, შენი კანდიდატურა პრეზიდენტად მესამე ვადაზე რატომ არ წარადგინეო?!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

### *ცნობილი ადამიანები კარნავალზე*

პოპულარულმა ქართველებმა კოსტიუმირებული კარნავალის მოწყობა გადაწყვიტეს. თუმცა, სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ესტრადის ვარსკვლავებს, მსახიობებს, სპორტსმენებს, პოლიტიკოსებს, სახელმწიფო მოხელეებს, მოდელებს, სამართალდამცავებს, ტელეწამყვანებს, ერთი სიტყვით, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ სახეებს გაუჭირდათ როლების განაწილება. ქართული ამბიციური ხასიათი ხომ იცით — ვერ გაიყვეს „თანამდებობები“. ყველას მაინცდამაინც მათთვის საყვარელი, კეთილი ან პოპულარული გმირის კოსტიუმი მოუნდა.

„კვირის პალიტრის“ მკითხველებს ეძლევათ შანსი, იმისდა მიხედვით, ვის რომელი მოუხდება, თავად გაუნაწილონ ცნობილ ქართველებს საკარნავალო კოსტიუმები.

განსაზღვრული კოსტიუმის მფლობელი გახდება ის პიროვნება, ვისაც ყველაზე მეტი მკითხველი მიაკუთვნებს აღნიშნულ კოსტიუმს.

მომავალ ნომერში თქვენ ნახავთ, თუ ვინ რომელ გმირს განასახიერებს საახალწლო კარნავალზე.

მაშ ასე, თქვენი აზრით, პოპულარულ ადამიანთაგან ვინ იქნებოდა საუკეთესო —

1. თოვლის ბაბუა —
2. ფიფქია —
3. კარლსონი —
4. წიქარა —
5. დევი —
6. ნაცარქექია —
7. კომბლე —
8. ლუარსაბი —
9. დარეჯანი —
10. ბარონი მიუნჰაუზენი —
11. ალიბაბა —
12. ყარაბას-ბარაბასი —
13. სიზმარა —
14. ბეტმენი —
15. მეფის ასული —
16. ბატი ტასიკო —
17. კეთილი ფერია —
18. თოვლის დედოფალი —



*ბარათები „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებში მოათავსეთ რაიონებში ოთხშაბათის, 7 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 8 იანვარს 13 საათამდე.*

C

## ფოტო განწყობისთვის



— ნეცა, მე რაცომღა დამიჭირეს?..

პატარა ბიჭი პარკში ზის და გემრიელად მიირთმევს შოკოლადს. გვერდით მამაკაცი მიუჯდა და ჭკუის დარიგება დაუწყო:

— ნუ ჭამ ამდენ შოკოლადს, კბილები გაგიფუჭდება..

— ბაბუაჩემმა 90 წელი იცოცხლა!

— ბევრ შოკოლადს ჭამდა?

— არა, სხვის საქმეში არ ერეოდა!..



7/I ○ სავსე მთვარე

მაგნიტური დღეა

7/I 00-დან 02 საათამდე

### წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ქარაგმა; 4. ჯონჯოლი; 6. დროშა; 7. ლიტვა; 8. ისანი; 9. აქატი; 10. იდეალი; 13. პლეადა; 16. საუნა; 18. კლიენტი; 19. ბულბული; 20. ავიზო; 23. გრაცია; 24. ბიკინი; 26. კამეა; 29. ნარდი; 30. ფითრი; 31. ლანჩი; 32. არომატი; 33. არაქისი.

**შვეულად:** 1. ქათინაური; 2. ადელაიდა; 3. ნოსტრადამუსი; 4. ჯამაგირი; 5. ინდონეზია; 11. ელიტა; 12. ლინჩი; 14. ლილვი; 15. აშული; 16. სია; 17. აზო; 21. ვია; 22. ზნე; 23. გალაქტიკა; 25. იმუნიტეტი; 26. კანიფოლი; 27. მარათონი; 28. აბისინია.





**თარაზულად:** 1. ფაბერჟეს ნაკეთობა, წლევანდელი წლის სიმბოლოს ყველაზე ძვირი ანტიკვარიატი; 4. დეკორატიული ნაქსოვი, ჩხირების გამოყენების გარეშე; 6. გერმანული ავტომობილი; 7. ბერლინის სიმბოლო; 8. მდინარე ევროპაში; 9. დავით კლდიაშვილის პიესის გმირი; 10. დაბადების დღის ან საზოგადოებრივი მოღვაწეობის საზეიმო აღნიშვნა; 13. დევიდ ბექჰემის მეუღლის გვარი; 16. წყლის ზედაპირამდე ამოსული წყალქვეშა კლდე ზღვაში; 18. მსახიობი; 19. ყვავილების კონა; 20. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში; 23. მოწონების კოლექტიური გამოხატვა, მქუხარე ტაში; 24. ოფიციალური სტუმრობა; 26. სამხრეთამერიკელ ინდიელთა ნავი; 29. პარკოსანი მცენარე; 30. გოგრისებრთა ოჯახის წევრი; 31. ჭექა-ქუხილის დროს წარმოქმნილი დამახასიათებელი სუნის მქონე აირი; 32. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ყურძნის ჯიში, რომლისგანაც საფრანგეთში ამზადებენ თეთრ ბურგუნდიულ ღვინოს; 33. საშუალო პროდუქტი რძესა და კარაქს შორის.

**შვეულად:** 1. ნიღბებიანი მეჯლისი; 2. ცხენთსარბიელი; 3. მათემატიკის ნაწილი; 4. ღვინის ჩამომსხმელი; 5. ყველასთვის „სისი"-დ ცნობილი დედოფლის ნამდვილი სახელი; 11. ევროპაში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 12. ქალაქი ბელგიაში; 14. ფალიაშვილის ოპერა; 15. მჭიდროდ ნაქსოვი ბუსუსიანი შალის ქსოვილი; 16. გამარჯვების ბერძნული ქალღმერთის ნიკეს დაიკო; 17. მოსეს მცნებათა რაოდენობა; 21. მდინარე ოკის მარცხენა შესართავი, რომლის ქვედა წელში ნაკრძალია გაშენებული; 22. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 23. სათბური; 25. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 26. ქოთანში გაზრდილი სამკურნალო მცენარე; 27. კომპანია, რომელიც პირველია აშშ-ში, ხილეული და ბოსტნეული კონსერვების წარმოებით და მეორე — სიგარეტების გამოშვების რაოდენობით; 28. ღვინის ქიმიური შემადგენლობის შემსწავლელი მეცნიერება. **შეადგინა რამაზ ალანიამ**



**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## 1 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№1 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 8 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

**„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".

შავი ყვითელი ლურჯი წითელი